



ჩვენს მსოფლიოში

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

1 მაისი 2015

№ 9 (243)



სიტყვის არქეოლოგია
 ეკა ფხალაძის ნოველა
 ინტერვიუ არქიმანდრიტ ადამთან
 ომარ ხაიამის ქართველი მიმდევარი
 რეზო ამაშუკელის ლექსის სიმფონია
 ელგუჯა თავბერიძის დოკუმენტური პროზა
 ქართველი ნობელიანტი მწერლის მოლოდინში
 ნელი ბატიაშვილის პოეტური მედიტაციები
 რაინერ მარია რილკეს ნოველა
 კობო აბეს ქვიშის ფილოსოფია
 ვაჟა ხორნაულის ლირიკა
 რა შეუძლიათ ლექსებს



შინაარსი

| | | |
|---------------------------|----|--|
| კულტურის სიღვაძე | 2 | მაია ჯალიაშვილი ქართველი ნოვალიანტი მწერლის მოლოდინში (ნადინ გორდემერი, ჰერტა მიულერი, ვიდიადპარ ნაიპოლი, ჩესლავ მილოში) |
| მსხარეს-ინტერვიუ | 4 | არქიმანდრიტი ადამი (ვახტანგ ახალაძე) „დრო, დრო აღნიშნა!“ (მომამზადა თამარ ყალიჩავამ) |
| ამერიკის გზაგზა | 6 | ქეთევან ტომარაძე „გერმანელი შექსპირი“ ინგლისურად (ჯენიფერ სტეკჰაუსის ნარკვევი ანდრეას გრიფიუსის პიესაზე „ქეთევან ქართველი“) |
| თქმა მართლისა | 9 | ბადრი დანელია რაღაც სხვა ნაწარმოებებს... (რუსთაველის თეატრის სპექტაკლი „სტუმარ-მასპინძელი“) |
| პროზა | 10 | ეკა ფხალაძე მწერალობანა |
| დოკუმენტური პროზა | 13 | ელგუჯა თავბერიძე ციკლიდან: „ხეზე ასვლა“ |
| ერი და გადინება | 17 | როსტომ ჩხეიძე ძველი ხიზულას საიდუმლოება (ზვიად გამსახურდიას ასი დღე) |
| კულტურის სიღვაძე | 33 | იოსებ ქუმბურიძე „ომარ ხაიამ, შეიწყალე ჩემი როზაი“ (ელგუჯა მარდიას როზაიები) |
| გამოხვარება | 35 | როზა დევდარიანი სასოების ნაკადად — შეუზღალავი სითითრა (თეიმურაზ გაგნიძის „ჩვენთან არს ღმერთი“) |
| პოეზიის ერთი ლექსი | 36 | ნელი ბატიაშვილი სიჩუმე |
| პოეზია | 38 | ვაჟა ხორნაული ნისლზე ყვავილის ამოსვლა და სხვა ლექსები |
| ეპიგრამა | 39 | რიჩარდ ფინმანი მე მიყვარს ჩემი ცოლი |
| პროზის გზაგზა | 40 | რა შეუძლიათ ლექსებს? (იტალიური დღიურიდან) |
| რეპორტაჟი | 45 | ეკა ბუჯიაშვილი ყვავილები მარადიულ სამყოფელთან (როსტომ ჩხეიძის ახალი ბიოგრაფიული რომანის წარდგინება) |
| გამოხვარება | 50 | ნინო ვახანია ბაბია-ბაბუების აპოლოგია (მთარგმნელის დებიუტი) |
| კრიტიკა | 52 | ელიზბარ ჯაველიძე რაჟო ამაშუკელის ლექსის სიმფონია |
| ენის წიაღში | 61 | მიხეილ ანთაძე სიტყვის არქეოლოგია |
| ახალგაზრდაგო. ან კი თქვენ | 63 | მიხეილ ქობილაშვილი მონოლოგი მამასთან და სხვა ლექსები |
| | 65 | თეონა გოგილავა კოზო ახეს ქვიშის ფილოსოფია |
| შხროვი ნოველა | 66 | რაინერ მარია რილკე გველეშაპის მძლეველი |
| ახალი თარგმანები | 68 | რომენ გარი მკვდართა ზარსოში |
| ამ მთისა და იმ ბარისა | 71 | კიდევ ერთი გამოქანული |



ორკვირული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62

რეკლამა: (995 93) 65 93 68

გავრცელება: (995 92) 25 94 94

ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge



www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 2015 წლის 15 მაისს

დაარსებულია
ომეგა ჯგუფის მიერ
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი
ზაზა ოქუაშვილი



დაბეჭდილია სტამბაში
ომაგა თავი

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,
თბილისი საქართველო
ტელ: 00 995 32 53 12 77
ფაქსი: 00 995 32 53 08 33
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge
www.omegategi.ge

| | |
|----------------------------------|---------------------|
| მთავარი რედაქტორი | როსტომ ჩხეიძე |
| პროზის რედაქტორი | ივანე ამირხანაშვილი |
| პოეზიის რედაქტორი | მაკა ჯოხაძე |
| კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი | თამაზ ნატროშვილი |
| მხატვრული რედაქტორი | კარლო ფაჩულია |
| დიზაინერი | მალხაზ იაშვილი |
| სტილისტ-კორექტორი | ნინო დევანოიძე |
| კომპიუტერული უზრუნველყოფა | თენგიზ რობიტაშვილი |
| ოპერატორი | თამარ ჩიხლაძე |
| სარეკლამო მენეჯერი | ეკა ბუჯიაშვილი |
| გავრცელების სამსახური | ლევან კიკნაძე |

გარეკანზე: ჯენიფერ სტეკჰაუსი
ვენეცია, იტალია

მაია ჯალიაშვილი

ქართველი ნობელიანტი მწერლის მოლოდიანი

როდის მიიღებს ქართველი მწერალი ნობელის პრემიას? ეს კითხვა დიდი ხანია გაუჩნდა ქართველ მკითხველს. პასუხიც სხვადასხვაგვარია. თუმცა ერთი რამ ცხადია, ჩვენ გვყავს ისეთი მწერლები, რომლებიც იმსახურებენ ამ პრემიას.

მამ რატომ უჭირთ ქართველ მწერლებს საერთაშორისო ასპარეზზე გასვლა და აღიარება, განსხვავებით ხელოვნების სხვა დარგის წარმომადგენლებისაგან, უპირველესად ვგულისხმობთ, მაგალითად, კლასიკური მუსიკის შემსრულებელთ.

ხშირად გაიგონებთ საუბარს ნობელის პრემიის მიმნიჭებელი კომიტეტის ერთგვარ ტენდენციურობაზე. მართლაც, იოლი შესამჩნევია, რომ უდავო სამწერლო ღირსებებთან ერთად, ნობელიანტებს გამოარჩევთ ერთგვარი პოლიტიკური აქტიურობა. კომისია შერჩევას უპირატესობას ანიჭებს იმ მწერლებს, რომლებიც არა მხოლოდ თავიანთი მწერლობით (მაღალი ხარისხის ლიტერატურა ხომ ისედაც ყოველთვის ადამიანის უფლებათა დამცველია), არამედ საზოგადოებრივი მოღვაწეობითაც (იგულისხმება საჯარო გამოსვლები ამა თუ იმ დიქტატორული, ტოტალიტარული რეჟიმის წინააღმდეგ, რასაც თან სდევს შემოქმედის პოლიტიკური დევნა, დაპატიმრება, სამშობლოში მისი ნაწერების აკრძალვა და სხვა ამგვარები) ხმას იმაღლებენ სხვადასხვა ტიპის ხელი-სუფლის ანტიკომუნური მმართველობის წინააღმდეგ.

როგორც **ნადინ გორდიმერმა** აღნიშნა თავის სანობელო სიტყვაში, მწერალი პასუხისმგებელია იმ სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებზე, რომლებიც მის გარშემო ხდება: „ზოგიერთი ჩვენგანის წიგნები ნლობით იკრძალება სამშობლოში, ჩვენ კი განვაგრძობთ წერას. ბევრმა მწერალმა გამოიარა ციხეები, მაგრამ არ შეუწყვეტიათ თავიანთი უფლებების დაცვა... ბევრმა დევნისა და კონფლიქტის გამო დატოვა ქვეყანა და მიიღო განუკურნებელი სულიერი ტრავმა“.

ნადინ გორდიმერი თამამად დაუდგა გვერდით აპარტიდთან ბრძოლის ლიდერს, ნელსონ მანდელას, და საჯარო ტრიბუნა გამოიყენა ხალხის საპროტესტო მუხტის გასაძლიერებლად. აღსანიშნავია, რომ ნადინ გორდიმერს ნობელის პრემია მიენიჭა 1991 წელს, ხოლო მანდელას ორი წლის შემდეგ — 1993 წელს, მშვიდობის დარგში.

თანამედროვე სამყაროს და, მათ შორის, საქართველოსაც, სამწუხაროდ, არ აკლია სხვადასხვა ტიპის კონფლიქტი და პოლიტიკური ქარიშხალი. ასე რომ, ქართველ მწერალს მეტი პოლიტიკური აქტივობა და გამბედაობა მართებს საერთაშორისო აღიარების მოსაპოვებლად. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი და გადაუმწყვეტია, რომ მისი მემკვიდრე სულისკვეთება მსოფლიოს მისწვდეს ხარისხიანი თარგმანების საშუალებით.

ახლა კი თვალი გადავავლოთ იმ ნობელიანტთა შემოქმედებას, რომელთა ნაღვანსაც გამოსცემს დღეს საქართველოში უდავოდ გამორჩეული გამოცემლობა „ინტელექტი“, გამორჩეული იმიტაც, რომ სწორედ ის ახორციელებს პროექტს **„ნობელის პრემიის ლაურეატები“** (საგამომცემლო პროექტის ავტორი **კახაბერ კუდავა**). ამ პროექტით ხშირად პირველად ითარგმნება და გამოიცემა მსოფლიოში აღიარებულ შემოქმედთა ნაწერები.

საზოგადოდ, თარგმანები თანამედროვე სალიტერატურო პროცესის მძლავრი შენაკადია. სწორედ ისინი უწყობენ ხელს კულტურათა დიალოგს, რომელიც გამუდმებით შეახსენებს ადამიანებს სამყაროს ერთიანობას.

ამჯერად წარმოგიდგინებ ოთხ ნობელიანტს, რომელთა პროზა პირველად ითარგმნა ქართულ ენაზე.

ჰერტა მიულერი (1953 წ. დაიბადა) ნობელიანტი 2009 წელს გახდა. ზემოთ ნათქვამს თუ გავიხსენებთ, ამ მწერალსაც გამოარჩევს პოლიტიკური აქტივობა. იგი რუმინეთში ჩაუშეს რეჟიმის წინააღმდეგ იბრძოდა და მრავალი ტანჯვა-ცინი, უპირველესად კი — ემიგრანტის მწარე ხვედრი. მისი ნაწერების მთავარი თემაც ეს არის — ტოტალიტარული რეჟიმის არსობრივი წარმოჩენა და ადამიანის ბედი ამგვარ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში.

ჰერტა მიულერი გერმანელია, ახლა ბერლინში ცხოვრობს, მაგრამ რუმინეთში დაიბადა და გაიზარდა. ჩაუშეს კუს ტოტალიტარული რეჟიმი მისი ბავშვობის მთავარი საფრთხობელია იყო, რომელიც დღემდე აჩრდილივით დასდევს მის ნაწერებს და ნებისმიერ თემაზე წერისას ჩაესმის ამ რეჟიმის დემონური ხარხარი და კვლავაც ეჭიდება დრო-სივრცეში დანამცეცებულ მის სხეულს, რომელიც გამუდმებით აღდგება ცხრათავიანი ურჩხულივით და ებრძვის.

„ნეტავ რა ფასი აქვს ჩემს სიცოცხლეს?“ ამგვარი კითხვით იწყება ცხოვრების შემეცნება. ჰერტა მიულერის ბავშვობაც ამ კითხვამ შეარყია და მწერლად აქცია. ეს კითხვა ლაიტმოტივად გასდევს მის წიგნს **„მეფე დაიხრება და კლავს“**, რომელშიც ცხრა ესეია (**„ყველა ენა საკუთარი თვალით იყურება“**, **„მეფე დაიხრება და კლავს“**, **„დღემილის დროს უსიამოვნოდ გამოვიყურებთ, ლაპარაკის დროს კი — სასაცილოდ“**, **„ერთხელ ხელს რომ ჩაავლებ, ორჯერ ისევ უშვებ“**, **„უცხო მზერა, ანუ ცხოვრება ლამპარში ჩაპურჭყებულს ჰკავს“**, **„ნითელი ყვავილი და ჯოხი“**, **„კუნძული შიგნითაა, საზღვარი კი — გარეთ“**, **„ჩვენთან, გერმანიაში“**, **„ჰაერში რაღაც სუნი თუ ტრიალებს, ეს ხშირად ავის მომასწავებელია“**). ამ ესეებში ხატოვნად, პოეტურად წარმოჩენილია სამყაროს გაცნობის თამამეჭდავი სურათები. პირველი, რაც ყურადღებას იქცევს მის ნაწერებში, სტილია, ექსპრესიული, ფერადოვანი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, მთარგმნელის, **ნანა გოგოლაშვილის**, ოსტატობა, რადგან, მართლაც, ჩანს, რომ მან შეძლო თარგმნისას მწერლის სულთან მიახლოება.

ამ ესეებში ყურადღებას იქცევს იმის წარმოჩენა, თუ როგორ იქმნებოდა მწერლის სულიერი სამყარო, ამიტომაც სუფთა ჰაერით შემოიჭრება სოფელი, სადაც გაიზარდა. საოცრად არის დახატული სოფლის მელნისფერ ლამეებში ჩაძირვა, ჭრიჭინობელათა ნაზი და იდუმალი ჩურჩულის გაგების ნადილი და თანვე იდუმალი შიში. „ფოთლებმა და ყვავილებმა იცოდნენ, როგორ ეცხოვრათ, მე კი — არა“. სწორედ ამ გარემომ შეაგრძნობინა ფასი თავისუფლებისა, რომელიც მისი პროზისა თუ ესეების მთავარი გმირია. ამ გმირს დევნიან, აწამებენ, მაგრამ ის ფენიქსივით ყოველი დაფერფლის შემდეგ განახლდება და ცოცხლობს ადამიანთა გულებში და მზადაა კვლავაც იტანჯოს, ოღონდ სიყვარული გადაარჩინოს. მწერლის უჩვეულო პოეტური აღქმა ხიბლავს და აჯადოებს მკითხველს.

ნერილში **„ყველა ენა საკუთარი თვალით იყურება“** საგულისხმო დაკვირვებებია ენაზე და გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ დღევანდის მთელ მომზიბველობას სრულყოფილად სხვა ენის დაუფლების შემდეგ შეიგრძნობ. ყოველ შემთხვევაში, მან როდესაც რუმინული შეისწავლა და ამ ენის სარკმლიდან შეიხედა სამყაროში, სულ სხვაგვარად აღიქვა ყოველივე. ერთი და იმავე საგნისა თუ მოვლენის განსხვავებული სახედლება მწერალს სიტყვათა სიღრმეებში ამოგზაურებს და მათ სულს შეაგრძნობინებს. მას საკამათოდ მიაჩნია გამოთქმა **„ენა სამშობლოა“**, რადგან იგი „ფასს უკარგავს სამშობლოდან გაქცეული ადამიანების ნებისმიერ მსხვერპლს“. ცხოვრებამ მას სიტყვა „სამშობლოც“ შეაჯავრა, რადგან მას „პარტიული ფუნქციონე-





რები და დიქტატურის ლაქები იყენებდნენ“. მისი აზრით კი, „სამშობლო ისაა, რასაც ამ ენაზე ამბობენ“. საგულისხმოა მწერლის თვალსაზრისი, რომ „ნებისმიერი დიქტატურა, მემარჯვენე იქნება თუ მემარცხენე, ათეისტური თუ რელიგიური, ენას თავის მსახურად იხდის“. მწერლის აზრით, ენის საშუალებით დიქტატურის გამყარებაცაა შესაძლებელი და მისი დემონტაჟიც. ამ ენებში ამ თვალსაზრისის თვალსაჩინოებისთვის უამრავი მახვილგონივრული არგუმენტი მოყვანილი. მწერლის აზრით, ენა არცერთ დროებაში არ ყოფილა პოლიტიკური ნაკრძალი, რადგან მას ვერ გამოაცალკევენ იმ პოლიტიკური ქმედებისაგან, ერთი ადამიანი მეორის მიმართ რომ სჩადის.

2001 წელს ნობელის პრემიის ლაურეატი ვიდიადჰარ ნაიპოლი (1932 წ. დაიბადა), ინდური წარმოშობის ინგლისურენოვანი მწერალი გახდა. მისი ნაწარმოებებიც გამოირჩევა საზოგადოებრივი ყოფის მანკიერებათა კრიტიკული მხილების პათოსით. უპირველესად, სწორედ სოციალურმა და რასობრივმა პრობლემატიკამ მოაქცია იგი ყურადღების ცენტრში. მისი რომანი „ნახევარი სიცოცხლე“ ინგლისურიდან თამარ კოტრიკაძემ თარგმნა, მართლაც, გამორჩეულმა მთარგმნელმა. მას აქვს მწერლის გეში და ალლო, ამიტომაც ზუსტად და ნათლად გადმოსცემს ამ ნობელიანტის თხრობის მდინარებასაც. აღსანიშნავია, რომ თამარ კოტრიკაძე ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ხელწერის მწერლებს თარგმნის და მათ ამ ინდივიდუალობას, სწორედაც რომ ენობრივ სამყაროში გამოვლენილს, სტილურ თავისთავადობას უნარჩუნებს.

ვიდიადჰარ ნაიპოლის სახით ქართველი მკითხველი გაეცნობა არაჩვეულებრივ მთხრობელს, რომელსაც შეუძლია საოცრად ლაღად, თავისუფლად წარმოაჩინოს ადამიანის ბედი თანამედროვე სამყაროში. ადამიანისა, რომელიც დრო-სივრცის გამუდმებული თავდასხმების მიუხედავად, ვითარდება, ცოცხლობს და ცდილობს მატერიალურ-სულიერი კვალის დატოვებას. ამ რომანში წარმოჩენილია მთავარი გმირის, გავეროპელეზული ინდოელის ცხოვრება. მას აქვს ძირისა და ფესვების შეგრძნება, რომანში რამდენიმე თაობის ისტორია წარმოჩნდება და მკითხველი ძალდაუტანებლად იჭრება ინდური კულტურის ეგზოტიკურ, უცხო და ნაირფეროვან წეს-ჩვეულებათა სამყაროში.

ნადინ გორდიმერს (დაიბადა 1923 წ.), იოჰანესბურგელ მწერალ ქალს, ნობელის პრემია 1991 წელს გადასცეს. იგი ემიგრანტთა ოჯახში, სამხრეთ აფრიკაში დაიბადა და გაიზარდა. თეთრკანიანი გოგონა (ლიტველი მამისა და ინგლისელი დედის შვილი) ბავშვობიდანვე ეზიარა ცხოვრებისეულ წინააღმდეგობებს. თეთრი და შავი, უპირველესად ადამიანთა კანის განმსაზღვრელი, მისთვის ორი სხვადასხვა სამყაროს სინონიმებად იქცა, თუმცა მალე მიხვდა, რომ ამგვარი დაყოფა თეთრად და შავად, სიკეთედ და ბოროტებად, სინათლედ და სიბნელედ, ილუზია იყო და ცხოვრებაში ხშირად ერთობლიობაში წარმოჩნდებოდა.

მოთხრობების კრებულით „ბეთჰოვენს ერთი მეთექვსმეტედი ზანგის სისხლი ჰქონდა“ (2007 წ.) ქართველი მკითხველი პირველად გაცნობს ამ შესანიშნავ მწერალ ქალს. ამ გაცნო-



ბაში მას ნიჭიერი მთარგმნელი, თამარ კოტრიკაძე დაეხმარება, რომელიც არაჩვეულებრივად გრძნობს, უპირველესად, ქართულ სიტყვას, მის დაფარულ ენერგიას, ამიტომაც იკითხება მისი თარგმანები ისე, თითქოს მწერალს ეს ყოველივე ქართულ ენაზე შეექმნას.

ნადინ გორდიმერის მხატვრული სამყარო უშუალოდ და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ამ ნიგნში თავმოყრილი მოთხრობები მკითხველს ადამიანის სულის უსაზღვრო სივრცეში ამოგზაურებენ და დააფიქრებენ სიკეთისა და ბოროტების არსზე, სიცოცხლისა და სიკვდილის განუყოფლობასა და ყველა იმ თემაზე, რომლებიც თანამედროვე ადამიანის სულს, გულსა და გონებას აფორიაქებენ.

„ისტორიამ რად მიივწყა ჩვენი ერთობისკენ სწრაფვა, ცოდნა იმისა, რომ სისხლის შემადგენლობას არაფერი აქვს საერთო ადამიანობასთან?“ — ვკითხვლობთ მის მოთხრობაში: „ბეთჰოვენს ერთი მეთექვსმეტედი ზანგის სისხლი ჰქონდა“. ამ ნიგნში წაიკითხავთ მის სხვა მოთხრობებსაც, რაბლესეული სატირითა და შექსპირისეული ტრაგიზმით გაჯერებულს: „გრძელი ზონარი“, „სიზმრად ნანახი გარდაცვლილი“, „თავქარიანი ქალბატონი“, „გრეგორი“, „უსაფრთხოების ზომები“ და სხვ. იშვიათად შეხვდებით მოთხრობის ასეთ დიდოსტატს, რომელიც სრულყოფილად ფლობს თხრობის ტექნიკას.

მის საწილს სიტყვაში „მწერლობა და ყოფიერება“ (თარგმნა გვანცა ჯობავამ), რომელიც ამავე კრებულში შეიტანეს გამომცემლებმა, კარგად წარმოჩნდება მწერლის ზნეობრივი მრწამსი. „პირველად იყო სიტყვა“ — იოანე მოციქულის სახარების უპირველესი სტრიქონი მოჰყავს მწერალს მსჯელობის დასაწყებად და თვალს მიადევნებს, როგორ შეიცვალა ღვთის სიტყვასთან დამოკიდებულება კაცობრიობის არსებობის განმავლობაში. რა გზა გაიარა სიტყვამ პერგამენტიდან გუტენბერგამდე? როგორ დაიბადა ავტორი? ამ საკითხებზე მსჯელობს გორდიმერი და დაასკვნის, რომ მწერალი „ცდილობს განმარტოს სამყარო“, რომ ლიტერატურა არის ერთდროულად საკუთარი თავისა და სამყაროს შეცნობა: „შეიძლება დინოზავრებით გავწყვეთ და მიჩნე ვერ ვუპასუხოთ კითხვას: რატომ ვარსებობთ?“

1980 წლის ნობელისპირა პოლონელი მწერალი ჩესლავ მილოში გახდა. იგი 1911 წელს ლიტვანში დაიბადა, პოლონეთში გაიზარდა, ანტიფაშისტმა და ანტიკომუნისტმა გამოსცადა ემიგრანტის მწარე ხვედრი, ცხოვრობდა საფრანგეთსა და ამერიკაში, მეოცე საუკუნის 90-იან წლებში სამშობლოში დაბრუნებული მიიღეს, როგორც ეროვნული გმირი. მშობლიურ მიწას მიეზარა 2004 წელს. მის პოეტურ სიტყვას ფასს მატებდა მისი ცხოვრება, რადგან იგი ფაშისტური ოკუპაციის დროს წინააღმდეგობის მმართველის აქტიური მონაწილე იყო. კომუნისტურ რეჟიმთან შეუგუებლობამ აქცია იგი ემიგრანტად. ცნობილია ბროდსკის სიტყვები: „ამ პოეტის პირით ლაღადებს პოლონეთის დამოუკიდებლობა“. იგი ცნობილია თავისი პოეზიით, პროზით, ესეებით. აქამდე ქართულად ზვიად რატიანის მიერ მისი მხოლოდ ერთი ლექსი იყო თარგმნილი, „ვეროპის პირმშო“, რომელშიც ასეთი ტკივილიანი სტრიქონებია:

**ნუ შეიყვარებ ქვეყანას: შეიძლება რუკიდან გაქრეს.
მით უფრო — ქალაქს: აღენიშნება ჩუმი ლტოლვა
ნანგრევებისკენ.**

ქართულად პირველად თარგმნილ მის რომანში კი, „ისას დაბლობი“ რომ ჰქვია“, წარმორჩენილია ბავშვობის შთაბეჭდილებანი. აქვე აღენიშნავთ, რომ ეს თარგმანიც შესანიშნავია და ნათელა გავაშუქლის ნიჭსა და თავდადებაზე მეტყველებს. მთელი რომანი გაჟღერებულია საოცარი პოეტური სულით. რომანის მთავარი გმირი, ტომასი, ისას დაბლობის უმშვენიერეს ბუნებაში იზრდებოდა და პატარა სახლის ფანჯრიდან გაჰყურებდა უკიდევანო სივრცეებს. სწორედ ამ იდუმალმა სივრცეებმა აქცია ჩესლავ მილოში პოეტად. რომანის ბოლოს შთაბეჭქდავად აღწერილია, მთავარი პერსონაჟი როგორ ემშვიდობება ოჯახსა და სოფელს: „ცვრიან მიდამოს დილის ვარდისფერი დასდებოდა, ჩიტები გალობდნენ. ყველაფრის დამახსოვრება უნდოდა“. ბუნება თითქოს ჩასჩურჩულებს: „დაგვივინყებ, ოი, აუცილებლად დაგვივინყებ!“ მკითხველს კი ახსენდება ფსალმუნის სტრიქონები: „უკეთუ დაგვივინყო შენ, იერუ-

სალემი...“ „ფრთხილად გადავიდნენ გაფარცხილ შარაგზაზე. შემფოთებულმა ქრისტემ გაფოფრილ ფოთლებს შორის გაივლიდა“. ტომასს თან მიჰყვებოდა ვაშლის სურნელი და დალოცვები. ასე გავიდა ცხოვრების დიდ გზაზე და არასოდეს დავინწყებია ისას დაბლობის შემოგარენი. აქ განცდილმა, ნანახმა, გაგონილმა მითებმა, ზღაპრებმა და ლეგენდებმა სიცოცხლე რომანის მთავარი პერსონაჟის, ტომასის, მწერლის ალტერეგოს, სიზმრებსა და შემოქმედებაში გააგრძელეს.

ისას დაბლობი მკითხველის შთაბეჭდილებაში იქცევა თავისუფლების სიმბოლოდ, რომლის დაგინყებაც სულიერი სიკვდილის ტოლფასია.

ამ ოთხი ნობელიანტის ნაწერების გაცნობა მკითხველს დიდ სურვილს უჩენს, რომ ითარგმნოს მათი სხვა ნაწარმოებებიც.

აქვე იმის წყურვილიც იბადება, რომ ქართულ მწერლობასაც გამოუჩინდნენ უცხო ენაზე მთარგმნელ-გულშემატკივრები, რათა ყველამ გაიგოს, რომ მსოფლიო სამწერლო რუკაზე, როგორც გურამ დოჩანაშვილი იტყოდა, საქართველო დიდი ქვეყანაა და „შემოქმედთა საერთაშორისო ნადიმზე“ ქართველსაც სიტყვა ეთქმის.

არქიმანდრიტი ადამი (ვახტანგ ახალაძე)

„დრო, დრო აღნიშნე!“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— როდესაც სულაც არ განაღვლებს, რომ ოდესღაც, არა, ოდესღაც კი არა, ამ ორი ათასი წლის წინ, დედამიწაზე, წმინდა მინაზე დადიოდა ხორცშესხმული ღმერთი — უფალი და მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე; ჰაერს ეხებოდა მისი ხმით გამოცემული ბგერები; მის ყურთასმენას სწვდებოდა ადამიანების გულების ბაგაბუჯი, ტირილი, ლოცვა, ყვირილი, ხმაური და დედა ღვთისმშობლის ნამღერი ნანა; მის თვალებში ირეკლებოდა ადამიანთა სახეები, სახლები, გზები... და უკიდევანო თანაგრძნობიანი სიყვარული და ტკივილი!

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— სულიერად და კულტურულად აღორძინებულ, ზნეობრივ და განათლებულ საქართველოში.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— როდესაც ცხოვრობ იმის შეგრძნებით და განცდით, რომ ხარ ადამიანი, ე. ი. შენშია ზეციურიც და მიწიერიც, სულიერიც და ხორციელიც, ხილულიცა და უხილავიც, მარადიულიც და წარმავალიც... ვაჟა რომ ამბობს:

**მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდეგ,
თვალთ წინ მეფინა ქვეყანა,
გულზე მესვენა მზე-მთვარე,
ვლაპარაკობდი ღმერთთანა.
საკეთილდღეო ქვეყნისა
მედვა სულად და გულადა:
სიცოცხლე, მისთვის სიკვდილი
მქონდა მეორე რჯულადა.**

აი, ეს მდგომარეობაა ჩემთვის უმაღლესი ბედნიერება!

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— ოთარანთ ქვრივი-მეთქი, პირველი, რაც თავში მომივიდა. მერე კი ისე ღრმად დამაფიქრა ამ ერთი შეხედვით უბრალო კითხვამ... კიდევ ვინ? აღმოვაჩინე, რომ საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოებების მთელი ზღვაა, მაგრამ როგორ და რა ნიშნით უნდა გამოარჩიო მათში საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები? ვინ არიან ისინი? ვინც შენთვის იდეალია, მისაბაძია, თუ ვისაც თანაუგრძნობ, უბრალოდ, გიყვარს, გულისფანცქა-

ლით ელოდები, რა მოხდება წიგნის მომდევნო ფურცლებზე... რამდენჯერ შემინყვეტია კითხვა იმის მოლოდინით, რომ ახლა, ამ ჯერზე მაინც შეიცვლებოდა გმირის ბედი, კიდევ ერთ დარბევას გადაურჩებოდა ქართლი, აღარ მოკვდებოდა ის, ვინც უკვე შევიყვარე... ხოლო მე შევიყვარე უბრალოდ ლიტერატურული პერსონაჟი! ნუთუ ყველა? ალბათ. ან უმეტესი მათგანი მაინც.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— უპირველეს ყოვლისა, ქრისტეს მოციქულები; მერე — ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე; და, რაც ერთობ მნიშვნელოვანია — მატიახეთა მიღმა დარჩენილი, უსახელონი, უდიდესნი, ერთადერთნი...

ცხადია, ეს მაინც არასრული ჩამონათვალა!

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— ვან გოგი.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— იოჰან სებასტიან ბახი.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?

— სამშობლოსა და ოჯახის ერთგულებას სიკვდილამდე.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— ფარხმლიანობას. აი, ილია რომ ბრძანებდა: „ქალი უფარხმალო დედაკაცია, დედაკაცი ფარხმლიანი ქალია და სად მოვლენ ერთმანეთთან! ვაი რომ „დედაკაცი“ წავიდნენ, აღარ გვეყვანან და „ქალებილა“ დაგვრჩნენ და ჩვენის ფიქრით, ესაა სხვათა შორის სათავე ჩვენის უბედურებისა“.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— მო(შე)წყალება.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— წერა-კითხვა.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყო?

— მე ძალიან მიწოდდა მაქსიმალურად მივმსგავსებოდი იმას, ვინც ჩაიფიქრა შემოქმედმა, მე რომ მომიყვანა არარსებობიდან მყოფობაში.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— მეც მინდა ვიცოდე. ალბათ, ამ კითხვაზე პასუხის გაცემას მთელი ცხოვრების განალიზება ესაჭიროება. ასე, რომ ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— დროსა და ამინდზე დამოუკიდებელი მეგობრობის უნარს.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— მთავარ ნაკლს როგორც კი აღმოაჩენს ადამიანი, ყველაფერი უნდა იღონოს, რომ ფესვებიანად ამოიგლიჯოს იგი, როგორც

უკეთური რამ... თუმცა ხშირად ამას ვერ ვახერხებთ და ერთი ნაკლი მეორეს ბადებს, მეორე — მესამეს... აი, სწორედ ესაა ყველაზე მთავარი ნაკლი, რომ ნაკლთან ერთად თანაარსებობა და ცხოვრება შემიძლია!

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— ბედნიერების წუთებისა და წამების განცდა თუ მოგვეცა, ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენი ცხოვრება ბედნიერია. ამიტომაც, როცა გვიჭირს, ვმწუხარებთ, ვმარცხდებით, გვტკივა, გვგაღალატობენ... არ შეიძლება თავი უბედურად ჩავთვალოთ. ვინც გაიგო ბედნიერების გემო, მამ, იგი ბედნიერიც ყოფილა ამ ცხოვრებაში!

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— რომ არ დავბადებულყავი.

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— ყმანველკაცობაში მინდოდა ვყოფილიყავი ძალიან ლამაზი, ძლიერი, უსაშველოდ ნიჭიერი, მომხიბვლელი, წარმატებული, პოპულარული... ახლა, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი თავით კმაყოფილი როდი ვარ, მადლობელი ვარ ღმრთისა, რომ სწორედ ასეთი ვარ, როგორც ვარ და არა სხვაგვარი.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— მწვანე.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— ისე ძალიან მიყვარს ყვავილები, როგორ გაგზებდო, ერთი გამოვარჩიო. თუმცა ეს გამბედაობა კი არა, ღალატი იქნება! მაპატიეთ, ვერ ვუღალატებ ყვავილთა ადამიანთათვის შეუცნობ სიმრავლესა და მრავალფეროვნებას... (ამ კითხვაზე პასუხი იხილეთ აგრეთვე ქვემოთ P.S.-ში).

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— ბელურა.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— დიკენსი, დოსტოევსკი, ყაზბეგი, ცვაიგი, პავიჩი, ნოდარ დუმბაძე.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— ვაჟა-ფშაველა, ანა ახმატოვა, რობერტ ფროსტი... გალაკტიონი დაუნერლადაც იგულისხმება. თანამედროვეთაგან მთელი გულით მიყვარს ემზარ კვიციანიშვილი თავისი უზარმაზარი ერუდიციით, ქართული ენის თვალუწვდენელი ერთგულებით, ალალი მამულიშვილობით, იმისთანა ლექსებით, მარტო მის პოეტურ დიდოსტატობას რომ შეუძლია შექმნას.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— მოყმის დედა ხალხური ბალადიდან, ილიას ოთარაანთ ქვრივი, ჩემი ანიკო გეგიაძე...

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— ცოტენ დადიანი, დიმიტრი ყიფიანი, ალექსი შუშანიანი და... ყველა „უსახელო უფლისციხელი“.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— მარიამ მაგდალელი და თამარ მეფე.

— საყვარელი სახელები?

— მიხეილი, ნინო, ვახტანგი, დავითი, თამარი... ჩემთვის ყველა სახელი ლამაზია და საყვარელი.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— უსინდისობას.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

— ვინც კი საქართველო და მისი ვენახი ჭრა და ჩეხა...

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტ-ნაკლები ალტაცებისა?

— დიდგორი. ასევე ყველა საომარი მოქმედება, რომელსაც იძულებით იწყებ, რადგან მტერი მოდის და სამშობლო ქვეყანას გეცილება.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— ქართველ ერს რომ შეაყენებს საქართველოს და ურთიერთის სიყვარულის გზაზე!

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდით?

— რასაც შემოქმედი გამოიმეტებს, რადგან მშვენივრად უწყის, რა ჭურჭელიც ვარ. ისე კი, მე თუ მკითხავს, თეთრისა და შავის, კეთილისა და ბოროტის გარჩევის ნიჭს შევთხოვდი, ანუ გულს გონიერს...

— როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— ეს რა, შემოთავაზება? ყურადღებით გისმენთ.



— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— ურთულესი, აურაცხელგანზომილებიან სამყაროში ყოველნამიერად ცვალებადი, დულაბიც სჭირია და ქვაც, ორნამენტებიც და გუმბათზე დასადგმელი ჯვარიც, მაგრამ აკი ეს ყველაფერი ხუროთმოძღვრის საქმეა... ჰო-და მეც ყოველი სასოება ჩემი მასზედა დამიძს...

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— ზოგჯერ ვფიქრობ, რომ ჩემი შემწყნარებლობის საზღვრები უსაშველოდა გაფართოებული. საქციელის შეფასებაში ვარ უმკაცრესი, ჩამდენი კი მეცოდება.

— თქვენი დევიზი?

— დრო, დრო აღნიშნე!

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— თუკიო?! გარდაცვალებიდან მესამე დღეს ანგელოზებს გარდაცვლილის სული მიჰყავთ უფალთან. ეს არის უბედნიერესი წამი — პირველი შეხვედრა მაცხოვართან, როდესაც რწმენის ხანა მთავრდება, რადგან მენ უკვე ხედავ რეალურად მას — იესო ქრისტეს, ვისიც გნამდა! სამსჯავროზე კი, „რაჟამს მოვიდეს ძე კაცისა? დიდებთა თვისთა, და ყოველნი ანგელოზნი მისნი მის თანა... დაჯდეს საყდართა დიდებისა თვისთა“ (მათე, 25, 31), უფალს ორი სათქმელი აქვს ჩვენთვის გამზადებული: ერთი მარჯვნივ მდგომ ცხოვართათვის, მეორე — მარცხნივ დადგინებულ თიკანთათვის. რა თქმა უნდა, მე ვისურვებდი იმით შორის ვყოფილიყავი, ვისაც ეტყვის: „მოვედით, კურთხეულნი მამისა ჩემისანო, და დაიმკვდრეთ განმზადებული თქვენთს სასუფეველი დასაბამითგან სოფლისათ“ (მათე, 25, 34).

P.S.

1. მაიძულეებით, ამერჩია ოდენ ერთი, ერთადერთი, რაც არ ძალმიძდა. არ შემიბრალეთ. მე კი ისევ შეგთხოვთ, თავიდან: ნუ მაიძულებთ ნურასოდეს, ვულალატო იორდასალამს,

რადგან ვიდრემდის ჩვენი სული სილამაზეს
ვარდისას ეტრფის,

ან ყაყაჩოს,
სულაც — იების,
სუმბული ჭკნება და მიხაკიც ისევ მოიწყენს,
რადგანაც თვალი მოშორდება როდესაც თვალს,
გულიც სხვაფრდება...
და ამიტომაც, ვხედავ, უკვე გაიბუტნენ ჰორტენზიები,
ორქიდებს ფურცლები მოწყდა,
ფურისულები გაირინდნენ, კესანეც შეკრთა...
ენძელები კი გადაჰყოლიან თოვლის დნობის დარდს,
შერევიან ლოტოსების წყლისფერ მაცრონს.

2.
მე იმთავითვე შევიყვარე ყვავილეთი
და არც ვმაღე ეს სიყვარული, გამოვაცხენე,
აკი ბაღლმა უკეთ იცის სოფლის ამბავი,
და ახლა გული ჩემი შეყვარებული,
როგორც თერთმეტი საუკუნის წინ, ვერ ეტევა ამ საგულეში
და მთელი ქვეყნის გასაგონად დაიგუგუნებს,
მასთან ერთად — მთელი ორკესტრი —
უთვალავი გვირგვინ-ფურცელი, ბუტკო, მტვრიანა:
გახსოვდეს, ერთი ქრიზანთემა, იასამნის ერთი მტევანი,
თითოეული ვარდი, იაც მთელი ყვავილეთია!
და თუ ზურგს აქცევ ლურჯ ღიღილოს,
ან შრომანებს, თუნდ ანწლის ყვავილს,
მობრუნებული ველარ მიაგნებ ყვავილეთში
შესასვლელ კარებს.
გაიტაცებენ ზაფხულის ღამით სოფლის ქარები
შენი წარსულის მინდვრებიდან
სიყვარულის მაცნე გვირილებს,
მერე ტიტები გაქრებიან დედისათვის ძარღვით შეკრულ
თაიგულიდან,
მიმოზები და სისხლისფერი ბალებიც კი აორთქლდებიან
ძველი სახლის შუშაბანდიდან,
სათოვლიები დადნებიან უსიყვარულოდ, ბეგონიებიც,
ხოლო ზამბახნი მწუხარებისგან
სისხლგაყინულ წყალს გაჰყვებიან...
რალა დაგრჩება?
უყვავილებო წუთისოფელი,
დანუნებული ყვავილეთი,
უღრუბლო ცის ქვეშ გატარებული რუხი ბავშვობა
და ამისი საზღაური — ომში სიბერე!
თუ, რა თქმა უნდა,
გადაურჩი სიკვდილს მანამდე.
...და თუ მაინც ეს მინერია?
ოცდახუთ წლისა უნდა მომკლან ბრძოლაში მაშინ
მთებში, ტყისპირას, სოხუმთან და შინდისთან ახლოს,
რომ დამიტვირონ ბალახებში ჩახატულმა ზღვა ყვავილებმა,
რომელთაც გვჩუქნის მინა,
ვიდრე დაგვიბრუნებდეს.

3.
ერთი ხანია, არც ბეზრდებათ, არც არაქათი არ ელევათ,
ისე მგლოვობენ
დანუნებული ყვავილეთის
ხავსიანი ტოტებ-ყლორტები,
ათრთოლებული ბალახების, ფოთლების ჯერი,
და მინისაგან ნაჩუქარი ცის ყვავილები —
ნამადქცეული ცხელ ცრემლებით ღანვსველი დები.

ნუ მაიძულებთ ნურასოდეს, ვულალატო იორდასალამს,
ფურისულას... თორემ ღანვზე
გაშრება ნამი.

ქეთევან ტომარაძე

„ბერმანელი შექსპირი“ ინგლისურად

კალიფორნიაში, სანტა კრუზის უნივერსიტეტში ფულბრაიტის სტიპენდიით მივლინებულმა ქართველმა მკვლევარმა ირაკლი ცხვედიანმა ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ რედაქციასა და მკითხველს გასაცნობად შესთავაზა ამერიკელი მთარგმნელისა და მეცნიერის ჯენიფერ სტეკჰაუსის მიერ შესრულებული ანდრეას გრიფიუსის „ქეთევან ქართველის“ ინგლისური თარგმანის წინათქმა, სათაურით: „ანდრეას გრიფიუსი და მისი „ქეთევან ქართველი“ (2015, №7).

სასიამოვნო ფაქტია, რომ გრიფიუსის ხუთმოქმედებიან დრამას, რომელიც საქართველოს ისტორიის საკვანძო პერიოდსა და ურთულესი პოლიტიკური დაძაბულობის ფონზე, ქართველი დედოფლის ირანში, შინაპატიმრობაში ყოფნის მღელვარე დღეებსა და ტრაგიკულ აღსასრულს აღწერს, ინგლისურენოვან მკითხველთა ფართო წრეც გაეცნობა. გამოცემის მნიშვნელობას სათანადო ხიბლს მატებს ამერიკელი მეცნიერის, ჯენიფერ სტეკჰაუსის მიერ მახვილგონივრულად გაანალიზებული და მიმზიდველად მოწოდებული, ინფორმაციულად ტევადი ანდრეას გრიფიუსის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ეპიზოდები. საინტერესო და ზუსტი აქცენტები „ქეთევან ქართველის“ დრამატურგიული ქსოვილის ცალკეულ პასაჟებზე, თეოლოგიური ნიადაგებზე, ლიტერატურის ისტორიასა და, ზოგადად, მსოფლიო დრამატურგიის განვითარების ვრცელ არეალში გერმანელი პოეტისა და დრამატურგის როლის, ადგილისა და მნიშვნელობის განსაზღვრა, გრიფიუსის დრამის მთარგმნელსა და წინათქმის ავტორს ჯენიფერ სტეკჰაუსს შუა საუკუნეების მწერლობის კარგად ინფორმირებულ ექსპერტად წარმოგიდგენს.

ქართველ დედოფალზე გრიფიუსის ნაწარმოების გერმანულიდან ინგლისურ ენაზე თარგმნის ფაქტი, რაც თავისთავად მრავალმილიონიან მკითხველს გულისხმობს, თავისი მნიშვნელობით, შესაძლოა, მე-19 საუკუნეში მარჯორი უორდროპის კეთილ ნებას შევადაროთ, როდესაც საქართველოთი და ქართველებით მოხიბლულმა ინგლისელმა ქალბატონმა თავის მშობლიურ ენაზე, სრულიად მიხანმომართულად, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა და გამოცემა გადაწყვიტა და თავისი ეს ჩანაფიქრი განახორციელა კიდეც. გრიფიუსის ინგლისური თარგმანით, გარდა იმისა, რომ მკითხველი გერმანელი ავტორის მწერლურ ოსტატობას შეიგრძნობს, საქართველოს ისტორიის ერთ ავბედით ფურცელს გაეცნობა, შესაძლებლობა მიეცემა, ქართველი დედოფლის დრამა შინაგან სამყაროს ეზიაროს, ტრაგედიის პერსონაჟთა ფსიქო-ემოციურ ველში მოექცეს და ამაღლებული განწყობა დაეუფლოს.

ანდრეას გრიფიუსის ცნობილი დრამა: „ქეთევან ქართველი ანუ გაუტყენილი სიმტკიცე“ 1975 წელს თარგმნა და გამოსცა აკაკი გელოვანმა. ამ უმნიშვნელოვანესი ფაქტით სახელოვანი ქართველი ისტორიკოსების: ივანე ჯავახიშვილისა და ზურაბ ავალიშვილის დიდი ხნის ოცნება ახდა. რაც შეეხება ინგლისურად თარგმნილ გრიფიუსის ტრაგედიას, ეს არის საერთაშორისო მასშტაბით ქართველი დედოფლის მარტივობის ამბის კიდევ ერთხელ გაჟღერება, მრავალმილიონიანი მკითხველისთვის ჩვენი ქვეყნის ისტორიის საეტაპო მონაკვეთის გაცნობა,

იმის შესენება, რაოდენ მტკიცე ზღუდედ ედგა ქართველობა სრულიად საქრისტიანოს მთელს წინა აზიაში.

ჯენიფერ სტეკჰაუსის თარგმანით ინგლისურენოვან მკითხველს საშუალება ეძლევა ეზიაროს გერმანელი პოეტისა და დრამატურგის შემოქმედების თვალსაზრისით ლიტერატურულ ექსპერიმენტს, ისევე როგორც შუა საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საეტაპო მოვლენების ორიგინალურ მხატვრულ ინტერპრეტაციას; გაიაზროს ბაროკოს სტილით დრამის შექმნის მოტივაცია და იდეური მიზანდასახულობა, ნაწარმოების მხატვრულ-ესთეტიკური რაობა; სათანადოდ შეაფასოს ის როლი, რასაც ევროპელი დრამატურგი ქეთევან დედოფლის მონამებრივ აღსასრულს ანიჭებდა, ისევე როგორც ამ ფაქტის მნიშვნელობა საკუთრივ ჩვენი ქვეყნისა და მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის მე-17 საუკუნესა და მომდევნო ეპოქებში.

„ქეთევან ქართველის“ გერმანულიდან ნებისმიერ ენაზე თარგმნა შესაბამის ისტორიულ დოკუმენტებსა და წყაროებზე ფართომასშტაბიან მეცნიერულ დაკვირვებასა და სათანადო ანალიზს მოითხოვს. ამ მხრივ ქართველი მთარგმნელი, ცხადია, გაცილებით ხელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. იგი უცვილობლად კომფორტულ გარემოს იგრძნობდა მუშაობის პროცესში იმდენად, რამდენადაც გრიფიუსის ნაწარმოების ფაბულა ქართულ სინამდვილეზე აგებული და, შესაბამისად, დრამაში არეკლილი ისტორიული წილსვლები მისთვის გაცილებით იოლი აღსაქმელი აღმოჩნდებოდა უცხოელ კოლეგასთან შედარებით. შესაძლოა, ამიტომაც, მკითხველი გაგებით მოეკიდება ჯ. სტეკჰაუსის მიერ გრიფიუსის ტრაგედიის თეთრი ლექსით თარგმნისათვის უპირატესობის მიანიჭებას, ისევე როგორც, კვლევის მანერასა და მიმართულებას, რომელიც მან თარგმანზე დართულ წინათქმაში აირჩია, როდესაც ისეთ ფაქტებზე გაამახვილა ყურადღება, ნაწარმოების ანალიზისას იმგვარ მეთოდოლოგიურ პრინციპს მიმართა, რამაც განსხვავებული რაკურსით წარმოაჩინა გრიფიუსის — პოეტის, დრამატურგისა და პიროვნების რაობა.

ჯენიფერ სტეკჰაუსს, როგორც ირაკლი ცხვედიანი შენიშნავს, კონსულტაციას თავად უწევდა. ქართველ მკვლევართან თანამშრომლობა მთარგმნელს გერმანელი ავტორის ნაწარმოებში განფენილი, გვიანი შუა საუკუნეების პოლიტიკური რეალიებისა და ისტორიული პერიპეტეიების გააზრებასა და იმგვარი სირთულეების დაძლევაში დაეხმარა, რაც ბუნებრივად იჩენს ხოლმე თავს, როდესაც უცხოელი ჰკიდებს ხელს ამა თუ იმ ეპოქის ქართულ ისტორიულ-კულტურულ გარემოზე დაკვირვებას.

ქართველ დედოფალზე შექმნილი ტრაგედიის წინათქმაში ჯენიფერ სტეკჰაუსი, დრამატურგის ცხოვრების ცალკეულ ეპიზოდებთან ერთად, ხაზს უსვამს საზოგადოების მხრიდან გრიფიუსის, როგორც პოეტისა და დრამატურგის, მიზნების ფაქტს და მისი შემოქმედებისადმი უკვე სულ სხვა ეპოქაში, მოგვიანებით დაინტერესებას: „მეოცე საუკუნის დასაწყისში ბაროკოს ლიტერატურისადმი ინტერესის გაღვივებამ გრიფიუსი, როგორც დრამატურგი, ხელახლა „გააცოცხლა“, წერს წინათქმის ავტორი. მკვლევარი იმაზეც მიუთითებს, რომ: „მისი ოთხი ისტორიული ტრაგედიიდან არცერთის სრული ინგლისური თარგმანი დღემდე არ გამოქვეყნებულა“. ამასთან იგი აქცენტს აკეთებს გრიფიუსის ინოვაციურ ხედვაზე დრამატურგიაში და იმედოვნებს, რომ „ქეთევან ქართველის“ სრული თარგმანი და მისი წინათქმა ახალ და უფრო ვრცელ აუდიტორიას გააცნობს გრიფიუსის შემოქმედების ერთ, ძალზე მნიშვნელოვან პლასტს.

ამერიკელი მკვლევარი პარალელს ავლებს ინგლისელ და გერმანელ დრამატურგებს, უილიამ შექსპირსა და ანდრეას გრიფიუსს შორის და ამ ორი, განსხვავებული ტიპის მოაზროვნის შემოქმედებაზე საკუთარ დაკვირვებებს გვთავაზობს. კერ-



ჯენიფერ სტეკჰაუსი და ირაკლი ცხვედიანი

ძოდ ჯ. სტეკჰაუსი წერს: „1616 წელი შეიძლება ლიტერატურის ისტორიაში შესულიყო წლად, როდესაც „ევროპის ლიტერატურული გენიის“ ესტაფეტა დიდი ინგლისელი პოეტისა და დრამატურგის, უილიამ შექსპირისაგან (1564-1616) მე-17 საუკუნის გამოჩენილ გერმანელ პოეტსა და დრამატურგს, ანდრეას გრიფიუსს (1616-1664) გადასცემოდა, მაგრამ დინამიკური და ყოველგვარი წინასწარი ნორმებისაგან თავისუფალი შექსპირისაგან განსხვავებით, გერმანელი პოეტი მკაცრი ესთეტიკური კანონების ჩარჩოებში მოექცა, რაც მისი ლირიკული პოეზიის ინტენსიურობასა და სილალეს ზღუდავდა და გადაუღახავ უფსკრულს წარმოქმნიდა მისი დრამატურგის პერსონაჟებსა და მკითხველის გამოცდილებას შორის“.

მართლაც, დიდია ცთუნება, ტიპოლოგიურად დაანწყილო ორი სხვადასხვა ევროპული ქვეყნის დრამატურგის შემოქმედება, მით უფრო, რომ მათი მოღვაწეობის პერიოდებს შორის განსხვავება, ეპოქის გათვალისწინებით, ძალზე უმნიშვნელოა. ამასთან, სხვადასხვა ევროპული ქვეყნის ორი უდიდესი მოაზროვნე საპირისპირო მხატვრულ ამოცანებს ისახავდა მიზნად და, შესაბამისად, გამომსახველობითი საშუალებებით, მწერლური სტილითა და მანერით განსხვავებულ ლიტერატურულ პროდუქტს ქმნიდა. თუ ერთი არღვევდა კანონებს, მეორე — შეგნებულად აქცევდა კანონიკურ ჩარჩოებში საკუთარ დაკვირვებებს გარესამყაროზე. მათ სხვადასხვა მკითხველი და მსმენელი ჰყავდათ და, შინაგანი რწმენით, სხვადასხვა სოციალური ფენების ლიტერატურულ დაკვეთას ასრულებდნენ. ჯ. სტეკჰაუსის მტკიცებით: „მისი (გრიფიუსის — რედ.) ნაწარმოებები განწირული აღმოჩნდა გარკვეული ხანის ნიმუშებად შემორჩენილ ლიტერატურის ისტორიას: დღეს მათ მხოლოდ ბაროკოს სტილის საილუსტრაციოდ თუ მოიშველიებენ“.

თანამედროვე საზოგადოებას, ბუნებრივია, ძლიერი ადამიანური ვენებებისა და უკიდევანო ემოციების დიდოსტატის, შექსპირის ტრაგედიები უფრო ალელვებს, ვიდრე ანდრეას გრიფიუსის სევდიანი, რენესანსული პოეზიის ჟანრში ტრანსფორმირებული, მელანქოლიური იდეებით დატვირთული მხატვრული სამყარო, რომლებიც ამქვეყნიურ ამაოებასა და წარმავლობაზე, **venitus** (ამაოება) მოტივებზე იქმნებოდა და იმხანად ძალზე პოპულარულ, ბაროკოს პოეზიის ნიმუშებად, სხვადასხვა პოეტურ კონფიგურაციებად ყალიბდებოდა. მაგრამ ყოველთვის ასე როდი იყო.

მართალია, გრიფიუსმა ბაროკოს პოეტების ბედი გაიზიარა და, სხვადასხვა მკვლევართა მტკიცებით, მე-18 საუკუნეში

იმდენად უარყოფილ იქნა განმანათლებელთა მიერ, რომ სრულიად განიდევნა კლასიციზმის ხანის რაციონალისტური პოეტიკიდან, მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში სურათი საპირისპიროდ შეიცვალა, როდესაც საზოგადოება გრიფიუსის შემოქმედებას კვლავ მიუბრუნდა. ასევე შექსპირმაც სახელი და დიდება მისი მოღვაწეობიდან კარგა ხნის შემდეგ, მხოლოდ მე-19 საუკუნეში მოიხვეჭა. ამ ეპოქის რომანტიკოსები და ვიქტორიანელები იმდენად ეთაყვანებოდნენ მას, რომ ამ მოვლენას ბერნარდ შოუმ „ბარდოლატი“ ანუ „ბარდთაყვანისმცემლობაც“ კი უწოდა.

ჯენიფერ სტეკჰაუსი ვრცელად ლაპარაკობს დიდი გერმანელის მწერლად ფორმირებასა და იმხანად მისი მხატვრული შემოქმედების წარმატების მიზეზებზე. როგორც ცნობილია, რენესანსის ეპოქის ტიპური მოაზროვნე, ანდრეას გრიფიუსი სრულყოფილად დაეუფლა ჰუმანიტარულ და ზუსტ მეცნიერებებს — მათემატიკას, ფილოსოფიას, გეოგრაფიას, პოეტიკას, ასტროლოგიას, ანატომიასა და ქირომანტიას, ბევრს მოგზაურობდა და უშუალოდ ეზიარა ანტიკურ და თანამედროვე ხელოვნებას, უზარმაზარი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე საფრანგეთისა და იტალიის თეატრების ტექნოლოგიურმა მიღწევებმა, რაც შემდგომ თავის დრამატურგიაში გამოიყენა — მრავალი სიახლე შესძინა. საყურადღებოა წერილის ავტორის დასკვნა, რომ გრიფიუსის დრამები „არამარტო ისტორიულ-პოლიტიკურ მოვლენებს აირეკლავს, არამედ ამ მოვლენების მეტაფიზიკურ შეფასებასაც“, რაც შესაბამის გამომსახველობით საშუალებებსა და დრამატურგიულ გადაწყვეტას გულისხმობდა.

ქართველი მკითხველი ინტერესით გაეცნობა საკუთრივ გრიფიუსის პოემის, „ქეთევან ქართველის“ მთარგმნელისეულ ანალიზს. დრამის შინაარსისა და სტრუქტურის კვლევისას ამერიკელი მკვლევარი აქცენტს აკეთებს „ემბლემატურ პრინციპზე“ და როგორც ამ მოვლენას თავად ხსნის: „ტრაგედიის შეფასება დამოკიდებულია არა მარტო პიესაში წარმოსახული კომპლექსური ისტორიულ-პოლიტიკური ინფორმაციის (pictora) გაგებაზე, არამედ — იმ მეტაფიზიკური სათქმელის ამოკითხვაზე, რომლის გადმოცემასაც დრამატურგი ისტორიული ფაქტის დეტალური და, მისი აზრით, ზუსტი ასახვის საშუალებით იმედოვნებდა“.

„ისტორიულ-პოლიტიკური ინფორმაციის“ გააზრების პროცესში გრიფიუსი მე-17 საუკუნის ნარატივს ეყრდნობოდა. კერძოდ, კლოდ მალენგრის, დე სენ-ლაზარის (1580-1653) მონათხრობს, რომელიც შეტანილია მის მოკლე ბიოგრაფიათა კრებულში. აღნიშნული საკითხის შესასწავლად, ქართველ ისტორიკოსთა და ლიტერატურათმცოდნეთა მიერ მნიშვნელოვანი სამუშაოა ჩატარებული მაგ. ზურაბ ავალიშვილის გამოკვლევა „თეიმურაზ პირველი და მისი პოემა „ნამება ქეთევან დედოფლისა“; ილია ტაბაღუას მიერ კლოდ მალენგრის მოთხრობის სრული თარგმანი: „სპარსეთის ხელმწიფის შაჰ-აბასის ბრძანებით მოკლული საქართველოს დედოფალ კატერინასა და ქართველი მეფეების შესახებ“; აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის ხელმძღვანელობით შესრულებული არსენ ბიბიჩაძის სადისერტაციო ნაშრომი, თამაზ ნატროშვილის „ქეთევან ქართველის“ წყაროები“...

ანდრეას გრიფიუსი თავის დრამაში იმეორებს მალენგრის მცდარ შეხედულებას, თითქოს შაჰ-აბასის გაბოროტება ქეთევანის მიერ მისი სიყვარულის უარყოფით იყო გამოწვეული, რადგან მას „უზნეო და სასტიკი ვნება“ ამოძრავებდა. ჯენიფერ

სტეკჰაუსი, დრამის ინგლისური თარგმანის წინათქმის ავტორი, დაწვრილებით გადმოსცემს მალენგრის მიერ აღწერილ მოვლენებს და გვთავაზობს ზუსტ შეფასებას. კერძოდ, იგი შენიშნავს, რომ: „რეალურ ისტორიულ მოვლენებში თავს იჩენს თეოლოგიური პრინციპები და მეტაფიზიკური ქეშმარიტებანი. სწორედ ქეთევან დედოფლის ცხოვრებასა და მონამებრივ აღსასრულთან დაკავშირებული კონკრეტული მოვლენების ამ მეტაფიზიკურმა საზრისმა შთააგონა გრიფიუსს, შეექმნა დრამატული ნაწარმოები“.


თარგმანზე დართულ წინათქმაში ჯენიფერ სტეკჰაუსი აანალიზებს დრამაში ასახულ პოლიტიკურ დაპირისპირებას, ავტორის დამოკიდებულებას ცალკეული ისტორიული ფაქტის მიმართ და ერთმნიშვნელოვნად ასკვნის, რომ: „გრიფიუსის თვალსაზრისით, ეს არის დიამეტრული ოპოზიცია, შეურიგებელი წინააღმდეგობა ქეთევანის მარტვილობასა და შაჰ-აბასის მარადიულ წყევლას შორის. „ქეთევან ქართველი“ ამ მორალური იმპერატივის მხატვრული ხორცშესხმით დრამატურგი აფრთხილებს მაყურებელს, რომ საკუთარ ცხოვრებას უჭვრიტოს sub specie aeternitatis.“ მთარგმნელი არც პოეტიკის ხერხებს ივინყებს, „სევდიანი პიესის“ ჟანრულ თავისებურებას ვრცელად მიმოიხილავს და საგულისხმო შეხედულებებს სთავაზობს მკითხველს. მთარგმნელის დამოკიდებულება გრიფიუსის დრამატურგიისადმი ერთმნიშვნელოვნად განპირობებულია ნაწარმოების ყველა ნიუანსის გახსნისა და სიღრმისეული შრეების წარმოჩენის მოტივით.

წერილის დასასრულს ჯ. სტეკჰაუსი ამართლებს საკუთარ გადაწყვეტილებას და ცდილობს დაგვაჯეროს, რომ: „მიუხედავად იმისა, რომ გრიფიუსი ამაღლებული ალექსანდრიული სალექსო საზომითა და მყარი რითმული სქემებით ორიგინალის ტექსტს მძლავრ დინამიკას ანიჭებს, ჩემი ღრმა რწმენით, თავისუფალი ლექსიც ბუნებრივად გადმოსცემს ორიგინალის სათქმელსა და ტონალობას“.

ასეთია თანამედროვე ამერიკელი მთარგმნელისა და მკვლევრის პოზიცია, რაც, შესაძლოა, მკაცრ შემფასებელს საკამათოდ მოეჩვენოს. მიუხედავად ამისა, ძნელია გადაუჭარბებლად შეაფასოთ ანდრეას გრიფიუსის დრამატურგიის თარგმნისა და შესწავლის ერთი ძალზე საყურადღებო ეტაპი, რაც ჩვენი ღრმა რწმენით, შეავსებს და გაამდიდრებს ევროპელი პოეტისა და დრამატურგის შემოქმედების მეცნიერული კვლევის არსენალს, გაზრდის დასავლეთში დიდი გერმანელის პოპულარობას.

1902 წელს, ანდრეას გრიფიუსის პატივსაცემად, ერთ-ერთ ასტეროიდს (496) გრიფია ეწოდა. ამ ფაქტით მეცნიერებმა საგანგებოდ აღნიშნეს ის დიდი წვლილი, რომელიც გერმანელმა პოეტმა და დრამატურგმა შეიტანა კაცობრიობის სულიერი

განვითარების უკიდევანო პროცესში. მისასაღმებელია ამერიკელი მთარგმნელის ჯენიფერ სტეკჰაუსის ძალისხმევა, მილიონობით ინგლისურენოვან მკითხველს გააცნოს და შეაყვაროს „გერმანელი შექსპირის“, როგორც ზოგჯერ ანდრეას გრიფიუსს უწოდებენ, გამორჩეული დრამა შორეული კავკასიის ერთი პატარა, გმირული ისტორიის მქონე ქვეყნის დედოფალზე, რომელმაც მტკიცე გადაწყვეტილებითა და შეუვალობით, უდიდესი თავგანწირვის, სიცოცხლის ფასად დაიცვა საკუთარი რწმენა, ამქვეყნიურ ამაოებაზე ამაღლდა, ზემოთასოვალს შერწყა და ქრისტიანულ სამყაროში წმინდანის სახელი სამარადჟამოდ დაიმკვიდრა...



ბადრი დანელია

რალაც სხვა ნანარმოების...

(საპექტაკლი „სტუმარ-მასპინძელი“)

თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში დაიდგა ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“.

მინდა აღვნიშნო რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი, პირდაპირ ვიტყვი, უარყოფითი კუთხით.

დავინწყით იმით, რომ შეცვლილია ვაჟასეული წარმოჩენა მთავარი გმირებისა და ამ გმირების ურთიერთმიმართება. პოემის მთავარი გმირები არიან ჯოყოლა, ზვიადაური და მუსა, რადგან თითოეულის ფუნქციის გაუქმება, ან შეცვლა პრინციპულად შეცვლის პოემის არსს და გადააქცევს მას სხვა ნანარმოებად. პოემის მეოთხე გმირი — ალაზა — არის ამ უმშვენიერესი ქმნილების ულამაზესი სამკაული და მხოლოდ ამ მხრივ შეგვიძლია მისი ჩათვლა მთავარ გმირად, თორემ მის გარეშე „სტუმარ-მასპინძელი“ იქნება „სტუმარ-მასპინძელი“, მაგრამ დაკარგავს უძვირფასეს და თვალისმომჭრელად ელვარე სამკაულს. რომ არ შეიქმნას ცრუ შთაბეჭდილება, თითქოს ალაზას დანიშნულებას უარყოფ, ამიტომ აქვე ვიტყვი: ალაზა იმდენად ღრმად გააზრებული — პოეტურად და შინაარსობრივად დატვირთული — სახეა, რომ მე თუ მკითხავთ, ნეტავ მარტო მასზე, როგორც ცალკე არსზე, დაენერა კიდევ ერთი პოემა ვაჟას.

სპექტაკლში კი მთავარი გმირი ალაზაა, — ყველაფერი ხომ მის გარშემო ტრიალებს...

და თანაც, — როგორც ქალის.

მეორე მნიშვნელოვანი დარღვევა ზვიადაურის სცენური სახეა. იგი სპექტაკლში წარმოდგენილია ამორალურ ადამიანად და, ამავდროულად, რალაცნაირად ისტერიული და გაუნონანსორებელიცაა, რაც არაფრით მოგვაგონებს პოემისეულ ღირსეულ პიროვნებას.

რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, ზვიადაური ჯოყოლას ოჯახში შესვლისთანავე, არც მეტი, არც ნაკლები, თვალს დაადგამს... ალაზას, ჯოყოლას ცოლს, ოჯახის დიასახლისს, ამ ლოგიკაში კი უკვე მშვენივრად ჯდება, რომ სცენური ალაზაც თანაგრძობით ხვდება ამას. მსოფლიოს ყველა კუთხეში, განსაკუთრებით კავკასიაში, უდიდეს სირცხვილად ითვლება მსგავსი საქციელი და, ამ დროს, სტუმარ-მასპინძლობის წესჩვეულების აპოლოგიის, — ვაჟას „სტუმარ-მასპინძლის“ ასე დამახინჯება? ეს ხომ წარმოუდგენელი მკრეხელობაა.

ეს მოტივი გასდევს მთელ სპექტაკლს და მისი მთავარი ინტრიგა აქედან საზრდოობს. სპექტაკლისეული ზემოთქმული კონცეპტი კარგად იკვეთება ორ ძირითად სცენაში: პირველი, ჯოყოლასა და ზვიადაურის შინაგანი და ფიზიკური დაპირისპირება სუფრასთან, როცა სცენის სიღრმეში განათებული ალაზა მოჩანს, ეს სტანდარტული თეატრალური ხერხი იმას მიანიშნებს, რომ ამ დაპირისპირების მიზეზი ალაზაა, — მათი გონება სწორედ მას დასტრიალებს, აქ ისინი მეტოქეები არიან ალაზას გამო, პოემაში კი:

**ივანშემს, თვისი სტუმარი მასპინძელს მოსწონს
გულითა.
„კარგი ვაჟაკი ეტყობა“ — ფიცულობს თავის რჯულითა.
— „ეს ერთი ცნობა, ხვალ ძმობა, ერთად შევთვისდეთ
სულითა“...**



სცენა სპექტაკლიდან „სტუმარ-მასპინძელი“

მეორე მაგალითი ალაზასაგან ზვიადაურის დატირების სცენაა: ალაზა თავის წარმოსახვაში აცოცხლებს ზვიადაურს, როგორც კაცს, ეხუტება მას და ჩაესმის მისი საარშიყო სიტყვები. ვაჟა კი სრულიად სხვაგვარად განმარტავს ამ დატირების ერთადერთ მიზეზს:

**...ზვიადაურის სიკვდილი თვალეში ელანდებოდა.
სტიროდა, მაგრამ ტირილი არ იყო, ეხათრებოდა:
ერთ მხრივ ხათრი აქვს თემისა, მეორით —
ღმერთი აშინებს,
ქისტეთის მტრისა მოზარეს თავს რისხვას
გადმოადინებს.
ეს ფიქრი გონებისაა, გული თავისას შვრებოდა,
კაცის კაცურად სიკვდილი გულიდამ არა შქრებოდა.
ქალის გულს იგი სურათი შიგ გაეყარა ისრად;
იმან დაადვა ლამაზსა დაკლულის გლოვა კისრად**

და არა — ხორციელმა ვნებამ, როგორც ეს სპექტაკლშია. პოემის შინაარსიდან გამომდინარე, თითქოს აღარც უნდა ყოფილიყო საჭირო დატირების მიზეზის ცალკე ახსნა, მაგრამ, როგორც ჩანს ეს ვაჟას აუცილებლად მიუჩნევია და სამართლიანადაც, რადგან თურმე შესაძლებელი ყოფილა ალაზას ამ საქციელის სხვაგვარი აღქმაც. აღარ გავაგრძელებ დატირების სპექტაკლისეული და პოემისეული სცენების შედარებას, რადგან არაფერია მათ შორის საერთო, გარდა ზოგიერთი ფრაზისა, გავისხენებ მხოლოდ ამ ეპიზოდის ვაჟასეულ შეუდარებელ, თეატრალიზებულ ფინალს, ერთ ლამაზ სცენად რომ გამოდგება:

**აიხსნა დანა, მიჰმართა ზვიადაურსა იმითა,
ააჭრა ნიშნად, სახსოვრად სამი ზღანნი პირითა,
ჩიქილის ტოტში შეხვია ბროლის თითებით თლილითა...**

ალბათ, გასაკვირიც არ არის, რომ ჩვენს ზნეობრივად დაკნინებულ ეპოქაში ნანარმოებში აღწერილი ლამაზი ქალის დანახვისა და ახლა კიდევ იმის „გულში გაყრილი ისრის“ გაგონებაზე ერთი სავსებით ბანალური, ხორციელი გრძნობა წარმოგვიდგეს. ეს არის დღევანდელი პროგრესული, ტექნოკრატული ცივილიზაციის ნაყოფი. ჩვენი ვინრო თვალსაწიერით ვუცქერით, ვაფასებთ და აღვიქვამთ არა მარტო ვაჟა-ფშაველას, არამედ აგიოგრაფიას, რუსთაველს,

შექსპირს, ფლობერს... ეს ამ ჟამის და ყველა ცალკეული ადამიანის პრობლემაა, რომელთანაც მიმართებაში თითოეული საკუთარი სულიერი სამყაროს შესატყვისად რეაგირებს.

მესამე დიდი არსობრივი შეცდომა სპექტაკლში არის რელიგიური საკითხი. პოემაში ვაჟა ჯოყოსასა და ზვიადაურს შორის არანაირ სარწმუნოებრივ ბარიერს არ ქმნის, რადგან ჯოყოლაც და ზვიადაურიც დიდი პიროვნებები არიან და კარგად ესმით, რომ სარწმუნოება სულიერი გადარჩენის საქმეა და ყოფით განსაცდელში ჩავარდნილ სხვაგვარად მორწმუნესთან შენი სარწმუნოების ხაზგასმა ფარისევლობაა და სხვა არაფერი. ასეა ქრისტიანობაში და ვფიქრობ, ასევეა ისლამშიც.

სპექტაკლში არის ასეთი სცენა: სუფრასთან დასხდომის წინ ჯოყოლა მაჰმადიანური წესით ილოცებს, ზვიადაური კი, ამის შემყურე, თითქოს პროტესტის ნიშნად, მოჰყვება პირჯვრის გამალეულ გამოსახვას, შემდეგ კი — ფეხმორთხმით მჯდომი ჯოყოლას ჯინაზე თვითონაც ფეხმორთხმით რომ არ დაჯდეს, ადგილს ვეღარ პოულობს და სუფრასთან, ასე ვთქვათ, ცმუკავს.

წუთისოფლის უკულმართობის გამო, კავკასიაში მცხოვრებ სისხლით მონათესავე ერებს მძიმე ხვედრი გვერგ: გარსემორტყმულმა იმპერიებმა არამხოლოდ ტერიტორიულად, არამედ სარწმუნოებრივადაც დაგვეყვეს. დიდი გულისტკივილით უყურებდა ამას ვაჟა და ამიტომ თავისი შემოქმედებით ქადაგებდა ძმათა ერთობას, რადგან სარწმუნოება სულიერია, ხოლო სისხლით ნათესაობა ამქვეყნიური და თუ ფიზიკურად გადარჩენა გინდა გარსმომდგარ ამ უკიდევანო მტრულ ოკეანეში, კავკასიელებმა საერთო ენა უნდა გამოვნახოთ კაცობრივი სჯულის დონეზე მაინც, ვინ იცის იქნებ შემდეგ სულიერებაშიც მოხდეს ჩვენი ერთობა. პოემის ძირითადი არსიც ეს არის და ამასვე ადასტურებს პოემის ფინალიც, — ხილვა:

**იმ კლდის თავს, საცა ჯოყოლა მოჰკლეს
ხევსურთა ბრძოლაში,
ღამ-ღამ ჰხედავენ სურათსა ზვავისგან ნაგაღს
გორაში:
კლდის თავს წადგება ჯოყოლა, სასაფლაოსკე
იძახებს:
„ზვიადაურო, ძმობილო, რად არ მაჩვენებ
შენს სახეს?!“
სასაფლაოდამ წამოვა აჩრდილი ფარ-ხმალიანი,
გულზე უწყვია დაკრეფით მკლავები სამკლავიანი.
მივა და მიესალმება თავის ძმობილსა მდუმარედ.
იქვე ალაზაც ამოდის სახე მონყენით, მწუსარედ.
ენტება ცეცხლი მათს გვერდით, მკრთალადა
ბჟუტავს მთაზედა;
იმათ ჰმასპინძლობს ალაზა, ჯიხვის მწვადს
უნვაგს აღზედა.
ვაჟკაცობისას ამბობენ, ერთურთის დანდობისასა,
სტუმარ-მასპინძლის წესზედა ცნობის და
და-ძმობისასა.**

ხოლო „სტუმარ-მასპინძლის“ რეჟისორისეული, ასე ვთქვათ, ვულგარული გააზრება შეურაცხმყოფელია და დამამცირებელი პოემისათვის; საზიანოა, ვაჟასთვის ასე სანუკვარი, ხოლო ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანი ერთიანი კავკასიური იდეისათვის და პროოკაციანა სარწმუნოებრივი შემწყნარებლობის გზაზე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ეს სპექტაკლი არის რალაც სხვა ნაწარმოების — და არა ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძლის“ — თეატრალური წარმოდგენა.



ეკა ფხალაძე

მწერლობა

— აქ პაპაჩემი ცხოვრობდა... — რომანმა თვალი და ხელი ერთად მოავლო არეს, — არ უყვარდა გარეთ ყოფნა, ხმაური. დაუკაკუნებლადაც არასოდეს შეედიოდი მასთან. ასეთი იყო, მიკეტული. ისე დავიზარდე ამ აგარაკის ეზოში, იშვიათად თუ გამოგვხედავდა. გალაღებით არასოდეს გაგვთამაშებია, თვალეზით თუ მოგვეფერებოდა. დედაჩემი მიმიყვანდა ზოგჯერ, კალთაში ჩაუსვამდა ჩემს თავს. ეს სიტბო მახსოვს მისი, სიტბო, რომელსაც გამოუხატავად, გამოუთქმელად ვგრძნობდი მხოლოდ და მოგონებათა ნაკეცებში მიკუნჭულად შერჩა მესხიერებას. დათას გაელიმა.

— გენეტიკა ყივის... გეტყობა, მწერლის შთამომავალი რომ ხარ, შენი სათქმელი დაუჭაშნიკებლად მოათრობს მსმენელს.

— ჰუჰ! — რომანმა ეზოში გადააფურთხა — რა მწერლობა, რის მწერლობა ოღონდაც! ოდინდელი საიდუმლოებით სავსე ისტორია ოჯახურ მძიმე მოგონებებს მიემარხა, როგორც ტალახა თოვლი! ეგაა, სიტყვაუხვობა დამყვა, თორემ წერის ნიჭი... მომამორე! სხვანაირები არიან, არაამქვეყნიურები. ვიცნობ მაგათ წრეს! სასაუბროც სხვაგვარი აქვთ, თემა-იდეაც და ყოველდღიურობაც! სმაშიც აგყვებიან, ლხინშიც, ჭირშიც მოგდევინ, მაგრამ სულ გგონია, მესამე თუ მესამოცე თვალით შემოგცქერიან შიგნიდან. მხატვარი რომ მოლბერტს დააძრობს წამიერად, როცა ნატურის ასლის კეთებას მოინდომებს, ასე აქვთ გამზადებული ქალაღ-კალაში. ან არც ამოიღებენ და მაინც გიმახსოვრებენ, სადღაც ფურცლებში გაგაბნევენ და გონიათ, სიკეთე გიქმნეს. ან თვითონ აღიარებენ ხანის მერე, ან შვილთაშვილებს ანდერძად დაუტოვებენ პროტოტიპთა ამბავ-მილეთს.

— შენ რალაც კონკრეტულზე ლაპარაკობ, მგონია.

რომანი გაჩუმდა, ნელ-ნელა შეაჩერა ნაბიჯი და კუნძების მონრევებულ, ყვავილის გვირგვინით შემორიგებულ სკამებთან გაჩერდა.

— დავსხდეთ — ჯერ სტუმრის ჩამოჯდომას დაელოდა. დათა ყურადღებით აკვირდებოდა ამწვან-ახასხასებულ გარემოს. ხეივანად ასული წერწეტა ვაზები ფიანდაზივით გადაგებულიყვნენ საგანგებო ბადედ გადაზნექილ რკინის ლეროებზე. ნადრევი ყვავილობის ფურჩქნის სილამაზედ ყვაოდა მწკრივად ჩარიგებული ნარცისები. ხის ლაკნასმული მაგიდა-სკამები იმ წამს სახლიდან

გამობარგებულ მასპინძლებს ნააგავდნენ. ცოტა მოშორებით ხეხილი ყვაოდა. დათამ იცნო თეთრი გოგრა ბლის ყლორტები, შაქარა ხეჭეჭურის წვრილფოთოლა ტოტები, ალუბლის ხეთქილი კვირტები მზის მონოლილ სხივებს ილაშქვებდნენ.

მობრეშედილი ბილიკზე მაღალი მამაკაცი გამოჩნდა. წელში გამართული, სახელურილი იმზირებოდა.

რომანი წამოვდა, მიეგება.

— მამა, ეს დათა გუგიაძეა! ეს კი მამაჩემი — გიორგი ქათუბიძე! სწორედ ახლახან ისეთ საქმეზე ვლაპარაკობდით, შენ რომ უკეთ უპასუხებდი, — სიცილით მიაყოლა რომანმა.

— ჰოო! ეს ყმანვილი...

— ეს ყმანვილი კალამს აწვალებს! — წრფელად გაიცინა რომანმა.

გიორგი სერიოზული სახით ჩამოჯდა ჯირკზე და შორს გაიხედა.

— შენს ასაკში კალამს ბევრი აწვალებს. სხვა რას საქმიანობ?

— ახლახან დავამთავრე ფიზიკა-მათემატიკური. სამსახურიც ნახევარი წელია, გამოვქებნი და რომანიც იქ გავიცანი.

— დავიბეჭდავს რამე?

— კი. ორი მოთხრობა ჟურნალში, ერთიც გაზეთში.

— ასე. ღმერთმა მკითხველი გიმრავლოს... დარწმუნებული ვარ, დიდ ქათუბიძეზე ლაპარაკობდით.

— როგორ მიხვდით?! — გაიოცა დათამ.

— რა თქმა უნდა — მამაჩემი! სიცოცხლეშიც მამაჩემი, ახლაც... ასეა, როცა ღვანდომოსილ ადამიანად გთვლიან, ბერდები, მიდინარ... სიცოცხლეშივე ეხვევი იმ ინტერესის ქარგამი, ზოგისთვის მაგალითად, ზოგისთვის შესადარებელ გზაკვალად, ზოგისთვის ადამიანურ ცნობისმოყვარეობად რომ რჩება, წახვალ და თაობები ეძიებინა მოგონებებს, სამწერლო ისტორიებს.

— მერე ეს თქვენთვის ხომ სასახელოცაა და საინტერესოც. გიორგიმ გაიღიმა.

— მთელი ცხოვრება სხვაზე ლაპარაკი? არა!

— რა ვიცი... რომანიც...

— რომანი სხვა მიზეზითაა დადლილი. ის ფაქტობრივად არც კი იცნობდა მამაჩემს... ბოლო წლებში მამა დასუსტდა, დაიღალა, მარტო მუშაობდა. — გიორგი მიყურდა და დათა მიხვდა, ეს უხერხული სიჩუმე არ იყო. აცალა.

— ზემოთ ავიდეთ, კაბინეტში.

წიგნები და სიმყუდროვე მეფობა მაღლა... მწერლურად გატარებულ-დაშანთული დროც...

— ამ ოთახს უამრავი ცნობილი სტუმარი ახსოვს. ამ მაგიდისა და მათ გარშემო ბევრჯერ მირბენია, ხელიც შემიშლია, ბევრჯერ წავექცეულვარ, ბევრჯერ მიტირია, ბევრჯერ მიუღია შენიშვნა დედას.

ჩამოჯდა და დათამ იფიქრა, რომ წამსვე „კაბინეტის კაცის“ პოზა მიიღო.


— როდის იყო. თუმცა დროს რაღა მნიშვნელობა აქვს... აქ, ამ ოთახში მოვისმინე, რომ ერთ-ერთ გაზეთში კონკურსი უნდა გამოცხადებულყო. ჩუმად ვწერდი. არასოდეს მიჩვენებია მამასთვის... მოკლედ, ერთი თვე ვფიქრობდი... მერე ერთი მოთხრობა და ორი ლექსი ამოვარჩიე — გაიცინა — ლექსი მახსოვს, ერთი დროის ქვეშ გავრთიანებული რამდენიმე ერის ქება-დიდება იყო. მეორე-ლირიკული. ჰოდა, გადავწერე როგორც შემეძლო ლამაზად და კონვერტით გაავაზავენე...

— და მერე? — ჩაეკითხა მოულოდნელი დასასრულის მოლოდინით.

— მერე იმ მწერალ-რედაქტორმა აქ მოიტანა გაზეთი. გაცემული ყვებოდა, საუკეთესო ნაშრომის შერჩევა რომ მოახერხეს, მითითებულ კლასსა და აღნიშნულ სკოლაში ავტორს ვერ მიაგნეს ვერაფრით...

— რაო? — ლამის წამოვდა დათა — რატომ?

— იმიტომ, რომ არარსებული მოსწავლის გვარი და სახელი მივანერე...



მხატვარი ცირა პაპინაშვილი

დათას ენა ჩაუვარდა.

— მაგიდაზე დარჩენილი გაზეთი კი მოვიპარე და დღემდე სიამაყით. — ოლონდ გაუმხელელით-ვინახავ.

— და ამით დამთავრდა ყველაფერი?

გიორგი წამოვდა, ადგილი მოტკეპნა ჯერ, მერე გააგანვირა ნაბიჯი.

— უკვე ბევრი ვილაპარაკე. მიზეზი იმაზე ღრმია, ვიდრე ამ წუთას შეგიძლია მისი წარმოდგენა: პირველ რიგში კი ჩემი ასაკის გამოცდილებიდან ღრმა რწმენა იმისა, რომ გულწრფელი ახალგაზრდა ხარ. წარმოიდგინე, ჩემს შვილსაც კი არ შეგადარებდი. არც მის მეგობრებს. ხშირად მიგრძენია მათგან ოჯახთან სიახლოვის ანგარებიანი ურთიერთობის მძალე გემო... ხშირად მინახავს ჩემს დანახვაზე გაბადრული ფამილარული სახეები და ახალი ნაცნობების ამ სამუხეუმო სახლში მოყვანასაც ვუშლი ხშირად... შენზე ბევრი რამ მიაბზო და, მგონი, არც ცდება... გაიზარდა ჩემი შვილიც... — ეს თავისთვის დაამატა და წელანდელივით ისე მიყურდა, დათა მიხვდა, ეს უხერხული სიჩუმე რომ არ იყო. ისევ აცალა.

— ახლა კი... ისედაც ბევრი გავეცი დღეს... ბოლო სათხოვარი მაქვს.

— სათხოვარი? — გულწრფელად გაიკვირვა დათამ.

— კი... მიზეზთა გამო მე რომ არ ძალმიძს განხორციელება... ერთი აზრათამაშებელი ჩანაწერი მაქვს... არც ისე ძველი... მინდა მოგცე...

— მე?!

— მოგცე და გთხოვო, სადმე მოთხრობაში გააბნო, როგორც უფროსის დარიგება... ახალგაზრდა პერსონაჟს არ მოუხდება ამგვარი... მხატვრულ ლიტერატურაში შეფარული სათქმელის ამბიცია არასოდეს მქონია. ან მქონდა და აღარ მაქვს... ეს ხმამაღლა პირდაპირ ნათქვამი რეალობაა, მაგრამ ჩემი სახელით ამდენი წლის მერე, მამაჩემის შვილის ამგვარად ასპარეზზე გამოსვლა სხვა ტონსა და სხვა გაგებას მიიწვევს. ბავშვობიდან ხმაურიანი და აქტიური, საზოგადოების დამდღღლად მოშვილდული მზევა მომბეზრდა... — ჯიბიდან პანა გასაღებები ამოიღო, მაგდის უჯრა ჩხაკუნით გააღო და ძვირფასი, პრიალაფურცლებიანი ბლოკნოტი ამოიღო. გადაფურცლა.

— აი. ეს არის. გინდა რამე მკითხო? — თან უჯრა დაკე-
ტა.. აღარ დამჯდარა, მაგიდას მიეყრდნო.

— მგონი არა...

— პირობა ერთია მხოლოდ! ერთი! არავისთან ამაზე არ
ვლაპარაკობთ.. განსაკუთრებით-რომანთან! არასოდეს არა-
ვისთან არ ვლაპარაკობ იმაზე, რაც არ აინტერესებთ! არც
ადრე, არც ახლა. სულერთია, სწორად ვიქცევი თუ არა... ეს
ჩემი პირობაა.

— გასაგებია...

გიორგი ქათუბიძე სტუმარს მიუახლოვდა. მხარზე ხელი
დასცხო მეგობრულად, საერთო საიდუმლოს იდუმალებით
გაუღიმა და, თითქოს ტვირთისგან გათავისუფლებული გაი-
მართა მხრებში.

— მაშინ წავიდეთ... მწვადის სუნი გვეძახის რომანსავით...

„არა... სანერო საქმე შეკრთომასაც კი არ გაპატიებს
არასდროს. სულ მზად უნდა იყო, სულ... წერისთვის? არა,
მარტო წერისთვის არა! ყოველთვის ვერ დანერ, აზრი ყო-
ველთვის საკალმე არ არი... შერჩევა უნდა. მეორეც — შენში
უნდა მომძინოვდეს ის ძალა, ის ზღვის ზვირთი, შენი სულის გა-
უხდელი კვართი, შენთანვე შეზრდილი, შენთანვე გაზრდი-
ლი, რომ ვერასოდეს გაიმეტებ დედის ძღვენივით... მწერლის
ტვირთი მძიმეა, მაგრამ ვერასოდეს მოიხსნი შენი სურვილით
ზურგიდან, რადგან სწორედ ისავეა შეება, ლხენა, სიამე... ის,
ჰო, ის... მზედაკრულ, ალაგარდნილ მზერას რომ მოიჩრდი-
ლებ ხელის ზურგ-გულით, უკვე შორიდან როცა შეხედავ ნა-
შიერივით სასწაულმოვლენილ მოთხრობას, ნოველას, უკაც-
რავადსათქმელია და-რომანს...

გეზი, გზა და გუმანი ერთ მხარეს უნდა მოზიდო. თვითონ
კი არ უნდა მოგზიდონ, მხოლოდ მიგიზიდონ! კვალი თვითონ
უნდა მიუნაკადო გუმანის კარნახს, თემა-სიუჟეტს. ხან ხერხე-
მალევით მძივანყობილ ფაბულას მწკრივმალევივით აუკინძავ
მოვლენებს, ხასიათებს... ხან ხასიათი თვითონ შეისხამს ფოთ-
ლებივით გარემოს სცენებს, სამტრო-სამეგობროს...

მთავარია, შიგნით ნაქექი თავი გეჭიროს ხელში. აბა! თა-
ვის ხელში აყვანა მხოლოდ ეგ არი: შიგანს იცნობდე ჯერ!
რომ გარე გაიცნო, შეიცნო და ბოლოს წერის ჟინატანილმა
კი არა, მართლა ღირსეული კალმის ჭირისუფლებამოპოვე-
ბულმა სხვებს გადმოუღაგო კეციდან აკრეფილი ცხელი მ-
ჭადებივით... ზოგი დაპურდება, ზოგი გემოგასინჯულს მა-
რგად შემოინახავს, ზოგი პირსაც დაინვაკს... მაგრამ კეცი
შენია, კვლავ დასაცხოვრებ იხვე ივლი წისქვილ-გზაზე საფე-
ვა-საფანელის მოსამარაგებლად.

აი, ლოდინია ცოტა მძიმე. წისქვილი რომ სამენო ფქვილს
ქარ-ქარად ჩამოაფანტავებს, შენ კი...ამ დალოცვილ, ანბა-
ნით შეფუთულ, ფანტებივით ჩაბნეულ სიტყვებში ურევ აზ-
რებს, გონების ხელებს... დამიჯერე, თანხმობენ უნდა უგ-
დო ყური! თანხმობენ უფრო მეტის თქმა უნდათ ზოგჯერ,
ვიდრე ყურნაჩვევ ხმოვნებს ვუსმენთ ადამიანები. აბა, თი-
თოეული ხმა-ბგერა-გრძელი ხმოვანი წარმოთქვი, წამსვე
შორისდებულად მიიღებს ყველა!

სამი-ოთხი თანხმობის თავმოყრა ისევე განცდაა, მოქ-
მედება, ყურშეგრძნება. რომელი შორისდებული გაუტოლ-
დება იმ განცდის გულიდან გამოცდენას, მუხის წამება რომ
ჰქვია და ერთი სიტყვით ღრღნა ეწოდება! შიგანის ღრღნა!

სიტყვა უნდა გახედნო და აზრს თვითონ გააჭენებს, სიტყ-
ვა ისარივით უნდა სწორად მოზიდო და აზრს თვითონ მი-
ტანს სამიზნემდე. სიტყვა უნდა ფრთხილად გაცრა სამტკიც-
ში და აზრს თვითონ ააფუებს მოხელილ ცომ-გულში. მწერა-
ლობა სხვაა, სხვა სინაზე, სხვა ნია-კრთომა, სხვა ქარტეხი-
ლი, სხვაგვარი რჩეულობა! ეს კი სამწერლო საქმეა, რასაც
დღეს ჩვენ ვაკონინებთ დღევანდელი მონუმენტად, რომ

სამომავლომ თვალი აწვდინოს. ჰო, თვალი აწვდინოს, თორემ
ეპოქების გადაძახილისთვის ექო-ხმის შენარჩუნება იმ, იმ
სხვაგვარ რჩეულებს მიემადლებათ ხოლმე!

ჰო, ეგაა, მარტო სალიტერატურო ხელოვნების მსახურე-
ბაა სანერო საქმე, ხოლო საქვეყნო, საშვილიშვილო პრობლე-
მათა და ქვეყნის სიდუხჭირეთა გულისგულში ზელა

კიდევ სხვა... იშვიათი ძალა, ხმევა, ნება, ყოფა, სული, კვე-
თება უნდა, სხვანაირი... მტკიცე და გამძლე! ზუსტად ეგე-
თებს შეეზრდებათ ხოლმე სულის კვართი ტანზე გენიად და
ამ გენიით იმარხებიან, ამ გენიით რჩებიან მინაზეც.

იმ სიტყვასაც მეტი თანხმობანი ახლავს, მათი სახსოვარი
რომ არი: გრდემლი, მტკიცე, თრთოლა, თვლა, სიფრთხილე,
პილიგრიობა, უმეორ-ობა! ცალ-ობა კი არა, ერთ-ობა მხო-
ლოდ, გამეორება რომაა შეუძლებელი, რადგან ერთხელ ნათ-
ქვამი სიტყვასავით ერთხელ განდებდა, ერთხელ დაინერება,
ერთხელ იქნება ქვეყანაზე...

მწერლობის ბედი მძიმეა მართლა ამ სიტყვის მნიშვნელო-
ბით. მხრებზე ჩამოწოლილი ყოფითი საზრუნავი ორგვარი
ფიქრითაა გაჟღენთილი. ერთი მხარით შვილების სამყოფ საზ-
რუნავს, თუნდა ერთი დღის ოდენას, მიაზიდ-ზიდებ, მეორე-
თა-შუამი გაჩხერილ-გაჭმუჭუნული მოთხრობის სააზროვნოს.

და რაც უნდა დაფასებულ ხელოვანად, ცნობილ ლიტერა-
ტორად, აღიარებულ მწერლად იქცე, მსახურად რჩები ბო-
ლომდე!

მსახური ხარ მაინც! გინდ იქიდან შეხედე, გინდ აქედან.
ხალხის თუ ხელოვნების? ორივესიც და ცალ-ცალკეც. ეგაა
მხოლოდ, ამ მსახურების საზღაურად რას აღიარებ, რას მო-
ითხოვ ან რომელ საფეხურს ინებ-იკადრებ გადმოსახედად...
ან ჰერმან ჰესეს „პოეტივით“ უსასრულო ხნით იქნები ცხოვ-
რების ბრძენი, ან მარტინ იდენივით საკუთარი გადანყვეტი-
ლებით „გაიმეტებ“ ამქვეყნიურ ფუ-ფუ-ნებას... ან გრი-
გოლ რობაქიძესავით ეპოქის სამსხვერპლო სიდიადიდან და-
იმარტოვებ ამ სამსახურს, ან ტიცინივით გაუმიზნავ
მსხვერპლად აქცევ შემოქმედებას...

და ყველა შემთხვევაში უნდა იცოდე, რომ მსახური ხარ!
მსახური მსახურს კი არასოდეს ეჯიბრება, არც ედრება, არც
ბაძავს, არც ემსგავსება!

უნდა დარჩე იმად, ვინც ხარ. შენს თავს უსმინო, იპოვო
სტილი, იპოვო ძალა. სათქმელს კი ცხოვრება მოგცემს!
თუმც დღეს ალუზიებით აღარ წერებ, მგონია, იმიტომ, რომ
საზოგადოებას აღარ უნდა სიღრმეში ძროშიალი...

ილიამ რომ გიორგი და თევდორე ალუზიურ სახელებად ირ-
ჩია, კაცია მუნჯაძე რომ ცხოვრების მუნჯად ქცეულ ადამიან-
ად აღსაქმელ კაცად მოგვცა ნინოშვილმა, „ფორთოხალი“
რომ სიმბოლურ აღქმად დასათაურა ნიკო ლორთქიფანიძემ...

დღეს ვიღას უნდა ორაზროვნება, როცა დაღეჭილი ერთი
აზრით „ზედმეტი“? ვერლიბრს ამოფარებული ლექსის ზე-
ობა ხომ თანამედროვე საუკეთესო პოეზიაა! მამ გალაკტიო-
ნი რალად უჩიოდა გათენებამდე ლიტერატურული შხამით
წუხილს! სათქმელი დღეს ურითმოდაც ნათქვამია, ერთმნიშ-
ვნელოვნადაც ისევ სათქმელია და საერთო:

მწერლობის ჭეშმარიტი მსახურება ნამდვილი მწერლობაა!
მწერალ-ობა — საქმე, წერის ჟინაყოლილთა საზრუნავი!
აი, მწერლობანა კი!..“

დათამ ხელნაწერი დახურა და მარჯვენა ხელისგული შუბ-
ლმეჭმუნულმა დაადულა ზედ. მკლავი თითქოს გამტარივით
მიმოადევნებდა აზრებს ჩანანერსა და გონებას შორის.

თვალდახუჭულმა ყური დაუგდო მიმობნეულ აზრთა
კრთომას. ყველა ერთად, ერთნაირ გარსში შეყუთულიყო.
თვითონაც კრთომამ აიტანა. დაძაბულმა ისევ გონების ქაო-
სიდან სცადა ბურუსის ჩამობერტყვა და უნებურად აღიარა,
რომ თვითონაც აზრებივით შემოადევნებინა უცნაურ
გარსს. ეს საკუთარი თავის პოვნის ჟინი იყო.

ელგუჯა თავბერიძე

წიგნიდან: „ხეზე ასვლა“

ჭრალი მზა

1902 წლის ჯერ კიდევ აუთაკარებელი თიბათვის ექვსში ერთი კაცი, რომლის გვარს მალე გეტყვით, სახელს ბოლოს გაგიმხელთ, ჭრელად ხედავდა მზეს. ასეთი რამ არასდროს დამართნია, მზე მზეს ჰგავდა ყოველთვის. იმ დღეს კი არაბული ხალიჩასავით აჭრელებული მნათობი ოთხივე, უფრო მეტად, მუქ ფერებში ჭიატობდა.

პირველი დანაპირები შევასრულოთ, — ჭეიშვილის გვარისა იყო ეს კაცი, მიხაილოვის, იგივე მიხეილის ქუჩაზე, ქალაქის მთავარი სამმართველოს წინ ჰქონდა სამიკიტნო და გვარის გამოისობით ჭეიშვილის სამიკიტნოს ეძახდნენ ქუთათურები. დილიდანვე დახლში დამდგარი, ხანდახან ჩოხადამპალას წვიმებით ნესტშეპარულ, ღვინის ლაქებით დაფორაჯებულ სამიკიტნოს კედლებს შეავლებდა თვალს, ამით თუ კარგად ვხედავ, მზე რამ ააჭრელაო, უკვირდა.

იდგა დახლში, ასხამდა ღვინოს, აწვდიდა პურს, ყველს, მწნილსა და მწვანის, პირველ სწრაფად აკეთებდა, მეორეს განგებ აყოვნებდა, უნდოდა, მოქეიფებებს უკეთ ეგრძნოთ ღვინის გემო და სურნელი და ხმელა გადაეკრათ ერთი-ორი ჭიქა.

მზის ჭრელად ყურებამ ისედაც უხალისოსა და თავის თავში ჩაკეტილს ხალისი გაუფუჭა. სხვა დროს ღვინოს აუცილებლად შეამკობდა, დამწურავ-დამყენებელს მარჯვენას დაულოცავდა, იმ დღეს დამდურებულებით იდგა. ხანდახან სარკმლიდან მზეს გახედავდა, მერე კედლებზე შერჩენილ ღვინის ნაშხეფარს მიმოატარებდა მხერას.

შეივლით ყველაფერი ჩვეულებრივად, გარეთ არაჩვეულებრივად იმზირებოდა. ნაადრევად დაკაცებულს დიდ და ფართო-გუგებიან თვალეში ბავშვური იერი ჩარჩენოდა, მკვრივად შეკრულ ტანფეხს მდორედ ალაჯებდა, თავს არავის უყადრებდა. სამიკიტნოში მუდამ ჭრელი ხალხი იყო, იმ დღეს განსაკუთრებით — თავადს, აზნაურს, გლეხსა და მღვდელსაც მაინცდამაინც თიბათვის ექვსში მოსურვილებოდათ დალევა.


მიდიოდნენ, ითხოვდნენ. ისიც უსხამდა ღვთაებრივ სითხეს, ხანდახან ქვეცნობიერად სხვა მოვალეობაც გაახსენდებოდა და კარგ მოლხენას უსურვებდა სამიკიტნოში თავშერგულებს.

ჩხუბი და აყალმაცალი დუქანსა და სამიკიტნოში ჩვეულებრივი ამბავია. ჭეიშვილის სამიკიტნოშიც ხშირად კინკლაობდნენ, იგინებოდნენ, ხანდახან უცებ, ხანჯლის დაუტრიალებლად მშვიდდებოდნენ, ხანდახან თავ-პირს ამტვრევდნენ, ჯამჭურჭელს ამსხვრევდნენ, ღვინით რეცხავდნენ სამიკიტნოს კედლებს, ხანჯალს არჭობდნენ ერთმანეთს გულში და მაინც არ მშვიდდებოდნენ.

მზის ჭრელად ჭიატის დღეს გუგულებივით ისხდნენ და იდგნენ, შეზარხოშებულები პირველ ხმას აწვრილებდნენ, მთვრალეები ბანს აგებებდნენ, ერთმანეთს ეხვეოდნენ, კოცნიდნენ, აქებ-ადიდებდნენ, სამიკიტნო კი არა, სამოთხე ეგონებოდა უცხოსა და აქაობაში პირველად მოხვედრილს.

სალამოს ათი საათი იქნებოდა, სამიკიტნოში ერთი მხატვარი, გვარად ძაძიევი რომ შევიდა — წერია „ივერიაში“. მხატვარი იქნებ გაგიკვირდეთ და ბარემ გეტყვით, სახლის ქერის გამთეთრებელ ხელოსნებს ეძახდნენ მხატვრებს. ჰოდა, რა გასაკვირია, ხელოსან კაცს ორიოდ გროში ჰქონოდა დასალევად გადახანჯული.

ერთი ბოთლი ღვინო მოითხოვა ძაძიევმა, ჩამოუსხა ჭეიშვილმა. შემოსული წავიდა, დაჯდა, დაინყო დალევა.



იმ დროში სამიკიტნოში კინკლა კაცის შესვლა და ეული მოლხენა არ იყო ჩვეულებრივი ამბავი. ჰოდა, მზის ნატეხ ჭეიშვილს მზის სიჭრელე და მოქეიფების გუგულებივით ყოფნა რომ უკვირდა, ჭრელი ძაძიევის მარტო დაჯდომა და ღვინის სმა არ გაკვირვებია.

საკაიკაცოდ არ უნდა იყოს მოსული — გაფიქრებისთანავე ვილაცამ ღვინის ჩამოსხმა სთხოვა, ვილაცამ მწნილის დამატება და ვეღარ გააგრძელა ფიქრი. მწნილს უგუნდავებდა ტაშტივით ხელებით სამიკიტნოს თავში მჯდომ მოქეიფებს, ძაძიევის ყვირილი რომ გაიგონა:

— ვის უბედავ, შე ლანირაკო, ვინ გგონივარ, რძე არ შეგმრობია პირზე და რაებს ბედავ, — უყვიროდა ძაძიევი ვილაც ახალგაზრდა ყმანვილს, რომლისაგან რა უწყინა, ვერავინ გაიგო.

ყმანვილი ფეხზე წამოიჭრა, მოყვირალისკენ წამოსვლა დააპირა, თანამეინახებმა შეაჩერეს. ამის დამნახავი ძაძიევი უფრო გაგულმაგრდა და გინებაზე გადავიდა.

— ვის უბედავ, შენი ცოცხალი და მკედარი, თუ ვაუკაცი ხარ, გამოდი გარეთ, შამფურით დაგიტრიალებ ხანჯალს მუცელში. ყმანვილი კაცი ხან ერთ თანამოქეიფეს მიანყდებოდა, ხან მეორეს, ხან მესამეს, თითოეული ცალ-ცალკე ეძიძილავებოდა და ყველანი ერთად მკლავებში იმწყვდედნენ, გასაქანს არ აძლევდნენ.

— გამოდი გარეთ, შენი დედა... — კი არ ყვიროდა, ბლაოდა ძაძიევი.

ყმანვილმა სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, აიღო ღვინით სავსე ბოთლი და ესროლა, ძაძიევს აცდა, კედელს შეემსხვრა და კიდევ ერთი ნაჭდევნათხლევი აღიბეჭდა სამიკიტნოს ოთხი კედლიდან ერთ-ერთზე.

გადარეული ძაძიევი გინებითა და ბლავილით გამოვარდა გარეთ, აქეთ ინვევდა ყმანვილ კაცსაც.

ჭეიშვილიც გამოყვა და, იმის მაგიერ, დამშვიდება ეცადა ძაძიევისა, დანახარჯის გადახდა მოსთხოვა.

იცოდა მულამი მხატვრისა თუ მხატვრად მიჩნეულ უცნაური გვარის კაცისა. ადრეც შერებოდა თურმე იმავს, შევიდოდა დუქანსა თუ სამიკიტნოში, მოითხოვდა დასალევსა და შესაჭმელს, მერე ვინმე ახალგაზრდას, მისი აზრით, ამკარად რომ დაჯახნიდა, ამოიჩვენებდა, აუტეხდა ჩხუბს, გაიწვევდა, გამოიწვევდა, დასამტვრევს დაამტვრევდა, დევივით ხელებით გასალახს გალახავდა და გაეცლებოდა იქაურობას.

ჭეიშვილის სამიკიტნოში ჭრელი ძაძიევი იმიტომ არ შედიოდა, ზორბა მეპატრონის შიშით ვერ ბედავდა ჩხუბის ატეხვას, თორემ სხვებთან კარგად ჰქონდა დამულამებული ილეთი. ფულის გადახდისას ახირდებოდა, იზამდა ყინყლს და ამყრალბულაქოთებულ, გრომდაუხარჯავი მოჩხუბარი, ვითომც მისი ბრალი არაფერი ყოფილიყოს, ნავიდოდა იქითკენ, საითაც უნდოდა.

— ფული გადაიხადე, ფული — საცრისხელა თვალეები მი-აბჯინა ჭეიშვილმა: ძაძიევს, იმას ვითომც არ ესმოდა, ძველებურად იგინებოდა:

— გამოდი გარეთ, შენი დედა, ხანჯალზე წამოცმული უნდა მიგიტანო დედაშენთან.

— ფული, ძმაო, ფული ამოიღე — შეუტია ჭეიშვილმა და ისეთი ლაზათიანი სილა უთავაზა გარეთ გამოსულ ძაძივეს, რომ სამი ყირის მერე წამოდგა ფეხზე.

ძაძივეს მარტო ხანჯლის პირი ჰქონდა სახელოში, დაადრო, ჭეიშვილს მუცელში ჩაკრა და გაიქცა — წერია „ივერიაში“.

მიძიმედ დაჭრილი ჭეიშვილი თოფურიას სამკურნალოში გააქცუნეს, მაგრამ იქიდან შინ წაყვანისას თეთრ ხიდზე დალია სული. ვინ უნდა ყოფილიყო ძაძივეისაგან მოკლული ჭეიშვილი?

სამიკიტნოთა და დუქანთა პატრონების გამორკვევით ვერაფერს გავხდებით. იმ დროში ბევრ ჭეიშვილს ჰქონდა ღვინის სარდაფი, დუქანი და სამიკიტნო.

1899 წლის მონაცემებით, იმავე მიხეილის ქუჩაზე, ოგანეზოვის სახლში ივანე ფხაკაძესა და მიხეილ ჭეიშვილს ჰქონდათ ღვინის სარდაფი, რომელიც 1905 წელსაც მუშაობდა, იმავე მიხეილის ქუჩაზე, რიჟინაშვილის სახლში, კონსტანტინე დავითის ძე ჭეიშვილს ჰქონდა სამიკიტნო, რომელმაც, როგორც ჩანს, 1902 წლის მერე შეწყვიტა საქმიანობა.

ბალახენის ქუჩაზე, ნუცუბიძის სახლში ალექსი ჭეიშვილსა და ისიდორე კობახიძეს ჰქონდათ ღვინის სარდაფი (რუსულად ყველას — სამიკიტნოს, დუქანს, სარდაფს, **винный погреб**-ს ეძახდნენ).

თბილისის ქუჩაზე, თუმანოვის სახლში, ორი სარდაფი საქმიანობდა, ერთი არჩილ მიხეილის ძე ჭეიშვილს, მეორე მოსე კუპრაშვილსა და სანდრო ჭეიშვილს ეკუთვნოდა.

ხელთუფლიშვილის ქუჩაზე, საკუთარ სახლში ფილიპე ჭეიშვილს, მესხეთის ქუჩაზე ასევე საკუთარ სახლში, ივანე ქებულაძესა და დომენტი ოქრობორის ძე ჭეიშვილს, ბაზრის ქუჩაზე, ალიბეგოვის სახლში ვლადიმერ ბერეკაშვილსა და მიხეილ კოსტა და არსენა ჭეიშვილებს ჰქონდათ ღვინის სარდაფები.

ძნელია, ამით გამოარკვიო, ვინ იყო ძაძივეისაგან მოკლული ჭეიშვილი.

„ივერიაში“, რომ არ დაენერათ, თეთრ ხიდზე დალია ცხონებულმა სულიო, მოძებნა გაჭირდებოდა, ყველა ეკლესიის დავთრები იქნებოდა გადასათვალისწინებელი. თეთრ ხიდზე გადაყვანისას გარდაიცვალაო, ე.ი. რიონის მარჯვენა სანაპიროსკენ, სილაზე უცხოვრია ხანჯლით მოკლულს.

საისტორიო არქივის ცნობით, 1902 წლის 7 ივლისს გარდაიცვალა და ძაძივეისაგან ძაძებით შემოსილმა ნათესავეებმა ცხრაში დაკრძალეს კოსტანტინე იაკობის ძე ჭეიშვილი.

ამ ამბავში კიდევ ერთი რამაა უცნაური — ძაძივეი მაშინვე შეიპყრეს და გამოძიების მერე, მესამე დღეს გამოუშვესო — წერია გაზეთში. კაცი მოკლა, მეორეს მოსაკლავად იწვევდა და, მართალი ხარო.

კონსტანტინე იაკობის ძე ჭეიშვილის ასაკს არ იკითხავთ?! 26 წლის. უზიარებლად აღესრულა, მთავარანგელოზის ეკლესიის სასაფლაოზე დაკრძალეს.

მთვარით განათებულ თეთრ ხიდზე მზეს ჭრელადაც ვერაფერს ხედავდა კონსტანტინე ჭეიშვილი.

ზინუტა

„ტიფლისკი ლისტოკში“ ერთნინადადებიანი განცხადება — სამსახურის გარეშე დარჩენილ კავალერებს ხივის ხანსა და ბუხარის ემირთან ჩავაყენებ სამსახურშიო, — თვალში მოსახვედრად ადგილას დაეხეჭდათ. სამსახურს იმდენი ვინმე დაეძებდა, თვალსაჩინო ალავას გამოქვეყნების გარეშეც მიაქცევდნენ ყურადღებას, მაგრამ ამ ამბავში უფრო ის იყო უცნაური, რომ განცხადება უავტორო გახლდათ, არსად ეწერა, სამსახურის შოვნის მსურველებს ვისთვის და სად უნდა მიეკითხათ.

ანდრია სკრიპკა გაზეთში წაკითხულმა იმდენად ალაფროვანა, სულაც არ დაკვირვებია, ვინ სთავაზობდა სამსახურ-

ში მოწყობას. ოცდახუთი წელი ჯარში მსახურობდა, იყო წმ. გიორგის ყველა ხარისხის ჯვარ-ორდენთა კავალერი, გასამრჯელო დიდი ჰქონდა. გამოუშვეს ჯარიდან და 36 მანეთი დაუნიშნეს პენსია, რომელიც ბევრის ხარჯვას დაჩვეულ მის ოჯახს არ ყოფნიდა. არადა, შუა ხანს მიულწვევლ სკრიპკას ჯერ კიდევ შეეძლო სამსახური. გარეგნულად მშვენივრად გამოიყურებოდა, ჯანის სიმრთელეს არ უჩიოდა.

ანდრია მჭრაკერვით გართულ მეუღლეს ცხვირთან მიუტანა გაზეთი და ყვედრებით უთხრა:

— ხომ გუბნებობდი, დიდხანს არ გაგრძელდება ჩვენი გაჭირვება, რალაც გამოჩნდება, ჩვენნაირი გამოცდილების ადამიანები აუცილებლად დაჭირდება ვინმეს.

ეკატერინემ წაკითხვისთანავე ჯერ გაზეთი მიაჩერა, მერე თვალმდაქაჩულმა მიახალა:

— კი მაგრამ, ვინ აცხადებს, ვის და სად უნდა მიაკითხო?!

ანდრია ხელმეორედ წაკითხვისას ჩახვდა მეუღლის ნათქვამს, კაი ხანს ატრიალა გაზეთი ხელში, აქეთ გადააბრუნა, იქით, სხვა განცხადებებზეც წაიკითხა, ყველგან ყველაფერი ზუსტად იყო მითითებული. მისთვის სასურველსა და საინტერესოში რაც არ ეწერა, საიდან იპოვნიდა.

— რედაქციას მიაკითხე, იქ გიპასუხებენ! — მენტორული ტონი უფრო გამოკვეთა ეკატერინემ.

ანდრია სკრიპკამ რედაქციის მეშვეობით გაიგო, რომ განმცხადებელი ბაქოელი ზინოვიევი გახლდათ. წერილი მისწერა, იმანაც უპასუხა, შეხვედრავც შეთანხმდნენ.

ჟანდარმთა უნტერ-ოფიცრის ფორმაში გამოწყობილი ზინოვიევი, მკერდს წმ. გიორგის ყველა ხარისხის ჯვარი, ორდენი და მედალი, ზოლგარიის მთავრისაგან ნაჩუქარი ჯვარი და ვარსკვლავი რომ უმშვენივრდა, ჩამოვიდა თბილისში და შეხვდა სკრიპკას. ილაპარაკეს, შეთანხმდნენ, ბუხარის ემირთან კამერდინერად მოგანყობო, დაუბეჯითა ბაქოდან ჩამოსულმა მეფისტოლა კაცმა და, თვეში 65 მანეთი გექნება ჯამაგარიო. სკრიპკას, ბუნებრივია, გაუხარდა. 20 მანეთი ჩაიდო ჯიბეში და სიმღერ-სიმღერით გაჰყვა ზინოვიევის, რომლისაგან ეკატერინემ რამდენიმე დღეში წერილი მიიღო — რამ დააბნია ეს ღვთისნიერი კაცი ასე, პასპორტის, საპენსიო ნიგნაკისა და ოქროს მედლების წამოღება დაეინყნია. გთხოვთ გამოუგზავნოთო — ეწერა წერილში.

ეკატერინემ პირნათლად შეასრულა უსტარით ნათხოვი. ამ ამბიდან რამდენიმე დღესა თუ კვირაში (ზუსტად აღარ ახსოვდა) ანდრიას წერილიც მიიღო: ყაზანის საავადმყოფოში ვწევარ, სიმორემ უფრო გამძლიერა შენი სიყვარული, არ დაგივინყებ. ზინოვიევი უკვე მომცა 200 მანეთიო.

ამის მერე ჩემი ქმრისა არც ავი ვიცი, არც კარგი — ირწმუნებოდა ანდრია სკრიპკას სჯულისმიერი თანამეცხედრე.

ქუთაისიდან ბათუმში და მერე იქაურ საპრისტავოებში ეტლით ჯაყყაყმა მილიციის პრაპორშჩიკი პეტრე მესხი ისე დალადა, რომ იქიდან ქუთაისისკენ მატარებლით გადანიყვია დაბრუნება.

მუდამ თადარიგიანმა დილით ადრე გაიღვიძა. მარტის ცივ-თბილი, უმზეო დღე თენდებოდა. ტანსაცმლის ჩაცმამდე პრაპორშჩიკის კიტელზე ჭიამაია დაინახა. შავ-წითელა მწერი ერთ ადგილას წრილებდა. აიყვანა, ხელზე დაისვა — ჭია, ჭიამაია, ხვალ თუ კაი დარიაო — თქვა და ვერ შენიშნა, გაფრინდა თუ იქვე დაეცა. მერე რკინიგზის სადგურზე ვილაც მგზავრმა შემოაბრუნა და დაანახა — კიტელის სათიან ქსოვილზე ისევ ჭიამაია დაცოცავდა, ისევ აიყვანა, ისევ აუქნია ხელი, მაგრამ არც ახლა დაუნახავს, გაფრინდა თუ ძირს დაენარცხა.

პეტრე მესხი, ბათუმიდან ქუთაისამდე და პირიქით, მატარებლით პირველად არ მგზავრობდა. რკინიგზელებს იცნობდა, ზოგიერთთან მეგობრობდა კიდევ. ამიტომ ხალხით გაჭედლილ ვაგონზე უფრო მათ ვინრო ოთახში ყოფნას ამჯობინებდა. ძირითადად ორი — ძაგნიძე და გოგოლი — რკინიგზე-

ლობდა, შევიდოდა მათთან, ნაიმუსაიფებდნენ, იქითურ-აქეთურზე იტყოდნენ და გზაც გაილოდა.

ახლაც ასე მოიქცა. ოთახში, როგორც სჩვეოდა, გაუფრთხილებლად შევიდა. არც ძაგნიძე, არც გოგოლი დახვედრიდა. სამაგიეროდ, ქუთაისელი ებრაელი აბრამა ხახიაშვილი წამოსკუპებულიყო გვერდით სკამზე. არ ესიამოვნა, მაგრამ სალამს ხომ არ დაუკავებდა.

— გამარჯობა, აბრამა, რა მიქარე ისეთი, აქ რომ მოგაყურეს ამ ოხრებმა?

თვალბდაყვლებილი აბრამა უხმოდ და გაუძრევლად იჯდა.

— რა იყო, წაგართვა ვინმემ რამე თუ ენა გადაყლაპე?

აბრამა ქანდაკებად ქცეულიყო.

— გაგქურდეს თუ გაქურდე, ამოილე ხმა, შენი დედა... —

შეუკურთხა და დაშოშოინად გლიჯა ყბაში. ვერ გაამტყუნებ, პეტრე მესხი ყოველთვის ასე იქცეოდა, როცა მის კითხვებს უპასუხოდ ტოვებდნენ.

აბრამამ, მოცელილივით, თავი ჯერ კედელს მიანარცხა, მერე უხერხულად გაიშლართა იატაკზე. პეტრე გვერდზე რომ არ გამბტარიყო, მუხლებს შუა ჩაეცემოდა. ჯერ დახედა ყბაში გამრტყემლმა, მერე შეუბღვირ-შეუკურთხა, ნიხლიც უთავაზა ფიცარივით ძირს დავარდნილს. აბრამა ძველებურად, დაყრუებულ-დამუნჯებულივით ეგდო. ბოლოს ნადირივით დაიღრიალა მილიციის პრაპორშიკმა და მკლავებით დანვდა. ეცა, შეანჯღრია, გადააბრუნ-გადმოაბრუნა, ერთი-ორჯერ წაუთაქა, უფრო მეტჯერ შეუკურთხა, მაგრამ შენც არ მომიკვდე, მკვდარი იყო აბრამა.

სხვათა დასაჭერად ბათუმში ჩასული მილიციის პრაპორშიკი თვითონ გახდა დასაჭერი. ხმაურზე უანდარმები შემოცვივდნენ, იატაკზე უსულგულოდ დაგდებული კაცი რომ დაინახეს, პეტრე გაკოჭეს და სადაც სხვები მიჰყავდა ხოლმე, იქ მიაბრძანეს.

სამი თვე იჯდა ციხეში.

სასამართლოზე ებრაელებმა სიმართლე თქვეს — აბრამა ბათუმში დაგვეღუპა, ძაგნიძეს მოველაპარაკეთ და გარკვეული გასამრჯელოს გადახდის მერე, ქუთაისში წამოსვენებაზე შევეუთანხმდით, მაგრამ რკინიგზელს მკვდრის ნამოლების უფლება არ ჰქონდა, ამიტომ აბრამა ცოცხალივით დავსვით მის ოთახში.

ძაგნიძემაც დაადასტურა სიმართლე ებრაელთა ნათქვამის. პეტრე გამოუშვეს, სამსახურში დააბრუნეს და ძაგნიძე და ორი ებრაელი — მოძღვრიშვილი და ელიგულაშვილი (ამ სამეულის, უფრო ზუსტად, ოთხეულის, გოგოლსაც თუ მივემატებთ, გვარები ვიცით მხოლოდ) — ჩააყუდეს.

ამის მერე აიცრუა წმინდა გიორგის ოთხივე ხარისხის ჯვრისა და ორდენის კავალერმა პეტრემ სამსახურზე გული. ორი ადამიანი ჩუმად რომ დაილაპარაკებდა, ეგონა, მე დამცინიანო. ებრაელთა ჩვევა — დაღრეჯილობა — დავინწყნოდა და ეგონა, ჩვეულებისამებრ კი არ იყყანებოდნენ, მას დასცინოდნენ. ბულვარშიც დაიძახა ერთხელ ვილაცამ — პეტრე მოდის, პეტრე, მკვდარ აბრამას რომ გაულანუნაო. დამძახებელსაც სიამოვნებით გაულანუნებდა შეუვალი და პრინციპული მილიციის პრაპორშიკი, მაგრამ შეუძლებელი იყო იმის გაკეთება, რასაც წინათ ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მოიმოქმედებდა ხოლმე, ბრაზობდა, გულს ასკდებოდა, გულს, რომლითაც ხშირად „ლოცავდა“ დამძახებლის ცოცხალსა და მკვდარს.

საპენსიო ასაკის დადგომისთანავე დაწერა პატაკი და წამოვიდა სამსახურიდან. მასხრად ამგდებმა და მოქირქილე ხალხმა მოიმატა. ყაფანში საჩოხე ნაჭერს ევაჭრებოდა ერთ ურთას, რომელიც შაურსაც არ უკლებდა. პეტრე გაგულსდა, დამიკელი, გინდა თუ არაო, მიეძალა, — რო არ დავაკლო, დაგენაცვლე, აბრამასავით გამილანუნებ?! — დაედრიჯა ებრაელი.

ამის თქმა იყო და ფართლელთი მოვაჭრე ლაჯებში ამოიდა. ერთი-ორი წუთი რომ დაცელიათ, უდროო დროს მოინახულებდა საჩოხე ნაჭრით მოვაჭრე აბრამას, მაგრამ ეტაკნენ, ხელიდან გამონწკნეს, უფრო გამოგლიჯეს.

პეტრე მესხმა ქუთაისში ცხოვრებაზეც აიცრუა გული. მეუღლესთან — მარიამთან ხშირად ჩიოდა, მგონია, ყველა ეჭ-

ვის თვალთ მიყურებს, უფულობას რა ვუთხარი, თორემ სულაც მივატოვებდი აქაურობასო.

ქალაქში ხმა გავარდა — ვილაც დიდი კაცია ჩამოსული, თადარიგში მყოფ სამხედრო პირებს ხივის ხანსა და ბუხარის ემირთან სამსახურს სთავაზობსო.

პეტრე მესხის ყურამდეც მიაღწია ამ ამბავმა. გაუხარდა კი არა, ღმერთისგან გამოგზავნილად ჩათვალა ის ვილაც დიდი კაცი, რომელსაც ბულვარში შეხვდა. ჩამოსულს მკერდი წმინდა გიორგის ყველა ხარისხის ბანტიანი და უბანტო ჯვარ-ორდენებით დაემშვენებინა, ეცვა უნტერ-ოფიცრის ფორმა და ისე დაიჯგიმებოდა, ხელმწიფე თუ არა, მისი მარჯვენა ხელი მაინც გვეგონებოდა.

ანდრია სკრიპკა ვარო — განუცხადა პეტრე მესხს უცნობმა და ორ ვინმესთან — დიდ მთავარსა და ხივის ხანთან — სამსახურში ჩადგომას დაპირდა. პეტრემ სახარჯოდ 100 მანეთი ჩაიჯობა და მორჩილი კრავივით გაჰყვა უცნობსა და დიდ კაცს.

მარიამსაც აღარ ახსოვდა, ზუსტად რამდენ დღეში მიიღო ქმრისაგან წერილი, რომელშიც ეწერა — მე უკვე ტაშკენტში ვარ, 1 მაისს საზღვარგარეთ მივემგზავრები და შემდეგ მთელ ზაფხულს სამკურნალო წყლებზე გავატარებო.

ამის მერე პეტრე მესხის ალიკვალაც სკრიპკასავით გაქრა. რომანოზ ფირცხალავამ სამართალდამცავებს უთხრა: ბიძაჩემი, მილიციის პრაპორშიკი პეტრე მესხი, ქუთაისიდან ანდრია სკრიპკამ წამოიყვანა სამუშაოს დაპირებით და მერე სადღაც დაიკარგაო.

* * *

ლენქორანში ჰაჯი მამუდს ემსახურებოდა მე-10 გრენადერთა სამეგრელოს პოლკის სამსახურს გარეშე ფელდფებელი, რომელმაც ზინოვიევის გვარი დაირქვა, მისი პასპორტი იშოვა და თავის ნამდვილ ვინაობას არც თვითონ ამხელდა, არც სხვამ იცოდა, არაფერ ეკითხებოდა, რა ერქვა, რა გვარისა იყო ან მამამისს რა შეარქვეს ნათლობისას. თვითონაც არასდროს არაფერი უთქვამს, პირიქით, ზინოვიევი გახლავართო, გაიძახოდა.

ზინოვიევი სკრიპკა წაიყვანა სამსახურში ჩასადგომად, სკრიპკამ მესხი...

ზინოვიევამდე, ზინოვიევი ტიმენკო იყო გვარად და სახელად ივანე ერქვა. ივანე ტიმენკო და მისი ცოლშვილი თუქურმიშაში ცხოვრობდნენ. უჭირდათ, თავს ვერ ირჩენდნენ, ვილაცამ უთხრა ივანეს — ბაქოსა და თბილისში თადარიგის ჯარისკაცებს, მითუმეტეს შენაირებს — წმინდა გიორგის ყველა ხარისხის ორდენის კავალერებს ასაქმებნო, და ივანემაც აქეთ გამოსწია.

თბილისში მისნაირები, ანუ საშოვრისთვის მომთაბარეები, ბლომად იყვნენ. ესეც მიემატა. დიდუბეში, ვილაც ვაჭარი ადრე სარაიად რომ ხმარობდა, ფიცრულში დასახლდა. შრომას არ თაკილობდა, ხან გასამრჯელოს აძლევდნენ, ხან არაყს (ღვინო არ უყვარდა) ასმევდნენ და ისიც პირნათლად აკეთებდა საღურგლო თუ საკურტნო საქმეებს.

წმინდა გიორგის ორდენებით მკერდდამშვენებულ, კურტნის მორეველ ივანე ტიმენკოს ქალაქის ყველა უბანში ნახავდით, ორდენ-მედლების ჟღრიალ-ჟღარუნით მიათრევდა ტვირთს. ბოლო თვეებში პრეტენზიული გახდა, ცოტაზე უარობდა, ბევრს ითხოვდა გასამრჯელოდ, ზოგი აძლევდა, ზოგი წაუთაქებდა. დარცხენილი და თვალბანყლიანებული ივანეს ჩივილიც ბევრს მოუსმენია: მალე მნახავთ დიდ მთავართან გაჯგიმულს, მერე გაიგებთ, ვინ ყოფილა ტიმენკო ივანე.

ეცინებოდათ. სერიოზულად არავინ აღიქვამდა მის დანაქადებს, მეტიც, ჯვარ-მედლებ-ორდენების ნაქურდალ-წამამაძალარი ეგონათ.

თბილისში ჩამოსულ დიდ კაცთან შეხვედრის მერე აფორიაქდა. კიდეც უნდოდა, კიდეც არ უნდოდა შეჩვეული ბუნავის მიტოვება, მაგრამ იმდენად მომხიბვლელი და მომწუსხველი იყო შეთავაზებული სამსახური, მაინც დაყაბულდა. ერთ თვეში მოგახსენებთ პასუხსო, შეკადრა დიდ კაცს და ათ დღეში მიაკითხა. ეს ათი დღეც საუკუნესავით გაიწელა. ღამით და-

იძინებდა, რამდენიმე წუთში გაიღვიძებდა, მერე კაი ხანს ვე-
ლარ მოხუჭავდა თვალს, როდის-როდის ჩაიძინებდა და ისევ
გამოაღვიძებდა რალაც, ეგონა, ორი დღელამე გადაბმულად
ეძინა, სინამდვილეში რამდენიმე წუთი ჩათვლიდა.

ნალოდინევე ათ დღეში, ყოველ დღით, სახლის წინ რამდე-
ნიმე ზღარბი ხვდებოდა ჩამწკრივებული. პირველ დღიას,
კარგად ახსოვს, ოთხი იყო, მერე ერთით ან ორით იმატებდ-
ნენ. ბილიკივით სიგრძეზე გამწკრივებულ ზღარბთა ქარავანი
არასდროს ენახა. ჯერ ფრთხილად აიყვანდა ხელში, მერე
ბარს ან ნიჩაბს ჩააჭერდა, ძალას ხარჯავდა, ზღარბი ისევ
გაზღარბული ევდო. ერთხელ მჩხვლეტავ ეკლებზე ცეცხლის
წაკიდებაც სცადა, მაგრამ უშედეგოდ. სხვა რალა დარჩენოდა,
გოდორში ჩაყრიდა და ფიცრულიდან საკმაო მოშორებით გა-
დაუშვებდა. მეორე დღით უფრო მეტი ხვდებოდა და წასე-
ლამდე, ანუ ბოლო ათი დღე ასე გრძელდებოდა.

უკვირდა ივანე ტიმენკოს ზღარბების გამოჩენა და მოძა-
ლებმა, მაგრამ ვერაფრით აეხსნა მომხდარი.

ათი დღეც მიილია და სამსახურში ჩაყენების დამპირებელ
კაცს ისე გაჰყვა, მისი არც სახელი, არც გვარი იცოდა. თუმცა
უფრო მართლები ვიქნებით თუ ვიტყვით, ისე დიდკაცურად
ეცვა, იმდენი ჯვარი, ორდენი და მედალი აეხორხლა ფართო
მკერდზე და იმნაირი მედიდური ტონით ლაპარაკობდა, ივანემ
კითხვა ვერ შეკადრა, იმას კიდევ უცნობად დარჩენა უჯობდა.

უცნობმა წაიყვანა ტიმენკო, ტიმენკომ — ზინოვიევი, ზი-
ნოვიევი — სკრიპკა, სკრიპკამ — მესხი...

მერე გაიკვია, ის უცნობი ერთ დროს პოპოვიჩი ყოფილა
გვარად და დონის როსტოვში პოლიციელობდა თურმე. დანაშა-
ული ჩაუდენია და გაუციმბირებიათ. გაციმბირებაც არ ყოფილა
მილიციულ პოპოვიჩისთვის უცხო — ადრეც ქურდობისთვის
ყოფილა ამ მხარეში გასახლებული, მაგრამ პირველად და მეო-
რედაც გამოქცეულა. პირველად გამოქცევის მერე, ვთქვით,
დონის როსტოვში მილიციელობდა, მეორე გამოქცევისას ციმ-
ბირშივე დურგლობდა, მერე იქაურ რკინიგზაზე მოიჯარადრე-
ობდა, ციმბირიდან წამოსული ერთხანს სამარაში, ასტრახანსა
და მერე ლენქორანში ცხოვრობდა — აქ, ესეც ვთქვით უკვე,
თადარიგის ოფიცერ ჰაჯი-მამუდს ემსახურებოდა.

გამოძიებას არ დაუდგენია, რა გვარ-სახელით საქმიანობ-
და უცნობი კაცი ამა თუ იმ ქალაქში. ის კი გაარკვიეს, რომ იგი
ანდრია სკრიპკას გვარსახელით 1896 წელს ასტრახანის სახა-
ზინო თევზის სამრეწველო განყოფილებაში შესულა, მაგრამ
ოთხ თვეში დაუთხოვიათ, გამოგდების მერე ნიჟეგოროდის
საერობო გამგეობაში გაზეთებს დაატარებდა, შემდეგ სამა-
რაში გოროდოვოიც ყოფილა. ჟამსა გოროდოვოებისასა თბი-
ლისის სახაზინო პალატისთვის თხოვნა უფრენია — ანდრია
სკრიპკას პენსია სამარის საფუბერნიო ხაზინაში გამომიგზავ-
ნეთო. აქედან ეს პენსია ოდესაში, ხოლო იქიდან რაჭის მაზ-
რის ონის სამაზრო ხაზინაში გადაუტანია.

„ცნობის ფურცელში“ ისიც წერია, ონში ჩამობრძანდა და
სამსახურში ჩაირიცხაო, აქაური მოხელეებისთვის უთქვამს
— პეტერბურგში ერთ საპატიო პირთან ვარ მინვეული, თვეში
75 მანეთს მაძლევსო, და ათესილა.

თხამ შეჭამა ვენახივით, კიდევ ერთხელ გავიმეოროთ და
გავხსნათ ფრჩხილები — უცნობმა წაიყვანა ტიმენკო, ტიმენ-
კომ ზინოვიევი, ზინოვიევი — სკრიპკა, სკრიპკამ მესხი. ერთი
გვარი კიდევ ვიცით უცნობისა — პოპოვიჩი. თვითონ უცნობი
ეკატერინოსლავის უცნობის პავლოდარის მაზრის მცხოვ-
რები თედორე ვასილის ძე ზინუტა გახლდათ.

თედორე ზინუტა ოდესაში იმ დროს დაიჭირეს, როცა ანდრია
სკრიპკა გახლდათ. 1901 წელს ჩასულა ამ ქალაქში, დასახლებუ-
ლა კრივოი ქუჩაზე და სახლის პატრონისთვის: ანდრია სტეფა-
ნეს ძე სკრიპკა გახლავართ, მე-10 გრენადერთა სამეგრელოს
პოლკის თადარიგის ფელდფებელი, უჩვენებია პასპორტი.

რამდენიმე დღეში მკერდზე წმ. გიორგის ოთხივე ხარის-
ხის ჯვარი და სამი მედალი ჩამოუკონწიალებია და ოდესის

პოლიციისათვის მიუკითხავს — ანდრია სკრიპკა ვარ, ამა და
ამ პოლკის თადარიგის ფელდფებელი და სამსახურში მიმიღე-
თო. იმათაც, ამოდენა დამსახურების კაცი, იმწამსვე, ვაკანსი-
ის გამოჩენამდე, სამსახურს გარეშე მოხელედ აუყვანიათ.

როგორც ვთქვით, ეს მოხდა 1901 წელს. ამავე წლის 7 ნოემ-
ბერს ოდესის ბოქაულს მოქალაქე ხაჟინსკიმ უთხრა — სკრიპ-
კა ის კაცია, დონის როსტოვში პოპოვიჩის გვარით რომ პოლი-
ციელობდა და ქურდობისთვის ციმბირში გადასახლებულსო.

მოქალაქე ხაჟინსკიმ საიდან იცოდა სკრიპკას ზინუტობა,
არ ვიცით. დაიჭირეს სკრიპკა, სინამდვილეში ზინუტა, რომ-
ლის ბინაში ჩხრეკისას აღმოჩნდა ნივთები და საბუთები,
ჯვრები, ორდენები და მედლები, რომელთა ერთი ნაწილიც
სკრიპკას, მეორე — ტიმენკოს, მესამე მესხს ეკუთვნოდა.

საიდან ესენიო, — უკითხავთ.
საიდან და, უთქვამს სკრიპკას, თანაც დაჟინებით, ლენქო-
რანში ჰაჯი-მამუდს ვემსახურებოდი, რომელმაც შემომთავა-
ზა თბილისიდან მომეწვია ტიმენკო და სკრიპკაო. ერთ დღეს
ჰაჯიმ ერთ მიყრუებულ სოფელში წაგვიყვანა, სადაც სპარსე-
თიდან კონტრაბანდული საქონლის შემოტანა შემოგვთავაზა.
ავაზაკთა ბრბოში მონაწილეობა არ მსურდა, გავიტაცე ტი-
მენკოსა და სკრიპკას ფუთები და წავედიო.

რაც შეეხება მესხს, ქუთაისიდან ხივის ხანთან სამსახურში
ჩადგომის განზრახვით ჩამოვიყვანე, მაგრამ იალტაში რომ მო-
ვედით, სადაც ტამკენტი წასასვლელი საბუთები უნდა მიგვე-
ლო, შეგვხვდა ერთი ჩეჩენი, რომელიც ჰაჯი-მამუდის გამოი-
სობით ვიცნობდი და რომელიც სპარსეთში მოთარეშე ავაზაკთა
ბრბოში ირიცხებოდა. როცა მივხვდი, ამ ჩეჩენს უნდა გადმოეცა
საბუთები, დავტაცე პეტრე მესხის ფუთასა და ჩემოდანს ხელი
და გავიქციე, ოდესაში დავსახლდი, მესხის გვარით და სახელით
არსად მიცხოვრია და არც არაფერი გამიკეთებიაო.

ზღაპარს ჰგავდა თედორე ზინუტას მონათხრობი.

მერე მომხდარი სულაც აღარ იყო ზღაპარი — კონსტან-
ტინოპოლიდან ოდესის საოლქო სასამართლომ წერილი მიი-
ღო, ანდრია სკრიპკა, ივანე ტიმენკო, თედორე ზინოვიევი და
პეტრე მესხი აწერდნენ ხელს — აქ ვართ, ცოცხლებიც გახლავ-
ართ და მშვენივრადაც ვცხოვრობთ, მაგ პატიოსან კაცს
ტყუილად ნუ აწვალებთო.

შეამონმეს — არც ერთი, არც მეორე, არც მესამე, არც მე-
ოთხე იყვნენ კონსტანტინოპოლსა შინა. გაარკვიეს, ზინუტას
დაენერა მათი სახელით წერილი.

ამასობაში ტიმენკოს, სკრიპკასა და მესხის მეუღლეებმა
მიმართეს სასამართლოს. პირველმა ორმა ამოიცინო დაჭერი-
ლი, — ამან წაიყვანა ჩვენი ქმრებიო. ოდესელ მსაჯულებსაც
მეტი რა უნდოდათ — ბრალდებაში ეჭვმიტანილის ამომცნო-
ბი ხალხი თბილისში ცხოვრობს და უმჯობესია, თბილისის სა-
სამართლო პალატამ განიხილოს საქმეო.

განიხილა — ციმბირში თხუთმეტწლიანი კატორდა მიესა-
ჯა თედორე ზინუტას. ალბათ, სულაც არ გაკვირვებია, პირ-
ველად კი არ გზავნიდნენ იქით, ზოგიერთისთვის მოუსავლე-
თი, ამისთვის გასასეირნებელი მხარე რომ ერქვა.

მიდიოდა ზინუტა და ფიქრობდა — ჩემი სიკვდილი არ შე-
იძლება, შეუძლებელია სიკვდილით დასჯა გამომიტანონ. მა-
შინ ხომ სკრიპკასაც, ტიმენკოსაც, მესხსაც, პოპოვიჩსაც და
კიდევ სხვებსაც შევხვდები და მერე იკითხე სამსჯავროო.

მოდი და ამის შემდეგ მხატვრის ნიჭით დაჯილდოებული,
ნამდვილი სოლომონ ამორდიასა და გამაგონილი კვაჭი კვა-
ჭანტირაძის ოინები და თალღითობანი გაგვიკვირდეს.

ესენი უცოდველები, ზინუტა ... იმ სიტყვის დაწერაც შეძ-
ნელემა.

მიჰყავდა ხალხი, სამსახურში ჩაგაყენებო, იმათ პენსიას
რომ იჯიბავდა, ცინიზმია, მაგრამ იმასთან შედარებით, რასაც
აკეთებდა, ესეც უცოდველობაა.

ივანე ტიმენკოს მეუღლე თვალცრემლიანი დაბრუნდა შინ.
ზღარბების ქარავანი ძველებურად, ფიცრულის წინ, ბი-
ლიკივით განოლილიყო.

როსტომ ჩხეიძე

ქველი სიბუღას საიდუმლოება

V

ძმები ჩუხუბები რომ გამოემშვიდებოდნენ ზვიად გამსახურდიას, კარლო ლურწკაიას სახლს თავშეფარებულს — ზაური 20 წუთის განმავლობაში განმარტოებით ესაუბრებოდა მას — პრეზიდენტი ადგებოდა, მივიდოდა შიდა კიბესთან და დაუძახებდათ: — ჩაი მომიტანეთ!..

ჰოი, რას გაიხარებდნენ, თავს რომ მთლად კარგად ვერ გრძნობდა, გამოჯანმრთელებულა და ეგააო. მხნედ გამოიყურებოდა და გამოყოჩალებას სიტყვითაც დაადასტურებდა:

— ამ საღამოს კარგად დაისვენეთ, ხვალ დიდი გზა გველის. ბაჩუკი გვანცელაძეს არასოდეს ამოემღებოდა მეხსიერებიდან ეს წუთი და ეს სურათი და ნიშანდობლივად შექმლო აღედგინა, რომ პრეზიდენტს ეცვა კოსტიუმის შარვალი, მის შიგნით კი თბილი სპორტული შარვალი, ზემოდან — მონაცრისფრო პერანგი წვრილი მოთეთრო ფერის ზოლებით, მასზე კი გადაეცვა მუქი ლურჯი ფერის პულოვერი. ფეხთ ეცვა შავი, ქუსლიანი ფეხსაცმელი.

ამის შემდეგ შევიდოდა თავის ოთახში და მოისვენებდა. ეს იყო უკანასკნელი სიტყვები, რასაც მისგან გაიგონებდნენ. ამ საღამოს კარგად დაისვენეთ, ხვალ დიდი გზა გველის... ბაჩუკი და რობინზონი გაუხდელად წამოწვევდნენ თავიანთ ოთახში.

მათ და პრეზიდენტის ოთახებს შორის ფარდა გადაწეული იყო და დაცვის უფროსი ხედავდა პრეზიდენტსა და ბესარიონ გუგუშვილს ნელს ქვევით. ბაჩუკი ვერ ხედავდა.

პრეზიდენტს გვერდით ედგა სკამი, რომელზეც იდო ლამფა. ეს ორნი, აქეთ, საუბარს გააბამდნენ.

და მოესმოდათ პრეზიდენტის ჩახველება, რაც მიანიშნებდათ, რომ ხელს უშლიდნენ დაძინებაში. და ესენიც მამინვე ხმას გაკმენდნენ.

კარლო ლურწკაიას სახლს თავშეფარებულსო... ამასაც თუ თავშეფარება ეთქმოდა!..

ბაჩუკი ძილ-ბურანში იქნებოდა, როდესაც გაიგონებდა სროლისმავგარ მჭახე ხმას. სასწრაფოდ წამოხტებოდა და დაინწყებდა თასშიანი ბათინკების შეკვრას. და ამ დროს დაინახავდა, რომ რობინზონი უკვე ფეხზე იდგა, მათი ოთახის კარს კი ბესარიონი მოსდგომოდა და... კიდევ ეტყოდათ:

— მგონი პრეზიდენტი ცუდად არის.

პრეზიდენტის ოთახში პირველი რობინზონი შეაბიჯებდა და ბაჩუკიც მიჰყვებოდა.

ზვიად გამსახურდია თავის ადგილას იწვა, ოღონდ ოდნავ მაღლა წამოწეული, თავი და ტანის კორპუსი მარცხენა მხარეს გადაქანებოდა, მარჯვენა ხელი მუცლის არესთან ცოტა ქვემოთ ჰქონდა დადებული და პისტოლეტი „სტეჩკინი“ ეკავა. მარჯვენა მხარეს საფეთქელთან ეტყობოდა ნატყვიარი და იქიდან გადმოსდიოდა სისხლი.

ფეხები გამართული ჰქონდა სანოლის გასწვრივ. ფეხსაცმელი არ ეცვა.

ნატყვიარის გარშემო ადგილი გაშავებოდა და მის ახლოს თმაც შესამჩნევად შეტრუსვოდა.

და არ ეტყობოდა სიცოცხლის არავითარ ნიშანწყალი.

ბაჩუკი ერთბაშად დაკარგავდა წონასწორობას და ერთადერთი განცდა, რაც მთელი არსებით შეიპყრობდა, იქნებოდა

თვითმკვლელობის მძაფრი სურვილი — თვითონაც რაღად უნდოდა თავი ცოცხალი, თუ ის პიროვნება, ვისი დაცვა ევალებოდა ოფიციალურადაც და, რაც მთავარია, შინაგანი მოთხოვნით, შუბლგახვრეტილი იწვა... ამხელა ცოდვა და ტკივილი როგორ უნდა ეზიდა, როგორ შეეხედა თვალეში თანამედროვეთა თუ შთამომავლობისათვის, სხვა რომც არაფერი, საკუთარი თავისათვის როგორ გაესწორებინა მზერა!.. ერთადერთ გამოსავლად ესლა რჩებოდა, წამუსწრაფესად გადაწყვეტილი.

და კიდევ შევარდებოდა თავის ოთახში, დასტაცებდა ხელს ავტომატს, მიირბენდა პრეზიდენტის ცხედართან ახლოს, ჩაიმუხლავდა, ავტომატის ლულას ნიკაპის ქვემოთ მიიღებდა და... ის-ის იყო თითი უნდა დაეჭირა სასხლეტისათვის, რომ...

ბესარიონ გუგუშვილი შეაჩერებდა:

— ეს არ გააკეთო, იტყვიან, ჯერ პრეზიდენტი მოკლა და მერე თავი მოიკლაო...

ეს სიტყვები ერთბაშად გამოაფხიზლებდა და გონს მოიყვანდა... კიდევ კარგი, მიწვდა მის ყურთასმენასაც და გონებასაც, თორემ...

ჯერ პრეზიდენტი მოკლაო...

ეროვნულ მოძრაობაში 1988 წელს ჩაებმოდა, ქუთაისში, ილია მართლის საზოგადოებაშიც რომ განვერიანდებოდა და ყველა საპროტესტო აქციაშიც მიიღებდა მონაწილეობას. 1991 წლის 22 დეკემბრის შეტევას მთავრობის სასახლეზე კრიმინალური ოპოზიციის მიერ შეიარაღებული გამოსვლების დაწყებამ რომ მოიხსენიებდა, მძაფრად ჩარჩებოდა ხსოვნაში, თუ როგორ მოხვდა მათ მიერ დაშენილი ტყვიები პრეზიდენტის კაბინეტის ფანჯრებს.

— საბედნიეროდ, იმ დროს პრეზიდენტი კაბინეტში არ იმყოფებოდა.

სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით ზვიად გამსახურდია თბილისს რომ დატოვებდა და ავტომანქანების კოლონა გავიდოდა უზენაესი საბჭოს შენობიდან, მაშინ იყო, „თათრის მოედანთან“ ამათ, „იკარუსს“ ცეცხლს რომ გაუხსნიდნენ და თანამებრძოლებს ჩაუხოცავდნენ. იქ დაიჭრებოდა გურამ აბსანძეც. და აზერბაიჯანის პრეზიდენტი რომ ურჩევდა ზვიადს, აქ ვერ დაგიცავო, და დევნილები სომხეთის ტერიტორიაზე გადინაცვლებდნენ, იქ კი დართავდნენ ნებას იჯევანში ცხოვრებისა, მაგრამ...

— იქ დავეყავით ერთი კვირა ბლოკადაში და შეუძლებელი გახდა იქ ცხოვრება, სომხები ყველანაირად გვაიძულებდნენ დაგვეტოვებინა მათი ტერიტორია.

და ამის შემხედვარე პრეზიდენტი ჩენეთში რომ გაგზავნიდა დათო გოგაძეს, კიდევ ხომ გამოუგზავნიდა ჯოჰარ დუდაევი თვითმფრინავს.

ფრენისას გზაში აედევნებოდათ ორი „სუს“ ტიპის გამანადგურებელი, რომლებიც მოითხოვდნენ: დაგვემორჩილეთ და გამოგყვით დასაჯდომად ჩვენს მიერ მითითებულ ადგილებზეო.

ზაურ ბეღია არ დაემორჩილებოდა და თვითმფრინავს ჩამოიყვანდა ძალიან დაბლა, ისე, რომ რადარებს არ დაეფიქსირებინათ, და ასე გააღწევდნენ სამშვიდობოს.

ბაჩუკი გვანცელაძეც, რობინზონ მარგველანიც, გოჩა კეკელიძეც და დაცვის დანარჩენი ბიჭებიც მეორე დღეს კვლავ ზაურ ბედიას მემკვიდრეობით გადმოფრინდებოდნენ სოსუმში, იმ ღამეს იქ დარჩებოდნენ და მეორე დღეს კი განაწილდებოდნენ — ზოგი სოსუმში დარჩებოდა და ზოგიც ზუგდიდს მიაშურებდა.

— ამრიგად, ჩამოვყავალიბეთ წინააღმდეგობის ფრონტი.

ბაჩუკი ზუგდიდს აირჩევდა თავის სამოქმედოდ, იქიდან ოჯახის სანახავად ქუთაისს რომ ჩააკითხავდა და დილის შვიდ საათზე შინ დააკავებდნენ ომონელები. ბრალად წაუყენებდნენ კომენდანტის საათის დარღვევას და ვერტმფრენით გადმოფრინდნენ თბილისში. 20-25 დღე იქნებოდა დაკავებული. პოლიციის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობა შესთავაზებდა, გამოსულიყო ტელევიზიით და განეცხადებინა, აღარ ვარ პრეზიდენტის გვერდითო. და საზოგადოებისათვის მოენოღებინა: დაანებეთ თავი ყოველგვარ წინააღმდეგობასო.

* გაგრძელება. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №7,8

ეს ამ შეთავაზებას არ დაყაბულდებოდა. გაათავისუფლებდნენ თუ არა, მეორე დღესვე ესტუმრებოდა ვაჟა ჭინჭარაული და ეტყობდა; სასწრაფოდ გაემგზავრე გროზნოში პრეზიდენტთანო.

ესეც აღარ დაუხანებდა და... — მას შემდეგ პრეზიდენტს აღარ მოვშორებივარ. მის თვალწინაც ჩაივლიდა, თუ როგორ ხვდებოდა იქ ზვიად გამსახურდია სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკოსებსა და ჟურნალისტებს. ჩამოდიოდნენ უზენაესი საბჭოს დეპუტატებიც და წამდაუნუმ ახსენებდნენ, რომ საჭირო იყო მისი ჩამოსვლა საქართველოში.

ახსენებდნენ თუ... აქეზებდნენ? თორემ ზვიად გამსახურდიას ვისი რა შეხსენება სჭირდებოდა.

ეგაა, თუ დაბრუნდებოდა, კიდევ ბოლომდე წარმატებით უნდა მიეყვანა დაწყებული საქმე — დაეწყო და დაესრულებინა ელვისებური შეტევით, თორემ თუ გაჭინჭრდებოდა ბრძოლა, მერე გამარჯვების იმედი ნაკლებად უნდა ჰქონოდა.

და უზენაესი საბჭოს დადგენილებების შემდეგ ბესარიონ გუგუშვილს რომ გამოგზავნიდა ვითარების შესასწავლად და ბაჩუკი გვანცელაძესა და გოჩა კეკელიძეს გამოაყოლებდა, და ის კი მრავალათასიან მიტინგზე მოსახლეობას ერთსულოვნებისა და კანონიერი ხელისუფლების მხარდაჭერისაკენ მოუწოდებდა, მაშინაცა და მერეც პრეზიდენტს რადიოგადამცემით მოახსენებდა: არ არის ვითარება მომწიფებული თქვენს დასაბრუნებლადო.

მაგრამ... 24 სექტემბერს მოულოდნელობის წინაშე უნდა დაეყენებინა ისინიც და ყველაც, ვისაც ზვიად გამსახურდიას ჩამოსვლა ზუგდიდში ნაადრევად მიაჩნდა.

თუმცა როდესაც წილი უკვე ნაყარია!.. მიტინგზე ხალხს ერთობისა და ხუნტის დასამხობად ბრძოლისაკენ რომ მოუწოდებდა, აფხაზეთის მხარეს მიაშურებდა, ქალაქ ოჩამჩირეს, მეზობლ თვისტომებთან შესახვედრად და... მათ შორის, მხედრობისთანაც მოუწევდა შეხვედრა.

— ყველა ოვაციით ხვდებოდა კანონიერ ხელისუფალს. პრეზიდენტი მათ შესთავაზებდათ, დაქვემდებარებოდნენ გვარდიის მეთაურ გურამ ლაკიას და გაეხსნათ გზა ევაკუირებული მოსახლეობისათვის, რათა ისინი წამოსულიყვნენ სამეგრელოსაკენ და არა სვანეთის მთებისკენ.

ისინი კი დათანხმდებოდნენ ამ შეთავაზებას, მაგრამ... აფხაზეთის დაცემის შემდეგ პრეზიდენტთან ერთად სამეგრელოს ყველა ქალაქს რომ მოივლიდა და სამტრედიამდე ჩავიდოდნენ, ბაჩუკის ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა: შეგვეძლო შეტევა განგვეხორციელებინა და ნავსულიყავით თბილისამდეო. მაგრამ...

— რატომღაც ჩვენი ძალები გაჩერდა სამტრედიასთან 3 დღე-ღამის განმავლობაში.

მერე აკი რუსეთის ფლოტის სარდალი გადმოსხამდა დესანტს ფოთში...

კრემლი ამჯერად აღარ ამოეფარებოდა ქართველი ინტელიგენციის სახელს და ახდლად ჩაებმოდა ჩვენი ეროვნული ხელისუფლების განადგურების პროცესში, ზვიად გამსახურდიასაც საბოლოო განაჩენს რომ გამოუტანდა.

და ერთმანეთის მიყოლებით დაიკარგებოდა დაბრუნებული ქალაქები...

და აფხაზეთში თავშეფარებულ ზვიად გამსახურდიას იქაც არ დააყენებდნენ, უფრო სწორად, თავშესაფარსა და ძალაუფლების აღდგენასაც შეპირდებოდნენ, ეგაა... რის საფასურად!.. ასეთი განერვიულებული პრეზიდენტი არ ახსოვდათ მისი დაცვის ნევრებს.

რალა რჩებოდა? გასულიყო ტყეში და იქიდან გაენია წინააღმდეგობა ხუნტისათვის.

რობინზონ მარგველანი პრეზიდენტს შესთავაზებდა სვანეთში ასვლას. იმედოვნებდა, იქ ჯოჰარ დუდაევი გამოავაზენის ვერტიკალს და ჩეჩნეთში გადაგვაფრენსო.

— არა, — მტკიცედ განაცხადებდა პრეზიდენტი, რათა ასეთი გეგმა აღარასოდეს შეეთავაზებინათ, — არ დაგბრუნდები ჩეჩნეთში.

— აბა, მაშ?... — პარტიზანულ ბრძოლებს გავმართავ.

— და... როდემდე?.. — ან აღვადგენ კანონიერებას, ან მოვკვდები საქართველოში.

კანონიერების აღდგენას ჯერჯერობით სასიკეთო პირი არ უჩანდა, ლამის ოცნებაშიც აღარ იხატებოდა საიმედო სურათები, მაგრამ როდესაც ბედისწერას ჩადგომიხარ კრიჭამი?!. ან... ან...

ზურგსუკან რჩებოდა გაუსაძლისი, ხიფათით სავსე დღეები, რომელთა მსგავსი თითქოს წინაც ჩასაფრებოდათ, თუკი სამზეოზე ყოფნას დააცდიდნენ; და ჯონსონ კვარაცხელიას სახლში თავს გამოიდებდა პრეზიდენტი, სუფრას რომ უთამაშებდა. ლეინოს კი ცოტას მოსვამდა. თავს ცუდად იგრძნობდა, მუცელიც ასტივდებოდა და დასცდებოდა:

— მგონი, მომწამლეს... ვის ან როდის უნდა მოენამლა?

იმ სახლში იყო, რომ დაინტერესდებოდა, თან „სტეჩკინს“ ატრიალებდა ხელში:

— როგორ უნდა გავისროლო ერთჯერადად და როგორ — ავტომატური ჯერით?

აუხსნიდნენ: ასე უნდა და ასეო... აფხაზეთიდან გადმოსვლის მერე პისტოლეტს თან რომ ატარებდა, დაცვის ნევრები რამდენჯერმე სთხოვდნენ:

— თქვენ რად გინდათ, ჩვენ მოგვეცით. შორს დაიჭერდა ამ თხოვნას პრეზიდენტი:

— თავდასხმა რომ მოხდეს, თქვენთან ხომ არ მოვალ პისტოლეტის სათხოვნელად?!

„სტეჩკინი“ საიდან ჰქონდა? გია გულუასთვის აერთმიათ დაპატიმრებისას და პრეზიდენტისათვის ეჩუქებინათ.

რევოლვერიც რომ ჰქონდა? კიდევ აღმოჩნდებოდა მისი ტრაგიკული აღსასრულის მერე მის ჩანთაში.

ჯონსონის სახლში ზვიად გამსახურდია და ბაჩუკი გვანცელაძე მარტონი რომ დარჩებოდნენ ოთახში, ის უეცრად ეტყობდა:

— მოდი და მესროლე... მერე თქვი, თითქოს გაგივარდა.

ეს... გაოგნდებოდა: — რას ამბობთ, ბატონო ზვიად, ჩვენ ან ერთად ნავალთ აქედან, ან ერთად დავიხორცებით.

ის... ხელს ჩაიქნევდა: — ჰო! ჰო! შენ მაინც ვერ გაიგებ ამას.

და ლოგინზე წამოწვებოდა. მეორე დღეს კი, ყველა ერთად რომ მოიყრიდა თავს, ზვიად გამსახურდია ისე მიმოავლებდა მზერას ყველას სახეზე, მიხვდებოდნენ, რალაც მნიშვნელოვანის თქმას აპირებდნენ:


— მე ყველაფერი ვნახე ამქვეყანაზე, თქვენ კი ახალგაზრდები ხართ, მთელი ცხოვრება წინ გაქვთ, შეგიძლიათ დამტოვოთ და ნახვიდეთ.

მაგრამ ყველა დაბეჯითებით მიუგებდა: — არასოდეს დაგტოვებთ.

„რა იყო, რატომ უნდა გაბზარულიყო ლამფის შუშა, კვარაცხელიას სახლიდან რომ მოვდიოდით?..“

ლურწკაიების სახლში ცოლ-ქმარი და მათი ვაჟი დახვდებოდათ. პრეზიდენტი არ მიეკარებოდა გაშლილ სუფრას და მოითხოვდა, საძინებელი ოთახი მაჩვენეთო.

შიდა კიბით ავიდოდნენ მეორე სართულზე. იქ ბაჩუკი და რობინზონი აარჩევდნენ ოთახს სახლის წინა მხარეს.



მხატვარი ვაჟა ორბელიძე

ოთახში ფანჯრები დახურული იყო დარაბებით და ხის გრძელი ურდულით, კარს კი თვითონვე ჩაკეტავდნენ ხის გრძელი ურდულით, რათა სახლში ვინმეს შემოღწევა შეუძლებელი ყოფილიყო.

კედელთან, ოთახის თითქმის შუაში იდგა ორადგილიანი სანოლი.

ზვიადი დანებობდა ფანჯრის მხარეს მდგარ სანოლზე, და მის გვერდით მოთავსდებოდა ბესარიონი.

პრეზიდენტი დარჩებოდა მაღლა, დანარჩენები კი პირველ სართულზე ჩამოვიდოდნენ და ივანშემებდნენ.

ლურწკაიების სახლში ყოფნისას ზვიად გამსახურდიას გარეთ გამოსვლა თუ უხდებოდა და მაინც რამდენჯერ გამოსულიყო?

ბაჩუკი თავს დადებდა: არცერთხელ.

არც მისი თანმხლებნი.

ბაჩუკის არ შეეძლო არ გაეხსენებინა, რომ პრეზიდენტს იქ რამდენჯერმე ფეხებსაც დაბანდა ცხელი წყლით.

ძმები ჩუხუები რომ ესტუმრებოდნენ მეორე დღეს, პრეზიდენტი ჰკითხავდათ:

— რატომ არ გადმოიყვანეთ ჩვენი ბიჭები?

ისინი... შეპირდებოდნენ. თითქოს აქამდე მოვალენი არ იყვნენ, მოეყვანათ.

ბესარიონი მათ ექიმის მოყვანას რომ სთხოვდათ, 29 დეკემბერს ძმები ჩუხუები მართლაც მიიყვანდნენ ვიღაც სოფლის ექიმს, ვინც ვერას გაუგებდა, თუ რა სჭირდა პრეზიდენტს, და იგი ძალიან გააგულისდებოდა და უსაყვედურებდა თავის თანმხლებთ:

— რატომ მოიყვანეთ ექიმი? მე არც ექიმი მჭირდება და არც წამალი.

ესენი კვლავ სთხოვდნენ ანატოლისა და ზაურს, ჩვენი ბიჭები მოიყვანეთო.

მიბჯენილი ჰქონდა ავტომატი ნიკაპქევმ ბაჩუკი გვანცულაძეს და სასხლეტზე დაჭერილი თითი კიდევ ერთ სხეულს გააცვივებდა ლურწკაიების ოჯახში, რომ არა პრემიერ-მინისტრის შეძახილი.

არა კმაროდა, პრეზიდენტს რომ ვერ გაუფრთხილდა, ვერა უშველა რა და... ახლა მისი მკვლელის სახელითაც შემორჩენოდა ისტორიას?

სისხლი გაეყინებოდა ძარღვებში ბაჩუკი გვანცულაძეს, გონს მოვიდოდა თუ არა, ამას რას ვჩადიოდით.

ამ დროს ქვემოდან ამოიჭრებოდა კარლო ლურწკაია.

ამოჭრა იმისი იყო, ზემოდან ყვირილი რომ მოესმოდა:

— კარლო ბიძია, პრეზიდენტმა თავი მოიკლა.

მანამდე ხმაური რომ მოესმოდათ მასაც და მის მეუღლესაც, იფიქრებდნენ, რალაც მძიმე საგანი დაეცა იატაკზე, შესაძლოა კარადაცო.

იქ ასულს კი საშინელი სურათი უნდა ეხილა.

სამივე კედელს თავს ურტყამდა და იმეორებდნენ: პრეზიდენტმა თავი მოიკლა!.. პრეზიდენტმა თავი მოიკლაო!..

ამას სთხოვდნენ ცხედრის გაპატიოსნებას.

კარლო ცუდად გახდებოდა, მაგრამ ძალ-ღონეს მოიკრებდა და მიუახლოვდებოდა ზვიად გამსახურდიას ცხედარს, რომელიც ინვა მარცხენა მხარეს, თავი ლოგინის თავთან მარცხენა მხრით ჰქონდა დადებული, მარჯვენა ხელი — გაშლილი, მარცხენა — გაშვრილი და ტანქვეშ ამოდებული. ეცვა კოსტიუმი, ფეხზე — მხოლოდ წინდები.

გასისხლიანებულიყო — ბალიში, ლეიბის ნაწილი, ლოგინი და იატაკი.

როდესაც ხელს მოავლებდა ცხედარს, ჯერაც თბილი დახვდებოდა. თავზე ხელს მოჰკიდებდა და იგრძნობდა, როგორ ჩაუვარდებოდა. კერძოდ, თავის ქალის უკანა, მარცხენა მხარეს დიდი დაზიანება აღენიშნებოდა, ძვალი გასტეხოდა.

„ეს გამოსასვლელი ხერხი უნდა იყოს“.

დაათვალიერებდა სახეს წინა მხრიდან. მარჯვენა საფეთქლის მიდამოსთან შეამჩნევდა დაზიანებას, მცირე ზომის ნახვრეტს.

გააპატიოსნებდა ცხედარს, როგორც შეძლებდა.

შემდეგ წავიდოდა ძმებ ჩუხუებთან და მოუყვებოდა ყველაფერს. ისინი ნამოყვებოდნენ.

ეს მთელ ღამეს ჩუმ ტირილში გაატარებდა.

„რალა ჩემს ოჯახში?! რალა ჩემს ოჯახში?!“

იარალისათვის თვალის არ მოუკრავს და იფიქრებდა: ამ სამიდან ერთ-ერთი აიღებდაო. კითხვით არავისთვის უკითხავს. ხელჩანთები კი ყველას ჰქონდა, მაგრამ მასთან არავინ არაფერს დატოვებდა, გარდა ზვიად გამსახურდიას ნაქონი წყლის მათარისა. ახსოვდა, რომ ოთახში პირველი შესვლისას ის განათებული იყო ერთი ლამფითა და ერთი სანთლით. გასროლილი მასრაც იქვე მოიქებნებოდა, თუმც იმ სამიდან რომელი აიღებდა, ეს ყურადღებას ვეღარ მიაქცევდა. ისინი ტყვიის გულასაც ეძებდნენ, მაგრამ გულა კი ვერ მოინახებოდა.

მისი მეუღლე ლუდმილა ლურწკაია-აბშილავა, გარდა მათარისა, სხვა ნივთებსაც დაასახელებდა, მათ სახლში ჯერაც რომ ინახებოდა: ბიბლია, ზვიად გამსახურდიას წერილებისა და ესეების კრებული, პრეზიდენტის პორტრეტიანი კათხა...

მისი სანოლის თავის დაფას ჯერაც ეტყობოდა ტყვიის კვალი.

ახლავა მოაღწევდნენ აქამდე გოჩა კეკენაძე და ზაზა ბურჯანაძე.

გულიკო ტიბუა რობინზონ მარგველანს ერთ სახლში რომ შეიყვანდა იმ 31 დეკემბერს, იქ ვალტერ შურლაია დახვდებოდა და ამცნობდა: პრეზიდენტს ჯიხაშკარში ვეძებდიო. რობინზონი ვეღარ გაიხსენებდა, იმხანად ლიაში იმყოფებოდნენ თუ ფახულანში, როდესაც ზვიად გამსახურდიას შეატყობინებდნენ: ვალტერ შურლაია გეძებთო. ის კი, გაგულისებული: — მაგ ნაძირალა გარენრის სახელი არ გამაგონოთ.

და ახლა რობინზონს როგორ არ გაკვირვებოდა ეს დაუმცხრალი ძებნა იმისი მხრიდან?! არადა, სიმართლის თქმას არ მონდომებდა, არ გაუმჟღავნებდა: ეჰ, დასრულდა ზვიადის სიცოცხლეო, — და ნაცვლად ამისა ეტყოდა:

— სამი-ოთხი დღეა, რაც ჩამოვშორდი, რაღაც საქმეზე ვი-
ყავი წასული და ახლა მეც იმას დავეძებ.

ის წერილს მიაწვდიდა:

— პრეზიდენტს გადაეცი.

ნებისყოფის დაძაბვა მოუხდებოდა რობინზონს, რომ იმას
არ ეგრძნო, თუ რამხელა ტრაგედია დატრიალებულიყო რამ-
დენიმე საათის წინათ.

ამასობაში ზაზა ბურჯანაძე და გოჩა კეკელიძეც გამოჩნ-
დებოდნენ და კიდევ გამოემშვიდობებოდა ვალტერს.

წერილში მაინც რა ეწერა?

რა და:

მე მობილიზაციას მოვახდენ, აფხაზეთისა და სამეგრე-
ლოს დამოუკიდებლობა გამოვაცხადოთ და ზვიადი დაჯდება
თბილისშიო.

ეს აზრი რობინზონს გურამ აბსანძისაგანაც ჩარჩენოდა
მეხსიერებაში, ილორში რომ განეცხადებინა.

და ახლა კიდევ...

ვალტერ შურლიაია კი მოგვიანებით დაბეჯითებით უმტიკი-
ცებდა ბელა შალვაშვილს:

— 31 დეკემბერს პრეზიდენტმა მე დამიბარა ერთი ნაცნო-
ბის პირით.

ხოლო რობინზონს მარგველანს ყისტს წაჰკრავდა: იმ დღეს
რობინზონი ლეონოსაც მიირთმევდა და არც მარხვას იცავდა.
პრეზიდენტის დალუპვის ამბავი კი დამიმალა: ავად არის და
ვერ შეგხვდებაო.

იქ კი, ყველაზე საიმედო თავშესაფრად შეგულებულ კარლო
ლურსკაიას სახლში ზაურ ჩუხუა ზურაბ გურუასაც მოიყვანდა.
31 დეკემბერს მთელი დღე გარემო არავინ გამოვიდოდა, მხოლოდ
გათენებამდე წავიდოდა ზაური ტრაქტორის მოსაყვანად. მანამ-
დე ფიქრობდნენ, ზვიადის ნეშტი გადაესვენებინათ წალენჯიხა-
ში და იქ დაეკრძალათ ჩვეულებრივი წესით, მაგრამ აზრს შეიც-
ვლიდნენ: მიცვალებულს ხელისუფლება წაგვართმევს, რასაც
შესაძლოა გაუთავალისწინებელი შედეგები მოჰყვესო.

ამიტომ გადაწყვიტეს:

დროებით დამალათ ტყეში.

და ეს ყოველივე ემცნოთ ოჯახისათვის გროზნოში.

დღებოდა 1994 წლის 1 იანვარი, როდესაც გვამს დაასვე-
ნებდნენ ტრაქტორზე, წინ რომ ჰქონდა მოთავსებული ძარა,
და გასწვდნენ ჯიხაშკარისაკენ, რათა ცოტა ხნით იქ, ციხის
მახლობლად დაესაფლავებინათ.

შეუვლიდნენ ჯონსონ კვარაცხელიას და ამცნობდნენ საქ-
მის ვითარებას. ცხედარს იქ დაასვენებდნენ, ფიცრებისაგან
სახელდახელოდ გაამზადებდნენ სასახლეს, მოიტანდნენ
ახალ ტანსაცმელს, გაპარსავდნენ გვამს და 2 იანვრის ღამით,
2-ის ნახევარზე დაკრძალავდნენ ჯიხას ციხის გვერდით, ტყე-
ში — ჯონსონის სახლიდან 30 მეტრში. ეს ადგილი იცოდნენ
ბესარიონ გუგუშვილმა და პრეზიდენტის დაცვის ბიჭებმა.

გამთენიისას ბაჩუკი გვანცელაძესა და ზაზა ბურჯანაძეს
გაგზავნიდნენ გროზნოში.

ჯიხაშკარში დარჩებოდნენ პრემიერ-მინისტრი, რობინ-
ზონ მარგველანი და გოჩა კეკელიძე და ღამეს გაათევდნენ
სხვადასხვა ოჯახში. მათ შორის, ერთ ღამეს — ვალიკო ზა-
რანდიასთან, რომლის ოჯახსაც მანამდე არ იცნობდნენ.

5 იანვარს რობინზონი რადიოთი მოისმენდა, რომ იმ ორს ჩა-
ელნია გროზნოში და ჩაეტანათ პრეზიდენტის დალუპვის ამბავი.

ამასობაში შეიტყობდნენ, რომ ხელისუფლება გულმოდგი-
ნედ დაეძებდა პრეზიდენტის ნეშტს, ამიტომაც ესენი გადაწყ-
ვეტდნენ, გამოეცვალათ მისი დაკრძალვის ადგილი.

უკვე გამზადებული იყო შესაფერისი სასახლეც.

ჯიხაშკარელები ამცნობდნენ: ვალიკო ზარანდიას სახლის
მახლობლად ბუნებრივი გამოქვაბულია და შესაძლებელია
ნეშტის იქ გადასვენება დროებითო. 8 თუ 9 იანვარს რობინ-
ზონ მარგველანი, გოჩა კეკელიძე და რამდენიმე იქაური ბიჭი
ავიდოდნენ ზვიად გამსახურდიას დაკრძალვის ადგილას, აიყ-

ვანდნენ ურიკაში შებმულ ცხენს, მოთხრიდნენ საფლავს და
ცხედარს წამოასვენებდნენ ვალიკო ზარანდიას სახლისაკენ.
მასპინძელს აუხსნიდნენ ვითარებას და სთხოვდნენ ნეშტის
დროებით დასვენებას მის სახლში. ის დათანხმდებოდა და
საამისოდ მეორე სართულს შესთავაზებდათ.

მეორე დღეს ესენი კვლავ რომ მიაკითხავდნენ, ამჯერად გა-
დანწყვეტდნენ ცხედრის დაკრძალვას ეზოში მდგარი ხის ფარ-
დულის ბოლოში, საფლავზე კი დაანყობდნენ ჩალის კონებს.

გვამი როგორ იყო შენახული?

სავსებით ნორმალურად, რადგანაც ექიმს პირველი დაკრ-
ძალვისას მისთვის ბალზამირება გაეკეთებინა.

ეს სამეული ხან რომელ სოფელში ათევდა ღამეს და ხანაც
რომელში.

გადაწყვიტეს გროზნოში გამგზავრება.

ბესარიონ გუგუშვილს დატოვებდნენ ჯიხაშკარში, რობინ-
ზონი და გოჩა კი ჯერ ბათუმში ჩავიდოდნენ — პიკეტი აღარ-
სად შეხვდებოდათ — იქიდან მინვოდში გადაფრინდებოდნენ
და ავტომანქანით კი გროზნოშიც ჩააღწევდნენ, მეორე დღეს
პრემიერ-მინისტრიც რომ შეუერთდებოდათ.

რა იყო, როგორ შეგხვდათ ქალბატონი მანანა, ჯოჰარ დუ-
დაევი თუ ნახეთ და საერთოდ რა ხდებაო? — ცნობისწადილი
ჰკლავდათ, ვიდრე ბაჩუკისა და ზაზას გამოჰკითხავდნენ.

იმათი მარშრუტი აღმოჩნდებოდა სენაკი-სამტრედია-ბათუ-
მი-მინვოდი-გროზნო, ოღონდ თავიდან პრეზიდენტის ოჯახში
მისვლას მოერიდებოდნენ და აბუს დაურეკავდნენ, ჯოჰარის
დაცვის უფროსს, რომელიც ნახევარ საათში შეხვდებოდათ და
მოისმენდა სამეგრელოში მომხდარი ტრაგედიის ამბავს.

იმავე დღეს წაიყვანდა ჩეჩნეთის პრეზიდენტთან და ახლა
იმას მოუყვებოდნენ ამ შემზარავ ამბავს.

დილით, 10 საათზე ჯოჰარ დუდაევის მეუღლე, მისი დაცვის
უფროსი და ჩეჩნეთის მთავრობის რამდენიმე წარმომადგენელი
წაჰყვებოდათ და ისე მოვიდოდნენ ქალბატონ მანანასთან.

ცოტნე და გიორგი ეზოშივე შემოეხვეოდნენ:

— რა ხდება?

მაშინვე იგრძნობდნენ რალაცას... და ბაჩუკი გზაშივე უამ-
ბობდა ბავშვებს ყველაფერს.

ზაზას კვლავ ყურში ედგა ზვიად გამსახურდიას სისხლის
ხმა, წვეთ-წვეთად რომ ჩაედინებოდა ლოგინის ქვეშ დაღე-
ბულ ტაშტში. აჰყვებოდა ეს ხმა და ვერა და ველარ მოეცილე-
ბინა. წლები ჩაივლიდა და ის ხმა ისევ ისე უგუგუნებდა ყუ-
რებში, თითქოსდა აჰა, ახლა უნდა წაადგეს ზედ ცხედარსო.

ვერ გაეგო, რატომ გრძელდებოდა ეს სულისშემძვრელი
რაკარუკი, რატომ არ მოუშვებოდა და რატომ უსურავდა
გულს მამხილებლად: შენ სად იყავი? — თვითონ დამტოვა,
გადმოგაკითხავენო, არავინ გადმოგაკითხა, სად წავსული-
ყავით, სად გვეძებნა?! — თავს იმართლებდა და ვერც იმართ-
ლებდა. ვერ იშოშმინებდა ანივლებულ სულს...

მაინც რა ხმა იყო ამისთანა, რა ექო მოჰყოლოდა ასეთი
დაუსრულებელი?!

ამოტ კურაპალატის დაღვრილი სისხლი არა ცნობდა
დროჟამულ განზომილებას და იხილვებოდა ვითარცა ახალი.

ასე განიცდიდა ერი.

ასე გაასიმბოლოებდა მემატინანე.

თუმცა რა გასიმბოლოება უნდოდა, როდესაც თვალდათ-
ვალ იხილვებოდა და ჟამთააღმწერელს მხოლოდღა უნდა და-
ედებასურებინა, ფურცელზე ეღებებოდა ეს ხილვა და შეგრძნე-
ბა — მამხილებლად ყველასი, ოროზმოროზის ძეთ რომ შუა-
ტოვეს ქვეყნისათვის თავგადადებული მეფე და... მეფეა მო-
ვიდნენ გონს და თავში ხელს იცემდნენ: ეს როგორ დაგვემარ-
თა, არ გვეგონა, ვერ წარმოგვედგინაო!..

აღარც ზვიად გამსახურდიას დაღვრილი სისხლი მოექცეოდა
დროჟამულ განზომილებაში და... ისმინებოდა ვითარცა ახალი.

ასე განიცდის ერი.

ასე გაასიმბოლოებს მემატინანე.

თუმცა რა გასიმბოლოება უნდა, როდესაც ასე მკაფიოდ მოისმის და ჟამთააღმწერელმა მხოლოდღა უნდა დაადასტუროს, ფურცელზე აღბეჭდოს ეს ხმიანობა და შეგრძნება — მამხილებლად ყველასი, ახალი დროის ოროზმოროზის ძეთ რომ შევატოვეთ ქვეყნისათვის თავგადადებული პრეზიდენტი და... მერეღა მოვედით გონს და თავში ხელს ვიცემთ: ეს როგორ დაგვემართა, არ გვეგონა, ვერ წარმოგვედგინაო!..

როგორ შეგხვდათ ქალბატონი მანანაო...

არავითარი პრეტენზია არ გამოეთქვა მათ მიმართ.

და ახლა ესენიც რომ ესტუმრებოდნენ, არც მათ მოსთხოვდათ პასუხს, თვით დაცვის უფროსსაც კი.

ერთი ეს არის, მანანა არჩეაძე აფრთხილებდა ყველას: ზვიადის თვითმკვლელობას ნუ ახსენებთ, დარწმუნებით ხომ არ ვიცით, რა და როგორ მოხდაო?!

მას არ გაუმყლავებდნენ, რომ ექიმს, ვისაც ცხედრისათვის ბალზამირება გაეკეთებინა, ეჭვი უკვე გამოეთქვა: თვითმკვლელობას რატომ ამბობენ, მე მგონი მოკლული უფრო უნდა იყოსო. და შესაფერისი მოსაზრებანიც გაეზიარებინა იქ მყოფთათვის.

მის სიტყვებს არავინ ჩაებღალუჭებოდა.

შესაძლო ვერსიადაც არ იგულისხმებდნენ.

თვითმკვლელობა დაედგინა ყველას ერთობლივად, ბესარიონ გუგუშვილისა და რობინზონ მარგველანის ვერსია უტყუარ მტკიცებულებად ელიარებინათ და... ახლა თუ პრეზიდენტის მეუღლე გააფრთხილებდათ, თვითმკვლელობაზე ნუ ლაპარაკობთო, დაე ყოფილიყო ნება მისი, თუკი ასე ერჩივნა...

ერჩივნა თუ... ალლო კარნახობდა, ადვილად არ დაეჯერებინა ის ვერსია, რაც თითქოსდა დამაჯერებლად გამოიყურებოდა — მონათხრობის მიხედვითაც და ფსიქოლოგიური განწყობილებითაც:

— რა გასაკვირია, რომ დამარცხებულსა და სასონარკვეთილ კაცს სიკვდილში ეძია შვება...

მაგრამ რაკილა არ ისვენებდა ეჭვი, და მასაც მისცემოდა გასაქანი, ან დასაბუთებულები უტყუარად და სრული დამაჯერებლობით თვითმკვლელობა, და ან კიდევ ეს ქცეულიყო საბოლოო ვერსიად — გასაიდუმლოებული მკვლელობა.

გივი თავთაქიშვილი რომ ჩააკითხავდა ზვიად გამსახურდიას ზუგდიდში, ის ეტყოდა: ფოთს მიმიხედეთ. სასწრაფო გახლდათ — იქ ბლომად თავმოყრილიყვენ აფხაზეთიდან ლტოლვილები და თავშესაფრის გამოძებნა ესაჭიროებოდათ. ეს ბათუმში გადაფრინდებოდა ასლან აბაშიძესთან მოსალაპარაკებლად და... კიდევ ჩარჩებოდა იქ, რადგანაც ფოთს ამასობაში ფაქტობრივი ხელისუფლება დაეუფლებოდა.

ბათუმიდან მოსკოვში რომ გადაფრინდებოდა — დეკემბრის შუა რიცხვები იქნებოდა — იქ შეხვდებოდა გურამ აბსანძეს, რომელიც განუცხადებდა:

— პრეზიდენტი უზრუნველყოფილია დაცვით და არავითარი საფრთხე არ ემუქრება. მე პირადად ბატონი ზვიადის დავალებით ვარ აქ ჩამოსული და კავშირებს ვეძებ.

და, აი, 1994 წლის 5 იანვარს ტელევიზიით მოისმენდა პრეზიდენტის დაღუპვის ამბავს და კიდევ მოუხდებოდა შელაპარაკება გურამ აბსანძესთან: ეს არის, არავითარი საფრთხე არ ემუქრება, ეს არის დაცვით უზრუნველყოფაო?!

გროზნოში რომ გადაფრინდებოდა 15 იანვარს, იქ უკვე დახვდებოდნენ რობინზონ მარგველანი, ბაჩუკი გვანცელაძე და ზაზა ბურჯანაძე. მოგვიანებით ჩავიდოდა ბესარიონ გუგუშვილიც მეუღლესთან ერთად.

მათთან საუბრისას გივი თავთაქიშვილი ყურადღებას მიაქცევდა, რომ... მათი ნაამბობი ერთმანეთს არ ემთხვეოდა.

გაოცებას ვერ დაფარავდა, პრეზიდენტის უშუალო თანმხლებნი განსხვავებულად რატომ აღწერენ მომხდარსო?!

მისი გაკვირვების პასუხად ბესარიონ გუგუშვილი მოახსენებდა:

— დავსხდებით, ჩამოვყალიბდებით და ერთიანად მოვყვებით. ის საწინ თვითმკვლელობის ვერსიას ფეხს არ მოუცვლიდნენ. ზაზა ბურჯანაძე და გოჩა კეკელიძე უფრო მკვლელობის ვერსიისაკენ იხრებოდნენ.

მარტო გივი კი არა, ამ გაოცებას სხვანიც გამოთქვამდნენ: ერთად იყვნენ და სხვადასხვანაირად რატომ ჰყვებიან ერთსა და იმავე ამბავსო?..

— შთაბეჭდილება დამრჩა, რომ პრეზიდენტს თავი არ მოუკლია. მათ იცოდნენ ეს და სხვანაირად უნდოდა მოეყოლათ, ამაზე მიდიოდა საუბარი.

ან ის როგორ არ გაკვირვებოდა, როდესაც სუფრაზე რობინზონ მარგველანი განაცხადებდა:

— ზვიადის საქმე ჩემთან ერთად დაიმარხება.

და დასძინდა:

— ბატონმა ბესარიონმა მომცა წამალი, დაიძინეთ, ნუ ნერვიულობთო.

დასაძინებელი წამალი... დაცვის წევრებს???

ნუ ნერვიულობთო?..

სასტიკი დევნის, ყოველ წამს მოსალოდნელი თავდასხმისა და ჩახოცვის პირობებში... აღარც ინერვიულო???

სხვებს ის რომ უკვირდათ, სხვადასხვაგვარად რატომ ჰყვებიანო, რობინზონს მათი გაკვირვება აოცებდა და ირწმუნებოდა, ჩვენ, ბიჭები, ერთნაირად ვერასოდეს ვილაპარაკებთო.

რატომ და:

— ყველას თავისი ხედვა აქვს, ყველას თავისი ფსიქოლოგიური მომენტი აქვს. იმ გაჭირვების დროს შეიძლება ზოგმა კვილი დაიწყოს და ზოგმა სიცილი, ამიტომ ერთნაირ ჩვენებას ვერც ბესარიონ გუგუშვილი, ვერც ბაჩუკი, ვერც მარგველანი ვერ მისცემენ ვერავის, მაშინ „დიქტანტივით“ გამოვა, რომ ვილაც გვკარნახობს და ჩვენ ვწერთ.

ამ „ფსიქოლოგიურ მომენტს“ ნუთუ ბესარიონ გუგუშვილი არ ითვალისწინებდა, გივი თავთაქიშვილს რომ ეტყოდა: დავსხდებით, ჩამოვყალიბდებით და ერთიანად მოვყვებითო?!

აჩქარება რა აუცილებლობა გახლდათ — განა ვის მოეჭამა სოფელი აჩქარებით.

ჩეჩნეთის მთავრობა მოლაპარაკებას გამართავდა საქართველოს ხელისუფლებასთან, დაეთმოთ ზვიად გამსახურდიას ნეშტი, რათა გროზნოში გადაესვენებინათ და იქ დაეკრძალათ.

1994 წლის 16 თებერვალს ჩეჩნეთის მთავრობის დელეგაციასთან ერთად, რომელსაც ხელმძღვანელობდა ვიცე-პრეზიდენტი ზელიმხან იანდარბიევი, თბილისში ჩამოფრინდებოდნენ რობინზონ მარგველანი და მერაბ კიკნაძე. და მათთან ერთად კიდევ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებისა და ბალტიის ქვეყნების წარმომადგენლები.

17 თებერვალს იმავე თვითმფრინავით ჩაფრინდებოდნენ სენაკში, სადაც შეუერთდებოდათ მეორე თვითმფრინავით ჩასული საქართველოს დელეგაცია ავთანდილ მარგიანის ხელმძღვანელობით.

მათთან ერთად კი: გურამ შარაძე, ავთანდილ იოსელიანი, ვახტანგ ბოჭორიშვილი, ანზორ ბალუაშვილი, და კიდევ რამდენიმე ექიმ-ექსპერტი.

ვერტმფრენით ჩავიდოდნენ ჯიხაშკარში, ვალიკო ზარანდიას ეზოში. დაკრძალვის ადგილიდან ამოასვენებდნენ გვამს და ეზოში ექსპერტ-პათოლოგანატომები გარეგნულად დაათვალიერებდნენ, შედგებოდა სათანადო დოკუმენტები და ხელიც მოეწერებოდა.

უბრალოდ შეგვახედესო, — 2010 წლის 24 მაისის გამოკითხვისას განაცხადებდა ლევან ჩაჩუა, — სასახლეს თავი ახადეს და რისი დანახვაც შეეძელით ახლო მანძილიდან, მხოლოდ ეს იყო... სენაკის აეროპორტში ჰა-და-ჰა ათი წუთით ახადეს თავი და მაშინ დავათვალიერეთო.

ესეც დიდი ძალისხმევითო, — დასძინდა ზაზა ოქრუაშვილი.

ლევან ჩაჩუას მოენდომებინა ხელით შეხებოდა ცხედარს, მაგრამ ზელიძის იანდარბიევი არ დაანებებდა. საგამოძიებო ორგანოებსაც შეენინააღმდეგებოდა და ანზორ ბალუაშვილი განუცხადებდა: დაგიჭერ ახლავო.

ნონასნორობას დაკარგავდა ჩეჩნეთის ვიცე-პრეზიდენტი: მე აქ სამთავრობო დონეზე ვარ ჩამოსულიო.

ოქმზე რომ ხელს აწერდნენ პათოლოგანატომები?

რაც ნახეს, იმას აღნიშნავდნენ, რისი საშუალებაც მისცემოდათ: საფეთქლის მიდამოში 0,6-0,7 მილიმეტრი დიამეტრის მქონე მოშავო ფერის უბანი შეემჩნიათ, მაგრამ ამ კვლევით ამას შემავალ ჭრილობას ვერ დაარქმევდნენ.

— ეს ორივე ჭრილობა რომ შეადარო და თქვა, ეს ორივე ჭრილობა ერთი იარაღითაა მიყენებულიო, ამისთვის აუცილებლად უნდა გაზომო როგორც ერთი, ისე მეორე ტერფის ძირიდან და ამის მიხედვით შეგიძლია თქვა, რომ ან ზევიდან ქვევით იყო გასროლა, ან პირიქით. ჩვენ არ მოგვცემია არავითარი საშუალება, რომ გავგეზომა.

ცხედრის ამოსაცნობად დიდი რამ დაკვირვება არ დასჭირდებოდათ არც პათოლოგანატომებს და არც არავის იქ მყოფთაგან.

ლურჯი პიჯაკი ემოსა ნეშტს, სათვალე ელო და ფეხსაცმელები გვერდით ელაგა.

დაახლოებით 19 საათზე ცხედარი უკვე გროზნოში იმყოფებოდა, №1 საავადმყოფოში. იქ სასახლეს გახსნიდნენ და ხელმეორედ გააპატონებდნენ. გვამს ობი მოჰკიდებოდა და ხრწნა დაეწყო. ობს მოაშორებდნენ.

მეორე დღეს ზვიად გამსახურდიას ნეშტს გადაასვენებდნენ ქალაქის ქრისტიანულ, მართლმადიდებლურ ეკლესიაში.

კუბო თავლია გახლდათ და ყველას შეეძლო ცხედრის ნახვა.

სალამოს გადასვენებდნენ იმ ადგილას, სადაც თავს აფარებდა დევნილი პრეზიდენტი საქართველოში დაბრუნების ასდღიან ხანამდე, მისი ამქვეყნიური ჰეროიკული და ტრაგიკული ეპოპეის ფინალამდე, ისეთივე იდეალებით მოცული რომ იქნებოდა, როგორც მთელი მისი ცხოვრება — აუხსენელი, ამოუცნობი, ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიის თარგს მორგებული და მასავით გამომწვევი იმ ქართველებისა, რომელთა გრგვინვა-გრაილშიც უნდა გახვეულიყო და ისე მიფარებოდა ჩვენს თვალსაწიერს.

იმას დაეწყო.

ამას დაეგვირგვინებინა.

და იქ, სივრცეებში რომ შეხვდებოდნენ ერთმანეთს, ორივე კვლავად შეაბჯრული, რაკილა შორს და ძალიან შორს გახლდათ ქვემოთ დატოვებული მათი მინა-წყალი იმ იდეალური სახელმწიფოსაგან, რომლისკენაც განწირული სულისკვეთებით მიისწრაფოდნენ და აჰა, კიდევც ჰპოვებდნენ იმ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, ერთბაშად რომ აკორიკდებოდა და სად ჩაინთქმოდა, უსაზღვრო სივრცეიდანაც ველარ მოჩანდა მკაფიოდ და დანამდვილებით.

რალაც ხომ მაინც მოპოვებულიყო.

რალაც დასაყრდენი ხომ მაინც გვრჩებოდა.

23 თებერვალს ნეშტს ჩეჩნეთის მთავრობის სასახლის მარმარილოს დარბაზში დაასვენებდნენ, მეორე დღეს კი მინას მიაბარებდნენ — მისი უკანასკნელი რეზიდენციის ეზოში, თუკი რეზიდენციად არ ვიგულისხმებთ სამეგრელოს ტყე-ღრეებსა და „სად დაულამდეს, იქ გაუთენდეს“ მეტაფორაში გახვეულ ადგილსამყოფელთს..

დაკრძალვამდე ორი დღით ადრე მანანა არჩვაძე ბრალს დასდებდა ბესარიონ გუგუშვილსაც, რობინზონ მარგველანსაც და დაცვის დანარჩენ ნევრებსაც:

— თქვენ მოჰკალით პრეზიდენტი!..

ამათ მანამდე შვებით რომ ამოესუნთქათ: არავითარი პასუხი არ მოგვთხოვა, საყვედურითაც არაფერი უსაყვედურიო, — ახლა უეცრად ამ მკაცრი განაჩენის წინაშე აღმოჩნდებოდნენ.

ეგებ დაგუბებული ტკივილის წამიერი ამოხეთქვა იყო?!

ამ აზრს მოეჭიდებოდნენ, ითქვა და აქვე მოთავდებო, მაგრამ დაკრძალვის დღეს დაცვის უფროსი უნებლიეთ შეესწრებოდა, როგორ ეუბნებოდა ქალბატონი მანანა თბილისიდან ჩამოსულ პირებს:

— ამათი მოკლულია, რობინზონ მარგველანისა და მისი დაცვის ბიჭების!..

მე მიყვარდა პრეზიდენტიო, — ცას და მინას ფიცულობდა რობინზონ მარგველანი, — თავს ვდებდი მისი სიცოცხლისათვისო.

მაგრამ რა ქნას, თუკი თვითმკვლელობის ვერსიისა უფრო სჯერა, ვიდრე ჩაკეტილ ოთახში ქილერის მალულად შემოპარვისა და გაქრობის?

— ის სამი ადამიანი, ვინც მასთან ვიყავით, ვიხრებით თვითმკვლელობისკენ და სხვა ვინ რას ლაპარაკობს ვარაუდებით, არ ვიცი. მე არავისი დარწმუნება არ მინდა, მე გეუბნებით იმ სიმართლეს, თუ ვინმეს სიმართლე აინტერესებს, რაც იქ ხდებოდა.

და თითქოს კვლავაც ყურში ჩაესმოდა პრეზიდენტის სიტყვები, როდესაც ესეც და დაცვის სხვა ნევრებიც საჭმელს აძალუბდნენ:

— იცით, ბიჭებო, ხევში რომ მიდის წყალი და დიდ ლოდს რომ ჩადებ, აი, ისე მაქვს გაჭედილი მუცელიო.

პირში მიახლიდა მანანა არჩვაძე: თქვენი მოკლულიაო.

— ჩაატარეთ ექსპერტიზა, თუ არადა ტყუილ ბრალდებებს თავი დაანებეთ, — მიუგებდა ოდინდელი დაცვის უფროსი, წამოავლებდა ხელს თავის „ვემემოქს“ და გამოსწევდა.

ზვიად გამსახურდიას ვაჟები გამოეკიდებოდნენ, გიორგი და ცოტნე:

— რობინზონ, ჩვენ ხომ ვიცით, რომ შენზე ერთგული არავინ ჰყავდა მამაჩვენს და შენ უყვარდი ყველაზე ძალიან.

— მე როგორ დავრჩები, — მოუბოდიშებდათ, — დედათქვენი და დედათქვენი მკვლელს მეძახიან.

და თავის გზას დაადგებოდა.

ჯერ ბათუმი, მერე თბილისი, მერე ლემშენიერა, სტიქიას გამორიდებული სვანები სადაც ცხოვრობდნენ. და იქ ერთი კაცი რომ დაიღუპებოდა, ჭირისუფლებს ესეც გაჰყვებოდა სვანეთში.

— მერე მომწყინდა, სანამდე უნდა გავიქცე-მეთქი? ავდექი ერთ მშვენიერ დღეს და ჩამოვედი სახლში.

მესამე დღეს მიადგებოდა უშიშროებისა თუ პროკურატურის თანამშრომელი: უნდა დაიკითხოო. — კი ბატონო, მზად ვარ დაკითხვისთვისო.

იქ კი, იმ უცხო ცის ქვეშ..

უცხო ეძახე და... რალა უცხო, თუკი აღსრულდებოდა ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური მრწამსიც და შეიქმნებოდა ერთიანი კავკასია.

მერე კიდევ და:

გროზნოდან... მთანმინდა მოჩანდა ხელისგულზე!..

ქართველთაგან ვინც გამოეთხოვებოდა ზვიად გამსახურდიას ცხედარს, ერთიც არ იფიქრებდა, სამუდამო ძვალშესალაგში ვტოვებთო. ისე სწრაფად რომ აღარ მოხდებოდა ამ სამარის გახსნაც, როგორც ძველ ხიბულასა და ჯიხაშკარში, ამას გრძნობდნენ, მაგრამ აქ ჩასარჩენად არ ემეტებოდათ და სჯეროდათ, დადგება ის წუთიც, როდესაც აქედან აცურებულნი სასახლე მთანმინდის მინაში ჩაესვენებაო.

და ის დღეც თავისებური ნიშანსვეტი იქნებოდა ჩვენი სახელმწიფოებრიობის ისტორიაში.

ერთი თავგადასავალი კიდევ ელოდა ზვიად გამსახურდიას ნეშტს, თუმც ისეთი დრამატულიც არა, ფარულად რომ გადაჰქონდათ ერთი ადგილიდან მეორეზე... და ახლა ის შეყოვნებულიყო, ის უკანასკნელი და საბედისწერო რკალი საიდანაც დაიწყებოდა მისი ცხოვრებისა, მისი ასდღიანი ეპოპეა.

ან აღვადგენ კანონიერებას, ან მოვკვდები საქართველოშიო...

კანონიერება ვერ აღედგინა... და ამიტომაც...

ერთი თავგადასავალი კიდევ ელოდაო...

არადა, ჯერ მარტო რაოდენ შემძვრელია თავგადასავალი ნემსისა ძველი ხიბულადან გროზნომდე.

უკანასკნელ განსასვენებლამდე კუბოს ტარების ამბავს უილიამ ფოლკნერი თავისი უშრეტეი წარმოსახვით თხზავდა. იპოვნინა ამ სიუჟეტურ ქარგას და... ერთიანად ატაცებული ექვს კვირაში მოათავებდა რომანს „ოდეს ვკვებოდი“ (მედეა ზაალიშვილი მის ქართულ ორეულს ასეთ სათაურს გამოუძებნიდა: „როცა მე მომაკვდავი ვესვენე“), იოკნაპატოფას ციკლის ერთ საუკეთესო ქმნილებას, თამაზ ბიბილუს ჯერ მარტო ეს სიუჟეტური ქარგა რომ ალაფრთოვანებდა.

ჩემთან ლიტერატურული დიალოგისას კრიტიკაზე, როგორც მწერლობის დიდ ჟანრზე, რომ ჩამოვარდებოდა სიტყვა, იმის ნიმუშად, თუ რაოდენ უბრალოდ და მარჯვედ ახერხებენ ჭეშმარიტი კრიტიკოსები მხატვრული თხზულების მთავარი არსის გადმოცემას, სურვილს რომ გიჩვენენ, თუ არ იცნობ იმ მწერალსა თუ ნაწარმოებს, დაუყოვნებლივ გაეცნო, სწორედ ფოლკნერის ამ რომანის ზოგადი ქარგის წამოწვევას მიიჩნევდა ამერიკელი კრიტიკოსის მიგნებად: ისეთი გარემოება გაგვიმხილა, უკვე ცხადი გახდა, რომ დიდ რაღაცასთან მოგველის სასიამოვნო შეხვედრაო.

და დასძენდა: თვით ამბავმა ისე შემძრა, დღემდე მეშინია ამ ნაწარმოების ნაკითხვისა, იმ პირველ შთაბეჭდილებას ვუფრთხილდებიო.

მართლაც გასაფრთხილებელია, აბა, რა არის:

ოჯახის დიასახლისი კვდება და მამასა და შვილებს ცხედარი მიაქვთ სადღაც, შორეულ ადგილზე, სადაც, ანდერძის თანახმად, უნდა დაიმარხოს. გზაში კი მრავალი რამ უნდა მოხდეს...

მხატვრული ხერხების სარგებლიანობას უარყოფთ? — ეს შეკითხვა რომ გაუჩნდებოდა ჟურნალისტ ჯინ სტაინს, უილიამ ფოლკნერი იუარებდა და მოახსენებდა, რომ ხანდახან, ვიდრე მწერალი საქმეს მოჰკიდებდეს ხელს, მხატვრული ხერხები შემოიჭრება და სულაც თვითვე მბრძანებლობს ოცნებაზე.

ესაა გამომგონებლობა (ფოლკნერი ამჯერად ინგლისური გამოთქმის ფრანგულ შესატყვისის ამჯობინებდა, როგორც ნიუანსობრივად უფრო მრავალმრიანს) და დასრულებული სამუშაო მსყობრად დალაგებულ აგურებს ამიტომაც გვაგონებსო.

თვალსაჩინოება ენება ჟურნალისტს?

აგერ „ოდეს ვკვებოდი“, რომლის დაწერაც იოლი სულაც არა ყოფილა, თუმცა ყოველივე წინდანინვე ჰქონდა ხელთ და ველარაფერი შეაკავებდა, მიუხედავად იმისა, რომ თორმეტსაათიანი ფიზიკური ჯაფის შემდეგ დრო რომ რჩებოდა, მაშინდა აგრძელებდა წერას.

ასე წარმოსახავდა ადამიანთა ერთ ჯგუფს და ბუნებრივ კატასტროფებს დაატეხდა თავს — ხანძარსა და ნეკალიდობას, რათა როგორმე აემოქმედებინა ეს ადამიანები.

და საგულისხმო კიდევ მის გახლდათ — ამას უკვე ვირჯინიის უნივერსიტეტში კამარათული საუბრებისას განაცხადებდა — რომანის დასრულების შემდეგ ტექსტში ერთ სიტყვასაც რომ არ შეცვლიდა, რაკილა ყველაფერი წინასწარვე გაეანგარიშებინა.

ყველამ ვიცით, თუ როგორ შეგიძლიათ აღწეროთ მოვლენები, პიროვნებანი და ყოველივე, და ამიტომაც მაინტერესებს, რატომ მოათავსეთ კუბოს სურათი რომანში „ოდეს ვკვებოდი“? თავშესაქცევად მოიქეცით ასე თუ ექსპერიმენტისათვისო? — ამ ცნობისწადილს უკვე იაპონიაში გამოიჩენდნენ, ნაგანოს უნივერსიტეტში მისი სტუმრობისას, და ფოლკნერი... შეფიქრიანდებოდა: კიდევ ერთხელ უნდა ჩავიხედო ამ წიგნში, ოცდაათი წლის წინათ დავწერე და აღარ მახსოვს. საქმე ისაა, რომ ეს მე არ დამიხატავს, თუმცა შემეძლო დამეხატაო.

რა იქნებოდა, არა, უილიამ ფოლკნერის ხელში ზვიად გამსახურდიას ნემსის თავგადასავალი!.. ფანტაზიის მიშველებაც რომ არა სჭირდებოდა და დოკუმენტური სურათის აღდგენაც გადააჭარბებდა ყოველგვარ წარმოსახვას!..

ბუნებრივ კატასტროფებს აქ ქვეყნის კატასტროფა შეეცაცლებოდა.

ერთი უბირი ქალის ამბავი მწერალს ანტიკური და ბიბლიური ხილვების ნაკადში გაეხვია და ასე განეზოგადებინა, ამ შემთხვევაში მითუმეტეს რომ შემოიჭრებოდა და მთელი სიმძაფრითაც ეს ნაკადები, ხილვათა ეს უჩვეულო ფოიერვერკი და... აგურთა ნყოფის სიმეტრიადაც აიგებოდა მისი კომპოზიციური სტრუქტურა.

თხრობის რიტმი კი შესაძლოა განესაზღვრა წვეთების იმ ტყაპატყუპსა თუ რაკარუქს, ზვიად გამსახურდიას სისხლი რომ ჩაედინებოდა სანოლის ქვეშ შედგმულ ტაშტში... ის გაბმული ხმა, ჩვენს ყურთასმენას რომ უნდა გამოჰყოლოდა და თანდათან ზრიალად, გრგვინვად და ქუხილადაც გარდასახულიყო.

და ანცა ისმინებოდა ვითარცა ახალი...

ანკი რა მოაძველებს გაყინულ დროს, სულ სხვა განზომილების ანარეკლს ჩვენს ყოფით რეალობაში, მარადიულობის შემონათებას... კიდევ კარგი, ეს ანარეკლი და შემონათება რომ გვინარჩუნებს სუნთქვას, თორემ ამ ყოფითობის საზღვრები ჟამითჟამად თუ არ დაირღვა ხოლმე, ცხოვრება ხომ გაუსაძლისი გახდება და გაუსაძლისი.

* * *

„დრონის“ 1991 წლის აგვისტოს ნომერში საქართველოს მთავრობის ყოფილი თავმჯდომარის თენგიზ სიგუას წერილი რომ გამოქვეყნდებოდა, რომელშიც იგი თავისებურად ახსნიდა თანამდებობიდან თავისი გადაყენების მიზეზებს, საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური მწვავე განცხადებით — „პუტინის კრახი საქართველოში“ — გამოეხმაურებოდა ამ სტატია და გამოააშკარავებდა, რომ მთავრობიდან გამოსტუმრებული თავმჯდომარის განმარტებანი თავიდან ბოლომდე ყალბი იყო და მიზნად ისახავდა მისი გადაყენების ნამდვილ მიზეზთა მიჩქმალვასა და საზოგადოების დეზორიენტირებას.

ამჯერად საგულისხმო ისაა, თენგიზ სიგუა რომ აცხადებდა: პრეზიდენტთან იმის გამოც მქონდა უთანხმოება, რომ ზვიად გამსახურდია არაპროფესიონალ კადრებს ანიჭებდა უპირატესობასო, — თვითონ კი თითქოსდა „მთელი აკადემია მოეყვანა მთავრობაში“.

აკადემიისა რა მოგახსენოთ, — ეპასუხებოდა პრესცენტრი, — მაგრამ თენგიზ სიგუა თავგამოდებით იცავდა ყოველი ჯურის კორუმპირებულ პარტიულ ფუნქციონერს მთავრობაში და, მიუხედავად პრეზიდენტის არაერთგზისი მოთხოვნისა, არ გაათავისუფლა კომუნისტური პერიოდის „მოღვაწეები“, მეტიც, მათში ხელდავდა მთავარ დასაყრდენს პრეზიდენტის წინააღმდეგ შექმნილ ოპოზიციაშიო.

საგანგებოდ კი ამ კონტექსტში ის გარემოება აღინიშნებოდა, რომ:

— „აკადემიიდან მოსულ“ კადრებში თუ განათლების მინისტრი ე. ჯაველიძე იგულისხმება, ეს პიროვნება პრეზიდენტმა მოიყვანა მთავრობაში და იგი მისი მხარდაჭერით სარგებლობდა მუდამ.

მანამდე „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე — ელიზბარ ჯაველიძის რედაქტორობისას — ახალი რუბრიკა რომ გაჩნდებოდა: „რას გვაუწყებენ დასავლეთის ხმები“ — უცხოეთის რადიოსადგურთა იმ გადაცემების გამოსაქვეყნებლად, ზვიად გამსახურდიას მიწოდებულ ცნობებს რომ ეყრდნობოდნენ, ზვიადი იმდროინდელი რეალობის გათვალისწინებით, განა რა გასაკვირია, რომ ივარაუდებდა, ასეთი მასალები ხელისუფლების უნებართვოდ არ დაიბეჭდებოდაო, და... პუბლიკაციათა ამ სერიას ეჭვით შეხედავდა, 1988 წლის 23 მაისით დათარიღებულ ბარათში კი მწვავედ უსაყვედურებდა რედაქტორს: არ მეგონა, თუ შენც ჩაებმეპოდი ჩემი და მერაბის საწინააღმდეგო ბინძურ კამპანიაშიო.

და იულიუს კეისრის წამოძახილი წამოუტივტივდებოდა გონებაში, შეთქმულებით გარშემორტყმული სენატში უახ-

ლოესი მეგობრის მიერ მოქმედებულ მახვილს ამ სიტყვებს რომ შეაგებებდა:

— მაშ, ბრუტუს, შენც?

განანყენებით კი იმიტომ განანყენებულაიყო:

— ელემენტარული ეთიკა მოითხოვდა წინასწარ გეგმვებინა ეგ ყოველივე. მანდ დაშვებულია უხეში შეცდომები ჩემი სიტყვების თარგმნისას, ჩანერისას, თუ ფირიდან გადმონერისას. ასე რომ, უკომენტაროდ გამოქვეყნებას სჯობდა კომენტარი და განმარტება. თუმც, ალბათ, ეგეც განგებ გააკეთეთ, რათა ხალხს შეუქმნათ შთაბეჭდილება, რომ მე უნიგნური ვარ და ქართული ენის არმცოდნე. მერწმუნეთ, გაგიჭირდებათ საზოგადოების დარწმუნება ამაში!

რაო, რას ახსენებდა ხოლმე ხშირად ელიზბარი მასთან — ჩვენი ბავშვობის მეგობრობაო?

კარგი მეგობრობა გცოდნიაო, — ამ ირონიული ფრაზით დაასრულებდა ბარათს, რომელსაც მოგვიანებით ელიზბარ ჯაველიძე თავის მემუარებში ჩართავდა და იმჟამინდელ რეალობასაც აღადგენდა, თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, დანა პირს რომ ვერ უხსნიდა, ვერაფრით მიმხვდარიყო, რა უარყოფითი შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა მის ამ რედაქტორულ ნაბიჯს.

— არადა, ტელეფონის ზარი არ წყდებოდა. მრავალი მილოცავდა ამ რუბრიკის დაფუძნებას. ნლობით წყვდიადში გამომწყვდეული, მცირე სარკმლიდან მომზირალი ადამიანები, შეგნებულად დასაზღვრულ სივრცეს რომ აღაქმევიანებდნენ მხოლოდ და მის იქით აღარ ახედებდნენ, განცვიფრებას ვერ მალავდნენ. და ეს სავესებით ბუნებრივი იყო:

რამდენიმე დღის შემდეგ ზვიადი რომ ესტუმრებოდა რედაქციაში და კაბინეტში შესვლისთანავე... ჩვეული უშუალობით რომ გაუღიმებდა, რედაქტორი შვებით ამოისუნთქებდა: ეტყობა, აზრი შეცვლია, ბრუტუსად აღარ მიგაჩნიაო.

იქიდან რა სიკეთეს უნდა მოველოდეთ, — ხელს ცენტრალური კომიტეტის შენობისაკენ გაიშვერდა სტუმარი, — მხოლოდ მახეებს მიგებენ, რომ როგორმე გავება და ფეხი წავიმტვიროო.

— ეგ მართლაც ასეა, მაგრამ მე ხომ კაცი ვარ, მეც აღარ მენდობი, თუ როგორ არის შენი საქმე?! — დაანამუსებდა დამხვდური და წვრილად მოუთხრობდა საქმის ვითარებას. იმაზეც იმსჯელებდნენ, თუ რას მოიმკიდნენ ამ პუბლიკაციებით... და გამომშვიდობებისას ზვიადი ხელს რომ მოუთათუნებდა მხარზე, ამ სიტყვასაც დაუგდებდა:

— ძმა ხარ!

„ძმაო ელიზბარ!“ — ასე უკვე იმ ბარათს დაიწყებდა, 1993 წლის 3 თებერვალს რომ გამოუგზავნიდა დეკლარებში მყოფი და დიდად შეუქებდა ოპოზიციურ გაზეთს „სამრეკლო“, რომლის გამოსვლაც უჩვეულო სიხარულს გამოიწვევდა ხალხში, და არა მხოლოდ დამხობილი ხელისუფლების თუ „მრგვალი მაგიდის“ წევრებსა და უშუალო მომხრეებში.

ამხელა რიგი არც მენახა გაზეთის ჯიხურთან.

ასეთი მონესრიგებული.

ისე გაჭიმულიყო ერთ რიგად, თვალს ვერც მიუნვდენდი ბოლომდე, და ერთი დარღვევა რა არის, ისიც არ მომხდარა, მოუთმენლობისაგან არავინ წასწრაფებულა წინ, და ვინც შეიძინდა, იქვე იწყებდა გაშლასა და კითხვას.

ამ სურათს იქ შევუსწრებდი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინ რომ პრესის ჯიხური იდგა.

მართლაც სამრეკლოდ მოვლენოდა დათრგუნულ, სასოწარკვეთილებში მყოფ საზოგადოებას, ტელევიზიაც, რადიოც, ხელისუფლებისაგან ნაქეზებული გაზეთებიც ერთი მიმართულებით რომ მიერეკებოდნენ და არნახულ სიკეთეს ჰპირდებოდნენ წელში გადამტყდარ ქვეყანას, ეკონომიკურ-პოლიტიკურ და სულიერ-ზნეობრივ კრიზისს უკიდურესობისათვის რომ მიეღწია.

— აღტაცებული ვარ შენი გაზეთით, შენი პრინციპულობით და ვაჟკაცობით.

თუმც იმ მოსაზრებასაც გაუზიარებდა, რომ კარგად შეემონმებინა ყოველი ცნობა უცხოეთში მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით, თორემ აგერ, ჰააგაში ჩატარებული სხდომა გაეროში წარმომადგენლობის არმქონე ერთა ორგანიზაციისა მთლად სასიკეთოდ ვერ წარმართულიყო, რადგანაც მათ მიეღობ დადგენილება აფხაზეთის შესახებ, რომელიც ვერ იყო ჩვენთვის სახარბიელო.

თავის მხრივ კი შეპირდებოდა:

— ვეცდები მალე ვიშოვო სხვა დოკუმენტები სხვა ქვეყნებიდან, რომლებსაც გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის.

და ამ მტკიცე რწმენის, გამამხნეველი სიტყვის გარეშე როგორ დააბოლოებდა ბარათს:

— ჩვენი სიმართლე აუცილებლად მიგვიყვანს გამარჯვებამდე.

ამ რწმენას რა ჩაუკლავდა!..

ამ შემართებას რა მოუდუნებდა!..

ვის-ვის და ელიზბარ ჯაველიძეს ვერ დაარწმუნებდა ვერავინ, რომ ზვიად გამსახურდიას შესაძლოა თავი მოეკლა — ადრე თუ გვიან გარდუვალი გამარჯვების რწმენა-იმედით აღვისილს, და ღრმადმორწმუნე მართლმადიდებელს, თვითმკვლელობაზე ფიქრი თუ გაუელვებდა, აუცილებლად თავს შეუნყრებოდა, ვინ მე და ამისთანა ფიქრები ვინაო...

— ამათი მოკლულია, — დაჟინებით იმეორებდა მანანა არჩვაძე.

— ვიცოდი, არ ამცდებოდა, — გულს შემოყროდა რობინზონ მარგველანს.

მონვეთავდა სისხლი, მონვეთავდა და მონვეთავდა, და განა რამდენი სისხლი ედგა ძარღვებში ზვიად გამსახურდიას, რომ არა და არ მთავრდებოდა, არა და არ იკრავდა ჭრილობა პირს...

VI

ჭაბუა ამირჯებისათვის რომ მოგესმინათ, „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“ საოცრად მართალი, ალალი და მიუკერძოებელი წიგნი გახლდათ.

მემუარების წიგნის მიმართ ამგვარი ეპითეტები ის საუკეთესო შეფასებაა, ამ ჟანრის თითო-ოროლა თხზულებას რომ ერგება.

ჯერ საერთოდაც და მითუმეტეს — პოლიტიკოსისა და სახელმწიფო მოღვაწის.

მარკუს ავრელიუსს გულისხმობს?

თუ ძველი ეპოქის მოღვაწეა.

და თუ ჩვენი დროისა:

რონალდ რეიგანს?

თუმც მაინცდამაინც ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ რომ ვეძიებთ მისთვის ამ განსაკუთრებულად მნიშვნელოვან და სულაც სათაყვანო წიგნს, ქართულ სივრცეში მიმოვიხედოთ.

რევაზ გაბაშვილს?

არადა, ბატონი ჭაბუა იმ აღმტაცე ეპითეტებითაც ვერ მოიჯერებს გულს და კიდევ უფრო მეტ დითირამბსაც გაიმეტებს.

— შეიძლება ითქვას, გამონაკლისიც კი.

გამონაკლისი რა ნიშნით?

რა ნიშნით და:

— ამ მოცულობის ისტორიოგრაფიულ ნაწარმოებში მიკერძობისა თუ ცალმხრივი გაშუქების ფაქტსა და მაგალითს ერთსაც ვერ იპოვით.

ეს უკვე რაღაც უჩვეულო მოვლენას გულისხმობს.

მართალ, ალალ და მიუკერძოებელ წიგნშიც შესაძლოა წაცდეს ავტორს რაღაც დეტალი თუ პასაჟი, სულ ოდნავ რომ სცოდავდეს სიმართლესა და სინაფელეს და გათვლილი იყოს ამა თუ იმ მოვლენის შესაღამაზებლად, მასში საკუთარი როლის ცოტა სხვაგვარად წარმოსაჩენად, ვიდრე რეალობაში გახლდათ.

ბოლოსდაბოლოს, თვით ღვთაებრივ ჰომეროსსაც შეიძლება ჩათვლიდეს.

და ამის გამო არავის დაუნუნებია არც „ილიადა“ და არც „ოდისეა“.

და ეს ვინ არის ამისთანა, ერთხელაც რომ არ ჩაუთვლემია თვით ავტობიოგრაფიულ თხზულებაშიც?

თუკი ასეა, მართლაც გამონაკლისი ყოფილა, რადგან მოდარაჯე კაცის თვალი თვით ნეტარი ავგუსტინეს „აღსარებაშიც“ იპოვნის მიკერძოებისა თუ ცალმხრივი გაშუქების ერთ ან იქნებ ორ ფაქტსა თუ მაგალითს.

უნებლიეს? თუნდ უნებლიეს, აქ კი, ამ ფურცლებზე ასეთი რაიმეც რომ არ გავლვებულიყო.

ვინ არის შემკული ამგვარი უზომო ხოტბით, უკიდურესი ჰიპერბოლიზებით?

ვინ და, ვისი სახელითაც წარმომდგარა მოგონებათა ეს წიგნი „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“: ედუარდ შევარდნაძე, უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების შუაგულში მდგარი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში, სიცოცხლის მიმწუხრზე კრწანისის რეზიდენციაში განმარტოებულიც რომ შეინარჩუნებდა ზეგავლენას საქვეყნო პროცესების მდინარებაზე და მისი მემკვიდრენი პირველკაცის სავარძელში (ქართლში შემონახული იდიომური გამოთქმით: ფეხნი მისინი) მიყურადებულნი რომ იქნებოდნენ მის ყოველ სიტყვასა და შეფასებას და კვლავაც არაერთი მოვლენა წარმართებოდა მისი მოსაზრებით, რჩევითა თუ ზოგჯერ სცენარითაც.

რა არ ენახა, ვის აღარ შეხვედროდა, რა ხლართსა და ლაბირინთში არ გამომძვრალიყო და იშვიათი ალღოს წყალობით ყოველთვის ზედაპირზე მოქცეულიყო, რამდენჯერაც უნდა გადატრიალებულიყო ქვეყანა და ის ყოველივე, რომლის ერთგულ დამცველადაც მოჰქონდა თავი და კარიერულ წარმატებას სწორედ იმ გზაზე მიაღწევდა, ახლა დანაშაულებრივ პოლიტიკურ რეჟიმდაც რომ შერაცხულიყო.

ვერავინ დაასწრებდა იმის დაგმობას, რასაც მანამდე განამტკიცებდა მკაცრი პოლიტიკის წარმართვით.

ის კი არა, მის დანგრევასაც დაიჩემებდა და ეროვნული მოღვაწისა და მორწმუნე ქრისტიანის მანტიებსაც ისე მოირგებდა, თითქოს 70-იან წლებში თვითონ არა დევნიდა ერთსაც და მეორესაც უკიდურესი სისასტიკით, 30-იანი წლების ულმობელობის შემობრუნებად რომ წარმოგვიდგება, თუკი იმ სიმართლით, სიღალთითა და მიუკერძოებლობით განვსჯით, ჭაბუა ამირეჯიბი ედუარდ შევარდნაძეს რომ მიანერს და გვპირდება მისი მემუარებისათვის წამძღვარებულ შესავალ სტატიაში, რომ ამ წიგნის გაცნობით რაღაც განსაკუთრებულის, არნახულისა და არსმენილის მოწმენი გავხდებით.

ანკი სხვაგვარად რა უნდა ვიფიქროთ, როდესაც გვარწმუნებენ, ამხელა თხზულებაში მიკერძოებისა და ცალმხრივობის ერთ მაგალითსაც ვერ იპოვნითო.

მამ მზის სინათლეზე უნდა იყოს გამოტანილი ის ათასგვარი ცოდვა და დანაშაული, ის უამრავი დაფარული რეალია თუ მოტივი, რაც ედუარდ შევარდნაძის ბიოგრაფიისა და გამოცდილების კაცისათვის იმთავითვე ნათელი გახლდათ და ხელმისაწვდომი, არაერთი ბრალი კი კისერზე ეკიდა და აქამდე ყოველთვის თავს არიდებდა მათ გამომზეფურებას ანდა სულ სხვაგვარად განმარტავდა ინტერვიუებსა თუ საჯარო გამოსვლებში, მას ოდნავადაც რომ არაფერი მოცხებოდა.

ფარავდა, ჩქმალავდა, აყალბებდა და მისი სიცრუე იქამდეც კი მიდიოდა, რომ ცდილობდა ყოველივე შემოტრიალებულად წარმოეჩინა, და რასაც სპობდა და ანადგურებდა, მასზე მზრუნველად და გადამრჩენად უპირველესად საკუთარი თავი დაესახა.

მაგრამ ავტორის მემუარებში თურმე მიკერძოებისა და ცალმხრივობის ერთი მაგალითიც არ დასტურდება.

ჰოი, მამ რამდენ სიმართლეს შევიტყობთ, რაც ბუნდოვნად თუ ვიცოდით ან სულაც წარმოდგენა არ გვქონდა, ახლა ხომ მაინც შევიტყობთ, ჩვენვდებით, გავითვალსაჩინოებთ და გავისიგრძეებთ. და ეს წიგნი იქნება უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი არამარტო ერთი აღზევებული კაცის ცხოვრებისა, არამედ მეგზური საქართველოს ბედისწერის შესაცნობად უაღრესად სახიფათო მოსახვევებში და დიდი და ღრმა გარდატეხის ჟამს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ რეალობაში, დროის გასვლა რომ ვერ გაანელებს დაუმცხრალ ცნობისწადილს მის მიმართ და ძალდაუტანებლად აღმოჩნდებოდა იმ თხზულებებს შორის, რომელთაც სანდო გზამკვლევადა დაიგულებს შთამომავლობა.

ერთ-ერთ, ის კი არა, სულაც ყველაზე სანდო მეგზურად ედუარდ შევარდნაძის მემუარებსაც სთავაზობენ.

რეკომენდატორიც უკეთესი ვინდა უნდა იყოს: აღიარებული და პოპულარული მწერალი, რუსეთში ხომ თავისთავად და დასავლეთშიც წარმატებით გაელწია; და საქართველოსაც რომ მიეცემოდა საშუალება, ნობელის პრემიაზე თავისი შემოქმედით წარედგინა, პირველ ყოვლისა ეს პატივიც ჭაბუა ამირეჯიბს ერგუნებოდა, თავსაც რომ გამოიღებდა, პირველი პრიზი თუ არ გაიმეტეს, 50 რომანს შორის ხომ მაინც აღმოჩნდა ჩემი „დათა თუთაშხიაცო“.

მითუმეტეს, ედუარდ შევარდნაძეს ჩინებულად მოეხსენებოდა ერთი შეგონება და საუბრისას კიდეც მოიმარჯვებდა.

სიმონ ჩიქოვანის საიუბილეო საღამოა. ედუარდ შევარდნაძეც იქ იმყოფება, იმჟამად ქართველ კომუნისტთა თავკაცი, და პრეზიდენტში ნოდარ დუმბაძის გვერდით დაუკავებია ადგილი, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის.

უეცრად ნოდარი „ვალიდოლს“ ამოიღებს ჯიბიდან და ენის ქვეშ ამოიდებს.

ეს შეამჩნევს და თანაგრძნობით ჰკითხავს:

— რა მოგივიდა, ცუდად ხომ არა ხარ?!

ის შემოსჩივლებს:

— ირაკლი ითხოვს სიტყვას!..

— მიეცი მერე, რეგლამენტში ვეღარ ეტყევი თუ რა?!

— არა, რეგლამენტი რა შუაშია, მაგან მოულო ბოლო სიმონ ჩიქოვანსაც და ახლა, ხომ ვიცი, მტკიცებას მოჰყვება, დიდი მეგობრები ვიყავითო...

— თქვას მერე, — ჩაცინებოდა ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, — მაინც არაფერი დაიფარება, ადრე თუ გვიან ყოველივე გამჟღავნდება და დაე ამტკიცოს, გულს მაინც ვერ დაიმშვიდებს...

წამდვილად ჩინებულად მოეხსენებოდა.

ეგაა, ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ეს სიბრძნე ვრცელდებოდა ყველაზე, მის გარდა. სხვები მარჯვედ ვერ ფარავდნენ, ვერ აპირკეთებდნენ საკუთარ ნამოქმედარს და როგორც ნაწვრეტებიდან, ისე მოჟონავდა გულდაგულ ამოშენებული კედლებიდან ის სიმართლე, საბოლოოდ მაინც რომ ანგრევდა რუდუნებით ნაკონინებ შენობას. ეს — სხვანი. მაგრამ თუკი მარჯვედ და მოხერხებულად მოქცეოდი, აღარც ნაჩრეტი დარჩებოდა აღარსად და ვეღარც წყალი გამოჟონავდა, და გულმოდგინედ მოღამაზებული პორტრეტიც დარჩებოდა ისეთი, როგორც გენება, ერთბენო ლაქად არსად დააჩნდებოდა.

ამ გზას მიჰყვებოდა აქამდე.

მაგრამ მოგონებისას უნდა დადგომოდა ჟამი, რათა ზურგი შეექცია იმ ყალბი პორტრეტისათვის იმ სიბრძნის კარნახითაც: მაინც არაფერი დაიფარება, ადრე თუ გვიან ყოველივე გამჟღავნდება, — და იმ სურვილითაც, უფალთან მიახლოება აღსარების გუნებაზე რომ გაყენებს ადამიანს, გულის გადასხნისა და ყველაფრის ამოთქმის, რაც სინდისზე დაგწოლია.

მაგრამ... თუ არაფერი დაგწოლია სინდისზე?!

და უფალთან მიახლოებასაც სრულიად ვერა გრძნობ?!

და მოგონებებითაც ათასჯერ ნათქვამ-ნამტკიცების კიდევ ერთხელ დასტურყოფას რომ ლამობ, ეგაა, რაც ინტერვიუებსა და საჯარო გამოსვლებში მიმოფანტულა, ამჯერად ერთიანი თხრობის ქარგაში იკვრის?!

მაშინ აღსარების, პირუთენელი და მართალი მეშუარების ნაცვლად ხელთ შეგვრჩება „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“, სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი არა მარკუს ავრელიუსის „ფიქრებისა“ თუ რონალდ რეიგანის „ამერიკული ცხოვრებისა“, არამედ ნოე ჟორდანისა „ჩემი წარსულისა“ და კანდიდ ჩარკვიანის „განცდილისა და ნააზრვისა“, ყირაზე რომ დამდგარა რეალური ყოფა ერთგანაც, მეორეგანაც და მესამეგანაც, თუმც ნოე ჟორდანია იმით გამოცალკევდება თავის სულიერ შვილთაგან, რომ თავს არ გვაბეზრებს უზომო და უსაშველო ტრაბახით. არა, ბაქიობა არც მის მოგონებებს აკლია, მაგრამ ისე შემანუხებელიც არ არის, როგორც ჩარკვიან-შევარდნაძის თხრობაში, ყური რომ უგდო, აღმშენებლობის გარდა სხვა საფიქრალ-სააზროვნო არცა ჰქონიათ და კიდევ მიუღწევიათ ამქვეყნიური სამოთხის დამკვიდრებისათვის.

გული მხოლოდ იმაზე წყდება ერთსაც და მეორესაც, რომ ედემი მცირე ტერიტორიაზე შექმნეს, საქართველოდ სახელდებულზე, და არა მთელი კაცობრიობისათვის.

ეს რაა, ცოტაა განა?!

კანდიდ ჩარკვიანი ვერ იშოვნინა შესაფერის მეხოტბეებს, შესაძლოა იმიტომაც, რომ მეშუარების გასრულებას ვერ მოასწრებდა და მარტოდენ პირველ ნიგნს დაგვიტოვებდა საწუგეშებლად და ორიენტირად.

ისე საბჭოურ „ახალ ადამიანებად“ უნდა მივეჩნიეთ და არა სრულფასოვან პიროვნებად და პროფესიონალ მკითხველებად, ამ ყაიდის მეშუარების დანერა რომ მოენდომებინა...

და ყველას გვახსოვს აკაკი ბაქრაძის აღშფოთება ამ ნიგნის გაცნობით: ჩაუფუძები და კვალდაკვალ მიყვები, მიყვები და არ ვაპატიებ ამდენ სიცრუესა და ყალბისმქნელობას, ძირისძირობამდე გადმოვშლი და გადმოვაფარჩავებო, — და რაკილა ჩაეთქვა, შემსრულებელიც გახლდათ, რომ არა ის უამრავი საქმე და საზრუნავი, ერთბაშად რომ დაეყრებოდა თავზე არამარტო ლიტერატურულ, არამედ პოლიტიკურ ბატალიებში ჩართულსაც და ვერა და ველარ მოიცლიდა კანდიდ ჩარკვიანის განცდილ-ნააზრვის მიღმა მიჩუმბათებული სიმართლის გამო-სამზურებლად და ახალ თაობათა შესაცდენად ნაგულსამევი ნიგნისაგან ნამუსრვის დასატოვებლად, ან იმისიც არა.

ასეა თუ ისე, ვერ მოველინებოდა ამ მოგონებებს ისეთ კრიტიკოსად, როგორც ნოე ჟორდანისა „ჩემ წარსულს“ — რევაზ გაბაშვილი, ქვას ქვაზე რომ არ დატოვებდა იმ მონათხრობისაგან, მიზანმიმართულად რომ ჩაუდგებოდა კვალში და თანმიმდევრულად და ძირისძირობამდე ამხელდა ყოველ სიცრუეს, სიყალბეს, მიკერძოებას...

ჯერჯერობით არც ედუარდ შევარდნაძის მეშუარებს გამოსჩენია თავისი კრიტიკოსი, თანმიმდევრულად რომ ჩაუდგებოდეს კვალში და მის მონათხრობს შეანაცვლებდეს იმ ეპიზოდებითა და რეალიებით, სინამდვილეში რაც და როგორც მომხდარიყო... არა, სავსებით გვჯერა, ახალი ნეტარი ავგუსტინე რომ ბრძანდება და უყოყმანოდ ვიზიარებთ ჭაბუა ამირეჯიბის ეპითეტებსა და შეფასებებს: საოცრად მართალიო, ალალიო, მიუკერძოებელიო... მიკერძოებისა და ცალმხრივი გაშუქების ერთ მაგალითსაც ვერ იპოვნითო... გვჯერა, მაგრამ მაინც... მაინც... ისე... ყოველი შემთხვევისათვის...

კვალდაკვალ არავინ მიჰყოლია, თორემ ამ თხზულების თითქმის ყველა მონაკვეთი ჯერ კიდევ მანამდეა განხილულიც და შეფასებულიც კრიტიკული თვალთახედვით, ავტორის მსჯელობას მემუარების ნიგნი კი არა, ინტერვიუებისა და საჯარო გამოსვლების ციკლი რომ ერქვა.

აკი ახალი თითქმის არაფერია თხრობაში.

და თუ რაიმე მოგვეჩვენება სიახლედ თუნდ მისეულ თვალთახედვაში, ესეც მხოლოდ გაშლა იქნება ადრე გამოთქმულისა, თორემ მოულოდნელს ნურაფერს დაელოდებით, სინრფელის გამოვლინებას ამაოდ ნუ დაუნყებთ ძებნას.

ცალკეულ მონაკვეთთა განხილვა-შეფასება კი მეც მომიწევდა... ამ ნიგნის გამოქვეყნებამდე.

ის კი არა, ჩემი მონოგრაფია რომ გამოიცემოდა — „ადათები ეშაფოტზე, ენა გილიოტინაზე“ — 1978 წლის 14 აპრილსა და მის შემამზადებელ მოვლენებს რომ წარმოაჩენდა და ხელშესახებად გამოკვეთდა სურათს ქართული ენისათვის კონსტიტუციური უფლების აყრის მცდელობისა, კინალამ საბედისწეროდ რომ გაგვიხდებოდა, ჩაფიქრებითაც ასე ჩავიფიქრებდი და შემდეგ უკვე ნანა გოგიასთან დიალოგისას პირდაპირაც განვაცხადებდი, რომ ეს ნიგნი არსებითად გახლდათ... ედუარდ შევარდნაძის დაუნერელი მეშუარები.

რასაც იგი სულ პირიქით ამტკიცებდა თავის გამოსვლებსა და ინტერვიუებში და ამ მხრივ მომხრენი და თანამდგომნიც ბლომად ეშოვნა, მონმეებად რომ უდგებოდნენ: ნამდვილად ასე იყო, — ამ ნიგნში მართლაც გულწრფელად, მიუკერძოებლად და სიმართლით წარმოისახებოდა და... მკითხველს საპირისპირო შთაბეჭდილება რჩებოდა იმისა, რითაც მანამდე ყურებს უჭედავდნენ ედუარდისტები.

ერთ ყველაზე კანთიელ და შთამბეჭდავ სვეტად რჩებოდა 14 აპრილი უახლესი საქართველოს ისტორიაშიც და ათწლეულთა და საუკუნეთა კვალობაზე ისტორიული ეპიზოდები თუ მოვლენები ძალიან რომ შეიკუმშება და არაერთი თუნდ თვალისმომჭრელი თარიღი მეორე ან მესამე რიგში გადაინაცვლებს, თუ საერთოდ არ ამოვარდება ყველაზე გამოკვეთილ მოვლენათა ჯაჭვიდან, 14 აპრილსაც ისევე ვერ მიეკარება კადნიერი ხელი, როგორც სხვა ნიშანსვეტებს, რომელთა გარეშეც ძალიან გაღარიბდება საქართველოს ზნეობრივი ისტორია.

მონოგრაფიაში თვალნათლივ ცნაურდებოდა ის ფსიქოლოგიური საწყისიც და მიზეზებიც, რამაც გამოიწვია საყოველთაო დემონსტრაცია და უჩვეულო პროტესტი საამისოდ ყოვლად შეუფერებელ გარემოში, სისხლიანი კალოს ზღვარზე რომ ვიდექით, გაილეკებდნენ ის ადამიანებიც, რომელთაც თავთავისი, არცთუ მცირე წვლილი მიუძღოდათ ამ მღელვარების გამონვევაში, თუმც ისიც ხელშესახებად დასტურდებოდა, რომ მანიფესტაციას ერთი წინამძღოლი არა ჰყოლია, არც მაკოორდინირებელი ორგანოს მსგავსი ბირთვი.

ეს გახლდათ ნამდვილი სახალხო პროტესტი, ეროვნული ენერჯის ამოფრქვევა ამაღლებული და წმინდა მიზნისათვის, განსხვავებით 1956 წლის 9 მარტისაგან, რომელიც შემდგრეულია სტალინის სახელის დაცვა-აღდგენის სურვილით.

ორი თავგანწირვა.

და ორი საპირისპირო პოლუსი.

თუმც ერთ-ერთი მთავარი ნიშანი ერთგანაც და მეორეგანაც ერთი წინამძღოლის არარსებობაა.

9 მარტის ლიდერობას არც არავინ დაიჩივებდა.

14 აპრილის შთამაგონებლის როლს კი... ედუარდ შევარდნაძე მიიკუთვნებდა და კლაკიორებსაც ამ განცხადების დამადასტურებლად დაძრავდა და რას დაძრავდა.

ძალიან დაისაჭიროებდა ამ ისტორიული მოვლენის მიტაცებას, ქართული ენის კონსტიტუციური უფლების შენარჩუნებისათვის ბრძოლის მებაირახტრეობას.

რა გგონიათ — ლამის მართლაც გადაწერდა ამ ისტორიულ ეპიზოდსაც თავის თარგზე და... ყოველწლიურ ზეიმს რომ გამართავდა 14 აპრილის აღსანიშნავად, იმეორებდა და იმეორებდა

რება მოუწყინრად და ორატორული ხელოვნებით, როგორ არ შეეპუა კრემლს თვითონ პირველ რიგში და, რასაკვირველია, მთავრობის სხვა წევრებიც და გადაგვიჩინეს მშობლიური ენა სამინაო მეტყველების გისოსებში გამოჭედვისაგან... მერე კი თანდათან სულაც გაქრობისაგან...

და აცურდებოდა კლაკიორთა ტაშა და აღმტაც შეძახილებზე შარავანდდადგმული.

სწორედ ეს შარავანდი ჩამოეხსნებოდა მონოგრაფიაში „ადათები ეშაფოტზე, ენა გილიოტინაზე“.

სწორედ ეს მანტია შემოეფხრინებოდა და შიშველი მეფის მხილველი აღმოჩნდებოდა მკითხველი, რომელიც კინალამ დაზომბირებულიყო ედუარდ შევარდნაძის მიზანმიმართული ჩინიით:

აი, მწვავე და მასშტაბური კონფლიქტის დროულად, გონივრულად და გაბედულად გადაჭრის მაგალითი... მე მემამყება, რომ თავიდან ბოლომდე ამ მოვლენების მონაწილე და გარკვეულად წარმართველიც ვიყავი... 1978 წლის კონსტიტუციის მთავარი მიზანი იყო, შეუქცევადი გაეხადა საერთო-სახალხო საბჭოთა სახელმწიფოს ფორმირება, ერთიანი ენობრივი (რა თქმა უნდა, რუსული) სივრცით, ერთი მენტალიტეტით, მოკლედ, ეს იყო გზა ეროვნულობის დაკარგვისკენ, გარუსებისკენ... ბუნებრივია, გულზე სადგისივით დამესო, როდესაც წავიკითხე, რა ენერა პროექტში ენასთან დაკავშირებით... მე ველოდი, რომ ამ პროექტს გამოქვეყნებისთანავე მოჰყვებოდა ჩვენი ხალხის სათანადო რეაქცია, მაგრამ შევცდილი... ჩავატარე რამდენიმე საჯარო შეხვედრა, მათ შორის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სხვადასხვა ორგანიზაციაში, სადაც ყურადღებას ვამახვილებდი, რომ ყველაზე მგრძობიარე საკითხი ჩვენთვის ენის სტატუსია და ალბათ კიდევ დაგვჭირდება მუშაობა, ფიქრი და კამათიც ამ საკითხზე, მაგრამ ამ გამოსვლებს რაიმე სერიოზული რეაგირება და კამათი არ მოჰყოლია... „ახალი კონსტიტუციის“ პროექტი არავის აინტერესებდა. ვიცოდი, რატომაც — მიაჩნდათ, რომ ფარატიანა ქალაქი იყო, ამიტომ იძულებული ვიყავი, კიდევ ერთხელ და განსაკუთრებულად ხაზგასმით მეთქვა, რომ არის ერთი პუნქტი, ერთი ფორმულირება სახელმწიფო ენასთან დაკავშირებით, რომელიც დასაბუთებულია, მაგრამ იმედი მაქვს, ჩვენი ენათმეცნიერები და მწერლები შესაბამის ფორმულირებას მოგვანდებიან... შემდეგ მწერლები გამოერკვენო... მერე უნივერსიტეტიც გამოფხიზლდა, სტუდენტობა, მოკლედ, აგორდა ტალღა... მიმჩნა, რომ ადრე თუ გვიან ახალგაზრდობა აქტიურად ჩაერთვებოდა და მართლაც, ჩაერთვნენ კიდევ უმაღლესი სასწავლებლები პროფესორ-მასწავლებლების თანადგომით...

ისეთი მგზნებარებითა და ჰეროიკული პათოსით ჰყვებოდა, საქმეში ჩაუხედავ ადამიანებს შესაძლოა მართლაც დამაჯერებელი მოსჩვენებოდათ თეთრი ძაფით ნაკერი სურათი, აგებულ იმ ყოველად ყალბ სქემაზე, როგორ წარმართავს ხელისუფლება სტუდენტთა მანიფესტაციას პროფესორ-მასწავლებლებთან, განსაკუთრებით კი პარტორგანიზაციის მდივანთა მემკვიდრებით, თანაც ისე მარჯვედ, რომ სტუდენტობას ვერც გაუგია, თუ ვინ მართავს და ჰგონია, ჩვენ წამოვიწყეთ და ჩვენვე შევეწირებით, თუკი ამის აუცილებლობა დადგებოდა...

და ხელისუფლებაც და მისგან ჩაგონებული პროფესურა თუ მთელი არსებით ეწინააღმდეგებოდა ამ მღელვარებას, თურმე... მოჩვენებითი ყოფილა და სინამდვილეში ყოველი ნაბიჯი საგულდაგულოდ გათვლილი ჰქონდა ქართველ კომუნისტთა ლიდერს.

როდესაც ამ ყოველივეს ამტკიცებს, რასაკვირველია, მთავარი და უმთავრესი გახლდათ ამ ამბების მოწყვეტა წინააღმდეგელებისაგან, თითქოს წინ არაფერი უძღვოდა, მოსამზადებელი საფეხურები არ ყოფილა და უეცრად და ცამონმენდილზე გამოჩნდა ახალი კონსტიტუციის პროექტი, მშობლიური ენისა და ეროვნულობის წინააღმდეგ მიმართული ფორმულირებით.

„ადათები ეშაფოტზე, ენა გილიოტინაზე“ კი დიდხალ დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით და რეალური სურათის აღდგენით გამოკვეთდა ქართული ენისათვის კონსტიტუციური უფლების ჩამორთმევის მოსამზადებელ საფეხურებს, ედუარდ შევარდნაძის მიერ უჩვეულო უღმობელობით წარმართულს, მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების კამპანია რომ ერქვა და სინამდვილეში იზრახავდა ეროვნული ადათ-წესების აღკვეთა-განადგურებასა და რელიგიურ დღესასწაულთა საბოლოო დასამარებას, რათა მათ მოსპობას დაუყოვნებლივ მოჰყოლოდა ქართული ენის გამოცხადებაც მავნე ტრადიციად და მის დასამცრობადაც გაშლილიყო ის ბრძოლა, ახალი კონსტიტუცია დასტურს რომ დასცემდა და ხელს შეუწყობდა.

რა, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს არც მაშინ მოეხსენებოდა, „მავნე ტრადიციები“ რასაც გულისხმობდა და რას უპირისპირდებოდა სახელმწიფო მანქანის ამოქმედებით და ვერც დროის გადასახედიდან გაარკვევდა, „უნებლიეთ“ რასაც სჩადიოდა?

უკვე მაშინ იცოდა, რასაც ამზადებდა. უკვე მაშინ დაიმედებულიყო, ყველაფერი კარგად აენყო და „მავნე ადათ-წესების“ ამოძირკვას რომ ვუპატაკებ უმაღლეს ხელისუფალთ, ენის დამცრობა-განადგურების მოახლოებითაც გაეხარებ, ბოლოსდაბოლოს ხომ უნდა შეიქმნას საბჭოთა სახელმწიფო ერთიანი ენობრივი (რუსული) სივრცითა და ერთიანი მენტალიტეტით.

და აჰა, ქართულ ენასაც მალე უნდა დარქმეოდა „მავნე“ და „დრომოჭმულიც“, ჯერ შინაური ენის სტატუსს რომ იკმარებდა. უეცრად და ცამონმენდილზე კი არა!..

და ნურც იმ გარემოების მიყრუება-მიჩქმალვას მოინდომებდა ნულარავინ, 14 აპრილის სახალხო გამოსვლა გარეგნულად რომ დაახვეწებდა უკან კრემლსაც და მის სატრაპსაც საქართველოში, ამ დათმობის ქვეშ კვლავაც რომ გაგრძელებოდა მკაცრი პოლიტიკა ქართული ენის უფლებათა შესაზღუდად და ორენოვნების დასამკვიდრებლად, რათა რაც ერთბაში დარტყმით ვერ განხორციელებულიყო, თანდათან, უფრო შეფარულად და მელაობით მიღწეულიყო.

ასე შეიქმნებოდა ამ მონოგრაფიით „ადათები ეშაფოტზე, ენა გილიოტინაზე“ ედუარდ შევარდნაძის შესაძლო მემუარების ის მოდელი, ის სახე, რომელიც, ეჭვიც არ მეპარებოდა, არც არასოდეს დაინერებოდა, და თუ ოდესმე საჭიროდ მიიჩნევა კრწანისში გამოკეტილი ყოფილი პრეზიდენტი მოგონებათა შექმნას, პირწმინდად განმეორდებოდა ის მოსაზრებანი და მტკიცებანი, არაერთხელ რომ მოგვესმინა.

მაშ არადა, ჩემს წიგნს ჩააგებდა აინუნში!.. და კიდევ...

მითუმეტეს, წინასწარვე იცოდა, მეხოტბენი რომ არ დაელოდა და... აგერ თუნდ ჭაბუა ამირეჯიბი ისეთი სიმტკიცით გვიბეჯითებს: საოცრად მართალი, ალალი და მიუკერძოებელი წიგნია და მასში მიკერძოებისა თუ ცალმხრივობის ერთ მაგალითსაც ვერ იპოვნითო, — ლამის მეც დავიჯერო და თუნდ ჩემს იმ მონოგრაფიაში თავმოყრილი დიდძალი დოკუმენტური მასალა და ნაბიჯ-ნაბიჯ და ყოველმხრივ აღდგენილი სრული სურათი ჩემი წარმოსახვის ნაყოფად მივიჩნით.

მე მემამყება, რომ თავიდან ბოლომდე ამ მოვლენების მოწინააღმდეგე ვარკვეულად წარმართველიც ვიყავი...

საამაყოს სხვასაც ბევრს მონახავდა თავის ბიოგრაფიაში და მოვლენათა ამგვარ გაშუქებაზე აიგებოდა „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“, რომლის ერთ მონაკვეთში პერსონაჟად უნდა შემოსულიყო ზვიად გამსახურდიაც, ვისი ფსიქოლოგიური პორტრეტის შტრიხებიც ასე წარმოჩნდებოდა ედუარდ შევარდნაძის თვალთახედვით, ამ კითხვებში გარკვევას რომ შეეცდებოდა, ოღონდ, ცხადია, თავისებურად:

მაინც ვინ იყო იგი, საქართველოს პირველი პრეზიდენტი, რისთვის მოვიდა ხელისუფლებაში და სათავეში ჩაუდგა მას?

რას მიაღწია უმაღლეს პოსტზე ყოფნის დროს და რატომ აღმოჩნდა დევნილობაში?

რა გახდა მისი თავბრუსხვევი აღმასვლისა და არანაკლებ შემადრწუნებელი ფიასკოს მიზეზი?

რა კვებავს განდევნილი პრეზიდენტის ათასობით თავყანისმცემლის უსაზღვრო რწმენას მისადმი?

ყველას თავთავისი პასუხი მოეძვებოდა ამ კითხვებზე, ორი პოლუსი რომ გამოიკვეთებოდა განსჯა-შეფასებისას და ამ გარემოებას მემუარისტის საგანგებოდ აღნიშნავს: ზოგი ეროვნული მოძრაობის პატრიარქს უწოდებს და სხვები — „სატანის მოციქულს“; ბევრი ხატავს მას როგორც სიკეთისა და სამართლიანობის რაინდს, ამდენივე — როგორც სიმხდალისა და ვერაგობის განსახიერებას.

„ამდენივეო“ — ჰიპერბოლიზებული ნათქვამია, რადგანაც ბევრად და ბევრზე ბევრად აჭარბებს მომხრეთა და მოთაყვანეთა რაოდენობა მის მოძულეებს. ნუ შეგვაცდენს სამხედრო გადატრიალების აღსრულება და ნუ გვეგონება, რომ ორი ფრთა მეტ-ნაკლებად თანაბარი გახლდათ. მცირე გუნდი ჩადგომოდა იდეურ და შეიარაღებულ ოპოზიციაში, ეგაა, მათ ზურგს უკან აღმართულიყო უზარმაზარი სახელმწიფო, რომელიც გადაძალავდა და შთანთქავდა კანონიერ ხელისუფლებას.

დამაფიქრებელია, „სატანის“ მოციქულს წინკლებით რომ მოსავს, ვითომდა — მე არაფერ შუაში ვარ და ჩემგან სანყენად ნურავინ მიიღებს, უბრალოდ აღვბეჭდავ იმას, რაც თქვენც მოგისმენიათ და მეცო.

სიმხდალესა და ვერაგობას კი წინკლებში აღარ ჩასვამს, რაც უნდა მიგვანიშნებდეს, რომ გარკვეულად იზიარებს ამ შეფასებას. ეს ისე, შეფარულად, თორემ დაბეჯითებით სულ სხვას განაცხადებს: მიუხედავად იმისა, ვინ არის მართალი ამ კამათში, ერთი უდავოა: ზვიად გამსახურდია იმდენად რთული ფენომენია, რომ შეუძლებელია მისი განსჯა უბრალოდ და ცალმხრივად, დაუშვებელია შავ-თეთრი ფერებით დავხატოთ საქართველოს პირველი პრეზიდენტის პორტრეტი.

და ამ კონტექსტშია, თავისი სიტყვების განმეორებას რომ მიიჩნევს აუცილებლად:

— ზვიად გამსახურდია, უპირველესად, ტრაგიკული ფიგურა იყო, რომლის პირადი ტრაგედიაც მსოფლიო სიდიდის ტრაგედიებს შეიძლება შევადაროთ.

თითქოსდა გარეშე კაცის თვალთ შეაფასებდა, მემატიაზის, გარედან ვინც აკვირდება მთელს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებსა და მის მონაწილეთ და კმარობს მთხრობელის როლს, მზერის მიმოვლებისას კი ისე წარმოუჩნდება ეს ყოველივე, რომ:

ზვიადი მოვიდოდა „ხავერდოვანი“ რევოლუციების ტალღაზე — 80-იანი წლების მინურულს, როდესაც სოციალისტურ სამყაროში განახლების ნიაგი დაუბერავდა და აღმოსავლეთ ევროპაში მასების ნებისა და ალტკინების გამოხატველი ანტიკომუნისტური კოალიციები უზარმაზარ პოპულარობას მოიპოვებდნენ. და სწორედ ასე გახელისუფლებდნენ: „სამოქალაქო ფორუმი“ ჩეხოსლოვაკიაში, „სოლიდარობა“ პოლონეთში, „საიუდისი“ ლიტვაში, „სახალხო ფრონტი“ ესტონეთსა და ლატვიაში.

და აი, 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ხელისუფლებაში მოსული „მრგვალი მაგიდის“ რაინდები გააუქმებდნენ კომუნისტურ იდეოლოგიას და წამოაყენებდნენ „ეროვნულ იდეას“.

— მათი მისწრაფება — აღედგინათ ეროვნული თვითმყოფადობა — გამოვლინდა ეროვნული ცნობიერების საწყისებისკენ მიბრუნებით, მაგრამ ანტიკომუნისტებმა სახელმწიფოს მართვისას ვერ შეძლეს რაიმე არსებითად ახალი შექმნათ და იძულებულნი გახდნენ მიებაძათ ძველისათვის. გამსახურდიას ხელისუფლების ქმედებას კომუნისტური ელფერი დაჰკრავდა.

რასაკვირველია, ეს შეფასება შორსაა სიმართლისა და მიუკერძოებლობისაგან (ჭაბუა ამირეჯიბს რა შეეშლება, მაგ-

რამ მაინც!..), მაგრამ დამაფიქრებელი ისაა — და ნუთისოფლის პარადოქსულობის გამოვლინებათაგანი — ედუარდ შევარდნაძე ზვიად გამსახურდიას იმას რომ საყვედურობს: მის ქმედებას... კომუნისტური ელფერი დაჰკრავდაო...

თვითონ ბატონი ედუარდი, თავის გარემოცვასთან ერთად, ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის სავარძლიდან აკიკრემლს დაპირისპირებოდა, აგერ თუნდ ქართული ენის გადასარჩენად, და თუ ვინმეს ქმედებას შეიძლება დაჰკრავდეს კომუნისტური ელფერი, ისევე და ისევე ზვიად გამსახურდიასი...

თუმც ასე კვალში რომ ჩავედგეთ, ყოველი ფრაზა გადასაფასებელი გაგვიხდება და ვეღარ ჩავამთავრებთ თხრობის ამ რკალს, ამიტომ ერთი-ორი შემთხვევის გარდა ნულა ჩავერევით და უპირველესად დაუუკვირდეთ, რარიგ წარმოჩნდება საქართველოს პირველი პრეზიდენტის პორტრეტი მეორე პრეზიდენტის გადასახედიდან.

— ზვიად გამსახურდიამ ფრიად ოსტატურად გამოიყენა მასობრივ ფსიქოლოგიაში ჩადებული კომპლექსები.

ვინ... ვის ეუბნება!..

ამ „ფრიად ოსტატურმა“ არ მოგაცყუოთ, ამ კონტექსტში ბრალდებისა და სარკაზმის ელფერი უფრო დაჰკრავს.

თუმც... აკი უნდა გვეცლია ჩამთავრება.

მაინც რა იგულისხმება „ფრიად ოსტატურ გამოყენებაში“?

— პრეზიდენტი სასწაულმოქმედის ნებით ათასობით ლუმპენმა მიიღო თვითრეალიზაციისა და ახალი არისტოკრატების როლში დამკვიდრების შანსი. ზვიადს შეეძლო გადაექცია რეციდივისტი მინისტრად, ვეტერინარი — იურისტად, მომღერალი-მედიოლე — სახელმწიფო მოღვაწედ, სტომატოლოგი ან მხატვარი — სამხედრო გენიად და სულ უფრო ღრმად იდგამდა ფესვებს „უბრალო ადამიანებში“ მის ზებუნებრივ შესაძლებლობათა რწმენა. „პრეზიდენტი-სასწაულმოქმედი“ მათთვის იქცა გადარჩენისა და ახალი ცხოვრების დაწყების თავისებურ გარანტიად. „ზვიადიზმმა“ რელიგიური შეფერილობა შეიძინა და რელიგიურ სექტას დაემსგავსა.

რელიგიური სექტისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ზვიადიზმი მართლაც შეიძენდა რელიგიურ შეფერილობას.

ხოლო ირონიული ფრაზა: ათასობით ლუმპენმა მიიღო თვითრეალიზაციის შანსიო, რატომღაც „პრეზიდენტ-სასწაულმოქმედს“ რომ უკავშირდება, სხვა რომ აღარაფერი ითქვას, განა ზვიად გამსახურდიასაგან სრულიად დამოუკიდებლად არ განვლო ეს გზა თვითონ ედუარდ შევარდნაძემ — ლუმპენიდან სულაც უმაღლეს ხელისუფლებამდე?!

თვითრეალიზაცია და ასეთი?!

აი, სარკასტული გადაკვრა სტომატოლოგისა და მხატვრის სამხედრო გენიად გამოცხადებაზე ბატონი ედუარდისაგან ცოტა უხერხულად გამოიყურება: ზვიადის შეცდომა შეეცდომა, მაგრამ განა სწორედ ის, სამხედრო გენიებად წარმოდგარი მხატვარი და სტომატოლოგი არ იყვნენ, ედუარდ შევარდნაძეს გზა რომ გაუკაფვს პენსიონერის „სკამიკიდან“ საქართველოს პრეზიდენტის სავარძლისაკენ?!

მართალია, იმ მღელვარე პროცესების სადავები „პენსიონერს“ ეპყრა და თავიდან ბოლომდე წარმართავდა, მაგრამ შემსრულებელნიც ხომ გინდა, რომელნიც სცენარში თავის როლს პირნათლად აღასრულებენ?!

თუმც... ნეტა ამას მაინც ვაცალოთ ჩამთავრება.

მემუარისტის მიჩნევს, რომ: ზვიად გამსახურდიას ფენომენი ჩვენი საზოგადოებისათვის კვლავაც დიდ პრობლემად რჩებოდა და სწორედ ამიტომაც ცდილობდა საზოგადოების ერთი ნაწილი მის უგულებელყოფას, დამცირებას ან მიჩქმალვას, ამით კი იმთ ემსგავსებოდნენ, თვის ზვინში ცეცხლის დამალვას რომელნიც ცდილობენ.

ვინ შეიძლება ყოფილიყო ამ ფენომენის ამხსნელი?

არც „ზვიადისტები“ და არც „ანტიზვიადისტებიო“, — განაცხადებდა ედუარდ შევარდნაძე, — მხოლოდ ამ სნეულები-საგან განკურნებულ საზოგადოებას შეუძლია საღად იმსჯე-

ლოს 1990-91 წლების მოვლენებსა და მის მთავარ მოქმედ პირზე, რომელიც ყველა არსებული თუ არარსებული ნაკლის მიუხედავად, საქართველოს ისტორიაში შევიდა, როგორც მისი პირველი პრეზიდენტი.

ვინც:

— ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოაცხადა და წინააღმდეგობრივ მოვლენათა წინაშე დამარცხებულმა თავი მოიკლა. მიზეზი თუ მიზეზები ამ თვითმკვლელობისა საძიებელია და დასადგენი.

ოდნავ ეჭვსაც არ გამოთქვამდა: მართლა თვითმკვლელობა იყო თუ არა.

მარტოდენ მისი მიზეზისა თუ მიზეზთა გამორკვევა მიაჩნდა საჭიროდ.

ეს ყოველივე, ცხადია, მის გარეშეა, სადღაც შორს მომხდარი მისი თითის გაუტოკებლად, თავის მხრივ კი უამბობდა მკითხველს, თუ როგორ მისწერდა კონსტანტინე გამსახურდია 1974 წლის 1 იანვარს ახალგაზღვრულ ედუარდ შევარდნაძეს მისი საახალწლო მილოცვის პასუხად ბარათს, რომელშიც ამასაც აღნიშნავდა: ჩვენ ვამტკიცებთ, რომ გიორგი ბრწყინვალისა და ბაგრატი მეხუთის შემდეგ საქართველოს არ ღირსებია ასეთი მამაცი მთავრობაო.

ხოლო ზვიადის გახელისუფლების შემდგომ ედუარდ შევარდნაძის „ერთ-ერთი თბილისელი მეგობარი“ რომ გამოაქვეყნებდა ამ ტექსტს:

— ზვიადი გაცეცხლდა. უბრძანა მის მორჩილ გაზეთებს, გამოექვეყნებინათ განცხადება, რომელშიც ამტკიცებდა, რომ მამამისი დასაწყისში ნამდვილად კეთილად იყო განწყობილი ჩემდამი, მაგრამ შემდეგ გული გაუტყდა და მაკრიტიკებდა. გულწრფელად ვამბობ, ამგვარი რამ არ მასსოვს.

გულწრფელად იტყვი, ანკი რა არის ამ მეშურებში არა-გულწრფელად ნათქვამი, ეს რომ იყოსო, აუცილებლად დაუკრავდა კვერს ჭაბუა ამირეჯიბი.

ისე „მის მორჩილ გაზეთებსო“ რომ ამბობს, ის ტექსტი სადაც დაიბეჭდა, ზვიადის ასეთ განაწყენებას რომ გამოიწვევდა, ის გაზეთი კი, რასაკვირველია, არ იქნებოდა „შევარდნაძის მორჩილი“ — ალალი და მიუკერძოებელი გამოცემა უნდა ყოფილიყო.

თუმცა... მოჰყვეს, მოჰყვეს...

საქართველოდან განდევნის შემდეგ ზვიად გამსახურდია ღია ბარათს რომ გამოაქვეყნებდა ედუარდ შევარდნაძისადმი („საბრალდებო დასკვნას“ ჩემს „საქმეზე“) და მოითხოვდა პასუხი გაეცა თვითეულ წარმოდგენილ პუნქტზე, ეს რომ გაჩუმებას ამჯობინებდა, მეშურებში მაშინდელ დუმილს ასე ახსნიდა:

— როცა პრინციპული პოლიტიკურ აზრთა სხვადასხვაობა პირადი შეურიგებლობის სიბრტყეში გადაჰყავდა, იგი მე მიბიძგებდა, გამოემეჩეყნებინა მისთვის ნაკლებად სასიამოვნო დოკუმენტები, რასაც შეეძლო ზიანი მიეყენებინა მისი სახელისთვის — დაეძაბა საქართველოში ისედაც გართულებული სიტუაცია.

„საოცრად მართალი, ალალი და მიუკერძოებელი“ მთხრობელი გვარნმუნებს, რომ თვითონ უფრთხილდება საქართველოსაც და პირადად ზვიად გამსახურდიას სახელსაც, იმას კი არც ერთი ანაღვლებს და არც მეორე!..

თითქოს პირდაპირ არაფერს გვაუწყებს, მაგრამ გამჭვირვალე ქვეტექსტი უფრო მწვავეა, ვიდრე უშუალოდ დაწერილი იქნებოდა:

— 1991 წლის დეკემბერში გამსახურდიამ მოახერხა სუკის არქივების განადგურება, მათ შორის — ლიტერატურის მუზეუმში დაცული სუკის არქივისაც, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს წარსულის ზოგიერთი კვალისა და ნიშნის სრულ წაშლას. მე ახლაც არ შევხები მისი ბიოგრაფიის ფართოდ ცნობილ ფაქტებს.

უპირველესად მონანიებაზე გადაუკრავს.

ორიოდე ფურცლის მერე კვლავ დაუბრუნდებოდა ზვიად გამსახურდიას იმ „ღია წერილს“ ანუ „საბრალდებო დასკვნას“,

ნას“, რომელსაც მოიხსენიებდა „ბრალდებათა“ სტანდარტულ ანაკრებად“ და დასძინდა:

— მე რომ უარყოფის სენით ვყოფილიყავი დაავადებული, ყოველგვარი გართულების გარეშე გავფანტავდი მთელ ამ სიცრუეს. ყველაზე უარესი ის არის, რომ იგი იყენებდა ამას მოტყუებული და სასონარკვეთილი თანამემამულეების ცნობიერებით მანიპულირების მიზნით.

იმ „ყველაზე უარესსაც“ რატომ მოერიდება, როდესაც — ავტორის მტკიცებით — ზვიად გამსახურდიას არ ანაღვლებს მოტყუებული და სასონარკვეთილი თანამემამულეების ბედი!.. თუმცე „საოცრად მართალი, ალალი და მიუკერძოებელი“ წიგნი ჭეშმარიტების გზიდან როგორ გადაუხვევს!..

მაგრამ... დავუგდოთ ყური.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელისუფლება დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას რომ გადაწყვეტდა (სინამდვილეში: კრემლის დავალებას შეასრულებდა), საპასუხოდ კი საქართველოს პარლამენტი აღნიშნავდა ამ აქტის უკანონობას და გააუქმებდა ავტონომიას, 1991 წლის 12 მარტს ზვიად გამსახურდია ტელეფონით რომ შეეხმებოდა ედუარდ შევარდნაძეს და სთხოვდა, განცხადებით გამოსულიყო ცხინვალის რეგიონის მოვლენათა თაობაზე, ის უარს ეტყოდა: ცეცხლზე ნავთს დაასხამსო, — და ამ მოტივსაც ამცნობდა: თქვენ გსურთ, დამაკისროთ პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებისათვის, რომელიც თქვენ მიიღეთ, მე არ მიმაჩნია იგი სწორად — ავტონომიის გაუქმებისათვის ხანგრძლივი და ძვირი ხარკის გადახდა გახდება საჭიროო.

საქართველოს პრეზიდენტი მიხაილ გორბაჩოვის ბრძანებულებაზე რომ ჩამოაგდება სიტყვას: შინაგანი ჯარების შეყვანას კონფლიქტის ზონაში შეუძლია მკვეთრად გააუარესოს ვითარებაო, — თანამოსაუბრის სახით თანამოაზრეს ვერ ჰპოვებდა.

არც მის იმ თხოვნას შეინყნარებდა ედუარდ შევარდნაძე:

— ხომ არ შეგიძლიათ უკან წაიღოთ განცხადება გადადგომის შესახებ და დარჩეთ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე. იქ თქვენ სარგებლობას მოუტანდით საქართველოს.

ეჰ, ერთი მუშნი ზარანდია მოუტანდა სამშობლოს სიკეთეს თავისი პოსტის სიმამლიდან და მეორე — ეს!..

თუმცა... ამჯერად მის პასუხს დავუკვირდეთ:

— ეს შეუძლებელია, უნდა გამიგოთ, მე არ შემიძლია სიტყვის უკან წაღება.

ნ პირილს კი მათი ცხარე სატელეფონო დიალოგი ასე დასრულდებოდა:

— თუ თქვენ არ მიაღწევთ საქართველოდან ჯარის გაყვანას — სამუდამოდ დაკარგავთ საქართველოს და საკუთარ ხალხს! მე გამიძნელებდა მისი შეკავება! აქამდე ვაკავებდი, ახლა კი აღარ გავაკეთებ! ყველა თქვენს ახლობელს გავაძევებთ! — ნება თქვენია, ზვიად, მხოლოდ უნდა იცოდეთ, რომ ვერც თქვენ და ვერც სხვა ვინმე ვერ დამიშლის სამშობლოში დაბრუნებას.

ვერც თქვენ და ვერც სხვა ვინმეო...

თამამადაა, თავდაჯერებულია, რაკილა ზურგსუკან ამხელა სახელმწიფო უდგას.

და უკვე ელოდება, როდის მოხდება გარდუვალი და ცარიელი დარჩება საქართველოს პრეზიდენტის სავარძელი — შიგ „პენსიონერის“ ჩასაბრძანებლად.

იმ გარემოებას, ხელისუფლებაში ზვიად გამსახურდიას მოსვლას მილოცვის დეპუტით რომ შეეხმებოდა, მეშურებში თან ებოდიშება მკითხველს: ჩემთვის მის შესახებ ცნობილი იყო ბევრი ისეთი რამ, რასაც უნდა შევეჩერებინე ასეთი ნაბიჯისაგან, მაგრამ მაინც მივეცი თავს ამის უფლებასო, — და თან ასე იმართლებს თავს: ეს მილოცვა მხოლოდ გამსახურდიას კი არ ეკუთვნოდა, არამედ ხალხს, რომელმაც 1921 წლის მერე პირველად, კომუნისტური დიქტატურის საწინააღმდეგოდ, თავისუფლად გამოხატა თავისი ნებაო.

„სწორია თუ არა მისი არჩევანი, ამაში თვითონ უნდა დარწმუნდეს“ — მაშინდელ ამ ნაფიქრსაც გაამხელდა და დასძინდა: იმ წუთას აზრი არ ჰქონდა მეთქვა — თქვენ შეცდითო...

და საშუალებას იშოვნდა და ჩაურთავდა:

— რაც უნდა ემტკიცებინა ჩემ შესახებ ზვიადისტურ პროპაგანდას, მე არასოდეს წავსულვარ ჩემი ხალხის წინააღმდეგ. მართალია, ყოველთვის არ ვეთანხმებოდი, მაგრამ „კრემლის №1 აგენტი“ ხალხის ინტერესებს არასოდეს უგულვებელყოფდა. ეროვნული ტრადიციებისა და ნეს-ჩვეულებათა წინააღმდეგ გაშლილი ბრძოლა, ქართული ენისათვის კონსტიტუციური უფლების ჩამორთმევის მცდელობით დაგვირგვინებული, ცხადია, ხალხის ინტერესთა უგულვებელყოფას სრულიადაც არ ნიშნავდა!..

თუმცა... თვითონ მას მოვუსმინოთ და იმ დეტალსაც მივაქციოთ ყურადღება, დაბეჯითებით რომ გვარწმუნებს, როდესაც მეკითხებოდნენ ზვიად გამსახურდიას შესახებ, ყოველთვის ასე ვპასუხობდი: მე პატივს ვცემ ხალხის არჩევანსო.

ეს მართლაც ასე იქნებოდა.

თავს დროზე ადრე არ ვასცემდა ედუარდ შევარდნაძე.

ხოლო შესაფერის წუთს რომ იგრძნობდა, ანუ კრემლის პროპაგანდისტული მანქანა რუსეთსაც და დასავლეთსაც მოჰფენდა საქართველოს პრეზიდენტის „დანაშაულთა“ ამბებს, თვითონ მას კი ნაციონალ-ფაშისტური ტიპის რეჟიმის დამამყარებლად წარმოსახავდა, კიდევ გამოჩნდებოდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი ტელეეკრანზე და განაცხადებდა: ამ ყოველივეს წინასწარ ვვარაუდობდიო.

ყველაზე მეტი რა შეეძლო გაეკეთებინა საკუთარი ქვეყნისათვის?

— თავიდან აგვეშორებინა საბჭოთა კავშირის ისეთი რღვევა, რომელიც რესპუბლიკებს და მათ შორის საქართველოსაც მაქსიმალურ ზარალს მიაყენებდა...

რამ შეუშალა ხელი ამ სასიკეთო განზრახვის აღსრულებაში?

— ამისთვის შემხვედრი, შეთანხმებული მოქმედებაც იყო საჭირო. საქართველოს ახალი ხელმძღვანელობის მხრიდან სწორედ ეს არ ჩანდა. მძიმე სანახავი იყო, რა მისტიკური ჟინით შეპყრობილები მიათრევდნენ ისინი ქვეყანას თვითგანადგურებისკენ. ასეთ პირობებში არ არსებობდა რაიმე შანსი, რომ ვინმე გაიგონებდა შენს ნათქვამს, სიტუაციის გამწვავების ბრალდება კი აუცილებლად გაიჟღერებდა...

„პუტჩის“ ირგვლივ მსჯელობისაგან თავს შეიკავებდა, რაკილა... ამ პროცესში... საერთოდ არ ჩარეულიყო!.. და მამ მემუარულ წიგნში რა უნდა მოეგონებინა!.. ამიტომაც პირდაპირ გადავიდოდა თხრობა საქართველოში დაბრუნების გადაწყვეტილებასა და ამის წინასწარ განხილვაზე: ჰანს-დიტრიხ გენშერთან, ბორის ელცინთან, ნურსულთან ნაზარბაევთან, ლევონ ტერ-პეტროსიანთან, ჯეიმზ ბეიკერთან, იასუჰირო ნაკასოუსთან, ჰენრი კისინჯერთან, ჟაკ შირაკთან, ბოს სტრაუსთან, კოლეგებთან „დემოკრატიული რეფორმების მოძრაობიდან“.

ისე არ გამოვიდეს, თითქოს ქართულ საზოგადოებრივ აზრს უგულვებელყოფდეს?

შინაურ „პატრიოტთა“ ბრალდების თავიდან ასაცილებლად განაცხადებდა, რომ გადაწყვეტილება დაბრუნების შესახებ მომნიშვნებოდა, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ქართული საზოგადოებრივი აზრის ძლიერი ზემოქმედების შედეგად.

— ჩემთან მოდიოდნენ ჩვენებურები (ოთარ ლითანიშვილი, რამაზ ჩხიკვაძე, ირაკლი ბათიაშვილი და სხვანი); მათ შორის იყვნენ „მოლაპატეებიც“ — გამსახურდიას ყოფილი მოკავშირეები და ჩემი გუშინდელი მომთინვე მლანძღველები. საქართველოდან მიღებული ფოსტა, რომელიც წინა თვეებში მწირი იყო და, ძირითადად, სალანძღავი წერილებისაგან შედგებოდა, ახლა მოულოდნელად გაიზარდა პეტიციების, მონოდებების, მოთხოვნების, ვედრების ხარჯზე.

ასეთი პეტიციები, მონოდებანი, მოთხოვნები, ვედრება იმდენი შეიძლება შეითხზას და დახორავდეს, რამდენსაც მოინდომებ.

— მე მჭირდებოდა მეგობრების პოლიტიკური და მორალური მხარდაჭერა და მე იგი მივიღე. საჭირო იყო მკაფიო და არაორაზროვანი სახალხო მანდატი — ესეც დაინერა. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები საქართველოში აფიქსირებდა ნებისმიერი პოლიტიკოსისათვის შესაშურ რეიტინგს.

მიუხედავად ამისა, მაინც ლელავდა.

ერთი ამერიკელი მწერალი შეაგულიანებდა და ეტყოდა: თქვენს დაბრუნებასთან დაკავშირებით მომავლად ერთი ანალოგი — შარლ დე გოლის დაბრუნებაო.

შედარებისათვის ეს მადლობას მოახსენებდა და მიუგებდა:

— რაკილა ესოდენ ამალღებულ თემებს შეეხეთ, მე სხვა ანალოგს დავისახელებდით — ნაპოლეონის დაბრუნებას...

— რომელიც წმინდა ელენეს კუნძულით დამთავრდა, — განაგრძობდა მისი ენამწარე თანამემნე.

ის მწერალი „საგარეო პოლიტიკურ ასოციაციაში“ პროექტით მისულიყო — ერთობლივად გამოეცათ დიდი გაზეთი. იგი არ ინდომებდა საუბრის დამთავრებას სევდიანი კილოთი და ამიტომ დასძინდა:

— გენერალი ჟირო რომ სწორი გზით წასულიყო, ბონაპარტე მოიგებდა ვატერლოოს ბრძოლას!

პასუხად კი ედუარდ შევარდნაძე:

— ასე რომ ყოფილიყო, ან ისე... ბედს ვერ გაექცევი. ჩემი ბედი საქართველოა და თუ იქ მე ნაპოლეონის ბედი მელის, მაშინ თქვენი გამოცემისათვის ეს გამანადგურებელი დარტყმა იქნება.

ვის უხსენებდნენ შარლ დე გოლს და... ვის ფიქრებში ტრიალეზა მისი სახება!

ვის წამოაგონდებოდა ნაპოლეონ ბონაპარტე და... ვისი ბედი დაემგვანებოდა მისას, თან წმინდა ელენეს კუნძულზე გადასახლებაც რომ არ ეღირსებოდა.

ისე... ჟირო რა შუაშია, როდესაც ვატერლოოს ბრძოლის ბედს გენერალ ემანუელ გრუშის დაგვიანება გადაწყვეტდა. ამის თაობაზე შტეფან ცვაიგის ისტორიული ეტიუდიცაა შექმნილი „ერთი წამი ვატერლოოსთან“, თურმე წამსაც რომ შეუძლია განსაზღვროს არამარტო ერთი ბრძოლის (ჯერ ეს თქვი!..), არამედ კაცობრიობის ბედიც. თუმც ამდენს ნულა მოვთხოვთ ედუარდ შევარდნაძეს, ვინც შეთანამებით რარვგ შესთანამებდა დიდ სახელებს.

ჰოი, რა მოაშარავანდებდა მოსკოვიდან გამომგზავრების წუთებს მემუარებში. აზიდავდა და ალამაღლებდა, ისეთი განცდით წარმოსახავდა, მართლაც შარლ დე გოლსა და ნაპოლეონ ბონაპარტეს რომ შეეფერებოდათ და კიდევ ამ სიტყვებით შეჰკრავდა ამ პასაჟს: ამიხდა იმ ამერიკელი მწერლის წინასწარმეტყველებაო.

— სწორი იყო მაშინ ჩემი გადაწყვეტილება, რადგან გარკვეულწილად, ალბათ, ამ ჩამოსვლითაც გადავარჩინე ჩემი ქვეყანა დაშლას, შიმშილსა და მრავალ სხვა უბედურებას.

სიამაყით აღნიშნავდა თავის ამ არჩევანს, თუმც ამ გზაზე უამრავი ხაფანგი ელოდა, ჩიხში შემყვანი და დახლართული განმტოება, და დაუეჭვებლად განაცხადებდა: სხვა ჩემს ადგილას არასოდეს გარისკავდა მასზე ფეხის შედგმას, არცერთი სალად მოაზროვნე პოლიტიკოსი, რომელიც ისევ და ისევ პოლიტიკის, როგორც შესაძლებლობათა ხელოვნების კანონებით ხელმძღვანელობს, ესოდენ რთულ მისიას არ დათანხმდებოდა... ამჯერად რისკი მეტისმეტად დიდი იყო, მე შეიძლება ყველაფერი წამეგო — სიცოცხლეც კიო.

მამ არჩევანი აქეთ რატომ წამოიყვანდა?

ამ გადაწყვეტილებას რა მიაღებინებდა?

ამ კითხვას მაშინ ასე პასუხობდა:

— ვბრუნდები იმიტომ, რომ არ შემიძლია არ დავბრუნდე. უნებლიეთ ხომ არ წამოგაგონდათ მუშნი ზარანდიას სიტყვები, მტკიცედ რომ იმეორებს მარტინ ლუთერის სენტენციას: აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს?!.

თუმც მემუარების თხრობის მდინარებას მივყვეთ, იმ ფიქრს წლების შემდგომ ასეთ შეფასებას რომ მიაღვენებდა:

— და ეს იყო არა პოლიტიკოსის, არამედ ადამიანის, საკუთარი ქვეყნის შვილის პასუხი.

ისეთი მგზნებარებით გვამცნობს ამ ყოველივეს, მგონი... მგონი კიდევ სჯერა, ისე გაუშინავანებია... იმდენჯერ იმეორებდა და ისე იმადლებოდა, ისე ირგებდა მესისის მანტიას, მოგონებებში ოდნავ უხერხულობასაც აღარ განიცდის და მისი ცხოვრების ნამდვილი ქარგა რომ არ ვიცოდეთ, შესაძლოა თვალეები ავებმოდა და არა ანგარებით, არამედ მართლაც მოგვჩვენებოდა, რომ ალალი და მიუკერძოებელი კაცი გვესაუბრებდა, სიცოცხლეც რომ ჩირად არ მიაჩნია, ოღონდაც როგორმე შეენიოს თავის დავრდომილ სამშობლოს, წუთისოფლის უკუღმართობას რომ სადღაც გადაუხვეწავს, მაგრამ მაინც თვითონ გამხდარა საკუთარი ბედის მჭედელი.

1991 წლის 3 ივლისს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი მოსკოვში რომ გამართავდა პრესკონფერენციას, ამასაც ჰკითხავდნენ: რა როლს ასრულებს დემოკრატიული ძალების გაერთიანებაში ან გაერთიანებული დემოკრატიული პარტიის შექმნაში ედუარდ შევარდნაძე?

— ამბობენ, რომ შევარდნაძემ დიდი ევოლუცია განიცადა, რომ იგი ის ედუარდ შევარდნაძე აღარ არის, რაც 15 წლის წინათ იყო. თვითონ ამბობს ასე და იმავეს ამბობენ მასზეც. მაგრამ მე მინდა, რომ ამაში საქმემ დამარწმუნოს, — მიუგებდათ ზვიად გამსახურდია.

რას გულისხმობდა?

ასეთი რწმენა მაშინ გაუჩნდებოდა, როდესაც შევარდნაძე თვითონ გაამჟღავნებდა საკუთარ დამოკიდებულებას კომპარტიის მიმართ, როცა იტყოდა ყველაფერს, როგორც აღსარებას, აღსარებას ხალხისა და ისტორიის წინაშე, თუ რა მოიმოქმედა საქართველოში, სადაც კომპარტიის ემისარი გახლდათ.

— მხოლოდ მაშინ დავუჯერებ.

ვიდრე იგი დუმდა, არაფერს ამბობდა საკუთარ წარსულსა და თავის კომპარტიაზე, ვიდრე მხოლოდ ლაპარაკობდა, რომ დემოკრატიის შექმნა სურდა, საქართველოს პრეზიდენტს უფლება ჰქონდა დაეჭვებულებოდა მის დიდ ევოლუციამ.

— ჯერ თქვით, თუ რა ჩაიდინეთ კაცობრიობისა და ხალხის წინაშე და მხოლოდ მაშინ დაგიჯერებთ. გაკიცხეთ ეს წარსული თუნდაც ისე, როგორც ხრუშჩოვმა გააკეთა.

„თუნდაც ისე“ გულისხმობს, რომ ზვიად გამსახურდიას სულაც არა სჯერა ნიკიტა ხრუშჩოვის სინრფელისა, მაგრამ ხომ შეძლო, რომ გარეგნულად მაინც დაეგმო თავისი წარსულიც, ხომ სცადა, რომ გული გაეხსნა და აღსარება ეთქვა? ან მცდელობისთვისაც იმსახურებდა თუნდ ზვიად გამსახურდიას თვალში პატივისცემას, მითუმეტეს, ედუარდ შევარდნაძესთან შედარებით, ვისაც არაფრისდიდებით არა სურდა საკუთარი წარსულის შესახებ რაიმეს თქმა.

— დაე კომენტარები საკუთარ წარსულს გაუკეთონ, — ირონიულად დააბოლოებდა ამ მკაცრ შეფასებას... თუმც ხომ მაინც უტოვებდა გამოსავალს: ახლა მაინც აღიაროს ყველაფერი, მოინანიოს გარეგნულად მაინც და დავუჯერებ დიდ სულიერ გარდაქმნას.

ეჰ, მაშინ კი არა, მძაფრი მოვლენების შუაგულში რომ მოქცეულიყო და კვლავაც ზევით ტივტივის ეიმედებოდა, სიცოცხლის მიმწუნრზეც არაფერში გამოტყდებოდა, თორემ მემუარებზე უკეთესი ასპარეზო რა შეიძლება იყოს გულის გადასახსნელად და სააღსარებოდ!..

არც ერთი საღად მოაზროვნე პოლიტიკოსი...

ამ ფრაზაში მარჯვედაა ამოკერებული უზომო თვითქება, ის თვითშეფასება, რომელიც, მისი რწმენით, ასეც უნდა დამკვიდრებულიყო საზოგადოებრივ ცნობიერებაშიც და ისტორიულ ანალებშიც, პოლიტიკოსზე მაღლა მამულიშვილობას რომ აყენებს...

არადა, ამჯერადაც ისევე მოვევლინებოდა საკუთარ ქვეყანას მხსნელად, როგორც 1978 წლის 14 აპრილს მშობლიურ ენას გადამრჩენად!..

კიდევ კარგი, მარტოდენ ასეთი მემუარების იმედად რომ არა ვართ... და გაცილებით სანდო წყაროებიც არსებობს იმ ისტორიულ მოვლენათა არსში ჩასახედად.

ეგაა, რომაელთა შეგონებას ყოველთვისაც უნდა ვითვალისწინებდეთ:

მოვუსმინოთ მეორე მხარესაცო!..

ვუსმენო, რა, არ ვუსმენო ბატონ ედუარდსაც?

და აჰა, მშობლიური მიწის ბიძგი უნდა იგრძნოს თვითმფრინავის დაჯდომისას... თითქოს თავისი ქვეყანა ფიზიკურადაც შეხებოდეს. ილუმინატორის თვალში ხედავს შეკრებილ ხალხს, რომელიც მაშინვე კიბებს უნდა მიწყდომოდა.

მემუარებში რამდენიმე ფრაზას რომ იხსენებს, მისი აქამოფრენის განწყობილების აღსადგენად, აღარსად წაცდება ის სიტყვები, ინტელიგენციას რომ მიესალმა ტრაპზე ჩამოსვლისთანავე: იარაღი აიღო ხელში და დიქტატურა დაამხო.

აღარ სიამოვნებდა იმ ფრაზის გახსენება.

და რაკილა მოგონებებში ჩქმალავს, ჰგონია, რომ ისტორიაც ასევე მიაყრუებს და პირწმინდადაც გააქრობს.

სხვა მხრივ კი ყველა, როგორც უნდა გამოცხადებულიყო დემოკრატიული კურსი, ურომლისოდაც ვერ გაირღვეოდა საერთაშორისო იზოლაცია და ვერ მივალწვედით საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღიარებას, ვერც სისხლისღვრის შეჩერებას ცხინვალში, კონფლიქტისაკენ ფარულ მოძრაობას აფხაზეთში. საჭირო გახლდათ წარმოების ამუშავება და ეკონომიკური რეფორმის დაწყება. ამისათვის კი აუცილებელი იყო კანონთა პაკეტი, ხოლო მათ მისაღებად — ლეგიტიმური საკანონმდებლო ორგანო.

რაო, ჯაბა იოსელიანსა და თენგიზ კიტოვანს რთული დამოკიდებულება ჰქონდათ კანონთან?

ასე თავშეკავებით ჩამოაყალიბებდა მათი ცხოვრების წესს მემუარებში?

ყოფით რეალობაშიც საკმაოდ „თავშეკავებით“ გაისტუმრებდა ორივეს ციხეში.

ეს ზვიად გამსახურდიას არ ჰქონდა უფლება ჯაბა იოსელიანის „რთული დამოკიდებულება კანონთან“ არ მოეთმინა და დაეტუსალებინა, თორემ ედუარდ შევარდნაძეს ამ უფლებას ვინ წაართმევდა, და თუ ზვიადის მმართველობისას ჯაბა იოსელიანის დაპატიმრება პოლიტიკური მოწინააღმდეგის უკანონო ჩამოცილებად და ანტიდემოკრატიულ ქმედებად გამოცხადდებოდა რუსეთის საინფორმაციო მანქანის მეშვეობით, იგივე საქციელი ახალი ხელისუფლების მხრივ შეფასდებოდა... დემოკრატიულ გადამწყვეტილებად და აუცილებლობად და სავესებით კანონიერად — და უშუალოდ იმ ადამიანთა მიერაც, სულ ცოტა ხნის წინათ გამსახურდიას რომ გმობდნენ: თავისუფლებისმოყვარე და რომანტიკულ პიროვნებას ასე როგორ მოექცაო!..

ხოლო როდესაც ეს შეხედულება არაერთხელ გამოითქმოდა: ეს ორი ფიგურა — ზვიად გამსახურდია და ედუარდ შევარდნაძე — დარჩება ქართველი ხალხისათვის მიზიდულობის ორ პოლუსადო, — მემუარების ავტორი დასძენს:

— სიმართლე გითხრათ, არ მინდოდა ვყოფილიყავი „პოლუსი“, მაგრამ ვერსად გაექცევიტე მემდეგ ფაქტს: ქართველი საზოგადოება პოლიტიკურად მკვეთრად პოლარიზებული აღმოჩნდა, რაც ყველაზე ცუდი იყო.

1992 წლის 24 ივნისს ზვიად გამსახურდიას მომხრეთა რაზმი თბილისში იერიშს რომ მიიტანდა შინაგანი ჯარების ლეგიონის ყაზარმებზე, ხელთ იგდებდა ტანკსა და რამდენიმე ასეულ ცეცხლსასროლ იარაღს, შემდეგ კი დაუბრკოლებლივ გადაჭრიდა მთელს ქალაქს, დაიკავებდა საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს შენობას, მეამბოხეთა მეთაურები კი ეთერში გამოვიდოდნენ და მოსახლეობას მოუწოდებდნენ „კანონიერი ხელისუფლების აღდგენისა“ და „შევარდნაძის

სისხლიანი ხუნტის დამსახურებულნი, მემუარებში ეს ეპიზოდი დაუკავშირებოდა სოხუმში მონონაციონალური აფხაზური გვარდიის ქვედანაყოფის იერიშს აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაზე, რათა იქიდან განედევნათ ქართველი მინისტრი გივი ლომინაძე.

— ზვიადისტების გამოვლა თბილისში და სოხუმის „აქცია“ აშკარად სინქრონიზებული ჩანდა.

„სახელმწიფო გადატრიალების ამ მცდელობას“ სწრაფად რომ აღკვეთდა, ედუარდ შევარდნაძე მაშინვე გადაფრინდებოდა სოჭში, სადაც ბორის ელცინის მოელაპარაკებოდა და ხელს მოაწოდებდა დაგომისის შეთანხმებას ქართულ-ოსურ ზონაში სამხრეთი სამშვიდობო ჯარების შეყვანის შესახებ.

თავს იმართლებს: მაშინ ასე მოჩანდა — ეს „სუფთა თამაში“ იყო.

ყველაფერთან ერთად რუსეთი ივალდებულებდა გაეროში საქართველოს მიღებისათვის ხელშეწყობას.

— გულიდან თითქოს ლოდი მომწყდა, მაგრამ მაინც მანუხებდა განგაშის განცდა.

რუსეთთან დადებული შეთანხმება ძალიან ამშვიდებს, და მამ განგაშის განცდა რაღას გამოუწვევია?

რაღას და:

— მივხვდი, რომ 24 ივნისის სოხუმის ინციდენტს ძალიან მალე მოჰყვებოდა სხვებიც, რომლებიც ისევ და ისევ სინქრონიზებული იქნებოდა ზვიადისტების გამოხდომებთან. წინათ-გრძობამ არ მიმტყუნა. ერთი თვეც არ იყო გასული და კვლავ საბედისწეროდ დაემთხვა ერთმანეთს სხვადასხვა ავისმომასწავებელი მოვლენა.

ცხინვალსა და მის მხარეში მომხდარი ტრაგიკული მოვლენები ხომ ზვიად გამსახურდიას აპკიდა.

ახლა თხრობას ისე წარმართავს, სოხუმსა და მის მხარეში მომხდარი ტრაგიკული მოვლენებიც მასვე უნდა გადააბრალოს.

და საამისო სურათები ისეთი გულუბრყვილობით წარმოიხსახება, თითქოს ოდესმე მართლა სჯეროდა, რომ ერთგანაც და მეორეგანაც ეთნიკური კონფლიქტი განხორციელდა და არა რუსეთ-საქართველოს ომი — უმთავრესად ამ ტერიტორიებზე.

თბილისში ედუარდ შევარდნაძის დაბრუნების შემდეგ ზვიად გამსახურდიას მომხრეებთან მოლაპარაკებას მისი ნდობით აღჭურვილი პირები რომ წარმართავდნენ, 11 აგვისტოს სწორედ მათ, 11 კაცს, აიყვანდნენ მძევლად — შინაგან საქმეთა მინისტრსა და მის მოადგილეს, ახალი ხელისუფალის მრჩეველსა და სხვა ოფიციალურ პირებს. მძევლებს გალის რაიონში, სოფელ კოჩარაში გადაიყვანდნენ.

ხოლო 13-14 აგვისტოს სადგურ ინგირთან სარკინიგზო ხიდს რომ ააფეთქებდნენ აფხაზები კრემლის ფარული დავალებით, აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ საქართველოსთან ახლა საავტომობილო გზაღა აკავშირებდა, და თუ ამ გზაზე ავტობიდსაც ააფეთქებდნენ...

— მოკლედ, ყველაფერი კეთდებოდა იმისთვის, რომ საქართველო არეულიყო და აფხაზეთი ან მშვიდობიანად, ან ძალით ჩამოემორებინათ ქართული სახელმწიფოსთვის.

ცხადია, ვერ მიიჩქმალბოდა, 14 აგვისტოს აფხაზეთის მხარეში თენგიზ კიტოვანის მეთაურობით რომ გადაადგილდებოდა ქართული ჯარის ნაწილი, მაგრამ სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე სრულიად აირიდებს პასუხისმგებლობას ამ გადაწყვეტილებაზე:

— არ იქნა გავალანინებული სახელმწიფო საბჭოს მითითებანი.

დევნილი პრეზიდენტის სახელმა კიდევ ერთხელ მაშინ უნდა ამოყვინთოს თხრობაში, როდესაც „ძალზე მძიმე სიტუაციის შექმნას“ მემუარისტი იმით ახსნის:

— ზვიად გამსახურდია დაბრუნდა საქართველოში და უკვე ორ ფრონტზე გვინევდა ბრძოლა — აფხაზ-რუს-ჩეჩენებსა და „ზვიადისტებთან“.

არც ვიცი, ღირს თუ არა ამის დაწერა, — თითქოს სურს, ბრალი აარიდოს დევნილ პრეზიდენტს, მაგრამ რა იღონოს, როდესაც:

— ისტორია მაინც ისტორიაა...

ნეტა ისტორიის გადაწერა რაღაა?!

შენთვის სასურველ თარგზე მორგება?!

თუმცა... ვუსმენთ მეორე მხარესაც.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე („რომელიც ახლოს იყო ზვიად გამსახურდიასთან“) ედუარდ შევარდნაძეს ეტყობა:

— მივწერე, რომ არ ჩამოსულიყო, მაგრამ მაინც ჩამოვიდა. ეს ჩამოსვლა კი იმას გამოიწვევდა, რომ:

— ვინც კი ზვიადისტი იყო, ყველა მოიხსნა ქართული ფრონტიდან...

ღამე თათბირს ჩაატარებდა, ყველა ბატალიონის მეთაური რომ ესწრებოდა, მათ შორის ეგრეთწოდებული „ფუნჯიკულიორის“ ბატალიონის მეთაურიც, გვარად ვეკუა, შესანიშნავ მებრძოლად რომ მოიხსენიებს:

— მან დიდად დამაიმედა, მტერს არ შემოვუშვებთო, მაგრამ დილით გამსახურდიას შემონათვალის განკარგულებით — ოჩამჩირეში შევიკრიბოთო, ისიც და სხვებიც მოიხსნენ პოსტებიდან.

თურმე ამ განკარგულებას გაუწირავს სოხუმი და არა ედუარდ შევარდნაძის გადაწყვეტილებას — მოხსნა ქალაქის თავდაცვითი ზღუდეები, გამოეყვანა ჯარი და საბრძოლო ტექნიკაც პირნიშნად გამოეზიდა...

და კიდევ იკარგება ზვიად გამსახურდიას კვალი ავტობიოგრაფიულ თხზულებაში „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“.

მემუარისტს არამცთუ არავითარი მონაწილეობა არ მიუღია პრეზიდენტის კვლადკვალ დევნაში და საბედისწეროდაც არ მიუჩინავს, არც კი გაუგია, ასეთი რამ თუ მომხდარიყო.

უიმიოდ აღსრულებულიყო ის ტრაგედია ძველ სიბუღაში... და ქვეყნის მეორე პრეზიდენტი მხოლოდ ცნობად მიიღებდა, რომ მისმა წინამორბედმა:

— წინააღმდეგობრივ მოვლენათა წინაშე დამარცხებულმა თავი მოიკლა.

და თავის მხრივ დასძენდა, რომ: მიზეზი თუ მიზეზები ამ თვითმკვლელობისა საძიებელი და დასადგენი გახლდათ, მაგრამ დაე დეტექტივებსა თუ ისტორიკოსებს, ფსიქოლოგებსა თუ მწერლებს ერკვიათ და დაედგინათ, თვითონ ხომ არც ერთი იყო, არც მეორე, არც მესამე, არც მეოთხე... თავისთავად, გაუტოკებლად ჩავარდნოდა ხელთ ახალამოგებული სახელმწიფოს მმართველობის საქმე, არცერთი საღად მოაზროვნე პოლიტიკოსი ასეთი ნაბიჯის გადადგმას არაფრისდიდებით რომ არ დათანხმდებოდა, მაგრამ როდესაც მამულიშვილობა გავალდებულებს, აღარ დაერიდები არავითარ რისკს, თვით სიცოცხლის განირვასაც.

აჰა და... მოვუსმინეთ მეორე მხარესაც.

თანაც როგორი დითირამბიკოსის ხოტბის ფონზე: საოცრად მართალი, ალალი და მიუკერძოებელი... მიკერძოებისა და ცალმხრივი გაშუქების ერთ მაგალითსაც ვერ იპოვნიო...

მაინც არაფერი დაიფარებაო...

ამ აზრს კი უყოყმანოდ უნდა დავეთანხმოთ, მაგრამ არა ედუარდ შევარდნაძის სენტენციად, არამედ სახარებისეულ შეგონებად:

არა არს დაფარული, რომელი არ გამომჟღავნდესო...

ხოლო ეს კი რაოდენ ღრმააზროვანი, ზუსტი და დაწურული ფორმულირებაა: ზვიად გამსახურდიას პირადი ტრაგედია მსოფლიო სიდიდის ტრაგედიებს შეიძლება შევადართო.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

იოსებ ჭუმბურიძე

„ომარ ხაიამ, შეიწყალე ჩემი რობაი“

რამდენიმე წლის წინათ ვახტანგ ჯავახიძემ გალაკტიონის სახლ-მუზეუმში მოისმინა ელგუჯა მარლიას ლექსი, რომელიც ნოდარ ტაბიძეს ეძღვნება:


**როგორც დაღლილი დენდი,
გაეპარებით ქალაქს,
იქ, რიონისპირ, დედა
ისევ დაეძებს გალას...**

**თქვენ ის ძახილიც გესმით,
„სადა ხარ, გატუნია“,
ლამით აბოდებს ლექსი
ფშანში გატრუნულ ნიავს.**

**ბუდობს გარშემო სათნო,
დაუეწიყარი ხმები...
და განა ღვინო გათრობთ,
მარადისობით თვრებით...**



ელგუჯა მარლია



ომარ ხაიამი

მაშინ ბატონმა ვახტანგმა მითხრა: „სამწუხაროდ, არ ვიცნობ ელგუჯა მარლიას, არ ვიცი, როგორი პოეტია, ეს ლექსი კი ნამდვილად შესანიშნავია.“

დარწმუნებული ვარ, ბატონ ვახტანგს ელგუჯა მარლიას ის რობაიები კიდევ უფრო მოეწონებოდა, უურნალმა „ჩვენ-მა მწერლობამ“ 2015 წლის 3 აპრილის ნომერში რომ გამოაქვეყნა.

მაშინ კი ასე თქვა, სამწუხაროდ, არ ვიცნობო.
და ეს ოდნავადაც არ იყო მისი ბრალი.

„დამნაშავე“ თვითონ ელგუჯა იყო — დღეს სანთლით საძებარი მორიდებულობით, ჩრდილში დგომითა და უხმაურო ღვინო, ანუ იმ თვისებებით, ნამდვილ პიროვნულ ღირსებებს რომ ქმნიან.

მას ასე ცხოვრების სირთულე კარგადა აქვს გაცნობიერებული, ამიტომაც წერს ერთ — ერთ რობაიში:

**ხან ბილიკია ეს ცხოვრება, ხან ბუნვის ხიდი,
ღირსებით გავლას გამძლეობა სჭირდება დიდი...**

ის უხმაუროდ არა მხოლოდ პოეზიის სფეროში იღვწის: მეუღლესთან, ქალბატონ მანანა გეგიძესთან ერთად, წარმატებით ხელმძღვანელობს საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო „პროფილს.“ სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მათ მიერ გამოცემული „საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგიდო ენციკლოპედია“ ფასდაუდებელ სამსახურს უწევს ამ რთულ და საინტერესო დარგში დასაქმებულთ, განსაკუთრებით კი მათ, ვინც ხსენებულ სფეროს იკვლევს ან უნივერსიტეტში შესაბამის სასწავლო კურსს უძღვება.

ამ სააგენტოს სახელი ასევე გაგვახსენებს „ქართული ბრენდის დღეს“, რომელიც ყოველწლიურად გრანდიოზული დაჯილდოების ცერემონიალით აღინიშნება ხოლმე...

...მაგრამ დღეს რობაიებზე უნდა ვისაუბროთ.

ორი-სამი თვის წინათ ელგუჯა მარლიამ ინტერნეტის საშუალებით რამდენიმე რობაი გამაცნო.

ძალიან მომეწონა.

მომეწონა და ნავაქეზე.

თითქმის ყოველდღე ახალ რობაის „მიგზავნიდა“

ამჟამად იყო, რომ პოეტმა საკუთარი თავი იპოვნა, სათქმელის გამოხატვის ყველაზე ადეკვატურ ფორმას მიაგნო.

მაშინ ფეისბუქში ხუმრობით ვიკითხე: საინტერესოა, რობაი გაჩნდა ელგუჯასათვის, თუ ელგუჯა რობაისათვის? ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ ხუმრობა არ იყო.

რობაის ხსენება ქართველ მკითხველს უმალვე ომარ ხაიამის შემოქმედებას გაახსენებს, დიდებულმა მთარგმნელებმა (იუსტინე აბულაძე, ამბაკო ჭელიძე, მაგალი თოდუა, თამაზ ჩხენკელი, ნომადი ბართაია, ალექსანდრე ელერდაშვილი) ჩვენი ლიტერატურის კუთვნილებად რომ აქციეს.

უპირველესად კი მაინც ვახუშტი კოტეტიშვილის მიერ თარგმნილი 118 რობაი გაგვახსენდება. ეს ის შემთხვევაა, როცა პოეტმა იპოვნა თავისი მთარგმნელი და შეგვიძლია, გავიმეოროთ ბორხესის სიტყვები, ედვარდ ფიტცჯერალდის შესახებ თქმული: „ვახუშტი კოტეტიშვილის პიროვნებაში ერთ მშვენიერ დღეს ომარ ხაიამის სული ჩასახლდა.“

გული არ მოგიტმენს, რომ ერთი ნიმუში მაინც არ მოიხმომო:

**რადგან რაიმე, ქარის გარდა, არ არსებულა,
რადგან ყოველი დაქცეულა, არ ავსებულა,
არარსებული არსებულად უნდა ჩათვალო,
არსებული კი მიიჩნიო არარსებულად...**

როცა ასეთი თარგმანები გაქვს, დიდი გაბედულებაა, მკითხველს საკუთარი რობაი გაცნო.

ელგუჯა მარლიას ამის შეგონება არ სჭირდება.

ის კარგად გრძნობს დიდ პასუხისმგებლობას და საშველად (ჩვენგან დასაცავად) სწორედ ომარ ხაიამს მიმართავს:

ომარ ხაიამ, შეიწყალე ჩემი რობაი...

დარწმუნებული ვარ, ამ თხოვნას აუცილებლად შეუსრულებს „დიდი ნიშაპურელი“, რომელმაც 10 საუკუნის შემდეგ, საქართველოში არა მხოლოდ თავისი მთარგმნელი, ღირსეული შეგირდიც იპოვნა.

ვინც ელგუჯა მარლიას რობაიებს გულის — ყურითა და გონების თვალთ ნაიკითხავს, გადაჭარბებდა ან მხოლოდ ლამაზ ფრაზად არ მიიჩნევს იმას, რომ „ერთ მშვენიერ დღეს მის პიროვნებაში ომარ ხაიამის სული ჩასახლდა.“

აი, ერთი ნიმუში:

გზასაცდენილი მორბენალი ვნახეთ მრავალი, პრეზიდენტებმა დაგვახურეს თავზე ყავარი, დაიმახსოვრე, გზასაცდენილ მართონელზე უფრო სწრაფია ხეიბარი სწორად მავალი...

მინც რა სჭირდება რობაის ყველაზე მეტად? აზრობრივი თვალსაზრისით, ეს წმინდა წყლის სენტენციაა. სენტენცია კი, იმავე ბორხესის აზრით, რაც შეიძლება, მოკლედ უნდა გამოითქვას.

ერთ-ერთ დიალოგში ის, ამ კუთხით, ჰერაკლიტესაც კი აკრიტიკებს, იხსენებს რა ცნობილ სენტენციას — „არავის ძალუძს ორჯერ შევიდეს ერთსა და იმავე მდინარეში“...

ბორხესი დასძენს: „და მერე ჰერაკლიტე ამატებს იმას, რაც სრულიადაც არ არის აუცილებელი — „ვინაიდან წყალნი შეიცვალნენ“...“

რობაი ოთხსტრიქონედია (არაბულად სწორედ ამას ნიშნავს) და გრძლად თქმის საშეშრობას ისედაც გამორიცხავს. მთავარი ისაა, რომ ამ ოთხიოდე სტრიქონში ღირებული სათქმელი, ჭკვიანური აზრი ჩადო და ჩაატო. ამას კი ვერ შესძლებ, თუ ფიქრში ჩაღრმავებული არა ხარ და ზურგს სათანადო განსწავლულობაც არ გიმაგრებს.

ელგუჯა მარლია სწორედ ასეთი კაცი და პოეტი.

ამას დაგვიდასტურებს მისი რობაიები, რომელთა ეპიგრაფები გვამცნობენ, რომ ჩვენს წინაშეა რემინისცენციები პლატონის, ლეონარდო და ვინჩის, ფრენსის ბეკონის თემაზე.

ფრენსის ბეკონის თემაზე რემინისცენცია („გზასაცდენილის რობაი“) უკვე მოვიხმეთ, ახლა და ვინჩის თემაზე დანერვილს („დაფიქრების რობაი“) გავეცნოთ:

ირგვლივ რაც ხდება კლოუნადა, ნამდვილი ცირკი, ამჯერად უფრო მაფიქრებს და ნაკლებად მიკვირს, სულით ბრმა ველარ დაინახავს ნამდვილ სიკეთეს, — ვინც სათნოებას თესავს, ხშირად სიძულვილს იმკის...

...არაფერი გვითქვამს რითმაზე.

„ბავშვმაც კი იცის“, რომ რობაის ოთხსტრიქონედში პირველი, მეორე და მეოთხე სტრიქონები უნდა გაირითმოს. თუმცა ვახუშტი კოტეტიშვილს ზოგჯერ ცდუნება სძლევს და ოთხივეს რითმავს — „ვეფხისტყაოსნის“ პატრონია და, ალბათ, ესეც აქეზებს(სხვათა შორის, თარგმანებში რუსთველის კვალი ამკარად მოჩანს).

ელგუჯა მარლია კანონიკურ მოთხოვნას იცავს და მისი რითმები ისევე სანიმუშოა, როგორც მტკივნეული სათქმელის გადმოსაცემად მოძებნილი უზუსტესი დეტალები:

ალარც სახლია საყვარელი და ალარც ეზო, არც საფერავის სუნი გვათბობს ნაცნობი ეგზომ... მამულის სარკე, მშობლიური თქვენი ხაშშია, — რა გითხრათ და რით გაგახაროთ, ბატონო რეზო?!

ომარ ხაიამის რობაიები დანომრილია, ელგუჯა მარლიასი — დასათაურებული: „იუდას რობაი“, „სირცხვილის რობაი“, „სამშობლოს რობაი“...

ამ უკანასკნელს, სინამდვილეში, უპირველესს, უმთავრესს, გვერდს ვერ ავუვლი. აი, რას გვეუბნება ელგუჯა მარლიას „სამშობლოს რობაი“:

განგებამ ასე ისურვა და მიბოძა ნება, რომ პირში გითხრა სათქმელი და შენც იგრძნო შეება, სამშობლოს თავთან ნურასოდეს გააიგივებ, მოკვდავი მიდის, სამშობლო კი მარადის რჩება...

ამ კონტექსტში აუცილებლად უნდა მოვიხმო „სამეგრელოს რობაი“, რომელიც ბევრი თავგზააბნეულის გასაგონადაა გამიზნული:

განსაცდელშია საქართველო... მოირყა ბურჯი, რაც თავი მახსოვს, ემატება სირცხვილის ხურჯინს... სამეგრელოში არ ეძებოტ მტერი აზონი, უპირველესად, სამეგრელო ეს არის ქუჯი...

გული არ მომითმენს, „სახლის რობაი“ არ დავიმონმო, ნატო კორსანტიას რომ ეძღვნება:

თითქოს გამტყდარა, მარტოობით გული დაღლია, ხსოვნის საუნჯე, ეს ხომ შენი რეჩხის სახლია... ამ ეზო — კარის მოდარაჯე ხეჭეჭურები რტოებს გიქნევენ ბავშვობიდან და გეძახიან...

ვისაც ნაუკითხავს ნატოს წიგნი „ჩემი სახლი“, ვინც იცის გალსა და თბილისს შორის მისი სულის მიმოქცევანი, მშობლიური სახლის ვერდათმობისა და ურთულეს პერიოდებში მისი სარისკო მონახულების ამბავი, შეუძლებელია, ამ რობაიმ სულის სიმი არ შეურხიოს.

თითქმის ყველა რობაის დამონმება მინდა, მაგრამ ეს დაუშვებელია.

ნუ დამძრახავთ და ერთ რობაის კიდევ მოვიხმობ. ის მიწანერია ჩემს წიგნზე „ლიმილი დედოფალ ანასი“. ოთხ სტრიქონში ელგუჯა მარლიამ მოახერხა იმის ჩვენება, რომ ღიმილი აქ უაღრესად პირობითია:

სხვა სილამაზე აცისკროვნებს დედოფლის ღიმილს, სხვა არის მისი პოეზიის მზე(ცა) და სხვიც, და უნებურად მახსენდება ახლა ჯოკონდა, — იმ ამოუცნობ ღიმილს მიღმა რა ცრემლი ღვივის...

საერთოდ კი, და ეს აუცილებლად უნდა აღინიშნოს, ელგუჯა მარლიას რობაი ეს არის ქართული რობაი — არა, უნიწარესად, ფორმით, რითმით ან სხვა ელემენტებით, არამედ ქართული სატკივრით, სულისკვეთებით.

ერთდროულად, გამეხარდა და გამიკვირდა კიდევ, როცა გავიგე, რომ ელგუჯა მარლიას რობაიები ისეთ მკაცრ შემფასებელსაც კი შეუქია, ძნელად რომ რაიმეს მოაწონებ.

გულუბრყვილობის ასაკს კარგა ხანია, გამოვცდი და ვიცი, რომ ადამიანები იშვიათად ამბობენ იმას, რასაც კაკალ გულში ფიქრობენ, მაგრამ ახლა ეს ნაკლებად მაინტერესებს, რადგან მყარად მჯერა და ვერავინ გადამარწმუნებს: ელგუჯა მარლიას რობაიები არა მხოლოდ მისი ნამდვილი შემოქმედებითი გამარჯვებაა, არამედ ეს არის ყველაზე ახალი, ცოცხალი და ჭეშმარიტი ფასეულობა, რაც უკანასკნელი წლების ქართულ პოეზიაში შექმნილა.

არ მეშინია:

„გამოვიდეს რომელიმე ვაჭარი და ამ წვიმის პოეზია უარყოს“...

როზა დევიდარიანი

სასოების ნაკადად — შეუზღალავი სითეთრა

ძვირფასო რედაქციავ!

სულით ხორცამდე შემდრა „ჩვენი მწერლობის“ (6 მარტი, 2015) გარეყდაზე აღბეჭდილმა სურათმა (მხატვარი თეიმურაზ გაგნიძე), რომელზეც კაცობრიობის სულიერი გადარჩენის მისტიკური საიდუმლო უაღრესად პლასტიკური, სისხლის გამყინავი ფერებითაა წარმოსახული. ხატება შხამიანი გველისაგან — კაცთა მოდგმის თანამდევნი დასაბამიერი ბოროტი ძალისაგან — დაკბენილ ბარტყებს გადაფოფრებული ვარზისა, იმავე პელიკანისა, საკუთარი სისხლითა და ხორციით რომ კურნავს სასიკვდილოდ განწირულთ, ერთდროულად თავგანწირვასაც აირეკლავს, ტკივილსაც, ტანჯვასაც, მწუხარებასაც, გულის დამთუთქავი სისხლის წვეთებით რომ გამოიხატება, და მათი გადარჩენის ნუგეშინით შობილ სიმშვიდე-სიხარულსაც, ესოდენ სულისშემძვრელად რომ გამოკრთის დაღლილ, მოქანცულ, მაგრამ მაინც სხვირაუმქრალ გამოხედვაში.

სასოების ნაკადად მოედინება მხილველისაკენ სპეტაკი, შეუზღალავი სითეთრა, რომელიც საგალობელსაც თან მოიყოლებს, ამ რწმენის განმამტკიცებელს: „შეიმოსე ნათელი, ვითარცა სამოსელი“...

ჯვარცმის წინაშე აღმართული, ფართოდ ფრთებგაშლილი პელიკანი, თვითშენიშნის იდეით შობილი და მისი ხორც-შესხმის მოვალეობით შთაგონებული, მართლაც რომ განასახიერებს მაცხოვარს, რომელიც დაუცხრომლად ლამობს, თავის წმინდა წიაღში, დედაეკლესიის წიაღში, უმკურნალოს სანუთროსეული ცოდვებით დაწყლულებულ შვილებს, რათა „ნათელი შემოსოს ზესთა ზენისა“ და „მუნ დააუნჯოს, წამალი სადა ძეს სულთა ლხენისა“ (რუსთაველი).

ბოროტად ხახამოღებული უწმინდური, გლისპი და უამური გამომეტყველებით რომ აულერებია თავი, იმ კოსმიურ დრაკონთან ასოცირდება, რომელსაც ქრისტიანული სამყაროს მოშობა დაუსახავს მიზნად და დაუცხრომლად მიილტვის ბუდის გარშემო შემოსაგრაგნად, რათა ზეცაში დაწყებული გაბრძოლება, უდავო და უთუშცაო დამაუცხრობისათვის განწირული, აქ, დედამიწაზე წარმატებით დაავგირგინოს.

ბოროტის სახეზე გააკება-გაასპიტებასთან ერთად მიზანთან მიახლოების სიხარულიცაა აღბეჭდილი. ცოტაც და — საკუთარ კუდს მისწვდება პირით, ცოტაც და, მის კერძად

იქცევიან ვარზიც, მართვებიც... აღდგომამდე და აღდგომის შემდეგ შობილიც და ჯერაც უშობელიც, ნათელბულნიც, ნათლისღების წმინდა ნათელს საზიარებელიც... ცოტაც და... სულ, სულ ცოტაც და...

მაგრამ პელიკანი მკერდითაც იცავს შვილებს, ფრთებითაც ეფარება, ჯვრის ძალითაც იფარავს და გველის სრბოლის შემდეგ თვალნათლივია: იგი მისივე წინამორბედის ბედს გაიზიარებს, მისი თავი, უეჭველად, იმ ჩონჩხაქცეული თავის გვერდით გაგორდება, რომელიც ცოდვილთა მკურნალმა და მცველმა, უძლეველი ძალით აღჭურვილმა, მის არქეტისპს წაანყვიტა.

ვარზვი, უფლისმიერი სიყვარულისა და თავდადების განსახოვნება, ამავე დროს არის გამჭვირვალე ალევორია შვილებისათვის თავგანწირული მშობლისა, რომელიც მზად არის, გულის სისხლიც გაიღოს, „სულ ბოლო ამოქშენაც“ უძღვნას, სიცოცხლევ განიროს, ოღონდ ბოროტმა ბუდიდან არ წარსტაცოს და „სოფლისა მლილთა საკბენად“ („ვეფხისტყაოსანი“) არ განიროს „უსჯულოებათა შინა მიდგომილი და ცოდვათა შინა შობილი“ ადამის ძენი.

და ისე თავგანწირულია დედა... და ისე მონადინებით ისწრაფიან შვილები მისკენ... ისე მხურვალედ, ისე გულდაგულ ენაფებიან მის მიერ უშურველად გაღებულ მსხვერპლს, რომ უდავოა: მშობლის სისხლითა და ხორციით გამოკვებილი მართვები არამც და არამც არ განეშორებიან მაცხოვრებელ ბუდეს, „რათა არა განვარდენ სასუფეველისაგან“ და, ღვთის ნებით, იმ მიუაზრდილებელ ნათელში დაემკვიდრონ, „რომელი თვალმან არა იხილა და ყურსა არა ესმა და გულსა კაცი-სასა არა მოუხდა“.

ულრმესი მადლობა წყნეთის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის წინამძღვარს, ილუმენ იოანე ოქროპირიძეს, რომლის თხოვნითა და ლოცვა-კურთხევითაც ეს სიმბოლური სურათი შეიქმნა; მადლობა ბ-ნ თეიმურაზ გაგნიძეს, რომელმაც მოძღვრის თხოვნა ესოდენ პირნათლად და დიდოსტატურად შეასრულა;

ათასგზის აღმატებული მადლობა „ჩვენი მწერლობის“ რედაქციას ამ ღვთივჩაგონებული სურათ-ხატის გამოქვეყნებისათვის.

ჭემმარიტად, „ჩვენთან არს ღმერთი!“

ქრისტიანული პოეზიის V ფესტივალი

„წმინდა ნინოს ჯვარი“

ფესტივალი ჩატარდება 2015 წლის სექტემბერს — თბილისში. თითოეული ავტორისაგან მიიღება ერთი გამოუქვეყნებელი ლექსი 2015 წლის 30 ივნისის ჩათვლით ელექტრონულ მისამართზე:

festivali2011@yahoo.com
festivali2011@mail.ru

ლექსს უნდა ერთვოდეს ავტორის სახელი და გვარი, ბინის მისამართი და ტელეფონის ნომერი.

საფესტივალოდ დაიბეჭდება საუკეთესო ლექსებისგან შედგენილი კრებული. 3 გამარჯვებულს გადაეცემა ფესტივალის მთავარი პრიზი — წმინდა ნინოს ჯვარი. ფესტივალის 5 მონაწილე დაჯილდოვდება პრიზით — წმინდა ნინოს ჯვრის მედალიონი.

ტელეფონი: 555 46 44 29.

ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტი



ნელი ბატიაშვილის „სიჩუმე“ ქრესტომათიული ლექსია, რომელშიც კლასიკური ნორმების მიხედვით არის გამოკვეთილი ტრადიციული კავშირი: სიტყვა — ლირიკული გმირი — კომპოზიციის.

აქ შეგიძლია დაინახო, როგორ გადაიქცევა ჩვეულებრივი სიტყვა გამოცანად და იმასაც მიხვდები, რომ სიტყვას აზრობრივთან ერთად ფიზიკური თვისებებიც აქვს. მგრძობელობის სიმბოლურ ეხება არა სიტყვები, არამედ მათი რეზონანსი, მათი ექო, რომელიც შეიძლება ავტორს სხვანაირად ჰქონდეს გახმოვანებული და მკითხველს სხვაგვარად ესმოდეს, მაგრამ ალქმის სიმწყობრე არ ირღვევა, რადგან ასოციაციური წყობა თანაზომიერია.

ლირიკული გმირის ხასიათში იხსნება და განზავდება ის, რაც ლექსის მთლიანობას წარმოადგენს: ფიქრის დიალექტიკა, აზროვნების შინაგანი ფორმა, წინააღმდეგობათა ერთიანობა. მიმოქცევა, წინსვლა, უკუსვლა. ისიც, რაც ბუნდოვანი, ძნელი გასაგები, აუხსნელი და შეუცნობელია. რეფლექსიის ფორმა: თუზისი-ანტითუზისი, შედეგად მიღებული სინთეზი, რომლისთვისაც არც დაეჭვებაა უცხო და არც იმედი. ჩნდება ახალ დროსა და სივრცესთან ადაპტაციის სურვილი, ხორციელდება ერთგვარი პოეტური ინიციატივა, ზიარება უცნობ წესრიგთან, სხვა სამყაროსთან, სადაც შეგიძლია თავი იგრძნო განმარტოებულად და უფრო ახლოს საკუთარ თავთან. ისე, როგორც სიზმარში, როდესაც რეალობას სრულად აღიქვამ და განიცდი გამოლვობამდე.

მგრძობელობითი ზემოქმედების თვალსაზრისით, ლექსი, როგორც პოლ ვალერი წერს, ყველაზე მეტად სიზმარს ემსგავსება და, სხვათა შორის, არის რაღაც სიზმარული ამ კომპოზიციისა, ამ სასრულ უსასრულობაში, სადაც ყველაფერი ხმაურობს, ოღონდ სიჩუმეში, ყველაფერი მოძრაობს, ოღონდ უძრაობაში, ყველაფერი მრავლობს, ოღონდ ერთში.

ნელი ბატიაშვილი

სიჩუმე

მონისლულ ზამთარს ოქროცურვილი ეფინება
დაგვიანებულ ფოთოლცვენისა,
გუშინ არ იყო?
იდგა კვირტის აყირმიზება,
ელვარებდა სიცოცხლის ალი,
სანინდარი
მარადიული მადლმოფენისა...
გუშინდელს გაჰყვა გუშინდელი მშვენიერება,
იშვიათი სინარნარე,
მოსხივცისკარე,
იმედებით პირთამდე საესე.
ყოფნას, მხურვალეს,
ბრმად გზას მიწოდების,
ბედქმნილი რომ ეგონა მხარე,
როგორ უმუხთლა,
როგორც ტვირთი, ობმოდებული,
გზამ ესროლა არყოფნის ხვალეს.
საძირკველი მისი მყარია,
ძვალთშესალაგი იმედთა და გულისწადილთა,
ყოფნა-არყოფნით დატყეპნილი,
გადათელილი,
სხვა გაზაფხულებს აიდევნებს, სხვა მლელვარებას
და, როგორც წესი, მათ აღზევებას
ელოდება განაპირება,
გზათა ჭიხვინით წალეკილ წლებთან ერთად.
შემოუსვლელ ნაყოფად ცვივა
სიმწიფე განვლილ დღეთა,
არყოფნისაკენ მიდრეკილება
წადილის სარმით მცელავს,
ჟინით სენდაკრულ ჟამიანობას
არ უმკლავდება ჟამი
და სიბნელეთა აზმუფლებამი
მომავალს სცვლის მომავლის ლანდი,
ხვალეს აღარ ეკუთვნის ადლიც.
კერძ ვიქეც ტანჯვის,
შიმშილად მანანწალა ძაღლის.
მონატრების შავად თენებით ყელამდე მოყრილს,
ჯერ შეუმდგარი,
მომწყურდა საკუთარი თავი.

შევძლებ კია,
ავერიდო გზათა ყამირის ქავილს,
არ ვიქეცე ქერცლად,
ადენილს ლუკმად ქარის,
ნდომის მხუთრში ჩათრეულმა
დავინახო კონტური სარკმლის,
მზისკენ მზირალის,
გზათა მიმართ მორჩილება დავიმორჩილო...
ჩანაფიქრთაგან,
სურვილთაგან,
ოცნებათაგან
ხუნდებასხმულმა, გავენყვიტო ჯაჭვი.
დაე, იდინონ გონებაში,
ვითარცა ქარში,
არ შევაჩერო,
არ მივაღვენო
ცნობისმოყვარე თვალი.
აღარ მსურს ხლართი
სიტყვათა ლაშქრის,
მოაზროვნეთა გზების მიმართ მორჩილი აზრის,
თავისუფლების ხუნდის, ხელბანდის.
იზუზუნონ, რამდენიც უნდათ,
ზუზუნებს ბუზიც,
კრაზანაც ბუზის,
მივუხურო კარი.
მდუმარების მიდრეკილება,
სიჩუმე მწადის,
თავშესაფარი...
შევძლებ კია,
მივყვე მის ნაბიჯს,
ვიგრძნო ნათება მადლის,
თავისუფალი სამყაროს თვალის, —
სუნთქვა ხილნარის,
ქვათა ფიქრნარის,
პულსაცია ვარსკვლავთა ამქრის,
სიმღერა ქარის,
გზას აყოლილ ადამიანთა ხმაურის ბანით...
ვხედავ მზეს, ქალწულს
სხივით ნაქსოვი კაბის ფრიალით,
უცოდველი და სხივმფინარი,
საკუთარი სისავსით მთვრალი,
რა სიმსუბუქით ამოცურდა
საკნიდან ლამის,
მოაბიჯებს სივრცეთა გავლით,

იფურჩქნება თქემით სინათლის,
იმედად კაცის...
ვხედავ ტყეებს, ქარებით აღვსილთ,
ფოთოლი ცეკვავს თავგამეტებით,
დერვიშული ტრიალ-ბზრიალით,
გაზაფხულივით მინდორი ჰყვავის,
და აგროვებს ჭიამაიებს,
დანინკლულებს მზისფერი ნამით,
ყვავილმოსილს,
ჩემსკენ უჭირავს თვალი...
და ნიაქქარი,
ეთამაშება ჰაერს, ვით ბაღლი,
გულწრფელი და აღერსიანი,
მარგალიტური ალით.
პირველად ვხედავ მდუმარებას,
ნეტარებით აღვსილს...
მიჰყვება სივრცე სიჩუმეს კვალად,
არც ცაა სადაც,
არც დედამინა,
არც ჰორიზონტი,
ცისა და მინის სიცრუით სავსე
სასრულის განცდა,
არავინ არსად არაფერს მაღავს,
არავითარი კუნჭული, ფარდა,
კონცეფციათა,
რელიგიათა,
სივინროვე არავითარი,
არავითარი ზღუდე, საზღვარი,
მხოლოდ განფენა,
უსასრულო, თავისუფალი...
ყვავილის სურნელს,
ღრუბელთა ქროლვას ქარში,
ეგებება,
ვით საკუთარი სიცოცხლის ნაწილს...
მზისფერი ნისლის საოცრება,
ვიგროძენ,
აღვივებს ჩემი გულის მიმქრალ სანახებს,
სუნთქვას აახლებს...
გამჭვირვალე სისრულეა,
მდუმარება, შენი უნარი,
მარადიულის მფლობელი ხარ,
წვეთიც, მკვებავი,
ყოველთა არსში, ვხედავ, სუფევს შენი ტვიფარი,
აი, ესაა შენი მიზანი, —
ყველაფერი, რაც გამაჩნდა,
სიტყვაც,
სამოსიც,
მინიერების ნატვიფარი,
გალაღებული ნასუფრალით,
გაქრეს,
დამთავრდეს,
გრაფიტაცია შენით გაქარწყლდეს...
ჩემში აფრინდეს ჭიამაია,
დანამული ღვთიური წვეთით
ჩემში ქარები შევიდნენ ეშში,
სისხლს შემერიოს იმათი წესი...
აი, გამოჩნდა ხვავრიელი სამხილიც შენი, —
მდუმარების ქარტხილებით
წუთი გადასკდა ერთი,
შუქის იღვრება თქემით
ღრიჭოდან ჩემში,
დროთა დინება შეწყდა სიჩუმის ნებით,
მდუმარების ჭექა-ქუხილში
დამეცა მეხი...

გალაღებული
სამყაროსთან ერთად ავმღერდი...
შევეგროვებულვართ,
სიჩუმის ამ პრიორიტეტში
მიყვარდა ვინაც
და ვმტრობდი ვისაც,
ვისაც შევძელ და ვაპატიე
და ვისაც ვერა,
ვინც დავივინყე
და ვინც მახსოვდა ტკივილით ჯერაც,
ვისი ლახვარიც გულს ისევ მტკენდა...
სიცოცხლე თურმე გვექონია ერთი,
დაშრეტილ სხეულს სისხლით რომ კვებავს
და ერთმანეთის გულთა წყურვილში
ვინყებთ ნეტარად ფეთქვას.
განცალკევება მე აღარ მახლავს,
აღარცა სხვათა,
განყვეტილია ალიკაპი
ყოველთა გზათა — საქებარი და სანეტარი,
სიბეჯითე ილუზიათა,
გადაკარგულა ცხრა მთის,
ცხრა ზღვის,
ცხრა გზათა გაღმა,
სადა ვარ...
ვარ კი...
იქნებ აღარც ვარ...
დანყლურებულა ერთობის სიბრძნე,
და არჩევანის უაზრობა
სიცოცხლეს ივსებს...
მარადიული წუთიერის მშვენებად ახდა
და რაც რამ ახდა,
რაც ღირს ყველაფრად,
არის წუთის გამობრწყინება,
წუთის ღირსება...
მინიერი თურმე კვებავს ზეცის სანახებს,
ხოლო ზეცა მინას ანახლებს
და ეს ერთობა
ზეიმს არა წყვეტს.
ეს ჩვენ ვართ?
როგორც ზემთაგონება,
ცეკვით, კვანტურით,
მინიერი აცდენების კვალსაც რომ ვთელავთ
და ნიაქქარის ფერხულს ვაალებთ...
ისახება მიღმიური უზადოება
ცათა ლივლივის ანახეჭდებად...
გადამკვეთი უკვე ტიხარის,
ვარ საკუთარი თავის უფალი,
განცდის უფალი,
გონის უფალი,
არად ჩამგდები გზათა უნარის,
გამომკეტოს თავის უბანში,
თავისუფლებას ნაზიარი...
ჭეშმარიტება დუმილისა,
ყველას შემწე და ჭირისუფალი,
მოდის ტრფიალით...

ვნყვეტ შემოძახილს...
ქროლვა დგას ლამის
დასაწყისიდან ჟამის,
სიჩუმით აღვსილ
ღვთიური კვალის...

შეჩერდი ნამით...



ვაჟა ხორნაული

ხან ოაზისთან და ხან ტრამალთან

მხიარულობენ ჭერქვეშ მერცხლები მოლზე მიცურავს ჩრდილი მომწვანო ღრუბელს გაუქრა კვალი ეკლების ზღვა ააღლევა ქარის კოცნამო.

ექომ სივრცეში ექო დალანდა უნაპიროა ხმების ქორწილი ხან ოაზისთან და ხან ტრამალთან მიგიყვანს გული — ღმერთის მორჩილი.

ნისლზე ყვავილის ამოსვლა

უსუსურობა მდინარის სასწაულები წვეთისა.

მარადიული გუთანი მარგალიტები ბელტისა.

მანათობელი გულიდან ცისკენ გაფრენა მტრედისა.

სამყაროს საგანძურებში ოქრო და ვერცხლი სევდისა.

მზე მინდობილი წყაროსა ნისლზე ყვავილის ამოსვლა-ბედნიერება ღმერთისა.

მზისყანის სატთან

გულო ნუ გიკვირს ასეთი ამინდები და გზანიო ნუ იტყვი რად მომისაჯა უფალმა შენი თავიო ნუ იტყვი თითქოს გემტრობი მიყვარს დავა და შარიო სევდის და სიხარულისა არ არსებულა ზღვარიო ხომ ხედავ როგორ გვიხდება ავდარი გინდა დარიო ვადამტკივანი ხმალი და სახემტკივანი ფარიო ვიაროთ-ჰორიზონტებზე ბრწყინავდეს ჩვენი კვალიო ხან ზვავი დაგვემუქრება

ხან-ცეცხლოვანი წყალიო ხან ზღვიდან მოგვივარდება დაუნდობელი ქარიო და თუ ილბაღმა გაგვწირა (ისევ ცოდვა და ბრალიო) თუ დადგა გარდაცვალების წუთი სხვაგვარად მკრთალიო გაგვილამაზებს თვალებსა ზეცის სითბო და ნამიო და გაღებული დაგვხვდება სამოთხის მწვანე კარიო.

ნამის სიჩუმე თუ ხმა ამბორის ქედზე სახლები უდარაბონი.

ხატის სითბოსთან მიახლებისას თავდავიწყება ნიაგებისა...

ახალ წყაროსთან ხელადა ძველი ღრუბელზე ჩამქრალ ელვათა მტვერი.

მარადიული სიბრძნე ცამყარის ღმერთის კალთაში შენი სამკალი.

ბედნიერება გამოუთქმელი-დედისაგან გაშლილი ლოგინი აივანზე ვარსკვლავთა სიახლოვეს.

და ლექსი იბადება ვით ფერი თენებისა მწვერვალებს შორის.

მგზავრმა მგზავრს გადაასწრო და ხეებს სევდიანად გაელიმათ.

ჩრდილი — ზეცის ბარათი რომელშიც ღმერთის სითბოა გახვეული.

დღის ბოლოს სარკეში უკვე ის აღარა ხარ რაც მზის ამოსვლისას იყავი.

ინვის კელაპტარი და მზეს ეხმარება ცის განათებაში.

წუთი-შვილი საათის და ნამი-შვილიშვილი.

ვაჟა ხორნაული ბუნებით ნოვატორია, სიახლეებს ეძებს ყველგან, სადაც ხელი მიუწვდება — გარემომცველ სამყაროში, თავის თავში, თავის ლექსში. კაცმა რომ თქვას, რა არის ამაში გასაკვირი, პოეტი რის პოეტია, თუ ნოვატორია არ ეძია, მაგრამ საქმე ის არის, რომ ვაჟა თვით ყველაზე არაპოეტურ მოვლენაშიც პოეზიას ხედავს და, რაც მთავარია, ცდილობს ამ ხედვის ობიექტურობა ცხადყოს. მაგალითად, ამის დასტურია მისი წიგნად გამოქვეყნებული შტუდიები კვეზის, ჰიგიენის, ჰომეოპათიისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ, რომელთა გაცნობაც გვარწმუნებს, რომ სიახლის დანახვას პოეტური თვალი სჭირდება.

რალა უნდა ითქვას მის პოეტურ ცდებზე, რომლებსაც უთუოდ ატყვია გამოცდილი და გამოვლენიანი ავტორის ხელი. სანდო სტილი აქვს, საკუთარ თავში დარწმუნებული ოსტატის თავდაჯერებითა და გონით ნიშანდებული. ჯერ წარმოსახვა და ფანტაზია გაკვირვებს, შემდეგ მეტაფორა და სხვა ტროპული ფორმები, ბოლოს ყველაფერი ერთად.

ვაჟა ხორნაული სიახლეთა ძიების გზაზე მუდამ რალაცას უარყოფს, მუდამ რალაცისგან თავისუფლდება, ხან სასვენ ნიშნებს უარყოფს, ხან ფშაური ლექსის მოტივებს, ხან დიდი სეხნიის ხმას, ხან კონვენციურ ფორმას. ახალი ფორმის ძიებამ მიიყვანა ორ-სამსტრიქონედებამდე, მინიმალისტურ ტექნიკასთან, რომელიც ჰაიკუს მოგვაგონებს, მაგრამ ჰაიკუს არ არის, ჰაიკუს ვერ ვუნოდებთ, ისევე, როგორც ცქრილა ლვინოს ვერ დავარქმევთ შამპანურს ან გავარგებულ სპირტს — კონიაკს. უპრიანი იქნებოდა, მინიმალისტური ლექსი გვეწოდებინა, ეს უფრო ახლოა ობიექტურობასთან. მით უმეტეს, „მინიმალ არტი“ საკმაოდ ფართო ცნებაა, ხელოვნების ფართო არეალს მოიცავს — მუსიკას, თეატრს, მხატვრობას, არქიტექტურას და, რალა თქმა უნდა, პოეზიას.

მინიმალიზმი ვაჟა ხორნაულის აზროვნების სტილიც არის და ცხოვრების წესიც. ეს მისი სულიერი მდგომარეობაა. მისი მინიმალისტური ლექსი პოეტური ინტენსივობის შედეგია. დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორია რომ მოვიშველიოთ, მის პოეტურ ნატურას ახასიათებს ინსპირაციის მუდმივობა, რასაც მოჰყვება პოეტურ იდეათა მატერიალიზება ფორმით ერთნაირ და შინაარსით განსხვავებულ კომპოზიციებად.

ლაკონიურობა, უბრალოება, სიზუსტე, ნეიტრალიზმი — ვაჟა ხორნაულის მინიმალისტური ცდების სტილი! პოეტი თითქოს შორიდან აკვირდება, დისტანციიდან უყურებს საგანს და ის რიგითი მოვლენიდან პოეტურ განზომილებაში გადაჰყავს. მწირი საშუალებებით იქმნება მდიდარი გამომსახველობა.

ლექსს, ერთი შეხედვით, დაუმუშავებელი ფაქტურა აქვს, გეგონება ავტორი გრაფიკით მუშაობს, შტრიხებიც რალაცით ჰგავს გრაფიკას, თითქოს ელემენტები სუსტად, სტიქიურად უკავშირდება ერთმანეთს, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ეს ილუზიაა. სინამდვილეში ყველაფერი გამოზომილია, აწონილია, განსაზღვრულია. დადგენილია სივრცეც, დროც, საგანიც, მოვლენაც და პოეტის სურვილიც — ყველაფერში იყოს სიახლე.

ქალმა კაცში უცნაური
ნათება დატოვა
როგორც მზემ ღრუბელში.

ხელადა ისე უკავია
როგორც ბავშვი
პირველი
ნაბიჯების გადადგმისას.

მზის ნამი
შეაშრა დასალიერს
და სახურავებზე წაიშალა
ჩრდილის ყვავილები.

გოგო დანებდა
და ვაჟმა სიზმარში
მოჭრა
აყვავებული ხე.

ანტენები-
რკინის სარეველა
საუკუნის სიცივით
მორწყული.

ხარობენ ნაპირები
მდინარის შოლტებით
და მუჯღუგუნებით.

მიცვალა გულზე ხელეხს
რატომ უკრეფენ-იქნებ იმიტომ
რომ ყველაზე დიდი სასწაული
გულია სამყაროში

გული და სიყვარული-
როგორც ფუტკარი და ყვავილი.

ისე გაირინდა
თითქოს მისი ჩრდილი
ყვავილს გამოედო.

ხანდახან აინონა-დაინონას
თამაშობენ გული და გონება
და მხიარულდები...

მტრის ნასახლართან
გაფრმერთალდა
და თავი დახარა.

ხან ბნელში ატარეს
ხან გეზი შეუცვალეს

და მაინც მიუვიდა ზღვას
და შორეული მწვერვალების
სიჩუმე უსახსოვრა...

ყვავილს დაესიზმრა
როგორ გადარბიან
ბავშვები
ღრუბლიდან ღრუბელზე.

ზოგ სახეზე
შიშია ისეთი
თითქოს ქვეყანა
ცაგადახდილია
და აღარ ეშველება.

სახლმა ნაქცევისას
ლოდებქვეშ მოიყოლა
წინაპრის აჩრდილი.

ფეხები წამდაუნუმ
ასწრებენ ერთმანეთს
და მაინც
სულ ერთად არიან.

სიკვდილსა და სიცოცხლეს
სიყვარულმა
უკვდავების გვირგვინი დაადგა.

უერთმანეთოდ
სევდა და სიხარული
ლარიზნი არიან-
დღისა და ღამისა არ იყოს.

გულის
ყველა წყაროსთან ქალი
და ქალში საიდუმლო
როგორც სურნელება ყვავილში.

რა ფერისაა ვერ გაუგებ —
ისეთი ნათელია თვალები.



ნატურმორტი
მანანა ელოშვილი

ამერიკელი ფიზიკოსის გზავნილი საყვარელ ქალს,
რომელსაც არასოდეს ნაუკითხავს ეს ბარათი.

1945 წლის ივნისში რიჩარდ ფეინმანის მეუღლე არ-
ლინი ტუბერკულოზით გარდაიცვალა. იგი 25 წლისა იყო.
რიჩარდ ფეინმანს არლინი 13 წლიდან უყვარდა. 19
წლისანი უკვე დანიშნულები იყვნენ. ქორწილისათვის
არლინი უკვე სერიოზულად იყო ავად. ფეინმანი თავგა-
დადებული ზრუნავდა მეუღლეზე, რომელიც, შეიძლება
ითქვას, ხელში ჩააკვდა. საყვარელი ადამიანის გარდაც-
ვალეზამ მეცნიერზე მძიმედ იმოქმედა და ღრმა დეპრე-
სიაში ჩავარდა. 1946 წლის ოქტომბერში, არლინის გარ-
დაცვალეზიდან 16 თვის შემდეგ ფეინმანმა მას წერილი
მისწერა. და კონვერტში ჩადებული ბარათი მხოლოდ 43
წლის შემდეგ გახსნეს, როცა მეცნიერი გარდაიცვალა.
გაყვითლებული კონვერტი ძლიერ გაცრეცილიყო, თით-
ქოს დიდხანს ეტარებინათ ჯიბით.

რიჩარდ ფეინმანი

მე მიყვარს ჩემი ცოლი

ძვირფასო არლინ,
გეთაყვანები, საყვარელო.
ვიცი, როგორ მოგნონს ამის გაგონება, მაგრამ ვწერ არა
მხოლოდ იმისათვის, რომ შენ გაგახარო. ვწერ, რადგან ეს
შინაგანად სითბოთი მავსებს. დიდი ხანია არ მომიწერია შენ-
თვის — თითქმის ორი წელია, მაგრამ ვიცი, მაპატიებ ჯიუტ
პრაგმატიკოსს. მეგონა, აზრი არ ჰქონდა შენთვის მონერას.
მაგრამ ახლა, ჩემო ძვირფასო მეუღლე, ვიცი, უნდა
გავაკეთო ის, რასაც დიდი ხანია გვერდს ვუვლიდი და რა-
საც ხშირად ვაკეთებდი წარსულში. მინდა გითხრა, რომ
მიყვარხარ. მინდა მიყვარდე. ყოველთვის მიყვარები. გონე-
ბით მიჭირს გაგება, რას ნიშნავს შენი სიყვარული მას შემ-
დეგ, რაც გარდაიცვალე, მაგრამ კვლავაც მინდა გავიფრ-
თხილდე და ვიზრუნო შენზე და მინდა, რომ გიყვარდე და
ზრუნავდე ჩემზე. მინდა, შენთან ერთად განვიხილო ჩემი
პრობლემები. მინდა, ერთად ვაკეთოთ სხვადასხვა საქმე.
ამ წუთამდე ეს აზრადაც არ მომვლია. არადა, ერთად რამ-
დენის გაკეთება შეგვეძლო: შეგვეკერა ტანისამოსი, შეგ-
ვესწავლა ჩინური, გვეყიდა კინოპროექტორი. ახლა თუ შე-
მიძლია ეს ყოველივე? არა. სულ მარტო ვარ უშენოდ. შენ
იდეების მთავარი გენერატორი და ჩემ გიჟურ თავგადასა-
ვალთა სულისჩამდგმელი იყავი. ავადმყოფობისას ღელავ-
დი, არ შემიძლია მოგცე ის, რაც გჭირდება, რაც მინდოდა
შენთვის მომეცაო. არ ღირდა ღელავდი. ამის არავითარი სა-
ჭიროება არ არსებობდა. ყოველთვის გეუბნებოდი, ძალიან
მიყვარხარ მხოლოდ იმის გამო, რომ არსებობ-მეთქი. და ეს
ახლა მესმის ისე, როგორც არასდროს. ახლა უკვე აღარა-
ფერი შეგიძლია მომცე. მე კი ისე ძლიერ მიყვარხარ, ვეღარ-
რასოდეს შევძლებ სხვის შეყვარებას. და ასეც მინდა იყოს,
რადგან გარდაცვლილიც კი ბევრ ცოცხალს ჯობიხარ.

ვიცი, იტყვი, სულელი ხარ, მინდა ბედნიერი იყო და
გზაზე არ გადაგელოხო. ალბათ გაგიკვირდება, რომ ამ
ორი წლის მანძილზე მეგობარი ქალიც კი არ მყოლია (შენს
გარდა, ჩემო ძვირფასო). და აქ შენ ვერაფერს გახდები.
არც მე შემწევს ძალა. ვერაფერი გამიგია. მრავალ ქალს
შეხვედრივარ. მათ შორის საკმაოდ კარგებიც იყვნენ და
მარტობაც არ მსურს, მაგრამ ორი-სამი შესვენების შემ-
დეგ ვხვდებოდი, რომ ისინი ჩემთვის არაფერს წარმოად-
გენენ. მე მხოლოდ შენ მყავხარ. შენ ხარ ნამდვილი.

ჩემო ძვირფასო მეუღლე, გეთაყვანები.
მე მიყვარს ჩემი ცოლი. ჩემი ცოლი მკვდარია.

რიჩი

P.S. გთხოვ, მაპატიე, რომ ეს წერილი არ გამოგიგ-
ზავნე — შენი ახალი მისამართი არ ვიცი.

რა შეუძლიათ ლექსებს?

(იტალიური დღიურიდან)

ღვანდომოსილი ემიგრანტის ნინო ყაუხჩიშვილის თაოსნობით მილანში დაარსებული ქართულ-იტალიური საზოგადოება „სამშობლო გულით სატარებელი“ უკვე ათი წელია ამ ქვეყანაში ქართული კულტურის პოპულარიზაციას ეწევა. ამ ხნის განმავლობაში საზოგადოებამ იტალიის სხვადასხვა ქალაქში სამოცამდე მნიშვნელოვანი ღონისძიება, კონცერტი თუ კონფერენცია ჩაატარა იმ ცნობილი იტალიელი მეცნიერების, მწერლების, კინოდოკუმენტალისტების, ფოტოხელოვანების, მთარგმნელებისა თუ მოგზაურების მონაწილეობით, რომელთაც საქართველოსთან განსაკუთრებული დამოკიდებულება აკავშირებთ; საზოგადოების ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით მილანის გამომცემლობა „**ორიენტემ**“ (ალმოსავლეისაქენ) პირველად იტალიაში დასტამბა ასვერდინი ორენოვანი, ამავე სახელწოდების ილუსტრირებული ჟურნალი, რომელიც სახელოვანი ქართველი და იტალიელი ავტორების სამეცნიერო ნაშრომებსა თუ მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებს მოიცავს.

ნინოებისა და საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ტრადიციულ ღონისძიებებზე სხვადასხვა დროს საზოგადოებამ **დათო მალრადის** პოეტური კრებულის „**სალვე**“ (მთარგმნელი **ნუნუ გელაძე**), **შოთა რუსთველის** „**ვეფხისტყაოსნის**“ პოეტური თარგმანის (მთარგმნელი **ანტონიო ბონელი**), **დათო ტურაშვილის** „**ჯინსების თაობის**“ (მთარგმნელი **ქეთი ჩარკვიანი**) ნარდგინება გამართა.

წლებულს, მილანში **ნინოების დღესასწაულის** ფარგლებში იტალიაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით საზოგადოება „სამშობლო გულით სატარებელი“ ჩრდილოეთ იტალიის სხვადასხვა ქალაქიდან მოწვეულ სტუმრებს თანამედროვე ქართველ პოეტთა მცირე ანთოლოგია „**ვაზი და კალამი**“ ნარდგინა (მთარგმნელი **ნუნუ გელაძე**, რედაქტორი **მარიენცა კორაჩი**, „**გამომცემლობა ჯულიანო ლადოლი**“).

ხალხმრავალ ღონისძიებას უძღვებოდა საზოგადოების თავმჯდომარე **ნუნუ გელაძე**, რომელმაც, მისალმების შემდეგ, გულითადი მადლობა გადაუხადა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს იტალიაში ბატონ **კახა სიხარულიძეს** თანადგომისა და ქართულ კულტურაზე ზრუნვის საქმეში მუდმივი მხარდაჭერისათვის და აღნიშნა: „ჩვენი საზოგადოებისთვის „ნინოობას“ რელიგიური დატვირთვის გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან სწორედ ათი წლის წინათ, ქართველთა განმანათლებლის ხსენების დღეს ჩაუყარა საფუძველი ნინო ყაუხჩიშვილმა „სამშობლო გულით სატარებელს“ და მისადმი ხსოვნა სამშობლოს წინაშე იმ დიდი ვალის აღსრულებას გვაკისრებს, რაც ემიგრაციაში დაბადებულმა დამაშვრალმა მამულიშვილმა ანდერძად დაგვიტოვა — მარად და ყველგან გულით ვატაროთ სამშობლო, მარად და ყველგან ვემსახუროთ ქართულ სიტყვას, ქართულ კულტურას, ქართულ სულიერებას. და რაოდენ ნიშანდობლივია, რომ სწორედ დღევანდელ დღეს, საზოგადოების დაარსებიდან ათი წლისთავზე შევქელით ნინო ყაუხჩიშვილის დიდი ხნის ოცნების ასრულება — მისი საყვარელი ქართველი პოეტების აუღერება იტალიურ ენაზე. ამ მართლაცდა საშვილიშვილო საქმეში კი უმთავრესი წვლილი — ფინანსური მხარდაჭერა — საქართველოს კულტურის სამინისტროსა და, კერძოდ, საზღვარგარეთ ქართული წიგნის დაუღალავ პოლულიზატორს ქალბატონ **დეა მეტრეველს** მიუძღვით.“

კახა სიხარულიძემ მიულოცა თანამემამულეებსა და ქართული კულტურით დაინტერესებულ იტალიელ სტუმრებს წიგნის გამოცემა, რაც უდავოდ საგულისხმო მოვლენაა საუკუნოვანი ისტორიულ-კულტურული ურთიერთობის მქონე ორივე ქვეყნისთვის, ჯერ კიდევ ფარსმან ქველის ეპოქიდან რომ იღებს სათავეს, და მოკლედ მიმოიხილა საქართველოს უახლესი ისტორიის მოვლენები, გააცნო რა დაინტერესებულ მსმენელს ქართველი ხალხის მიერ დემოკრატიისკენ გადადგმული ნაბიჯების შესახებ; ამასთან დაკავშირებით ელჩმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა და კულტურის სამინისტრო ბოლოხანს განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება ქართული წიგნის თარგმნას და გამოცემას სხვადასხვა ენაზე, ვინაიდან 2018 წელს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველო, როგორც მასპინძელი ქვეყანა, ქართველ ავტორთა მრავალრიცხოვანი თარგმანებით კიდევ ერთ ნიშანდობლივ ნაბიჯს გადადგამს ჩვენი ქვეყნის ევროპისაკენ სწრაფვის აუცილებელ საქმეში, რასაც უკანასკნელ ხანს ნარმატებით ახორციელებენ საქართველოს პოლიტიკური და დიპლომატიური წრეები. ბატონმა ელჩმა მადლობა გადაუხადა საზოგადოება „სამშობლო გულით სატარებელს“ ათწლიანი დაუღალავი შრომისა და ღვანდომოსის და ასევე მილანის ქართული სათვისტომოს თითოეულ წევრს, არცთუ დასვენებით ემიგრანტული ცხოვრების მიუხედავად, ძალისხმევას რომ არ იშურებენ, ღირსეულად წარმოაჩინონ სამშობლო.

ლიტერატურის ცნობილმა კრიტიკოსმა და გამომცემელმა **ჯულიანო ლადოლიმ** კრებულის ნარდგენა ასე დაიწყო:

“ტოტალურ საინფორმაციო ეპოქაში, როცა კაცობრიობა ათასგვარ „სოციალურ ქსელშია“ გახლართული და როცა ადამიანთა ურთიერთობა ინფორმატიკის სისტემებს ემყარება, როცა სატელევიზიო ეკრანებიდან ათასობით კილომეტრით დაშორებული ადამიანები ლამის სახლში შემოგვეჭრნენ და მობილური ტელეფონებით ერთმანეთს დაშინ ვუკავშირდებით, როცა გვინდა; ასეთ ეპოქაში რა დანიშნულება აქვს პოეზიას? რა აზრი აქვს ლექსის წერას, როცა მასზე სხვა აღარავინ მსჯელობს თუ არ მკაცრი პროფესორები; როცა ლამის ნაგველკონ სატელევიზიო შოუების, კინოსა და ფეხბურთის ვარსკვლავებმა თუ ეპატაჟურმა ჟურნალისტებმა; როცა მყისიერად ვერავინ გიპასუხებს ყველაზე დიდი ცოცხალი პოეტის სახელს, როცა წიგნის მალაზიების ყველაზე მტვრიან თაროებზე უყურადღებოდ მიტოვებული გარდასულ დროთა დიდი პოეტების კრებულები უგულისყუროდ ჩაუმწკრივებიათ?! რა აზრი აქვს პოეზიას, როცა ლექსის მთხველი ათასგზის მეტია, ვიდრე მკითხველი?! რა ფასი აქვს პოეზიას, როცა ის, ვინც ლექსს წერს, დარწმუნებულია, რომ ჩამოაზნაცებული სტრიქონებით, რამდენიმე დათაფლილი ზედსართავისა და ძალად დაღვარჭნილი სიტყვის გამოყენებით გენიალური ნაწარმოები შექმნა?!

ეს დრამატული შეკითხვები აუნერგელი სირთულის ღრმა სოციოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, ისტორიულ და ლიტერატურულ კვლევა-ანალიზს მოითხოვს. და დარწმუნებული ვარ, ქართველი ინტელექტუალებიც არაერთგზის დაფიქრებულან საყოველთაო გლობალიზაციით გამოწვეულ ამ პრობლემებზე, მიუხედავად იმისა, რომ მჯერა, ჯერჯერობით იქ ასე მწვავედ არ დგას საკითხი; ამას კი ჩემი პირადი გამოცდილება, ქართულ პოეზიასთან ჩემი შეხება მაფიქრებინებს — ეს უკვე მეორე წიგნია დათო მალრადის „ჯაკომო პონტის“ შემდეგ, რომელიც ჩვენმა გამომცემლობამ დასტამბა და რომელმაც კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ საქართველოში პოეზიას არ დაუკარგავს თავისი დანიშნულება — ქართული პოეზია სრულფასოვნად გამოხატავს თავისი ხალხის, თავისი ერის იდენტურობას, უფრო სწორად, ქართველი ერი თავის იდენტურობას პოეზიით გამოხატავს.

„ვაზი და კალამი“ დასტურია იმისა, რომ ქართული პოეტური სივრცე მდიდარია სათქმელით, თემებით, განსხვავებული სტილისა და პოეტური ხელნერის მქონე ავტორებით, რომ საქართველოში მოდერნიზაციას ჯერ მთლად ვერ შეუბღალავს წმინდა პოეტური სული და მყარად იცავს თავის ტრადიციებს. ამ წიგნის გამოცემაში საქართველოს კულტურის სამინისტროს კონტრიბუციამ დამარწმუნა, ამ ქვეყანაში პოეზიას და ზოგადად კულტურას, ჩვენთან შედარებით, აფასებენ. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს კულტურათა შორის დიალოგს, ეს წიგნი კი ცნობილი ქართველი პოეტების ძალზე ორიგინალური და თვითმყოფადი ხმებით კიდევ ერთ საინტერესო ფურცელს გადაშლის ქართულ-იტალიურ კულტურულ ურთიერთობაში, რაც ერთნაირად გვამდიდრებს ყველას“.

ლიტერატურის პროფესორი **ფრანჩესკა მელცი-ყაუხჩიშვილი** საზოგადოების წინაშე ვრცელი მოხსენებით წარსდგა:

„აქ თავშეყრილთაგან ბევრი, ალბათ, პირადად არ იცნობდა ნინო ყაუხჩიშვილს, ზოგიერთს ჰქონდა ბედნიერება მასთან ახლო ურთიერთობისა და მეგობრობისა, მაგრამ იშვიათად მეგულებს მილანში ადამიანი, ვისაც არ სმენოდეს მისი, როგორც მოქალაქის, მეცნიერის, პედაგოგისა და კულტურთა შემეცანების შესახებ. ჩვენი ოჯახისთვის ის იყო ბურჯი, ქვაკუთხედი, ყველა სიძნელის მტვირთველი, პირველი და წინა ხაზზე მდგომი ყველგან და ყველაფერში, ყოველი ჩვენგანის ბედნიერ წუთებსა თუ დრამატულ მომენტებში. „დეიდა ნინის“ ექახდა ყველა შინ და გარეთ, რადგან ყველა ახლობლად თვლიდა; ყველას ჭირისა და ლხინის გამზიარებელს, ყველასათვის ჰყოფნიდა გამამხნეველი სიტყვა, დრო, ენერჯია. თითქოს სულ ასე უნდა ყოფილიყო, თითქოს არ ენერჯია სიკვდილი... მაგრამ 2010 წლის 4 იანვარს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გამთენიისას გასრულდა მისი ხანგრძლივი და არცთუ იოლი მინიერი ცხოვრება; თავისთან, მარადიულ ცხოვრებაში უხმო მან, ვისიც მთელი თავისი არსებით სწამდა.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ნინოს და მისი ოჯახის ცხოვრება არ ყოფილა ია-ვარდით მოფენილი: მამამისმა, მიხეილ ყაუხჩიშვილმა 1921 წელს დატოვა საქართველო და ბერლინს მიაშურა. გერმანიაში ნაციზმს უკვე დაწყებული ჰქონდა თავისი ტრიუმფალური სვლა და მეტადრე ბერლინში მივინვარებდა. უცხო ქვეყნის შვილებს ნინოს და მის ძმას გიორგის სკოლაში არცთუ სახარბიელოდ ეპყრობოდნენ. შემდეგ ნინომ ბერლინის უნივერსიტეტში გააგრძელა სწავლა. ერთ დღით, ლექციაზე მიმავალს, საშინელი სანახაობა დახვდა ქუჩებში — ებრაელთა მალაზიების ჩალენილი ვიტრინები: ეს იყო ცნობილი „ბროლის ღამე“. მალე ყაუხჩიშვილები საცხოვრებლად გადადიან მილანში, სადაც ოჯახის უფროსი 1939-40 წლებში „სიმენსის“ წარმომადგენლად მუშაობს, აქვე ამთავრებენ უნივერსიტეტს ნინო და მისი ძმა გიორგი. ომის წლებში და შემდეგაც საქართველოში დარჩენილი ძმის, სიმონის, ოჯახთან ყოველგვარი კავშირი შეწყდა, არც წერილის გაგზავნა შეიძლებოდა და არც ტელეფონით დაკავშირება; აქედან წამსვლელიც არავინ იყო, მიხეილის ოჯახის შესახებ ამბავი ჩაეტანა. ისიც კი არ იცოდნენ, ცოცხლები იყვნენ თუ არა. მახსენდება, როგორი ენთუზიაზმით მიყვებოდა ორივე საქართველოსა და იქ დარჩენილი ნათესავების შესახებ და ეს ყველაფერი მათ მხოლოდ მამის გადმოცემით იცოდნენ, შვილებს მხოლოდ ქართულად რომ ესაუბრებოდა.

1947 წელს ჩემი მამამთილი მიხეილ ყაუხჩიშვილი მოულოდნელად გარდაიცვალა რომში; შვილებმა შესატყობინებლად ძმის ოჯახს დეპეშა გაუგზავნეს თბილისში, იქიდან



ნუნუ გელაძე, ჯულიანო ლადოფი, ფრანჩესკა მელცი დ'ერილ ყაუხჩიშვილი, კახა სიხარულიძე, მაურიციო ფანტონი მინელა

პასუხი არასოდეს მოსულა. 1958 წელს გაზეთ „კორიერე დელა სერაში“ და-ძმა ყაუხჩიშვილები კითხულობენ ინფორმაციას, რომ მილანში ცნობილი ქართული ქორეოგრაფიული ანსამბლის კონცერტი გაიმართება, და, რა თქმა უნდა, ესწრებიან ამ კონცერტს; ანსამბლის ხელმძღვანელი ქალბატონისგან შეიტყობენ, რომ იგი იცნობს ყაუხჩიშვილების ოჯახს და ისიც იცის, რომ ის დეპეშა მიიღეს, მაგრამ იმხანად ხომ საზღვარგარეთ მყოფ ნათესავებთან ნებისმიერი კონტაქტი აკრძალული იყო. ამ ამბის შემდეგ იწყება ნინოს ბრძოლა სამშობლოში წასასვლელად, რასაც მხოლოდ 1963 წელს მიაღწევს. მას შემდეგ, შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, ნინოს არცერთი დღით აღარ გაუწყვეტია ურთიერთობა საქართველოსთან...

ნინოს ცხოვრების ეს ბიოგრაფიული მომენტები იმისათვის გავიხსენე, რომ ხაზი გამესვა თუ სამშობლოსადმი როგორი სიყვარულით გამსჭვალულიყო ყაუხჩიშვილების მთელი ოჯახი, მათი ანტიფაშისტური განწყობის გამო ბევრი განსაცდელი რომ შეხვედრიათ ევროპაში. თუმცა ეს სიყვარული არ იყო მხოლოდ სევდიანი ნოსტალგია ან დაკარგულ სამშობლოზე ვაება, ეს იყო, უწინარეს ყოვლისა, ქმედითი სიყვარული, ნინის დღეცისმარე ზრუნვა სამშობლოზე, უპირველესად კი იმის მცდელობა, რომ საზღვრებს გარეთ გაეტანა საქართველოს სახელი, მისი კულტურა, მისი ტრადიციები, მისი მშობელი ერის სული. სწორედ ბერგამოს უნივერსიტეტში, სადაც მან სლავისტიკის ინსტიტუტი დააარსა და სადაც მრავალი წლის განმავლობაში რუსულ ლიტერატურას ასწავლიდა, ჩაუყარა საფუძველი ქართული ხელოვნების სიმპოზიუმებს, მოგვიანებით საქართველოსა და იტალიის სხვადასხვა ქალაქში რამდენჯერმე რომ გაიმართა.

ერთ დროს მილანსა და იტალიაში თითზე ჩამოსათვლელი ქართველი ცხოვრობდა და ჩვენი ოჯახისთვის განსაკუთრებული მოვლენა იყო მათი სტუმრობა, ხშირად ჩამოდიოდნენ ჩვენთან სახელოვნებო და სამეცნიერო წრეების ცნობილი წარმომადგენლები. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში იმატეს ქართველმა ემიგრანტებმა მილანში და ნუნუ გელაძესთან დაახლოებამ ნინოს საზოგადოება „სამშობლო გულით სატარების“ დაარსება გადაწყვეტინა. საზოგადოების წევრები მართლა რომ გულით ატარებენ სამშობლოს, ძალისხმევას არ იშურებენ, რათა ღირსეულად

გააგრძელონ ნინოს დაწყებული საქმე — გააცნონ თავიანთი სამშობლო იტალიას, განაგრძონ უძველესი ისტორიისა და კულტურის მქონე ამ ორ ხალხს შორის ნინოს მიერ გადატანილი ხიდების შენება; სწორედ ერთი ასეთი ხიდის — პოეზიის ხიდის გასრულების მოწმენი ვართ დღეს და ეს გახლავთ პოეტური კრებული „ვაზი და კალამი“ — თანამედროვე ქართველ პოეტთა მცირე ანთოლოგია, შედგენილი და თარგმნილი ნუნუ გელაძის მიერ; წიგნი, რომელსაც ახლავს ივანე ამირხანაშვილის შესანიშნავი წინასიტყვაობა, და ნინოს საქმის გამგრძელებელს, ნუნუ გელაძეს, მისი ხსოვნისთვის მიუძღვნია.

დიდი ინტერესით და ემოციით წავიკითხე ეს წიგნი, რომლის თითოეული ლექსიც ულამაზესი ძაფების დარად თითქოს მრავალფეროვან ქართულ ხალიჩას გადაგვიშლის, გვაზიარებს ამ მიწის სურნელს და ამ ხალხის მიერ განვლილ ხანგრძლივ სულიერ ისტორიას. ევროპელი მკითხველისთვის უცნობი პოეტური სამყაროს კარს შეგვიხსნის ბესიკ ხარანაულის ლექსის სტრიქონები, ლამის პროლოგად რომ გამოადგებოდა წიგნს: „**ლექსები გულის მარაოა, ...მათი სუსტი ფრთების იმედით მივალწევთ განა გაღმა ნაპირს**“ ... და ასკვნის: „**რა შეუძლიათ ლექსებს?**“ აქ არ შევუდგები პოეზიის ფუნქციაზე საუბარს, ვიტყვი მხოლოდ, რომ ამ კრებულში წარმოდგენილი ლექსები თავისი „**სუსტი ფრთებით**“ და ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული, მძლავრი ხმებით აღწევენ იტალიელი მკითხველის გულამდე და პოეტური სტრიქონებით გადმოგვცემენ საქართველოს ისტორიული წარსულის, მისი აწმყოს, ქართველი ხალხის ღრმა ქრისტიანული რწმენისა და სულიერების შესახებ; ამის დასტურად იკმარებდა ანა კალანდაძის „**მოდიოდა ნინო მთებით**“, რითიც იწყება კრებული და რომელსაც ქართული ქრისტიანობის სათავეებთან მივყავართ — ქართველთა განმანათლებლის, წმიდა ნინო კაბადოკიელის, საქართველოში შემოსვლის მომენტთან. ამავე ავტორის ლექსები სახელოვანი წინაპრების — გელათის მონასტრის შესასვლელში დაკრძალული დავით IV აღმაშენებლისა და ქრისტიანული რწმენისთვის შაჰ-აბასის მიერ წამებული ქეთევან დედოფლის დიდებულ სახეებს გაგვიცოცხლებს.

ნეტავ ვინ არის, ეს შავოსანი პირქუში ქალი, ჯოხის ამარა რომ დასდგომია უკაცურ ბილიკს —

ოთარ ჭილაძის ეს უაღრესად შთამბეჭდავი მეტაფორა (საერთოდ, კრებულში მრავალ შესანიშნავ მეტაფორას შეხვდებით) დღევანდელ საქართველოს დაგვანახებს, აწმყოთი უკმაყოფილო „**გამწყვრალ ხატად**“ რომ წარმოუდგენია ავტორს. სამშობლო და მისადმი ტკივილიანი სიყვარული ამ კრებულის თითქმის ყველა ავტორთან გვხვდება; მძაფრი დრამატიზმითაა აღსავსე მარიამ ნიკლაურის „**ასეა წესი?**“ და ზვიად რატიანის „**ნეგატივი 20 წლის შემდეგ**“, რომელიც საქართველოს უახლოეს წარსულზე მოგვითხრობს:

...ვერასდროს თავს ვერ დავაღწევთ იმ წლებს, იმ გვაშებს, იმ სამშობლოს, სადაც უწყვეტად ახალი სისხლი, თბილი სისხლი, წვეთავს ტალახზე, სადაც შვილები მოკლულ მამებს გვერდით უსხედან და აღვიძებენ.

... ასეთია დღეს სამშობლო — **„ჩემი ხატია... ჰოდა, იყოს, ან ვინ იდავებს“**, — ირონიულად შენიშნავს ახალგაზრდა პოეტი რეზო გეთიაშვილი.

სამშობლოს დაკარგული, გაფანტული შვილების გამო პასუხს ითხოვს ბესიკ ხარანაული:

სად არიან შვილები, შვილები სად არიან... საქართველო აქროლდა, ვით ფოთლებში ქარია სად არიან შვილები, ქარია, არ არიან... საქართველო, მითხარი, ნუთუ მხოლოდ ქარია...

ბევრ ლექსში ძალუმად იგრძნობა მიწისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება, ლამის ფიზიკურამდე დასული ურთიერთობა. იზა ორჯონიკიძისთვის იგი პერსონიფიცირებულია, „**მოთმინების მიწაა**“, ამაყად რომ ჩასცქერის პოეტი და მისი გულზე დაყრისაც არ ეშინია, რადგან მიწა მას ესაუბრება, „**გულის ყურთან სხვანაირად შრიალებს მიწა**“...

კიდევ ერთი მთავარი თემა ამ კრებულისა, რამაც არანაკლებ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, უვალი, დაუსაზღვრავი გზების გადალახვისკენ სწრაფვაა. ამ გზას თითქოს დინჯად მიუყვება ბესიკ ხარანაული: „**მშვიდად, მშვიდად იარე, ჩემო ლურჯოვალა მოთმინება, ქალაქს რომ გასცდები, სოფელი შეგეყრება...**“; **ლია სტურუას** სტუმრობა ფლორენციაში კი შორეული, უცხო სივრცეების დასაზღვრაზე გვიამბობს:

„ზაფრანას ყვავილი მზეზე რომ გახუნდება, ისეთი ფერის ქალაქში დავდივარ“... ამ ლექსებში ბევრგან გვხვდება გადასალახავი გზები და ამ გზაზე ძიების, შეცნობის, განახლების წყურვილი. ავტორთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ლექსებში პირადი განცდების ფონზე შესანიშნავად წარმოაჩენენ თავიანთი ქვეყნის, თავიანთი ხალხის მიერ გამოვლილი ათასი განსაცდელით აღსავსე გზასავალის ღირსეულად რომ განვლეს და არასოდეს დამორჩილებიან ცდუნებას, შეჩერებულიყვნენ, შეესვენათ, რადგან დიდი იყო ყოველთვის მათი სწრაფვა ჭეშმარიტი ღირებულებისაკენ, უფლისაკენ, სიხალისა და განახლებისაკენ. **ბორენა ჯაჭვლიანი** თავის ლექსში ჯვარცმას ასე მიმართავს:

გადმოდის ჯვრიდან, ან დამავინწყე, რომ ჯვარს გაგაკრეს, დამავინწყე სისასტიკე, რაც ქვეყნადაა... ჩამჭიდე ხელი და გზას გავუყვით.

უნდა გავცილდე და გავაღწიო, უნდა ვიპოვო რაღაც მესამე, —

წერს **ელა გოჩიაშვილი**.

მინდა მოვიხმო **მარიამ ნიკლაურის** ლექსი „**ეგებ შენ მაინც**“, რომელიც ნებისმიერი ეროვნების ადამიანს დააფიქრებდა, რომ დღეს კაცობრიობამ დაკარგა თავისი პირვანდელი სახე, დაკარგა „**ღმერთის შიში, გულის კანონი**“, მაგრამ „**იმედი, ეს უფლის ჩიტი**“ (**ოთარ ჭილაძე**) არა მხოლოდ დასახელებულ ლექსში, არამედ მთელ კრებულში იგრძნობა, ერთგვარი ქრონოლოგიით რომ წარმოგვიჩვენს სხვადასხვა თაობის გამორჩეულ ქართველ პოეტებს.

მიმანია, რომ ეს წიგნი სერიოზული გზავნილია ევროპელი მკითხველისთვის, რათა გაიცნოს და დააფასოს ეს პატარა ქვეყანა, მისი ხალხი და მისი ორიგინალური პოეზია“.

ცნობილმა მწერალმა და დოკუმენტალისტმა **მაურიციო ფანტონი-მინელამ** დამსწრე საზოგადოებას გასულ ზაფხულს საქართველოში ქართულ პოეზიაზე გადაღებული ფილმის შესახებ უამბო:

„ნუნუ გელაძისთან შეხვედრა, პირველ რიგში, ქართულ პოეზიის კარის ფართოდ გაღებას ნიშნავს; იმ მიმზიდველ ქართულ სამყაროში შესვლას, რომელიც ევროპამ ოდესღაც უყურადღებოდ მიატოვა და აგრძელებს მისი ისტორიული წარსულის, მისი დიდოსტატებისა და თანამედროვე მიღწევების იგნორირებას, და ყოფილმა საბჭოთა კავშირმა, მანამდე კი იმპერიული ძალაუფლების უმძაფრესი სურვილით შეპყრობილმა რუსეთმა, ორმაგი მეთოდის გამოყენებით, ერთი მხრივ, ასიმილაციისა და, მე-

ორე მხრივ, მისი ეროვნული და კულტურული იდენტობის ჩახშობის მცდელობით იმავე ევროპისკენ გზა გადაუკეტა.

როგორც რეჟისორმა და კინომცოდნემ, უნდა აღვნიშნო, რომ გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული, ევროპაში გარკვეული წარმოდგენა გაჩნდა ქართული კინოს შესახებ. ეს ხდებოდა ქართული კინოს დიდოსტატთა, **ოთარ იოსელიანის, თენგიზ აბულაძის, ელდარ შენგელიასა** და განსაკუთრებით **სერგო ფარაჯანოვის** ნამუშევართა წყალობით.

საქართველოს დედაქალაქის ისტორიულ უბანში სეირნობისას გადააწყდებით ბრინჯაოს პატარა სკულპტურას, რომელიც ერთ პატარა მოედანზე მდებარე უფერულ კედელზეა მიმაგრებული. მასზე გამოსახულია საკმაოდ მსუქანი მამაკაცი; ხელები ისე გაუშლია, თითქოს სადაცაა უნდა აფრინდესო. მეუბნებიან, ეს კაცი სერგო ფარაჯანოვია... და მეფიქრება, რომ ასე კარგად ვერანაირი გამოსახულება ვერ გადმოსცემდა ამ ავტორის მისტიკურ გენიას; მას კორუფცია და მამათმავლობა ედებოდა ბრალად და საბჭოთა რეჟიმის დროს იძულებითი შრომა ჰქონდა მისჯილი. დასტურად იმისა, რომ ამ ქვეყანაში ღრმა პატივისცემით არიან გამსჭვალული თანამემამულე ხელოვანთა მიმართ, დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ მთავარ, თბილისის შემდეგ სიდიდით მეორე ქალაქ ქუთაისში კიდევ ერთ ქანდაკებას აღმოვაჩინეთ, რომელიც მსახიობ **იპოლიტ ხვიჩიას**, დაუფინსარი კომიკური როლების შემსრულებელს, ეძღვნება. ხანშიშესული მსახიობი სკამზე ზის, ისევე როგორც ჩვენ, იმ წუთებში, როდესაც ქალაქის ცენტრალური მოედნიდან მის ქანდაკებას ვაკვირდებით. მოედნის შუაგულში ლითონის მრავალმრიანი უცნაური შადრევანი სიმბოლური ცხოველების პატარა ქანდაკებებითაა განწყობილი. მსახიობი ფილმის ფირს შლის, მას ალტაცებით შესცქერის გვერდით მჯდომარე ბიჭუნა. იმდენად ძლიერია ამ ქანდაკების ბუნებრიობა, რომ თითქმის ერთ სხეულად კრავს ოსტატსა და შეგირდს. ამ დროს გონებაში გენუის სტალინის სასაფლაოზე უზარმაზარ დერეფნებში ჩამწკრივებული ქანდაკებები მიტივტივდება.

საქართველოში მოგზაურობის მთავარი მიზეზი აღმოსავლეთისა და დასავლეთის გასაყარზე მდებარე ქვეყნის პოეტებსა და პოეზიაზე დოკუმენტური ფილმის გადაღებაა. იმ ქვეყნისა, რომელიც დღესაც იტანჯება ტერიტორიული პრეტენზიების გამო ატეხილი შემოსევებისა და ომებისაგან. ერები სხვა ერთა წინააღმდეგ; ეთნოსები, რომლებიც ერთად ჩამოყალიბებისკენ ისწრაფიან და რომლებიც ერთა შორის ყველაზე დიდს, რუსეთს და მის ახალ მეფეს ვლადიმერ პუტინს არიან შევრდომილი.

წუნუ გელაძე, რომელსაც პირველად თბილისში ჩამოსვლისთანავე ვხვდებით, მრავალი წელია იტალიაში ცხოვრობს, მაგრამ მისი გული საქართველოშია, ოჯახის, მშობლიური მიწისა და პოეტების გვერდით. ჩვენი იქ ყოფნა მისთვის ნათესავებთან, მეგობრებსა და პოეტებთან შეხვედრის შესაძლებლობაა. ასევე იმისაც, გარდაიქმნას ქართული პოეზიის ვრცელი ეპიკური თავგადასავლის მთხრობელად. ამ პოეტთა უმრავლესობა ახლახან გამოცემულ ანთოლოგიაში თავმოყრილი, რომელიც წუნუ გელაძის მიერაა შედგენილი და თარგმნილი. ანთოლოგია სახელწოდებით „ვაზი და კალამი“ უნიკალური შესაძლებლობაა პირველი შეხებისა იმ პოეზიასთან, რომელსაც გაუგებარ მიზეზთა გამო არ იცნობენ ჩვენს ქვეყანაში. ასე ვიტყვი: იმ იტალიაში, სადაც ყოველთვის ფართოდ უღვებდნენ კარს XX საუკუნის რუსულ პოეზიას, რომლის გარშემო ერთიანდებოდნენ ისეთი დიდი მეცნიერები და მთარგმნელები, როგორებიც გახლავთ: **ანჯელო მარია რიპელინო, სერენა ვიტალე, ვიტორიო სტრადა** და ა.შ. იტალია, რომელიც, ვიტყოდი, შეცდომით მიიჩნევა, რომ რუსეთის კულტურულ საზღვრებს არ უნდა გასცდნოდა. ვინ იცის, იქნებ და იმის შიშითაც, რომ პრო-

ვინციულობაში არ დაედანაშაულებინათ. არადა, დიდად საგულისხმოდ მიმაჩნია, თუ რა ღრმად იყო დაკავშირებული საქართველოსა და მის მწერლებთან დიდი რუსი პროზაიკოსი და პოეტი **ბორის პასტერნაკი**, როგორც ამას **ჯულიო ეინაუდის** მიერ 1973 წელს გამოცემული ეპისტოლური ფანრის „წერილები ქართველ მეგობრებს“ მოწმობს. მსურდა იტალიაში დაბრუნებისას წიგნის პირველი გამოცემა მესახსოვრა წუნუსთვის, რადგან იტალიურად არ ჰქონდა წაკითხული. სახე გაუნათდა სიხარულისგან და ესიამოვნა საჩუქარი, თუმც კარგად ახსოვდა ეს წერილები.

რუსთაველი — ვინ იყო იგი? წუნუს ელიმბა, როდესაც ვეუბნები, რომ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ იტალიელთათვის ქართული პოეზიის ერთადერთი ნაცნობი ნიმუშია, პოეზიისა, რომლის ენერჯიაც, ანთოლოგიის წინასიტყვაობიდან ივანე ამირხანაშვილის სიტყვები რომ მოვიშველიო: „... დიდხანს მალავდა თავს საეკლესიო მწერლობის წიაღში. წმინდანთა ცხოვრებასა და ჰიმნოგრაფიულ ტექსტებში ხშირად გაკრთება რელიგიურობის დისკურსიდან კალმახივით ამოვარდნილი პოეტიზმები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ლირიკა არაფორმალურ ვითარებაშიც ინარჩუნებდა ავტონომიურობის სულისკვეთებას და თავის დროს ელოდა“ — ანუ XX საუკუნეს. მანქანებისა და კინოს, რევოლუციებისა და ომების, რობოტებისა (ადამიანობის დაკარგვისა) და უტიპობის საუკუნეს. უბრალო პარადოქსია, რომ საქართველოში პოეზია ჰყვავის და თავს იცავს ორი საპირისპირო სამყაროს, აღმოსავლეთისა და დასავლეთის, გავლენებისგან.

სასიამოვნოა ამ მოგზაურობის დაწყება პოეზიით, რომელიც სულის გეოგრაფიას და ამავედროულად პოეტურ მოგზაურობას განასახიერებს და რომელსაც თან სდევს ეს აზრი: „ქართველმა კაცმა აირჩია ლექსი ანუ ის ინტელექტუალური მდგომარეობა, რომელსაც „თავისუფალ გონებას“ უწოდებენ“ (ივანე ამირხანაშვილი).

სინამდვილეში კი რას ნიშნავს პოეტურად აზროვნება, თუ არა იმას, რომ ყოველი დისციპლინა პოეზიაში არსებულნი ნივთიერებით გამოიძერწოს?!

მთანმინდის პანთეონში ასვლისას წუნუ საკუთარ თავს მოსალოდნელზე უფრო მეტად აველენს. ის, რაც მას უბიძგებს საუბარსა და თუნდაც შესტებში, ფესვებიდან ამომდინარე წმინდა ცეცხლია, შეგნება იმისა, რომ ათასწლოვანი კულტურის ნაწილია; დაუოკებელი მოთხოვნილება — ყველას მოუყვას და გააცნოს ქართული სანწყისები და მათი განვითარების ისტორია, დაგვიხატოს ადამიანთა ინდივიდუალური პორტრეტები, რომელთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ფონზეც კავკასიის ჩრდილქვეშ გაიარეს საუკუნეებმა და ათწლეულებმა; სახეები, რომლებიც მთელი მოგზაურობის განმავლობაში არ გეტოვებენ.

დავდივართ დაისის სხივებით გაცისკროვნებულ საფლავებს შორის. ქალაქი ჩვენს თვალწინ გადაშლილია. წუნუ ჯდება ერთ-ერთი საფლავის ქვასთან. ეს ოთარ ჭილაძის საფლავია, XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პოეზიის მამა, წუნუს უსაყვარლესი პოეტი. წუნუ მას ესაუბრება, როგორც მეგობარს. მარიამ ნიკლაური, ასევე პოეტი და საბავშვო მწერალი, რომელმაც მეუღლესთან ერთად მთანმინდაზე აგვიყვანა, ჭრიჭინების გამაყრუებელ ჭრიჭინს უგდებს ყურს, ერთი შეხედვით სიმკაცრენარევი, მაგრამ თბილი ხმით კითხულობს:

**ეს წმინდა მთაა, აქ ნაბიჯებს მტვერი არ უდით,
აქ სამარეებს სანთლად ანთებს აღდგომის მთვარე.
აქ იციან მოსვლა ქარებმა,
გუგუნით და გრიალით მოსვლა,
რომ კლდის ქიმზე დასხდნენ დალილინი
და ინმაურონ მშობლიური სახლის სიმშვიდე
ორთავ სოფლისთვის.**

ამ იშვიათ გარემოში, ასე ვთქვათ, ქართულ „საუნ რივერ-ზე“, დაკრძალული არიან თავისი წარსულითა და ღვთისადმი განახლებული რწმენით ამაყი პატარა ქვეყნის ბუმბერაზი ხელოვანები. ნუთუ ეს ქვეყანა შესძლებს დაიცვას ეს ერთი მუჭა ძვლები და მათი დიდება გლობალიზებული სამყაროს ჭირ-ვარამისაგან?!

მომდევნო დღეს ნუნუს სურს მწერალთა სახლი გვიჩვენოს, სადაც სახელდახელოდ მოუყარა თავი სხვადასხვა თაობის პოეტებს. ეს დიდებული შენობა გახლავთ, პირწმინდად მოდერნისტულ ქართულ სტილშია აშენებული და მოწყობილი. წარსულში ეს შენობა ერთი საკმაოდ შეძლებული ოჯახის საკუთრება იყო, დღეს კი მწერლებს მასპინძლობს მთელი მსოფლიოდან, როგორც ამას ახალგაზრდა დირექტორი **ნატა ლომოური** იტალიურ ენაზე გვიამბობს. აქ შეკრებილ პოეტთა შორის განსაკუთრებით ერთი მხიბლავს, ახალგაზრდა **ლელა სამნიაშვილი** და მისი ტკივილით გაჯერებული მძაფრი სტროფები, რომლებიც მკაფიო და ზუსტ ხელწერაში ირეკლება. ლელა წარმოშობით გორიდანაა, სტალინის ქალაქიდან (სადაც, მომდევნო დღეებში ცოტა ხნით ვჩერდებით დიქტატორისადმი მიძღვნილ უკიდევანო სასახლის სანახავად); იგი ამერიკელი მწერლის სილვია პლათის მთარგმნელიცაა. „ჩვენი გოგოს ლექსი“ მოსმენილ ლექსთა შორის ყველაზე მეტად მიპყრობს, პოეტური ხატების სიზუსტისა და ფორმის დაწურულობის თვალსაზრისით და ახლაც ჩამესმის:

მკვდარი სამშობლოს, მკვდარი ღმერთის, მკვდარი ქალის კვილი — თქვენთვის სასურველი — მკვდარია ჩემში; და ჩემი ტვირთიც — თქვენს ტრამპლში თუ ჩაიშრება, ალალი იყოს — ნაღმის პური, კლდის ნატეხი, სიძულვილი — ამოცილილი ჩემი უბიდან.

მწერალთა სახლის დიდ ფოიეში ტელევიზიის კამერის წინ ვამბობ, თუ რა მიზანს ემსახურება ჩვენი მოგზაურობა საქართველოში: პოეზიას.

ყურში ჩამესმის ხანშიშესული პოეტის **ვახტანგ ჯავახაძის** ხმა, რომელსაც თავდაპირველად ქალაღზე გადააქვს სტრიქონები სიმეტრიულად და ფიგურულად, შემდეგ კი ხმამაღალი დეკლამაციით კითხულობს მათ, რაც დასავლურ ნეოავანგარდულ მძვინარებას მაგონებს. მის ლექსს „ავტოპორტრეტი“ სამკუთხა სახე აქვს, ქვაშია თითქოს ნაკვეთი, თეთრ ფურცელზე განთავსებული ლამაზი გრაფიკული პოეზიაა, მხოლოდ და მხოლოდ დიდი მხატვრების სახელებით შედგენილი, რომლებიც „შემომცქერიან — სარკეებთან მოფუსფუსენი, აოცებენ ჩემი გალექსილი ავტოპორტრეტი“.

დედაქალაქიდან ძველი ნაციონალური მერსედესით მცირე კავკასიონის მთებისაკენ გავეშურეთ. ჩანს, საკმაოდ გრძელი და ფათერაკიანი გზაა, დიდ ტყეებსა და ნახ ფერდობებზე რომ გადის, ვიდრე მაღალი მთის ქედებამდე მივალწვედეთ. დღეს ვისაც ვეძებთ, ის დედაქალაქში არ გახლავთ, ამჟამად აგარაკზეა, სოფელს მიღმა ჩამალულ მთებში. ჯერ, რამდენიმე წუთით, მისი ვაჟიშვილის აგარაკზე შევიარეთ, სიამოვნებით და აღტაცებით დავათვალიერეთ მხატვრისა და მეოცნების ეს სამყარო. **ბესიკ ხარანაული 1939** წელსაა დაბადებული, მამაჩემის ხნისაა. ნუნუ დარწმუნებულია, რომ იგი უდიდესი პოეტია და იმედოვნებს, რომ ადრე თუ გვიან მიანიჭებენ ნობელის პრემიას. თიანეთის რეგიონში, ფშავში გემასპინძლობს; სახლი დიდ მიწის ნაკვეთზე დგას, როგორც კი ეზოში შეაბიჯებთ, მიწა გორაკის წვერამდე მიმავალ ციცაბო აღმართად იქცევა. ირგვლივ თივის სურნელი ტრიალებს, ბატონ ბესიკს, ხანშიშესულობის მიუხედავად, რამდენიმე დღის განმავლობაში უთბობა საუცხოო მარტოობაში. მას მოგძოო სახე და მახვილი მზერა აქვს, არამცდაარამც თვინიერ; დროდადრო, როდესაც თანამედროვე მსოფლიოს უგუნურ ქმე-

დებებზე საუბრობს, ირონიასა და სიბრძნეს ავლენს. ბესიკი გულთბილი მასპინძელია, მის პოეზიას კი ცხოვრების მდინარეში ჩაკარგულ კარსტულ მღვიმეებს შევადარებდი.

სალამოს თბილისში გაშლილ სუფრასთან **დათო მალრადე** გველოდება, რომელიც, გარდა იმისა, რომ ნუნუს მეგობარია, ერთ-ერთი დიდი პოეტი გახლავთ თანამედროვე ქართველ პოეტთა შორის. არაერთგზის იყო წარდგენილი ნობელის პრემიაზე. დათო იტალიაში ძირითადად მისი ღრმა რელიგიური შთაგონებისა და უნივერსალური პოემით გახდა ცნობილი: „ჯაკომო პონტი“ — გამოგონილი პერსონაჟი, ავტორის ალტერ ეგო. ერთ-ერთი უფერული შენობის მესამე სართულზე ავდივართ, სადაც პოეტის მუუღლე, ხელოვნებათმცოდნე, ბიზანტიური წარმომობის შექველესი ოჯახის შთამომავალი გვხვდება. სახლის ინტერიერი არ არის დიდი, მაგრამ გემოვნებითაა მოწყობილი. გემასპინძლობენ ღირსეულად, საუკეთესო ქართული ტრადიციების შესაბამისად. დათო, რომელიც ეს-ესაა დაბრუნდა მისი სათაყვანო იტალიიდან, საკუთარი დიდებული ლექსების გარდა სიმღერებითაც გვაკვირვებს, გიტარის თანხლებით მღერის. ეს დიდი ეიფორიის წუთებია, ვსაუბრობთ საერთო მეგობრებზე, კულტურასა და იმედზე, გლობალიზაციასა და ომზე, ასევე ამ იდეალში, ზღვაზე გადაჭიმული ქვეყნის ღვინისა და სამზარეულოს ღირსებებზე, იმ ზღვაზე, რომელშიც წარსულის ხსოვნას უჭირს ამოტივტივება, დღეს არსებული განცხრომით ტკბობისა და უგვანობის შემხედვარეს.

ჩვენი სასტუმროს ფანჯრიდან მართლმადიდებლური ტაძრის წმინდა ხატით შევცქერი უძრავ სანახაობას: გორაკზე წამომართულ ეკლესიას, მის გვერდით ცხენზე ამხედრებული გმირის ქანდაკებას, წინ — ნარიყალას, და ოდნავ ქვემოთ, ხის უძველეს სახლებს. ვუცქერ საბაგიროს, რომლითაც მზის ჩასვლამდე უამრავი ადამიანი ჩამოდის და ადის მთაზე. ბინდდება. მოედანზე ახლაც, ისევე როგორც ყოველ სალამოს, კლასიკური მუსიკის ფონზე მოცეკვავებ შადრევნები ირთვება. ეს, რა თქმა უნდა, გვაგინყებს საზრუნავსა და საწუხარს...

დაბოლოს, თვალს ვხუჭავ, თითქოს წმინდა წამი და მასთან ერთად გასულ დღეებში ჩემში განცდილი მთელი ქართული სილამაზე შევაჩერო“.

ლონისძიება ქალაქ ვიჩენცას ქალთა გუნდის „**კანტაგაიას**“ მიერ შესრულებული ქართულმა ხალხური და მსოფლიო ხალხთა ფოლკლორული სიმღერებითა და მილანის სათვისტომოს წევრების სახელდახელო ქართული ცეკვებით გასრულდა. დაბოლოს მასპინძლებმა იტალიელი სტუმრები ქართული კერძების დასაგემოვნებლად სუფრასთან მიიწვიეს.



Con la Georgia nel cuore è una libera associazione di cittadini che si propone di favorire la conoscenza reciproca delle culture georgiana e italiana in tutti i campi ritenendo essenziale lo sviluppo dell'amicizia e della collaborazione tra i popoli. L'Associazione non ha scopi di lucro. Intende in particolare, pubblicare e diffondere libri e periodici, patrocinare incontri, convegni e rassegne, promuovere la conoscenza della lingua georgiana, organizzando all'uopo corsi per i soci in sede, diffondere la conoscenza della scienza, della tecnologia, del folklore e dell'arte georgiana, promuovere, con ogni opportuno mezzo, viaggi culturali in Georgia, svolgere ogni attività diretta allo scambio di conoscenze in tutti i campi delle relative culture.

Come arrivare: MI, fermata Rovereto
Bus n. 56 da piazzale Loreto, angolo via Doria
Per informazioni:
Libero Facciato 333435137 - Nunu Geladze 388583017

ქართული პოეტური ანთოლოგიის იტალიური გამოცემისადმი მიძღვნილი სალამოს პროგრამა

ეკა ბუჯიაშვილი

* * *

ყვავილები მარადიულ სამყოფელთან

(როსტომ ჩხეიძის ახალი
ბიოგრაფიული რომანის წარდგინება)

ერთ ჟურნალისტს უკითხავს კიდეც:

— როგორ ასწრებთ ამდენსო?

მას კი კაფკას პერიფრაზით უპასუხია:

— მე არ მაქვს ლიტერატურული ინტერესები, თვითონ შევდგები ლიტერატურისაგან.

მეტაფორული ნათქვამია კია, მაგრამ ლიტერატურისგან რომ შედგება და მართლაც „სიზმარშიც არ ტოვებს ფიქრი ლიტერატურაზე“, ამის დასტურია მისი თვრამეტი ბიოგრაფიული რომანი, რომლებშიც სხვადასხვა კონტექსტით, შეფარულად თუ სიმბოლურ-ალეგორიულად, ქვეტექსტებით, საქვეყნო ტკივილებია გამოხვეული ლიტერატურულ ქარგაში, აღარაფერს ვამბობთ ვრცელ თუ მცირე მონოგრაფიებსა თუ სამეცნიერო ნარკვევებზე, ლიტერატურულ თუ პოლიტიკურ ესეებზე, პიესებსა და თარგმანებზე.

„საგა ვახტანგური — ვახტანგ ჭელიძის ცხოვრების ქრონიკა“ კი როსტომ ჩხეიძის მეთხუთმეტე ბიოგრაფიული რომანია, გამოცემული 2013 წელს, რომლის წარდგინებაც ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების, იმავე ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ძალისხმევით, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში გაიმართა.

შეხვედრის გახსნაზე **მაია ჯალიაშვილმა** ესეც დასძინა:

— საქართველოს ბედისწერა მსოფლიო ასპარეზზე — ეს არის მისი საფიქრალი.

ამ წიგნშიც მთელი ეპოქა იხატება — მეოცე საუკუნე, დრამატული მოვლენებით, თვითონ როსტომ ჩხეიძე ტრაგიკულს რომ უწოდებს.

მისი მთავარი პრინციპია, დახატოს მოვლენები ისე, როგორც იყო — შეუღამაზებლად, ობიექტურად, არისტოტელე რომ ამბობდა: პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო დიდი მეგობარია.

ამ წიგნში იხატებიან ადამიანები, უპირველესად, ეროვნული სატიკვარით. მთავარი გმირი — ვახტანგ ჭელიძე — მრავალმხრივი მოღვაწე, მწერალი, მთარგმნელი, გამოცემელი, ზნეობრივი პიროვნება, თავისი წარმატებული გადაწყვეტილებებითა და შეცდომებით.

მწერალი მკითხველს უტოვებს გზას, გარკვეული ფაქტები და მოვლენები თვითონ შეაფასოს. წიგნი ამართლებს სახელწოდებას — ეს არის საგა, მასშტაბური ტილო, რომელზეც გამოკვეთილია ბევრი პერსონაჟი, ასევე, ჟურნალი „ცისკარი“, აღმანახი „ხომლი“, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, გამოცემლობანი („საბჭოთა საქართველო“, „ნაკადული“) — რა ბრძოლების გადატანა უხდებოდა ვახტანგ ჭელიძეს, რათა საქმე ეკეთებინა.

ქალბატონი მაიას თქმით, როსტომ ჩხეიძე ანგრევს სტერეოტიპებს და ყველა მისი წიგნი ამის დასტურია. მან ბიოგრაფიულ ჟანრს სრულიად ახალი ელფერი შემატა და თავისი სტილით, თხრობის საკუთარი მანერით გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებში.

— „საგა ვახტანგურის“ შესახებ შემიძლია დაუფარავად ვთქვა, რომ ამ წიგნის გამოსვლას წამდვილად ველოდი, — ასე დაიწყო თავის მრავალმხრივ საინტერესო მოხსენებას **ნონა კუპრეიშვილი** და საგულისხმო აქცენტებითა და განსჯით, იმთავითვე მიიპყრობს შეკრებილი საზოგადოების ყურადღებას და კიდეც განსაზღვრავს ამ შეხვედრის რანგს.

ამ წიგნს კი ელოდა არა როგორც მორიგ ბიოგრაფიულ რომანს როსტომ ჩხეიძისა, არამედ **XX** საუკუნის მეორე ნახევრის წინააღმდეგობრივი და რთული ლიტერატურული ცხოვრების ახლებურ ინტერპრეტაციას.

— თუმცა, როგორც იტყვიან, იმან, რაც წავიკითხე, მოლოდინს გადააჭარბა, რადგანაც „საგა ვახტანგური“ არა მარტო უხვი მასალით გაჯერებული, დინამიკურად მოთხრობილი ისტორია აღმოჩნდა, არამედ ისეთი ობიექტურიც, რომ პირადად მომეცა საბაბი კიდეც ერთხელ, ამჯერად უკვე წიგნში წარმოდგენილი თამამი შეფასებების ფონზე, დავფიქრებულებიყავი თანამედროვე ლიტერატურის თეორიაში გამოკვეთილი კულტურული ტრავმისა და ე.წ. მესხიერებათა ომების კონცეპტებზე. ამაზე ცოტა მოგვიანებით ვიტყვი ორიოდ სიტყვას.

პროფესიონალიზმთან ერთად, რომლის შესახებაც ხშირად ვსაუბრობთ როსტომის ყველა ნამუშევართან მიმართებით, თანაც ისე, რომ არ გვაინცდებია, საგანგებოდ ხაზი გავუსვათ მასალის ფლობის მისეულ გამორჩეულ უნარს, დეტალების ხელოვნებას, სრულ ინფორმაციულობას, კომპოზიციურ ერთიანობას, არსებობს კიდეც ერთი რამ: ესაა ჩვენი ავტორის ისეთი სულიერი წყობა, იმგვარი სულიერი კონსტიტუცია, რომელიც გამუდმებით ინვესტს მასში პასუხისმგებლობის განცდას ჩვენს კულტურაში უკვე მომხდარსა და მოსახდენ მოვლენებზე. ამჯერად „რაც მოხდა“ მკითხველის ინტერესის საგანი. დიდი ხნის წინათ, როდესაც სარეცენზიო წერილით გამოვეხმაურე ჩემთვის გამორჩეულ წიგნს პავლე ინგოროყვას შესახებ (ვახტანგ ჭელიძეც თურმე როსტომს „პავლიკიანელს“ უწოდებდა), აღვნიშნე, რომ აღრეული კრიტიკიუმებისა და უკიდურესად კუპირებული ისტორიის საბჭოთა ეპოქაში, სადაც საკმაოდ რთული იყო სწორი ორიენტირის პოვნა (და ამაში ჩვენ, მაშინ ახალგაზრდა ლიტერატორებს, ხელმოსაჭიდი დიდი არაფერი გვქონდა), პირველ ყოვლისა, მამის, ოთარ ჩხეიძისა და, როგორც ირკვევა, ლამის სულიერი მოძღვრის, ვახტანგ ჭელიძის დახმარებით, ძვირფასი დრო ძიებაში არ დაკარგულა. სხვა სიტყვებით, იმთავითვე არსებობდა იმის შეგრძნება, რაოდენ რთული უნდა ყოფილიყო შემოქმედი ადამიანისთვის თავისი უფლებას მოკლებულ ლიტერატურულ სივრცეში არსებობა და სამწერლო საქმისთვის აუცილებელი იმპულსების შენარჩუნება. ეს იყო ის საწყისი, თავისი მნიშვნელობით კი ის ფუნდამენტური პოზიცია, რომელზედაც სხვა ყველაფრის დაშენება იყო შესაძლებელი. სწორედ ამ „ათვისის ნერტილის“ არსებობა მიმაჩნია აღნიშნულ წიგნში ობიექტურად აღწერილი მწერლობის გადასარჩენი თუ დასამხობი ბრძოლების გაანალიზებისა და გადმოცემის პირველმიზეზად.

არსებობს ბიოგრაფიული რომანის ავტორის ორგვარი პოზიცია: პირველი, როდესაც იგი თავისი ლოგიკური მიგნებებით, მოვლენათა მიზეზ-შედეგობრიობის ამოხსნით აღადგენს საჭირო სურათს, ახდენს დროისა და პიროვნების ამბივალენტობის ზუსტ რეპროდუცირებას, და მეორე, როდესაც მთხრობელი თვითონაა იმ ლიტერატურული პროცესების მონაწილე, რომელთა შესახებაც გვიყვება.

როსტომ ჩხეიძეცა და მისი წიგნის გმირიც, ცნობილი მთარგმნელი და მწერალი, პროფესიონალი რედაქტორი და გამოცემელი ვახტანგ ჭელიძე, სწორედ ასეთი ლიტერატორები არიან. მოვლენებთან სიახლოვე ლიტერატურით

მცხოვრები, ლიტერატურით ფაქტობრივად გაჯერებული ადამიანისთვის, რომელსაც დაკვირვების გამორჩეული უნარიც აქვს, იქცევა იმ ინსტრუმენტად, რომელიც ყოველდღიურ ყოფით მოვლენებს აზოგადებს, წვრილმანში მთელ ეპოქას წარმოგვიდგენს. ვახტანგ ჭელიძის გარეშე თითქმის წარმოუდგენელია 60-80-იანი წლების ქართული თარგმანის ხელოვნება, პრესაც, ისტორიის დემითოლოგიზებაც და იმ სამწერლო სიახლეთა ლეგიტიმაცია, რომელსაც სათავე მისი რედაქტორობით გამოსულმა ჟურნალმა „ცისკარმა“ დაუდო. ბრძოლა პიროვნულ თავისუფლებასა და ანგაჟირებულობას შორის, საკუთარი ფილტვებით წერასა და რობოტიკურ მორჩილებას შორის, როგორც ეს მრავალი სხვა ქვეყნის ისტორიაშიც ხდებოდა, ძალზე რთულია, საბჭოთა რეჟიმის პირობებში კი უკიდურესად სასტიკი და „სულიერად გამჩანაგებელი“. ვახტანგ ჭელიძეც და მისი მეგობარი ოთარ ჩხეიძეც (რას ვიფიქრებდი, მათი ურთიერთობა ლეგენდურ ელფერს თუ შეიძენდაო, — წერს ავტორი) მეტ-ნაკლები სიფხიზლით უმკლავდებოდნენ ამ სირთულეს.

მათი მრავალთაგან ერთ-ერთი დიალოგის წიგნში წარმოდგენილი ფრაგმენტი ვახტანგ ჭელიძის რეპლიკით: „კიდევ არ მორჩა ის დრო“ და ბატონი ოთარის პასუხით: „ანკი როდის მორჩენილა“ — სრულად წარმოგვიდგენს მწერლის მარადიულ კირთებას, მის უსასრულო ბრძოლას არა მხოლოდ საკუთარ ვნებებთან, არამედ სამყაროს მარადიულ მოწყობლობასთან.

ზემოთ როსტომ ჩხეიძის, როგორც მთხრობელის, ინფორმაციულობაზე მივანიშნებდით. მართლაც, ამ შვიდასგვერდიან რომანში არათუ არ არის ე.წ. ცარიელი ადგილები, არამედ მთავარი პერსონაჟის, ვახტანგ ჭელიძის, მრავალფეროვანი მოღვაწეობის კვალდაკვალ ტექსტის ერთიანი კომპოზიციური ცენტრიდან გაედინება არაერთი სიუჟეტური ხაზი, რომელთაგან უკლებლივ ყველა ერთსა და იმავე დროს მთელის ორგანული ნაწილიცაა და დამოუკიდებელი ამბავიც. მაგალითად, თარგმანის ისტორია, რომელსაც თავისი მწყობრი თეორიით, ავტორისეული ლიტერატურულ-ესთეტიკური კოდექსებით „წიგნს წიგნში“ ვუწოდებდი. იგივე შეიძლება ითქვას „ცისკრის“ დაარსებისა და ფუნქციონირების პერიპეტივებზე, შემეცნებით ისტორიული რომანის აგების პრინციპებზე და სხვა.

ვახტანგ ჭელიძე ლიტერატურულ პორტრეტთა დიდოსტატი იყო. რაოდენ რთული მხატვრული ამოცანა უნდა ყოფილიყო ამ პორტრეტების ტოლფარდი სახეების შექმნა. „საგა ვახტანგურში“ გაცოცხლებული ერეკლე ტატიშვილის, სიმონ ჩიქოვანის, ნიკო სამადაშვილის, ალიოშა საჯიასა და, მასთან ერთად, მთელი „დანყევლილი თაობის“, განსაკუთრებით კი ლადო ასათიანის, სახეები იმდენად შთამბეჭდავია, რომ ცივი გონებით მათი ნაკითხვა ჭირს. თუმცა ის, რაც მკითხველს ლიტერატურის ისტორიაში პუშკინ-ბულგარინის (გნებათ, მოცარტ-სალიერის, ნ.კ.) მსგავსი ლადო ასათიანი-ირაკლი აბაშიძის ოპოზიციური წყვილის გაცნობისას ელოდება, უპრეცედენტოა. ამას ემატება საბჭოთა ლიტერატურული ბოსის, ჯერ კიდევ გუშინ, როგორც თვითონ ამბობდა, „ნეკრიტიკაბელნი“, ყოვლისშემძლე კრიტიკოსის ბესარიონ ჟღენტის „ლიტერატურულ ჯალათად“ მონათვლა და ამ ნოდების გამყარება სათანადო არგუმენტაციებით.

თანამედროვე მწერლებსა თუ ანალიტიკოსებს, რომლებიც შეგნებულად ემიჯნებიან საბჭოთა წარსულის სათანადოდ შეფასების კონტექსტში ჩვენი მეხსიერების დალაგებას, თვალს არიდებენ „მეხსიერებათა ომების“ არსებობის თვით ფაქტსაც კი და კულტურულ ტრავმათა კვლევასაც დიდად აქტუალურ საქმედ არ მიიჩნევენ, მინდა ვუთხრა, რომ ის, რაც „საგა ვახტანგურშია“ ნაჩვენები, ძლიერ შორსაა ყოველგვარი ნიშნისმოგებისა და, მითუფრო, შურისძიებისგან. წიგ-

ნის ერთ-ერთ უმთავრეს ღირსებად ქცეული პირუთვნელობის მიზეზი, ჩემი აზრით, არის მიუღებლობა ერთ დროს მომძლავრებული იმ ტენდენციისა, რომელსაც საბჭოთა რეჟიმის მიერ შექმნილ ნომენკლატურულ მწერალთა ფსევდოავტორიტეტულობის, მათი „გაელენის“ სოციალურ მოვლენად გადაქცევა შეიძლება ვუწოდოთ. სწორედ ამ წარმონაქმნმა და მისმა ატრიბუტმა, ანტილიტერატურულ პროცესებში ჩართულმა, „დიდ მწერალთა“ გარშემო შემოკრებილმა და ფსევდოლირებულებებზე ორიენტირებულმა რეფერენციულმა ჯგუფებმა (ვიფიქრობ, ისინი ჯერ კიდევ განაგრძობენ არსებობას, ნ.კ.) გარკვეულწილად დააბრკოლეს ლიტერატურის განვითარების ბუნებრივი გზა. მათვე გადაკეტეს ის სააზროვნო არხები, რომლებიც ყველგან და ყველას, მათ შორის ჩვენც, წარსულის აჩრდილისაგან გასათავისუფლებლად გვჭირდებოდა.

სწორედ ახალგაზრდა ინტელექტუალთა გასაგონად მინდა ვთქვა:

ნუ გეშინიათ როსტომ ჩხეიძის სქელტანიანი წიგნების. ნაიკითხეთ ისინი და თქვენ მზად აღმოჩნდებით მრავალ მტკივნეულ კითხვაზე პასუხის გასაცემად.

მანანა გაბაშვილი ნონა კუპრეიშვილის საინტერესო მოხსენებაში ტერმინ „პოსტკოლონიური თეორიებით“ დაინტერესდება და ქალბატონი ნონა რომ განმარტავს — ეს თეორია იკვლევს და გაიაზრებს იმ ქვეყნების კულტურულ მდგომარეობას, რომლებმაც ტოტალიტარული რეჟიმი გამოიარეს. მის მიხედვით ქართული კულტურა ჰიბრიდულად მიიჩნევა, რადგან დღემდე მიჯაჭვულია და ეყრდნობა რუსულ კულტურას. ჩვენ სწორედ ამას უნდა დავაღწიოთ თავი და დამოუკიდებლად დავმკვიდრდეთო — ქალბატონი მანანა შეენინა აღმდეგება:

— ჩემი პირადი მოსაზრებაა, რომ როგორც ქართული, ისე რუსული ლიტერატურა საერთოევროპული ლიტერატურის ნაწილია.

ბოლო დროს, როცა ამ საკითხების პოლიტიკება მოხდა და გადანყვიტეს, მთლიანად გამიჯვრდნენ რუსეთს, ჰემინგუეისა და თომას მანის მაგალითი მოვიყვანე, რომლებიც წერდნენ, რომ მათზე უზარმაზარი გავლენა მოახდინეს ლევ ტოლსტომი და ფიოდორ დოსტოევსკიმ და დღესაც მთელი დასავლური ლიტერატურა ინტეგრირებულია რუსულში. ამიტომ საზღვრების დანესება და ერთმანეთისგან გამიჯვნა არა გამოგვივა. მე მგონია, რომ ყველა ერთ საფუძველზე ვდგავართ, უბრალოდ ჩვენ-ჩვენი ლიტერატურული სახე გვაქვს და ეს თემა ცალკეა შესასწავლიო.

სწორედ ამის გამო ამ თემაზე კამათი აღარ გაგრძელდება და შეხვედრა კი ასე გაგრძელდა.

ივანე მაჩაბელს რვა პიესა ჰქონდა თარგმნილი უილიამ შექსპირისა.

ვახტანგ ჭელიძეს — ცხრა. თარგმნისკენ კი ერეკლე ტატიშვილმა შეაგულიანა, მოღვაწე პიროვნებამ, ვინც, ნანა კუციას თქმით, „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დასავლეთევროპულ ენათა ფაკულტეტი დააარსა და თავის საუკეთესო მონაწივეთ პირადი მაგალითით შთააგონებდა და აქეზებდა მსოფლიო კულტურის საუკეთესო ნიმუშთა სათარგმნელად. ფაქტობრივად, აგრძელებდა ქართული მთარგმნელობითი სკოლების ძველთა უძველეს ტრადიციას — როგორც ოდესლაც ხანძთელი და მისი მონაწივენი და მონაწივეთა მონაწივენი, ჯვრის ძალით, სარწმუნოების მაღლით ქმნიდნენ „ფრიადი საქართველოს ლიბოს“.

ის ამბავი კი, როგორ გამოვიდა მთარგმნელობით ასპარეზზე სრულიად ახალგაზრდა ვახტანგ ჭელიძე, შეხვედრაზე როსტომ ჩხეიძემ გვიამბო:

თავისთვის ფიქრობდა, „რომეო და ჯულიეტა“ რომ მეთარგმნაო.

ფიქრობდა და გაეზიარებინა კიდევ ალექსანდრე საჯავისთვის.

იმას ერეკლე ტატიშვილთან უთქვამს.

და აი, სამეცნიერო კონფერენცია იმართება უნივერსიტეტში. პროგრამა გამოუკრავთ და ვახტანგ ჭელიძე რომ დაინტერესდება გამომსვლელებით და თემებით, მოულოდნელად სიაში ამასაც წაიკითხავს:

„რომეო და ჯულიეტა“. აივნის სცენა (თარგმანი ვახტანგ ჭელიძისა)“.

სტრიქონი არ უთარგმნია ჯერ — ფაქტის წინაშე დააყენა პედაგოგმა, გზის გამკვალავმა, ვინც იმ დახშულ სივრცეში ისიც დაანახვა, რა იყო დასავლეთი.

ასე შეაბიჯებს თარგმანის სამყაროში და გააგრძელებს გზას ივანე მაჩაბლისა, მოგვიანებით ბიოგრაფიულ რომანსაც რომ უძღვნის, ერთ-ერთ გამორჩეულ ნაწარმოებს ამ უნარში.

— რასაკვირველია, ვახტანგ ჭელიძე, უპირველესად, მთარგმნელია და ბრწყინვალე მთარგმნელიც, მაგრამ, ვფიქრობ, არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი სხვა ლეწლიც — „ქართლის ცხოვრებით“ ინსპირირებული „ქართლის ცხოვრების ქრონიკების“ შექმნა, — ეს ისევე **ნანა კუციაა**, ვისი თქმითაც, ვახტანგ ჭელიძე, ინგლისური კულტურული სივრცის უბადლო მცოდნე, დიკენსისეულ ვერსიას შენატროდა დიდი ბრიტანეთის ისტორიისა, ეოცნებებოდა, ქართველ ბავშვებსაც ჰქონოდათ საყვარელი ვერსია „ქართლის ცხოვრების“ ანალებსა, სამაგიდო წიგნი, სიყვარულითა და ხალისით საკითხავი და სწორედ ამიტომ თავის მოხსენებაში ბიოგრაფიული რომანის იმ თავზე გაამახვილებს ყურადღებას, ვახტანგ ჭელიძის „ქართლის ცხოვრების ქრონიკებს“ რომ ეძღვნება: „დიკენსური შთაგონება — ისტორია ყმანვილთათვის“ და იტყვის:

— დიკენსი მხოლოდ შთამაგონებელია, „ინგლისის ისტორია ყმანვილთათვის“ მხოლოდ ინსპირაციაა, დანარჩენი — თარგიც და დეტალიც ბოლომდე ქართულია.

ამ ქართულ „თარგს“, ქართულ ნირს ჩაუმყუდროვდება, „მაჯაშისა შემტყვევრად“ ექცევა, გაიცნობიერებს და მკითხველსაც გაცნობიერებინებს თვალშეუდგამ მანძილებს ქართველთა ისტორიისა — ქალაქადან ვიდრე ტრაგიკულ XVII საუკუნემდე.

ოთარ ჩხეიძეს გაუმხელდა, მთლად პოპულარული მოთხრობის ჩარჩოებში ვერ ჩავეტევი, ჩემი შეხედულებების გამოთქმაც მომიწევსო. მეგობარი გააფრთხილებდა, მრავალტომეული ბავშვებისთვის საკითხავი ვეღარ იქნება, ლადო ასათიანის უბის წიგნაკის ჩანაწერსაც შეახსენებდა, საქართველოს ისტორია ბავშვებისთვის ზღაპრით მოსასმენი იყოსო, ერეკლე ტატიშვილის მიერ „ზღაპრით მოთხრობილი კრიმინალიზმისა და ბუდიზმის ისტორიასაც“ მოაგონებდა.

„უჩემოთ ვინ იმღერეთას“ მარადი ქართული ჭირის ანარეკლად აღიქმება ისტორიკოსთა „აგნიასება“ ვახტანგ ჭელიძის წინააღმდეგ, მაგრამ „ისტორიკოსის დიპლომი არც დიკენსს ჰქონია, არც გოგებაშვილს, არც ტატიშვილს“, — ტრაგიკული ირონიულობითაა კონსტატირებული ბიოგრაფიული რომანის ავტორის მიერ.

როსტომ ჩხეიძე აკაკი ბაქრაძისა და თამაზ ნატროშვილისეულ რეცენზიებსაც დაიდასტურებს „ქრონიკების“ შესახებ და ტექსტის უპირველეს ღირსებად „ბელეტრისტულ ნიაღვრებს“ მიიჩნევს, არისტოტელესა და გალაკტიონთან კონსტატირებულს: „მხატვრული ნარმოსახვა ისტორიისა უფრო მეცნიერულია და ჭეშმარიტი, ვიდრე ზუსტი ისტორიული აღწერილობა“ (არისტოტელე), „წარსული არავის ესმის, პოეტის გარდა“ (გალაკტიონი)...

„სავის“ უთვალავ „ხრტილსა“ თუ „ტეხილში“ კი „ქრონიკათა“ ამბავი იმითომ გამოგრაჩიე, რომ წამომენია ქართველთა ისტორიის ვახტანგ ჭელიძისეული ვერსიის ანალიზი, უფ-



ნანა კუპრეიშვილი

რო ნაქეზება, შეგუღიანება რომაა „საქართველოს საყმანვილო ისტორიის“ მომავალ შემქმნელთათვის, ჩარლზ დიკენსის, იაკობ გოგებაშვილის, ვახტანგ ჭელიძის აჩრდილთა შორის რომ უნდა იტრიალონ, თუკი შეჰბედავენ შექმნას „ქართველთა დრამატული და ჰეროიკული თავგადასავლის ბედისწერის საფერი“ ანალებსა, ლადო ასათიანს ზღაპრით სასიამოვნო მოსასმენად რომ წარმოედგინა და ასეც ჩაენიშნა თავის უბის წიგნაკში.

ლადო ასათიანი და „საგა ვახტანგურში“ აღწერილი დრამატული ეპიზოდი მისი გარდაცვალების შესახებ შეხვედრაზე **ცისანა კვინტარაძე** გაიხსენა:

— ამ პასაჟმა განსაკუთრებულად შემძრა, პოეტის ნაადრევ გარდაცვალებას „ლიტერატურული საქართველო“ ერთი პატარა ნეკროლოგით რომ გამოეხმაურა, რომელსაც ხელს აწერდნენ ისინიც, ვისაც მართლა შესტკიოდა გული მასზე, და ისეთებიც, სიცოცხლე რომ გაუმწარეს და არც არაფერი დაუკლიათ სიკვდილამდე მიყვანისთვისაც.

ამ ნეკროლოგს კი ხელს საერთოდ არ აწერდა კაცი, რომელიც იმ დროს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იყო.

სახელსა და გვარს ვერ ვიტყვი, მისი სახელობის ქუჩაზე კი ვცხოვრობ ვაკეშიო, — ესეც დაუმატა ქალბატონმა ცისანამ ნახევრად ხუმრობით და ვახტანგ ჭელიძის შესანიშნავი ესეი გამოყო „ჩვენი ლადო ასათიანი“, პოეტის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნებულ, რომლის გამოც ისეთი ფორიაქი ამტყდარა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ყველანი ალაპარაკებულან ლადოს პირველ პოეტურ კრებულზე „წინაპრები“ და მის დრამატულ ხვედრზე — როგორ დაეჭრათ სტამბაში იმ ერთი კაცის თაოსნობით.

— XXI საუკუნეშიც გრძელდება ეს ტენდენცია.

ერთმა პარლამენტარმა გაგვიღანდა ლადო და ესეც ჩვენი ბრალია —

ილია მოიხსენიეს აუგად და... არ შევაჩერეთ. ვაჟას მისდგენ და... გაეჩუმდით.

ასხა ლადო ასათიანი ამოიღეს თვალში, მის ლექსებს მკვდრადმოხილი სტრიქონები უწოდეს და...

საბედნიეროდ, ჩვენს საუკუნეშიც გამოჩნდნენ ილიასავით მხნე ადამიანები — საკადრისი პასუხი გასცა მაკა ჯოხა-

ქმ და ახლა, გარდა იმისა, რომ როსტომის ამ ნიგნზე მინდოდა შთაბეჭდილების გაზიარება, მსურს მაღლობა ვუთხრა მკა ჯოხაძეს ამ გამბედაობისთვის.

გამბედაობისთვის კი არაერთხელ გადაუხადეს მაღლობა შეხვედრაზე როსტომ ჩხეიძესაც, ჩვენთვის ნაცნობ პიროვნებათა პორტრეტების პირუთვნელად დახატვისათვის. მათ შორის იყო **იკა ქადაგიძეც**, ვისი თქმითაც, „საგა ვახტანგური“ ბევრი კუთხით არის საინტერესო.

— აქ ასახულია ლიტერატურული ბრძოლები, „ცისკრის“ საკითხი, მე გამოვყოფდი ჩეკისტი კრიტიკოსის სახეს, რომელსაც როსტომ ჩხეიძე ლიტერატურულ ჯალათს უწოდებს, ასევე ის, თუ როგორ უჭირდათ რედაქტორებს, როგორი იყო ურთიერთობანი მწერლებს შორის. ნიგნში საგულისხმო ფსიქოლოგიური დაკვირვებანი და ამ ფსიქოლოგიურ პორტრეტებს შორის გამოვარჩევი ბესო ჟღენტის სახეს. ერთ-ერთი რადიოგადაცემისას ამ თემასთან შეხება მომიხდა და, ცხადია, მოურიდებლად გამოვთქვი ჩემი შეხედულებანი მის შესახებ. გადაცემის ეთერში გასვლისას კი აღმოჩნდა, რომ ეს ყველაფერი ამოეჭრათ.

ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ წლები გავიდა, ჩვენ კი ამ ცნობიერებას თავი მაინც ვერ დავაღწიეთ. როსტომ ჩხეიძე სწორედ ამ ჯებირების გარღვევას, ამ სტერეოტიპებისა და კლიშეების დამსხვრევას ცდილობს, რაც იოლი ნამდვილად არ არის.

ამას სხვა გაბედულება სჭირდება, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ კვლავ გრძელდება ტენდენცია, რალაცებზე გაჩუმებას რომ ვამჯობინებთ ხოლმე. სწორედ ამ ფაქტებით, პარადოქსული მოვლენებითა და წინააღმდეგობებით არის ეს ნიგნი საინტერესო.

ასე უნდა ინერებოდეს ამ ყაიდის თხზულებანი.

ლევან ბრეგაძეს კი თვითონაც კარგად ახსოვს როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანში აღწერილი მოვლენები:

— აქ არის ფაქტები, რომლებიც ძალიან ძვირფასი იქნება მომდევნო თაობებისათვის. როსტომ ჩხეიძის ნიგნებს დაიმონებენ, როგორც უძვირფასეს დოკუმენტურ მასალას. ასეთი ფუფუნება არ ჰქონიათ ქართული ლიტერატურის არცერთი დროის მკვლევარებს, რადგან აქ არის ისეთი ეპიზოდებიც, რომლებზეც, ჩვეულებრივ, არ წერდნენ ხოლმე ადრინდელი ისტორიკოსები და მკვლევარები ლიტერატურის ისტორიისა. მან, იონა მეუნარგიას მსგავსად, საგულისხმო ფაქტობრივი მასალა და ანალიზი გაუმზადა ამ საკითხებით დაინტერესებულ თაობებს. თუნდაც ორი დიდი მთარგმნელის — ვახტანგ ჭელიძისა და გივი გაჩეჩილაძის — მოღვაწეობა ერთ დროს, მათი დაძაბული ურთიერთობების დეტალები, რომლებიც, ვფიქრობ, ორივე შემოქმედის ბიოგრაფიას ამდიდრებს და არაფერი აკლდება მათ სახეებს. ეს ისეთი პორტრეტებია, ისეთი ნიუანსები, შემოქმედებითი ფსიქოლოგიის მკვლევარებსაც რომ გამოადგებათ.

* * *

განხილვია „ვენეციელი ვაჭრისა“ უნივერსიტეტში.

ერეკლე ტატიშვილს ძალიან ეამაყება, რომ მისმა მოსწავლეებმა ასე გამოიჩინეს თავი. აი, ახლაც, ახალგაზრდა ვახტანგ ჭელიძის თარგმანი უნდა განიხილონ და შეფასებას უმცროსკურსელებს ნათელა კეშელავასა და ოთარ ჩხეიძეს დაავალეს:

— აბა, თქვენ იცით, როგორი გულისყურით გააანალიზებთ...

გამოდის ნათელა კეშელავა, შეაქებს, მაჩაბლის ტრადიციას აგრძელებსო, — ამასაც დასძენს.

გამოდის ოთარ ჩხეიძე და... დააყრის შენიშვნებს: ერთს, მეორეს, მესამეს... გალიზიანდება ვახტანგ ჭელიძე, რალაცას შეეპასუხება, ოთარ ჩხეიძეც არ დაუთმობს და შეეთაკებიან ერთმანეთს.

მკაცრად ეტყვის ერეკლე ტატიშვილი:

— ძალიან გთხოვ, დაჯექი!

— რა ვიციო, — ჩაილაპარაკებს მხრებისჩეჩით ახალგაზრდა მომხსენებელი, — გულდასმით გაეცანი და ისე შეაფასეო, ხომ თქვითო...

— ნეტა ეს არ გამაცნო არასოდესო, — გაიფიქრებს ვახტანგ ჭელიძე.

— ნეტა ამასთან არასოდეს მომიხდეს ურთიერთობაო, — თავისთვის ამას გაივლებს გუნებაში ოთარ ჩხეიძე.

ოღონდ მოხდება კი ისე, რომ აქედან ჩაეყრება საფუძველი მათ სანიმუშო და უზადო მეგობრობას — ისეთს, მაგალითად, დავით კლდიაშვილი და ვასილ ბარნოვი, გერონტი ქიქოძე და ლეო ქიაჩელი, ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა რომ იყვნენ.

და კიდევ გამოყოფს ამ თემას თავის გამოსვლაში **თიმიურაზ დოიაშვილი** ასეთი საინტერესო კუთხით:

— როდესაც ამ რომანს ვკითხულობთ, რა თქმა უნდა, მთავარ პერსონაჟად გვევლინება ვახტანგ ჭელიძე, მაგრამ მის გვერდით იკვეთება მეორე მთავარი პერსონაჟიც — ოთარ ჩხეიძე. ის, შესაძლოა, ყველა ეპიზოდში არ ჩანს, მაგრამ ყველგან ტრიალებს თითქოს და ამამი გასაკვირი არაფერია.

ბატონი ვახტანგი და ბატონი ოთარი დიდი ხნის მეგობრები იყვნენ და ეს მეგობრობა გაუზზარავი გახლდათ. თვითონ ვარ ამის მომხრე. არ ვიცი, ჰქონდა თუ არა ეს ჩაფიქრებული ბატონ როსტომს, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს ორი სიმბოლური და არაკრებითი სახე ცხოვრების ორ წესს გვიჩვენებს. ოთარ ჩხეიძემ განდევილის ცხოვრებით იცხოვრა, თუმცა კი საბჭოთა რეჟიმის კვალბაზე ბრწყინვალე კარიერის გაკეთება შეეძლო. 30 წლისა იყო მწერალთა კავშირის აღმასრულებელი მდივანი და, თუკი მოერგებოდა იმ იდეოლოგიას, ვიცით, რა გზასაც გამოივლიდა და რა სახესაც მიიღებდა მისი პირადი ცხოვრება, მაგრამ... ბატონ ოთარს, იმ დროს ასე ახალგაზრდა კაცს, ეყო ნებისყოფაც და სიბრძნეც, გაეძლო ცდუნებისათვის — მან თავის შემოქმედებით სენაკში გადაინაცვლა, რათა ყველაფერი მწერლობისთვის შეენირა და მოეხმარებინა.

რასაკვირველია, ეს არ იყო ცხოვრებისაგან გაქცევა — 50-იან წლებშიც და შემდგომაც არ მეგულება მწერალი, რომელიც ასე გრძნობდა ცხოვრების მაჯისცემას, ასე აცნობიერებდა და აანალიზებდა მოვლენებს, რათა მკითხველისთვის მიენოლებინა. სწორედ ასე შეიქმნა 24 რომანისაგან შემდგარი საგა „მატიანე ქართლისაი“, რომლითაც ყველა ვამაყობთ.

ვახტანგ ჭელიძე კი, იმ დროისათვის ასეთივე არაჩვეულებრივი მონაცემების მქონე ახალგაზრდა კაცი, ინტელექტუალი, შეუპოვარი პიროვნება მიზნად ისახავს თავისი კულტურის სამსახურში დგომას — როგორც ჩანს, პირადი ტემპერამენტის გამო, იგი ბატონი ოთარისგან განსხვავებულ გზას ირჩევს, რჩება საზოგადოებრივ ასპარეზზე და ათეული წლების განმავლობაში მხოლოდ მონაწილე კი არ არის ამ პროცესებისა, არამედ წარმმართველიც და განმსაზღვრელიც კი.

კარგად იცით, რა სინამდვილაც იყო და მას ძალზე მძიმე ვითარებაში თუ უხდებოდა ლავირება, ერთი მხრივ, ნიჭიერებასა და, მეორე მხრივ, ხელისუფლებას შორის და, საბედნიეროდ, ძალიან წარმატებით, ნიჭიერების სასარგებლოდ წყვეტდა ურთულეს საკითხებს.

საზოგადოებრივ ასპარეზზე დარჩენა კი არ უნდა გავიგოთ, როგორც კარიერის სამსახური. კარიერა მაშინ იკვეთება, როცა მიზანია განსხვავებული. ჩვენ ასეთი კარიერისტი მწერლებიც ვიცით, რომელთაც ყველაფერი პირად წარმატებაზე გათვალეს. ვახტანგ ჭელიძის შესახებ კი ვერ დამისახელებთ შემთხვევას, ოდესმე პირადული დაყენებინოს სამშობლოსა და მის ინტერესებზე, ეროვნულ იდეოლოგიაზე მაღლა.

და ამ ორ წესს ცხოვრებისა, რომლებიც, ერთი შეხედვით, განსხვავებულია, აქვს საერთო საფუძველი — პიროვნების გადადება საერთო და საერო საქმეებისათვის.

რატომ დასჭირდა როსტომ ჩხეიძეს, თუკი ჩემი მიგნება სწორია, ამ ორი პარადიგმის გამოყოფა და ამ ორი გზის ჩხრეკაც?

მე მგონია, რომ იგი ეკამათება საზოგადოებრივ აზრს — რომელიც დღეს კვლავაც ძლიერია და ყალბად გაგებული ჰუმანიზმის პოზიციიდან შესცქერის ჩვენს წარსულს, ისტორიასა და მესხიერებას — რათა ამ მანძილიდან შეაფასოს ყველაფერი, დაგვანახოს ადამიანური სისუსტეები და თავისი ადგილი მიუჩინოს პიროვნებებსაც და მოვლენებსაც. შეაფასოს, რადგან შემწყნარებლობის უკან ხდება ღირებულებათა ნიველირება, არადა, არ შეიძლება ერთნაირად დავაფასოთ, ერთი მხრივ, ოთარ ჩხეიძე, ვახტანგ ჭელიძე... და მეორე მხრივ — აღარ დავასახელებ — ის მწერლები, რომელთაც მთელი ცხოვრება კარიერის სამსახურში გაატარეს, ლიტერატურის მოამაგეთა ნიღაბს ამოფარებულებმა.

როსტომ ჩხეიძეს კი უნდოდა ეთქვა, რომ ხსნის გზა ყველგან და ყველანაირ დროში არსებობს, საბჭოთა ხანაშიც იყო და ამის დასტურია ეს ორი პარადიგმა. სხვებმა სხვა გზა აირჩიეს. ეს მათი საქმეა, თუმცა, როცა ისტორიაში ორიენტირების, ნიშანსვეტიების გამოკვეთა გვინდა, სწორედ ამ გზით უნდა მივალნიოთ.

უმადურობა ვახსენე, მაგრამ... ადამიანური უმადურობა რა არის იმ მაღლთან, რომელიც ვახტანგ ჭელიძემ დაგვიტოვა და დასდო ქართულ ლიტერატურასაც და ყველა თაობას, 60-იანი წლებიდან მოყოლებული.

როსტომ ჩხეიძემ მას ამ მაღლისთვის ძეგლი აუგო თავისი რომანით.

როცა ამ წიგნის კითხვა დავამთავრე, ისეთი განცდა მქონდა, თითქოს ერთი პატარა ყვავილი მეც მომეტანოს ვახტანგ ჭელიძის მარადიულ სამყოფელთან.

და მაღლობა მინდა ვუთხრა როსტომს ამ განცდისათვის.

თამაზ ნატროშვილისთვის ყველაზე მღელვარე წლებია ის ხანა, რომელიც „ცისკრის“ ცხოვრებას ეხება.

სწორედ მაშინ შემოსულიყო ლიტერატურულ ასპარეზზე ახალგაზრდა კაცი და ის დრამატული მოვლენებიც სწორედ მაშინ განვითარებულიყო — ჟურნალ „მნათობში“ სიმონ ჩიქოვანს რომ მოხსნიან, „ცისკარში“ კი — ვახტანგ ჭელიძეს.

წარმოიდგინეთ, რა ვითარება იქმნება ლიტერატურულ ცხოვრებაში.

და აი, თამაზ ნატროშვილი რომ წაიკითხავს ამ ბიოგრაფიულ რომანს, სადაც დეტალურადაა აღწერილი და გაანალიზებული ეს მოვლენები, გააკვირვებული ჰკითხავს როსტომ ჩხეიძეს:

— კი მაგრამ, საიდან იცი ეს ამბები ასე კარგად?! შენ ხომ მაშინ დაბადებულიც არ იყავი?!

ის კი:

— მე არც ფარნავაზის დროს ვყოფილვარ დაბადებული და არც მოსე წინასწარმეტყველის, მაგრამ წერით იმათზეც ვწერო. ფარნავაზზეც რომ წერს, მოსე წინასწარმეტყველზეც და კიდევ უამრავ ჩვენთვის საგულისხმო და საბედისწერო ტკივილსა და მოვლენაზე, ამიტომ იყო, გურამ ბათიაშვილმა თავის გამოსვლაში ასეთი რამ რომ თქვა:

— ეს წიგნი ჩემთვის ერთ-ერთი დასტურია დღევანდელი ქართული ლიტერატურის აღზევებისა. რასაც როსტომ ჩხეიძე აკეთებს, დიდი მოვლენაა ჩვენს სამწერლო ცხოვრებაში. ჩემს გაოცებას და აღტაცებას ინვესტის მისი შესაძლებლობანი. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დიდ პატივს ვცემ ქართულ ლიტერატურას, მის დიდ სახელებს, ჩემი სუბიექტური აზრით, ანალოგი ასეთი მწერლისა დღეს არ მეგულება. არც XX საუკუნის ქართულ მწერლობაში ვიცი ავტორი, ერთდროულად ასეთი ნიჭიერიც იყოს და ასეთი ნაყოფიერიც.

დღეს არაერთხელ ვახსენებ შეხვედრაზე შესანიშნავი

დრამატურგი უილიამ შექსპირი. იცით, ვერ ვიჯერებ, ეჭვი მეპარება, რომ ის, რაც მან დაწერა, ერთი ადამიანის შექმნილია, ერთმა პიროვნებამ დაიტია საკუთარ თავში.

სწორედ ასეთი განცდა მაქვს როსტომ ჩხეიძის მიმართაც.

„საგა ვახტანგური“ კი ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად მეგულება ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში.

ამას გია ჯოხაძეც ასე ფიქრობს. მას თუ ჰკითხავს, ემზარ კვითაშვილი ვახტანგ ჭელიძის შემოქმედების შემსწავლელად და ქართული კულტურის წინაშე წარმომჩენად როსტომ ჩხეიძეს რომ იგულისხმებდა, თვით ვახტანგიც რომ გაოცდებოდა, მისი წერილის ერთ ფრაგმენტს მოგონებთა დასაწერად მისსავე შესაგულიანებლად რომ მოიხმობდა, სინანული რომ შეიპყრობდა, რატომ არ დავაძალე ავტობიოგრაფიული რომანის დაწერაო, ჩათვალეთ, რომ როსტომი უკვე ფიქრობდა ამ წიგნზე, უფრო სწორად ფიქრით წერდა. ასე იქცევიან ხოლმე პოეტები. სტრიქონს ჯერ ყურით დააჭაშნიკებენ და მერედა გადააქვთ ქალაქზე.

ბატონმა გიამ თავის გამოსვლაში წიგნის სათაური გამოარჩია, რაზეც მანამდე თეიმურაზ დოიაშვილმაც ისაუბრა და ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ როსტომ ჩხეიძე სათაურს კონცეპტუალურადაც არჩევს და მახვილი სიტყვათშეთანხმებით იმთავითვე მიგვანიშნებს ხოლმე თავისი თხზულების არსზე.

გია ჯოხაძეს კი სხვა არაორდინარულ ასოციაციას ალუძრავს ამ ორი სიტყვის დისპოზიცია:

— არა „ვახტანგური საგა“, არამედ „საგა ვახტანგური“, მეჩვენება, რომ „საგა ვახტანგურიც“ ისეთივე სახელი და გვარი თუ თიკუნი იყო, როგორც ხშირად შეგვხვედრია ოთარ ჩხეიძის პროზაში: ვთქვათ, ლეკო თათაშელი ან დავით იტრიელი!.. ამიტომაც ვიფიქრე, რომ ვახტანგ ჭელიძე თუ საგა ვახტანგური ოთარ ჩხეიძის რომელიღაც რომანის პერსონაჟია...

ეს წიგნი კი, მისი თქმით, ბევრი რამითაა უცნაური:

იმით, რომ როსტომ ჩხეიძე, ხან მოქალაქე, ხან მწერალი და ლიტერატორი, ხანაც ჟამთააღმწერელია და ის, რასაც მწერალი და ლიტერატორი როსტომ ჩხეიძე იბეჯითებს, ხშირად ყელში ცრემლის გორგლად მიჰბჯენია მოქალაქე როსტომ ჩხეიძეს;

იმით, რომ წიგნში არ სჭირდება მარჩიელობა, ვინ იგულისხმა ავტორმა ამა თუ იმ პიროვნების აღწერისას — ბრალდებას გვარ-სახელიც მოსდევს, და ამის არცთუ დაწერას, ნაკითხვასაც დიდი სულთიერი სიმყარე სჭირდება;

იმით, რომ მწერალი აღწერს ის საბჭოთა რეალიებს, რომლებიც კარგა ხანია ისტორიად ქცეულა, მაგრამ მათზე ცნობებს ისტორიის სახელმძღვანელოში ვერ ამოიკითხავ;

იმითაც, რომ ვახტანგ ჭელიძის პრეფერენციებს ამა თუ იმ მწერლისა თუ მოღვაწის შეფასებისას ხან არც ეთანხმები, მეტიც — ხან ისინი ეწინააღმდეგება კიდევ შენს ლიტერატურულ გემოვნებასაც, მოქალაქეობრივ პოზიციასაც, მაგრამ როსტომ ჩხეიძის წიგნი იდუმალად გვეუბნება იმას, რომ განსხვავებულ აზრთან შეგუებას თუ წიგნში და წიგნით ვისწავლით, ეგებ ცხოვრებაშიც წავკვადგეს, და უმაღლი ავტორს ამ ბიოგრაფიული რომანის შექმნასაც.

შექმნას, რომელსაც, ბატონი როსტომის თქმით, თავისი წინააღმდეგობანი და სირთულეებიც ახლდა.

იყო დრო, როცა აკრძალული გახლდათ ცრემლი, ნუხილი, შინაგანი ტკივილები, რადგან საბჭოთა ადამიანს ეს პრობლემები არ უნდა ჰქონოდა.

აკი ჩაჰკირკიტებდნენ კიდევ ამ საკითხებს ცეკაში:

— რალაც ბევრი ცრემლი იღვრება „ლიტერატურული საქართველო“ ფურცლებზეო.

რა არის სატირალი, როცა ასეთი ბედნიერი ცხოვრებააო.

ნინო ვახანია

ბაბია-ბაბუების აპოლოგია

(მთარგმნელის დავიუბი)

და ასეთ ვითარებაში ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვახტანგ ჭელიძის გამოჩენას, პიროვნების, რომელმაც ბევრნილად განსაზღვრა ჩვენი დღევანდელი ცხოვრება და საზოგადოებრივ-კულტურული ყოფაც.

დრამატული ბიოგრაფია ჰქონდა. დრამატული ცხოვრებაც გამოიარა, რადგან ცდილობდა იმ პრინციპების დამკვიდრებას, რაც დღეს ჩვეულებრივი მონაპოვარი გვგონია — თითქოს ასე ყოფილიყოს ყოველთვის.

არადა, ეს გააკეთა ისეთი რეჟიმის პირობებში, სადაც რედაქტორები უფრო სახიფათონი იყვნენ, ვიდრე ცენზორები, კრიტიკოსები კი — კიდევ უფრო.

ამიტომაც დასძენს ბატონი როსტომი: — ჩვენ ასეც გვგონია, რომ რაც დღეს გვაქვს, ცხოვრებას მოაქვს, მაგრამ ასე არ არის — ყველაფერი ადამიანების მოტანილია და ცხოვრებასაც ადამიანები ქმნიან და ცვლიან.

ვახტანგ ჭელიძის ბიოგრაფია საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული და ლიტერატურული ცხოვრების ისტორიაა. ამიტომაც დიდი ხანი მანუხებდა რომანის დაწერა მის შესახებ, თუმცა მთავარი პრობლემა იყო უილიამ შექსპირის შემოყვანა ამ ქარგაში, რადგან წარმოდგენილია, ვახტანგ ჭელიძეზე წერდნენ და გვერდი აუარო შექსპირს. კარგა ხანს ვფიქრობდი.

მერე კი იმან მიშველა, რომ დავინყე ციკლი „ბიოგრაფიული ნატყებები“, სადაც არ ვიყავი ვალდებული, პიროვნების მთელ ცხოვრებას გავეყოლოდი. და თუ ვერ მოვაბამდი თავს შექსპირის თემას, „ბიოგრაფიულ ნატყებებად“ დავტოვებდი.

ასე დავინყე წერა. ერთი თავი მიეძღვნა შექსპირს — აქ უნდა დახატულიყო თვითონ დრამატურგიც, თქმულიყო ივანე მაჩაბლის თარგმანებზე და ვახტანგ ჭელიძეც უნდა შეფასებულიყო, თანაც, რაც შეიძლება დაწურულად, რომ არ გავცდენოდი ჟანრის ფარგლებს. შექსპირი თხრობაში პერსონაჟად შემოვიყვანე და ამოვისუნთქე.

ასე შეიქმნა ჩემი მეთხუთმეტე ბიოგრაფიული რომანი.

აზრად არ მქონია ან თხუთმეტი დამეწერა, ან თვრამეტი, უბრალოდ, მიყვარს ეს ჟანრი, როგორც მწერალსაც და როგორც მკითხველსაც.

ოთარ ჩხეიძეს, მაგალითად, თავისი მიზანი ჰქონდა — 24 რომანის დაწერა უნდოდა „ილიადასა“ და „ოდისეას“ კვალად, თითო თავს თითო რომანი რომ შესაბამებოდა.

მე ასეთი განზრახვა არ მქონია. არც ის ვიცი, რა იქნება მომავალში, თუმცა მასალა ჯერ კიდევ უამრავია, პირდაპირ გეხვეწებიან პერსონაჟები: მომკიდე ხელი და წამიყვანეო.

გეხვეწებიან და... შენც დროდადრო იძულებული ხარ, დაჰყვე ხოლმე მათ ნებას.

მიუხედავად იმისა, რომ 1978 წელს ნობელის პრემია მიენიჭა, მიუხედავად იმისა, რომ აქვს არაერთი სხვა პრემია და მისი რომანისა და მოთხრობების მიხედვით მრავალი ფილმი გადაღებული, მაინც ვერ ვიტყვი, რომ ისააკ ბაბუების ზინგერი პოპულარული მწერალია საქართველოში. ზინგერის სხეულებზე ქართველს (მკითხველსაც კი) უმალ საკერავი მანქანა გაახსენდება, ვიდრე მწერალი ან ფილმი. არადა, ნობელი მიენიჭა თურმე „ემოციური თხრობის ხელოვნებისთვის, რომელიც საკუთარ ფესვებს მოუშორებლად, პოლონურ-ებრაულ კულტურათა გათვალისწინებით, მარადიულ კითხვებს წამოწევს“. ციტატა იმ შესავლიდან გადმოვიწერე, რომელიც ჟურნალში დაბეჭდილ მოთხრობას, „მრეცხავი ქალი“ უძღვის წინ („ჩვენი მწერლობა“, 2015, 9 იანვარი). როგორც თითქმის ყოველთვის, რედაქცია მცირე, მაგრამ არსებით ინფორმაციას გვანვდის ავტორის შესახებ. ისააკ ზინგერს რომ ჭეშმარიტებად მიაჩნდა შეხედულება — „ცხოვრება თვითონაა მოთხრობა“ — ამაში ინგა მორგოშის მიერ ოსტატურად თარგმნილი ეს ნაწარმოებიც გვარწმუნებს.

ცხადია, თხზულებას ნამდვილი ამბავი დაედო საფუძვლად ან, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, რომ მწერალმა რეალურად მომხდარი ფაქტი შეულამაზებლად, გადაუკეთებლად გადმოგვცა.

ყველა ადამიანის ცხოვრებაში არსებობს, ალბათ, ისეთი ეპიზოდები, სულს რომ ცხოვლად აჩნდება, მაგრამ სხვათა სულელებზეც ასეთივე გავლენის მოსახდენად, კერძოში ზოგადის დასაწახად და სამყაროს კანონზომიერების შესაცნობად მწერლის თვალი, გული და ენაა საჭირო. შემდეგ კი უთუოდ მისივე „სულის ტოლი“, გემოვნებიანი, განსწავლული მთარგმნელი, რათა სხვა ენობრივმა სამყარომაც გაიცნოს, გაითავისოს ან შეაფასოს მწერლის ნაფიქრ-ნააზრევი.

რომ არ ვიცოდე, ეს პუბლიკაცია, ინგა მორგოშის, როგორც მთარგმნელის, დებიუტია, იგი უთუოდ გამოცდილი და პროფესიონალი მთარგმნელი მეგონებოდა. თურმე როცა ადამიანი შინაგანად მზად არის საქმისთვის, დაწყება არასოდეს არის გვიან, მით უფრო, როცა პირველივე ნაბიჯი წარმატებული აღმოჩნდება.

ებრაული წარმოშობის მწერალი, ისააკ ზინგერი, სხვა ერის წარმომადგენლის (პოლონელის) პირადმა თვისებებმა მოხიბლა, მოაჯადოვა. ერთი მოხელის საქციელი მთელ ერზე განავრცო, განაზოგადა და უშურიველი ქება უძღვნა ქალსაც და ერსაც. ის საიმაყე და შრომის სიყვარული, რომელიც ღმერთმა ამ ერსა და ტომს არგუნა, საშუალებას არ აძლევდა მოხუცს, ემათხოვრა ან უსახლკართოთა თავშესაფარში დაბინავებულიყო. არ სურდა, ვინმეს ტვირთად დასწოლოდა და თავის ჭაპანს თვითონვე ეზიდებოდა.

ომის წლებში მძიმე შრომით, სხვისი თეთრეულის რეცხვით ირჩენდა ქალი თავს. სწორედაც ემოციურად (რისთვისაც ნობელი მიანიჭეს), დასამახსოვრებლად, სულისშემძვრელად გადმოგვცემს ავტორი მოხუცის საქმიანობასთან დაკავშირებულ პერიპეტეებს, ერთი შეხედვით წვრილმანსაც კი. სხვათა შორის, „ჩვენი მწერლობის“ პუბლიკაციას ამშვენებს ირაკლი ჩიქოვანის მიერ შესრულებული შესანიშნავი ნახატი, სადაც გახსნილია მრეცხავის შრომის მთელი სიმძიმე — ზურგზე მოკიდებული უზარმაზარი ფუთა პირდაპირ და გადატანით მნიშვნელობას, ფიზიკური და სულიერი ტვირთის მნიშვნელობას იძენს.

მოთხრობაში მწერალი საკუთარ დედასაც აღუვლენს დითირამბს, თუმცა ესეც განზოგადებული ხასიათისაა და ყველა ერისა და რჯულის დედას ეხება.

პირნათლად შეასრულა ქანცგამოლეულმა მოხუცმა თავისი მოვალეობა. ძალიან გაუჭირდა, მაგრამ მაინც არ დანებდა სიკვდილს, სხვისი ნივთები არ შეირჩინა, დაგვიანებით, მაგრამ ყველაფერი პატრონს დაუბრუნა. „ვერ ვისვენებდი ლოგინში, სარეცხი მქონდაო, — ყველა მერე, — სარეცხი არ მაძლევდა სიკვდილის უფლებასო“. გასაგებია, რომ სინდისი არ აძლევდა, ნამუსი არ აძლევდა უფლებას, ისე მომკვდარიყო, რომ პირობა არ შეესრულებინა... ამ მრეცხავი ქალის გარეშე სამოთხე ვერ წარმომიდგენიაო, — ამბობს სხვა ერის მწერალი. მართლაც ასეთი ადამიანები ალამაზებენ სამხეოს და სა-

მოთხრობა შეგვაგრძობინებენ ამქვეყნადაც. ისინი დიდხანს, იქნებ სამუდამოდაც მოგვყვებიან ცხოვრების გზაზე და მარადიულ კითხვებზე დაგვაფიქრებენ.

მოთხრობამ შეუძლებელია ქართველ მკითხველს რევაზ ინანიშვილის „ლამაზი ცრემლები“ არ მოაგონოს. ბევრი რამ განასხვავებს ქართულ და უცხოურ მოთხრობებს ერთმანეთისგან, ამ სხვადასხვაობას კაცი იოლად შენიშნავს, მაგრამ საერთოც თვალშისაცემია — უკანასკნელი ძალიანხმევა მოვალეობის შესასრულებლად — კეთილსინდისიერების, ზნეობის, სულის სიმადლის ზეიმი.

სულ ახლახან „ჩვენს მწერლობაში“ ლეილა მესხის ავტობიოგრაფიული ჩანაწერები ქვეყნდებოდა. ბევრი რამით მიიპყრო ამ მხატვრულ-დოკუმენტურმა თხრობამ ჩემი ყურადღება. ახლა ერთი ეპიზოდი გამახსენდა — როგორ სტუმრობდა რევაზ ინანიშვილი ქუთაისს; როგორ შთაბეჭდილება (თითქმის უღიმღამო) დატოვა მისმა ნაკითხულმა ნოველამ მოგონების ავტორზე. ვილაც მხერხავი, შეშა... ვერაფრით ისიამოვნა თურმე. სალამოს, შინისკენ მარტო მიმავალს აედევნა, აეკვირებოდა შემა და მხერხავი, მთელი თავისი დიდებულებით გაიზარა ნოველის შინაარსი და მასზე ფიქრიც ვერ მოიშორა.

ესეც აახლოებს ერთმანეთთან ინანიშვილისა და ზინგერის ნაწარმოებებს — არცერთი არ ბრწყინავს გარეგნული სამკაულებით, ყალბი მჭვირვალეობით. ნამდვილად ღირებული მათში სწორედ იმ ცრემლის გულწრფელობა და სიკამკამეა, მკითხველი რომ ღვრის. ორივე მარადიულად აგვიფუნება და ვერცერთზე ფიქრს ვერ მოიშორებ. ამ თხზულებებს არამარტო ლიტერატურული, არამედ ზნეობრივი ფუნქციაც აქვთ. ესეც განაპირობებს მათ სიდიადესა და ბრწყინვალეობას.

2015 წლის 6 მარტის „ჩვენს მწერლობაში“ კვლავ ინგა მორგოშას თარგმანი ნაწარმოები დაიბეჭდა. ამჯერად — რუდოლფი ა. ანაიას „ბაბუების ზეიმი“. ჩანს, მთარგმნელს სერიოზულად მოუკიდნია ხელი ამ, მისთვის აქამდე უჩვეულო პროფესიისთვის და ეს ლოგიკურიცაა და სასიხარულოც იმიტომ, რომ აშკარად კარგად გამოსდის ეს საქმე. ჟურნალის რედაქციისგან, მართალი რომ ვთქვა, გამიკვირდა ყოველგვარი შესავლის გარეშე უცხოური ნოველის გამოქვეყნება. ასეთ შემთხვევაში ავტორი იმდენად ცნობილი, საყოველთაოდ სახელგანთქმული უნდა იყოს, რომ საგანგებო წარდგენა მკითხველის წინაშე არც სჭირდებოდეს.. ალბათ, მე ჩამოვრჩი უღვთოდ ლიტერატურულ მოვლენებს და ანაიას, ჩემ გარდა, ყველა იცნობს-მეთქი, ვიფიქრე და ცნობების მოსაძიებლად, როგორც ასეთ დროს ხშირად ხდება ხოლმე, კომპიუტერს მივმართე. დიდი ვერაფერი. დავადგინე, რომ სამხრეთა-ამერიკელია და მისი ნაწარმოების მიხედვით გადაღებულ ერთ ფილმსაც ნავაწყდი. ესაა და ეს.

მაგრამ, აბა, რომელი ინტერნეტი გვეტყვის უფრო მეტს, ვიდრე თუნდაც ეს ერთი ნოველა, „ბაბუების ზეიმი“ გვეუბნება?! ბავშვური გულუბრყვილობით მომღიმარი, სიმპათიური, ჭაღარა მწერალი ბავშვიცაა და მოხუციც ერთდროულად და სოფო ელიაშვილის მიერ დახატული ბაბუა და შვილიშვილიც მართო ქუდებით არ ჰგვანან ერთმანეთს. მზერა, სული აქვთ საერთო (ხომ ვიყავი მე შენხელა? ხომ გახდები შენ ჩემხელა? აბა, რა განსხვავებაა ჩვენ შორის? — „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“).

ამ გაგანია ლიბერალიზმის დროს ასეთი კონსერვატიული სულით გაჟღერებული ნოველის დაწერა (და

თარგმნა და გამოქვეყნება) უთუოდ არის დაკარგული სიმშვიდის, კოსმიური ერთობის, ღვთიური წესრიგის, დედამიწის პულისის შეგრძნების, რალაც ძალიან ჩვეულებრივის და იმავე დროს განსაკუთრებულის, მაგიურის მონატრება.

ჩვენი მოხუცები მოთმინებას გვასწავლიან, ენთუზიაზმს გვინერგავენ, მხნეობას გვმატებენ, სიკეთის მაგალითებს გვწვდიან, რწმენას განვიმტყიცებენ, სხვათა პატივისცემას შთაგვაგონებენ, და ბოლოს და ბოლოს, დაგვაფიქრებენ, სად ვდგავართ (ვინა ვართ, საიდან მოვსულვართ...), — ასე ყოფილა სამხრეთ ამერიკაში. თანამედროვედ მოაზროვნე ადამიანს საგონებელშიც კი ავდებენ თურმე, იმდენად შერწყმულნი არიან ბუნებასთან, ცხოვრებასთან, ერთმანეთთან, წარსულსა და მომავალთან. „ნეტა, ზეიმა მოვიდესო“, — კი არ ამბობენ, არამედ ლოცულობენ, რომ ზეიმა მოვიდეს და ზეცა ისმენს მათ ვედრებას, რადგან ისინი უხილავი ძაფებით არიან დაკავშირებულნი სამყაროსთან, თანამონაწილენი გახლავთ იმ ძალებისა, რომელთაც ზეიმა მოჰყავთ ან გვიცავენ მისგან.

ბევრ სიკეთეს სწავლობდნენ ყმანვილები მშვიდი, განონასწორებული, ბრძენი, ზემხედველი ბაბუებისგან. „როდესაც ისინი საუბრობდნენ, ჩვენ, ახალგაზრდები, ყურადღებით ვუსმენდით... მათ იცოდნენ დედამიწის ზურგზე ყველაზე უკეთ, თუ როგორ შეიძლებოდა ბავშვის აღზრდა“, — ვკითხულობ და არც კი მჯერა, რომ ამას ოკეანისგალმეული მწერალი ამბობს...

აკი ალექსანდრე ორბელიანიც ამასვე გვიბეჯითებს — ჩვენმა წინაპრებმა იცოდნენ ყველაზე კარგად, როგორ უნდა აღეზარდათ ოჯახში ბავშვიო. ხერხები და მეთოდები იგივეა, მცირე, უმნიშვნელო განსხვავებით.

„ღმერთმა ბედნიერი დღე გაგიტენოთ“, — პატივისცემის გამოხატვლი ამ მისალმებით იწყება ნოველა, შუაში კიდევ ერთხელ მეორდება იგი და ამავე მიმართებით მთავრდება. ამბავი (ნარატივი) ძალიან მკრთალია, **Buenos dias de Dios** გვევლინება სიუჟეტის შემკველ, წარმმართველ ფრაზადაც და განწყობილების კამერტონადაც.

განსაკუთრებით ამაღლეგებელია ნაწარმოების ბოლო ნაწილი, რომელშიც უკვე დაუძლურებულ, ლოგინად ჩავარდნილ, 94 წლის ბაბუაზე გვიამბობს ავტორი. და რა მართალია ანაია, პრესაში (და დაუშვამტოთ — ტელევიზიაშიც) შექმნილ ხანდაზმულთა ყალბ იმიჯს რომ ამხელს. თითქოს ყველა ასაკოვანი კვლავ ახალგაზრდულად გამოიყურებოდეს, სანადვლოც არავის არაფერი ჰქონდეს, ძველებური ენერჯია მოსდევდეს და ჰოლივუდური ლიმიტიც ამშვენებდეს. არ არის რეალობაში ასე. ადამიანის ცხოვრების ამ ციკლს (სიბერეს) თავისი მახასიათებლები აქვს. „ბოლო წლებში ყველაფერი არ მიდის მშვიდად. ზოგი ტირის, ილანძლება, ავიწყდება იმ ადამიანთა სახელებიც კი, რომლებიც ყველაზე მეტად უყვარდა“. ამას დამალვა და სირაქლემის პოზის მიღება ვერ შეცვლის. მხოლოდ მათგანვე ნასწავლი მოთმინება თუ შეანარჩუნებინებს ადამიანს საკუთარსა და ბებია-ბაბუების ღირსებასაც.

[ალექსანდრე ჭავჭავაძემ ასე თარგმნა ჟან ბატისტ რუსოს ერთი ლექსის ბოლო სტროფი:

ოდეს წელთა ტვირთის ზიდვით ქედსა მშვილდებრ მოვიხრებით, ყოველთავე მოვძადებთ, ზნე გვეცვლების გრძნობის კლებით, სიკვდილისა წინამძღვარად მოვლენ სენნი, მახვილ-ლებით, მათგან ერთი გვეცემს და გვეტყვის: ახით ნაშვნო, მოკვდი თვით!

ბედნიერი ვარ, რომ ვიცნობდი ბაბუას, შემიძლია იგი ჩემს სიზმრებში დავინახო, — გულში სამუდამოდ აღბეჭდილი სიყვარულია ის ძალა, რომელიც გამუდმებით ფესვებისკენ აბრუნებს რუდოლფო ანაიას და მასთან ერთად ჩვენც. მიუხედავად მსოფლიო კლონალიზაციისა და ჩვენიც (ქართველთა) გავერობელება-გაამერიკილებისა, ქართულ ყოფაში ჯერ კიდევ არის (არ ვიცი, რამდენად ძლიერია) ძველი, პატრიარქალური ოჯახების ტრადიცია, სადაც რამდენიმე თაობა ერთად ცხოვრობს და ბებია-ბაბუები წმინდა, უმნიშვნელო ზნეობას ასწავლიან ახალგაზრდებს.

დაბოლოს: ქართული თარგმანის ტონალობა საეჭვო ბუნებრივი და სათქმელთან შერწყმულია. და რომ არა ავტორის უცხოური გვარსახელი და პუბლიკაციის ბოლოს გარკვევით მინანქრი: ინგლისურიდან თარგმნა ინგა მორგოშიამ, „ბაბუების ზეიმი“ ქართველი კაცის ნაფიქრი, განცდილი და დაწერილი მეგონებოდა.

ელიზბარ ჯაველიძე

რეზო ავაშუკელის ლექსის სიმჟონია

ქართველი ერის ყოფითი თუ კულტურული ცხოვრების ისტორიას ვინც მეტ-ნაკლებად იცნობს, მისთვის უდავოა, რომ ჩვენი რწმენის, ზნეობისა თუ ცნობიერების მასაზრდოებელ და მკვებავ წყაროებში (იქნება ეს ისტორიული, რელიგიური, მხატვრული, პოლიტიკური ხასიათისა) ესთეტიკურ-ემოციური სტილი ბატონობს. როგორც ირკვევა, ჩვენ წინაპრებს ოდითგანვე გაცნობიერებული ჰქონდათ ერთი ჭეშმარიტება: მხატვრულ სიტყვას უფრორე ძლიერი ზეგავლენის ძალა შესწევდა, ვიდრე მეცნიერულ-ლოგიკურ მსჯელობას.

მართლაცდა, ჩვენი ერთ-ერთი უპირველესი ისტორიული წყარო, ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ ისეთი მხატვრული სტილით არის დაწერილი, რომ ჩვენი მეცნიერების „ქურუმი“ ივანე ჯავახიშვილი მის ისტორიულ სანდოობას ერთობ საეჭვოდ მიიჩნევს, (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VIII, თბ., 1977. გვ. 187), ხოლო მეორე, ლიტერატურათმცოდნეობის ქურუმი კორნელი კეკელიძე მას მნიშვნელოვან ლიტერატურულ ძეგლად აღიარებს, „რომელსაც დაუცავს ჩვენთვის უძველესი ნიმუშები ხალხური ეპოსისა და ისეთი თქმულებანი და შეხედულებანი, რომელნიც გვისურათებენ გონებრივ ინტერესებს და სულისკვეთებას იმდროინდელი საზოგადოების გარკვეული ნაწილისა. მეტიც, მკვლევარის აზრით, თხზულებების კითხვისას უნებლიეთ თვალში გეცემათ მდიდარი პოეტური აქსესუარი, რომელიც მას აძლევს საერო მხატვრული ლიტერატურისადმი გარდამავალი საფეხურის ხასიათს“ (კორნელი კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1958. გვ. 259).

ზემოთ ხსენებული წყაროს ისტორიულ სანდოობაზე რამის თქმა უხერხულად და მკრეხლობად მიმაჩნია. ამის თაობაზე უკვე გამოთქვეს სარწმუნო აზრი ისტორიკოსებმა. მაგრამ გავკადნიერდები და აქვე დავძენ, რომ ზოგადად შუა საუკუნეების მეისტორიენი ისტორიულ ამბავთა გადმოცემისას ხშირად მიმართავენ მხატვრულ შედარებებს, ეპითეტებსა და ჰიპერბოლებს, რაც იმ ეპოქათა მკითხველთათვის უფრო მოსაწონი და სარწმუნო იყო. ამიტომაც წერის ამ მანერისა გამო მათი ისტორიული სანდოობის უარყოფა არ უნდა იყოს სამართლიანი. ხოლო, რაც შეეხება ბატონი კორნელი კეკელიძის მიერ ლეონტი მროველის, როგორც ნიჭიერი შემოქმედის, აღიარებას, არ შეიძლება, არ დავეთანხმოთ, რადგანაც ამის გამართლება თვით ისტორიულ ტრაქტატში ჰგოიებს. უდავოა, რომ მეისტორიეს სულში ნიჭიერი მწერლის სული ბობოქრობს. აი, თუნდაც, ბრძოლის გადმოცემის ეს ეპიზოდი: „იქნა მათ შორის ბრძოლაი სასტიკი, რომელი ემსგავსა სასტიკებასა ჰაერისასა, რამეთუ მტურეი ფერხისა მათისაი — ვითარცა ღრუბელი ზრქელი, ელვაი აბჯრისა მათისაი — ვითარცა ელვაი ცისაი, ხმაი პირისა მათისაი — ვითარცა ხმაი ქუხილისაი, სიმრავლე ისართაი და ტყორცნაი ქვისა მათისაი — ვითარცა სეტყუაი ხშირი და დათხევაი სისხლისა მათისაი — ვითარცა ღუარი სეტყუათაი“ (ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი, თბ., 2008. გვ. 28). თუკი მკითხველს ოდნავ მაინც აქვს გამახვილებული გულისყური და თვალი, არ შეიძლება, არ მოხიბლოს მროველის წინადადებათა ნყობამ, სიტყვათა სინტაქსურმა მიმართებამ და შედარება-მეტაფორათა სინატიფემ და სიღრმემ, შთაბეჭდავმა ჰიპერბოლებმა და, რაც მთავარია, ტექსტის ეფვონიურმა ქსოვილმა.

ახლა პირველ ჰაგიოგრაფიულ ძეგლსაც — „შუშანიკის მარტივლობასაც“ შევავლოთ თვალი. ამჯერად ნაწარმოების მხატ-

ვრულ-სტრუქტურული ანალიზი ამ წერილის საგანს არ წარმოადგენს, მხოლოდ ერთ ყველაზე ცნობილ კონტექსტს გავიხსენებ, სადაც იაკობ ხუცესი სოფელ ხიდისთავის (ყოფილი არახლოს) მკაცრ ბუნებას აღწერს: „ჟამსა ზაფხულისასა ცეცხლებერ შემწული იგი მხურვალეზაი მზისაი, ქარნი ხორშაკნი და წყალნი მავნებელნი, რომლისა მკვიდრნიცა მის ადგილისანი სავსენი სენითა, წყლითა განსივებულნი და განყვითლებულნი, დაწერტილნი და დამჭნარნი და დამლიერებულნი, ჩარადოვანნი, პირსივანნი და დღე-მოკლედ ცხორებულნი; და მოხუცებული არა ვინ არს მათ ქვეყანათა“ (იაკობ ცურტაველი, მარტივლობაი შუშანიკისი, ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბ., 1938. გვ. 41). თუნდაც ეს მოხმობილი ამონარიდიც მონიშნავს იაკობ ხუცესის მაღალ მხატვრულ ოსტატობას, ესთეტიკური ზემოქმედების უნარსა და მხატვრის ნიჭიერებას. ამიტომაც, ამ ქმნილების ესთეტიკური ხიბლი სცდება დროის ჩარჩოებს და თანამედროვე მკითხველზეც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. იმავდროულად, შეუძლებელია არ აღვნიშნოთ, რომ სახისმეტყველების სრულყოფილებას უთუოდ აძლიერებს ფონემურ ელემენტთა სტრუქტურული აღნაგვი, რომელიც თავისი უღრავლობით კიდევ უფრო გამოკვეთავს ტრაგიკული განცდის ეფექტს.

ახლა X საუკუნის სასულიერო პოეზიის ღირსეული ნაწარმოადგენელი იოანე მინჩხი გავიხსენოთ:

**რაჟამს მოხვიდე
განშჯად, მსაჯულო სიმართლისაო,
მიხსნენ, სახიერ,
საშჯელთა მათგან საუკუნეთა... (გვ. 330)**

ანდა:

**ღმერთისა შიშმან უშიყ ცვნის მოშიშნი
გონებაი სულთა მიმართ
ბოროტთა უკეთურთა... (გვ. 331)**

ანდა:

**ერნი იგი ურიცხუნი,
შვილნი სიონისანი,
სიონს შინა შეკრებულნი...
უხმობდეს ღმერთსა მოწყალესა,
რომელი ხმა სცემს კეთილად
ხმასა მოშიშთა მისთასა! (გვ. 332)**

(ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი სოლ. ყუბანიშვილის მიერ, თბ., 1946)

და არ დაგვავინწყდეს „ოქრო ნილოსად მრწყუველის, სიბრძნით ქართველთა ღრმად გამომეტყვის“ დავითის „გალობანი სინანულისანი“, საიდანაც დიდი მეფის შეძრული სულის კვნესა ისმის: „და ან, მომდრეკელი მუხლთა გულისათაი, ვხმოზ, ვითარცა სხუაი მანასე: ო, მეუფეო, მილხინე და ნუ წარმწყმედ ცოდვათა შინა და ნუ მოიხსენებ ძვირთა ჩემთა და ნუ დამსჯი მე ქუესკნელთა თანა, რამეთუ შენ ხარ ღმერთი მონაწულთაი, ამაღლებული ზესკნელს ცათა ძალთავან.“

...მარტიო სრულო სამ-მზეო, ერთ-ცისკროვნებო, განმინათლე მხედველობაჲ სულისაჲ, რათა გიხილო ნათელი ნათლითა უფლისაჲთა, სულითა ღმერთისაჲთა ძე გამოგვიბწყინვო მაშინ დაუსრულებელთა საუკუნეთა.

არაი უხილავს მზესა ქალწული დედაჲ, თვინიერ შენსა, არცა ჩემოდნად ბრალეულსა ნათელი მისი, გარნა მე შენითა რხითა, დედოფალო, ვესავ ხილვად ნათელსა ძისა შენისასა და ნათელსა ზემთა საუკუნეთასა“ (ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 375, 376).

მსგავსი მაგალითების მოხმობა დაუსრულებლად შეიძლება. მაგრამ, ვგონებ, მოხმობილი მასალა საკმარისზე მეტიცაა, რათა

გავაცნობიეროთ, თუ ჩვენი დიდი წინაპრები როგორ სათუთად და მონივნებით ეპყრობოდნენ ქართულ მხატვრულ სიტყვას. აქვე საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული სიტყვის მუსიკა და უღერადობა, მისი დინამიკა და ენერჯია, მხატვრულ-სტილისტიკური ხერხები და ხატები აზრობრივი კონტექსტის შესაბამისად საოცარი ელასტიურობითა და ადეკვატურობით იცვლება: თუ ლეონტი მროველი დაუნდობელი ბრძოლის სურათს ბუნებისა და კოსმიურ მოვლენებს ადარებს, სიტყვას ქუხილის ხმინაობას ანიჭებს და ამგვარად სურს ბრძოლის ჯახისა და ყიჟინის გადმოცემა, იაკობ ხუციანი სხვა ხერხს მიმართავს: იგი არსებულ რეალურ ბუნებას წარმოუდგენლად მკაცრი და საცხოვრებლად გაუსაძლისი ფერებით გვიხატავს, რათა მონამის მონამებრივ თავგანწირვას უფრო მეტი ემოციური ეფექტი შესძინოს. ამიტომაც მისი სიტყვები მზის ცეცხლისებრი მხურვალეებით არის ავარვარებული, რაც მკითხველის სულს ალელვებს და მას შუშანიკის წამების თანამოზიარეს ხდის. ხოლო იოანე მინჩხის ლირიკული განცდანი, ღრმად მორწმუნე ადამიანის სულიერ განწყობას მისადაგებული, მინორულ ბგერათა ჰარმონიით არის გადმოცემული. ბოლოს, სრულიად საქართველოს გამაერთიანებელი და აღმაშენებელი მეფის გალობანი სინანულისანი, მიუხედავად დიდი შინაგანი დაძაბულობის და ტრაგიკული განცდისა, მკითხველს ზნეობრივი სიცოცხლის უმაღლესობას შთააგონებს და იმედითაც აღავსებს, რამეთუ ამ სოფელსა და ზემთა სოფელს შორის სწორედ ამაღლებული სულიერების წყალობით მყარდება ჰარმონიული ურთიერთმიმართება. მკითხველი იმასაც აცნობიერებს, რომ ცოდვითაც ვადად აღადგინის შთამომავლობითი ხვედრია და მისგან არავინ არის დაზღვეული — თვით დიდი დავით მეფეც კი. ცოდვითაც ვადად სხნა შესაძლებელია ოდენ წრფელი მონანიებითა და იმედით, რომ მას ძალუძს ყოვლის მიმტეველი ქრისტეს ზემთა ნათელის ხილვა, რასაც მოჰყვება ცოდვათა მიტევება. ამიტომაც „გალობანი სინანულისანი“-ს ენა და სტილიც მეფური თვითდაჯერებული სიღინჯით არის გაჯერებული და მისი ზემოქმედების ეფექტიც ამ რწმენით არის დამსვენებული.

ერთი სიტყვით, ქართველი ერის ათასწლეული ისტორიის მანძილზე ეროვნულ ცნობიერებას და მისი ზნეობრივ-სულიერი პოლიტიკური მრწამსის ჩამოყალიბებას ასაზრდოებდა ქართული ჯიშით ნაშობი ქართული მხატვრული სიტყვა... „დრო გადიოდა“, „მთვარე ჩადიოდა“, „მზე ამოდიოდა“, დრო-ჟამი იცვლებოდა, მაგრამ „ქართული სისხლი, ქართული სული, ქართული სიტყვა, ქართული გული — გადადიოდა კაციდან კაცში“, „გადადიოდა და მოდიოდა და მოდიოდა და მოდიოდა“ და მიუხედავად იმისა, რომ „ამღვრევენ, ღვრიდნენ, უღმერთოდ რყვნიდნენ, უგულოდ ყიდდნენ“, და მაინც გამოიარა რუსთველის, ვახტანგის, თამარის, სულხანის გულები და მოაღწია ჩვენამდე, ოდნავ შელახულ-შელახდულმა, მაგრამ მაინც გაუტეხელმა და ნაუქცეველმა ქართულმა ჯიშმა, ქართულმა სიტყვამ.

ჩვენამდე კი მოაღწია, მაგრამ ვაი, რომ დღეს ერთობ გაუფერულდა, დასნეულდა, ნაბორძიკდა და ნაიქცა. დაიხს, დაეშო „მრავალჭირ-ვარამგადანახული უნატიფესი ენა ქართული“.

ენის დამხოვა რომ ერის დაცემისა და ნახდენის ტოლფასია, ეს კარგად ესმოდათ ჩვენ წინაპრებს და, სამწუხაროდ, კარგად ესმით ჩვენი ერის მტრებსაც. ამიტომაც გარეული თუ შინაური ვირთაგვები ერთობლივი ძალისხმევით უტევენ მას, ამტკობენ, ნაქცეულს ფეხით თელავენ, აუპატიურებენ და ერთგვარ მახოხისტურ სიამოვნებას განიცდიან.

კი მაგრამ, რა მოხდა?! რატომ გვეცლება ხელიდან მრავალსაუკუნოვანი, ნალოლიაგები ეს უძვირფასესი განძი, რომელიც მთავარი ბურჯია ჩვენი ეროვნების ვინაობისა?! პასუხის გაცემა ამ კითხვაზე ერთობ იოლია! სწორედ იმიტომაც ლამობენ მის ნაქცევას, რომ ამ ბურჯის დაწვრთვით ისპობა ეროვნებაც!

ახალი მსოფლიოს არქიტექტორთა და ლაგამანყვეტილ ლიბერალ-გლობალისტთა ძირითადი მიზანიც ხომ ის არის, რომ ადამიანის ცნობიერებიდან და, საერთოდ, ისტორიული მესხიერებიდან გააქრონ ერისა და ეროვნების ცნებები. დღე-



რეზო აბაშუკელი

ვანდელი მსოფლიოს ახალი წესრიგის დამყარების წარმმართველი აშშ-ის, რომელიც არის იმავდროულად თანამედროვე მასონების ბუდე-თავშესაფარი, საგარეო პოლიტიკის უმთავრესი მიზანი არის ერთპოლუსიანი სამყაროს შექმნა, სათავეში რომ თავად იქნება წამომჯდარი. ამიტომაც არის, რომ ჩვენი „მეგობარი“ (ისე აშენდეს ყველა ერის მოლაღატის ოჯახი, როგორც ამერიკა ჩვენი მეგობარია!) აშშ ცდილობს, მართლმადიდებელი ქართველი ერი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის მსოფლიოს წინაშე ცივილიზაციის შექმნაში, ამოძირკვოს და მოაშთოს ისე, რომ ისტორიული მახსოვრობაც ნაუშალოს.

ახლა პრობლემის განხილვა პოლიტიკურ სივრცეში გადავიყვანოთ და ძირითად სათქმელს დავაშორებოთ, ამიტომაც ამის თაობაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ. მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ XXI საუკუნის დასაწყისშივე, ქართული კულტურის, განათლებისა და მეცნიერების კრახი არ განუპირობებია ეკონომიკურ-პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ფორმაციათა ცვლას, არამედ ეს გახლავთ შედეგი იმ ცნობიერების შტურმისა, რომელსაც მიზანმიმართულად ახორციელებენ აშშ-ისა და დასავლეთის ხელისუფალნი, ვისაც განუზრახავთ მთელი მსოფლიოს გეოგრაფიული და პოლიტიკური რუკის ახლებურად შეცვლა და დედამიწაზე მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობისა და ჯიშის (გენის) მოდგმათა ერთ სტერეოტიპად გარდაქმნა და, შესაბამისად, აზროვნების სტრუქტურის შეცვლა. ამიტომაც ის, რაც დღეს კულტურისა და განათლების სფეროში ავბედიდად ტრიალებს, სულაც არ გახლავთ შემთხვევითი და დასავლეთის თუ აშშ-ს პოლიტიკურ ინსტიტუტში წინასწარ შემუშავებული და დაგეგმილია.

არც ქართული მხატვრული სიტყვის გაბინძურება და გარყვანა შემთხვევითი. ის ე.წ. ლიტერატურული „გამოხტომა“, რომელიც ცდილობს, უკიდურესი ამორალობით, გარყვნილებით და ცხოველური სექსის წინ წამოწევით თავი მოიწონოს და დაიმკვიდროს ქართულ სინამდვილეში, არ არის ხელოვნების წინააღმდეგობა მოზრდილი მოვლენა, თავის წინარე პერიოდის ტრადიციულ ლიტერატურულ მიმდინარეობას და ესთეტიკურ გემოვნებას რომ უპირისპირდება, არამედ იგი ფსიქიკური ანთიმალია, მორალურ-ესთეტიკურ საზღვრებს ცაცოლებული, მეტიც, ადამიანურობის ცნებასთან საერთოდ შეუთავსებელი. მოკლედ, ეს არის არა ახალი „ლიტერატურული მიმდინარეობა“, როგორც ამას მავანი ბრიყვნი ახასიათებენ, არამედ გახლავთ ანტიხელოვნება, ანტილიტერატურა, პოლიტიკური თაღლითობა, სულიერი მესხეობა, ნიჭისა და გონების სრული იმპოტენცია, რომლის დაფარვასაც და „გაკეთილშობილებას“ თავზარდამცემი გარყვნილებით და გამრუდებული სექსის წარმოჩენით ლამობენ ეს კალმით მჯღაბნელნი. მეტიც, არ შეიძლება ნორმა-

ლურ ადამიანად მიიჩნის ის, ვინც ელტვის იმ საშოს, საიდანაც გამოძვრა. ამ ვნებით ტვინარეულ არაკაცებს, უფრო სწორედ, დორბლორეულ ცხოველებს, სწადიათ საკუთარი ვნების დაოკება. ადამიანს ის ფიქრიც გაუელვებს თავში, საერთოდ, ამ ნადირალებს დედები ჰყავთ? და მაშინვე იმას იფიქრებს: არა, ადამიანო, ესენი სატანის ნაშიერნი არიან და ამიტომაც წესიერი საზოგადოების ყურადღების ღირსნი როდი გახლავან!..

მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ბოლო ათწლეულის განმავლობაში მათ დიდ ყურადღებას და პატივს მიაგებენ: „საბას“ პრემიებს აკუთვნებენ, ათამამებენ და ამ უკულმართი სატანისტური ჩანაფიქრის განსახორციელებლად აგულანებენ. არ იფიქროთ, რომ ლიბერალ-გლობალისტების ეს მაღალი ყურადღება მათ თავისი ავადმყოფობით დაიმსახურეს. არა, ბატონებო, ისინი აღმსრულებელნი არიან იმ პოლიტიკური დაკვეთისა, რომლის შემკვეთიც არის, უპირველეს ყოვლისა, აშშ, კერძოდ კი, მათი იდეოლოგიის მამა, 33-ე გრადუსის მასონი დალეისი, „მასონური კოორდინაციის ცენტრის“ ერთდამფუძნებელი ურთიერთობის მდივანი და შემდგომ პრეზიდენტი და ხანგრძლივი დროის მანძილზე ცრუ-ს ხელმძღვანელი რომ იყო და ფაქტობრივად წარმართავდა ამერიკის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკას. ეს „მოუსვენარი მოხუცი“ ჯერ კიდევ 1945 წელს აცხადებდა, რომ „ჩვენ ხელთ არსებული მთელი სახსრები უნდა მივმართოთ ადამიანთა გამოსაყვეყნებლად და გამოსათავყვანებლად“. მისი ხედვით, ადამიანის ცნობიერების შეცვლა შეიძლება, თუ ქაოსს დავთესავთ და მათ ფასეულობებს შევუცვლით და მათ თავს მოვახვევთ ყალბ ღირებულებებს, რასაც „მოჰყვება გრანდიოზული ტრაგედია — დაღუპვა ყველა დამორჩილებელი ხალხისა და სამუდამო ჩაქრობა მათი თვითშეგნებისა“. ამ მიზნის მისაღწევად უცნობელია, რომ „ლიბერალურა და ხელოვნება უნდა გაეგმინდოთ სოციალური არსისაგან, უნდა გადავარჩიოთ ხელოვანი... ამა თუ იმ პროცესების შესწავლას და წარმოსახვას, ხალხთა მასების სიღრმეში რომ მიმდინარეობს. ლიბერალურა, თეატრი, კინო — ყველა ასახავს და განადიდებს იმ ენ. მხატვრებს, რომლებიც ადამიანის ცნობიერებას თავს მოახვევენ და შთაუწერავენ სექსის კულტს, ძალადობას, სადიზმს, „დისიდენტობას“, ერთი სიტყვით, ყოველგვარ უზნეობას... პატიონება და ნებისურება იქცევა გაქირდვის ობიექტად. თავხედობა, უზრდელობა, სიცრუე და მოტყუება, ლოთობა, ნარკომანია, ურთიერთის ცხოველური შიში და უსირცხვილობა... ნაციონალიზმი და ხალხთა ურთიერთდაპირისპირება — ყოველივე ამის მოხერხებულად და მალულად შთაბერვით... ამგვარად, ჩვენ გავრყვნით თაობიდან თაობას... ჩვენ მივხედავთ ადამიანებს, ბავშვობის, ყმანვილობის პერიოდიდან გავათახსრებთ, გავრყვნით, გავხრნით მათ. ჩვენ ვაქცევთ მათ ჩვენი გავლენის აგენტებად, თავისუფალი მსოფლიოს კოსმოპოლიტებად. აი, ასე ვიქმთ ჩვენ ამას“.

ამ „მორალური ტრაქტატის“ გამოძახილია ის „ჰუმანური მინიფესტი“ (1933, 1973, 2000 წ.წ.), რომელთა ძირითადი მოთხოვნები: ა) ჰომოსექსუალების, ბისექსუალებისა და ტრანსსექსუალების უფლებათა საყოველთაო აღიარება; ბ) თავისუფალი სექსის ნებისმიერი ხერხისა და ფორმის კანონზომიერად მიჩნევა; გ) პრომისკუიტეტის და ნათესავთა შორის სექსობრივი კავშირის (როგორც ირკვევა, ინცესტის ჩათვლით) აღიარება. ამ იდეებით და მუხლებით გადაპენტილია ახლახან ევროკავშირთან ასოცირების რატიფიცირებული შეთანხმება, რომელიც დიდი აღფრთოვანებით და აღტაცებით აღნიშნეს ნაცებმა და ლიბერალისტებმა.

ამგვარი იდეოლოგიის, ვიტყვოდი, ამორალობის ქადაგებამ, რომელსაც საქართველოს თითქმის ყველა ტელეარხი დიდი მონდობით ეწევა, რასაც, როგორც ჩანს, კორუფციისა და მოსყიდვის მყარალი სუნი უდის, ჩვენი საზოგადოების ერთ ნაწილში უზნეობის სინდრომი გაავრცელა. ასე განსაჯეთ — „ბოზობა“, რომელიც ჩვენ წინაპართა მიერ სასტიკად იყო დამგობილი, დღეს კარგ ტონად ითვლება. რალა თავი შეგანყინოთ და ამასწინათ ერთი ყოვლად გონჯი დედაკაცი ტელეეკრანიდან ამყავდ მოგვითხრობდა თავისი ლაგამანყვეტილი ბოზობის ისტორიას და ბოლოს

კი გვამცნო, რომ „ეროვნული ბოზი“ ყოფილა. ამ ცინიკური „ფრაზით“ ამ ხორციით და სულით გარყვნილ და „სპიდმეყერილ“ დედაკაცს სურდა, ეროვნულობა აბუჩად აეგდო. გასაგებია, რომ სექსით დაავადებული ამგვარი ხრწნილი ბაყაყის ყიყინს ყურადღება არ უნდა მიაქციო. მაგრამ საწუხარო ის არის, რომ ტელენამყვანი და მრავალი „ჩარომჩათლახი“ (მაპატიოს მკითხველმა, მაგრამ სულიერად და ფიზიკურად მახინჯ არსებათათვის სხვა სიტყვა არ მემეტება!) ამგვარი ყბედობისაგან მაზოხისტურ სიამოვნებას იღებენ. ამიტომაც ჩვენი ერის ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში უზნეობა გაბატონდა. აი, ამ მიზეზით უნიჭო, უზნეობის მდალადებელ ენ. „უბორნიის მწერლებს“, როგორც მათ სამართლიანად შეარქვეს სახელი, მკითხველიც გაუწინდათ და ტაშის დამკვრელნიც. სწორედ ეს არის საქართველოს ტოტალური ამორალიზაცია, ეს არის ერის სულიერი გახრწნა, რასაც უცილობლად მოჰყვება ერის ფიზიკური განადგურებაც. აი, ეს სწადიათ ჩვენ დასავლელ თუ ამერიკელ „მეგობრებს“. ამას გასაოცარი ენერგიით ახორციელებდნენ მ. სააკაშვილი და მისი ბანდა. საწუხარო ის არის, რომ დღევანდელი ხელისუფლებისა და პარლამენტის არცთუ მცირე ნაწილი, ნებისით თუ უნებლიეთ, ამ იდეის ხორცშესხმას ემსახურება. აი, სწორედ ამიტომაც, მინავლდა ეროვნული სულის მაცოცხლებელი და მასაზრდოვებელი ჭეშმარიტი ქართული მხატვრული სიტყვა. მწერლობამ, თუკი ასეთი ცნება არსებობს კიდევ, დაკარგა ერის გამოფხიზლებისა და მისი ვინაობის გადარჩენის საღვთო მისია, რომელსაც საუკუნეთა მანძილზე პირნათლად ასრულებდა. აქა-იქ თუ შემორჩნენ ნამდვილი მამულიშვილნი, რომელთაც ერისა და ქვეყნის ბედი უფრორე ადარდებთ, ვიდრე საკუთარი კეთილდღეობა.

დღეს იმ უკანასკნელ მოჰიკანთა შორის, ვისაც პოეტური კალამი სამშობლოს გადარჩენისთვის ხმლად უქცევია, არის რეზო ამამუკელი. ამ ფაქტს უგვანო, სულდარტილი, ცოდვილი და ცოდვით „დამლიერებული“ მკითხველის გარდა, ვერავინ უარყოფს.

რეზო ამამუკელის ლექსის სიმფონია

არცთუ იშვიათად ლექსს ცოცხალ ორგანიზმს ადარებენ. მას, ვითარცა ადამიანს, აქვს ორი ნიშან-თვისება: სულიერი და სხეულებრივი. ლექსის სხეულებრივი ნაწილი სიტყვით ორგანიზებული ტექსტია, სადაც მისი მაცოცხლებელი არტერია გადის. შესაბამისად, ის ხელშესახებაც არის, საჩინოც და აღსაქმელიც, ხოლო რაც შეეხება სულიერ მხარეს, ის ზემატერიალური, ფსიქიკურ სიღრმეში საძიებელი და ამიტომაც უჩინარია, ძნელად აღსაქმელი. ლექსის ამ მხარეს შეიძლება ვუნოდოთ ექსტრატექსტი. ასე რომ, ვითარცა ადამიანის სიცოცხლე სულისა და სხეულის ერთად ყოფნის გარეშე შეუძლებელია, ერთის დაკარგვა იწვევს მის სიკვდილს. ასევეა ლექსის სიცოცხლეც, მისი ესთეტიკური ვილი ტექსტის და ექსტრატექსტის ერთობლიობით აღიქმება და მოიაზრება. იმავდროულად, არ უნდა დაგვავინწყდეს, რომ ღვთის ხატი — ადამიანი უფლის შთაგონებით ქმნის მხატვრულ ძეგლს, რომელიც ჰორიზონტალურ თუ ვერტიკალურ ლერძებზე ურთიერთმიმართებათა სტრუქტურას წარმოადგენს. მოკლედ, მხატვრულ-ესთეტიკურ სივრცეს ქმნის სამი კომპონენტი: ავტორი + ტექსტი + ექსტრატექსტი. აი, ამ სამი კომპონენტის შესწავლა მართებს მკვლევარს, თუკი მას სურს ამა თუ იმ შემოქმედის მხატვრული სამყარო პროფესიულ დონეზე შეისწავლოს.

ავტორი — რეზო ამამუკელი

რეზო ამამუკელი დაბადებით პოეტია, ღვთიური შთაგონებითა და ხილვით მადლცხებული. პირველი ლექსი მას 5-6 წლის ასაკში უთქვამს, დედას კი, ქალბატონ ლილის, სათუთად ჩაუწერია... გამოხდა ხანი და მე-4 კლასის მონაწილე ლამაზი ხელწერით წერს ოთხ ლექსს, რომლებსაც მასწავლებელთა საყოველთაო მონონება დაიმსახურეს... ხოლო მოგვიანებით, სტუდენტობის პერიოდში უკვე წარმოჩინდა მისი პოეტური ნიჭი: იბეჭდება უნივერსიტეტის ჟურნალში — „პირველი სხივი“ და ხში-

რად სცენიდანაც წარმოადგენს თავის ნაღვანს, რომლებშიც თანდათან იკვეთება პოეტის საკუთარი ხმა და ხელწერა...

ძირძველ თბილისელებს კარგად ახსოვთ თეთრ თივთიკის კოსტუმში გამოწყობილი, მკერდზე ნითელმიხაკადამშვენებული რეზო ამამუკელი, შავი ბრიალა თვალებით. ამაყად მომზირალი და მრავლისმთქმელი, ღიმილით ბაგეგაპობილი... ეს იყო გარეგნული ეფექტი, მაშინ მხილველზე რომ ახდენდა თავისი „უცნაურობით“ შთაბეჭდილებას. მაგრამ, თუკი მას კარგად იცნობდი მეგობრობდი, არ შეიძლება არ მოეხიბლე მის გულგახსნილობას, ხელგაშლილობას და მეგობრისა და ეროვნული ტრადიციების სიყვარულს... უყვარდა მდიდრული სუფრის გაშლა, რომლის გადახდასაც ვერავინ დაასრულებდა. უყვარდა თამადაობაც და არცთუ ურიგოდ უძღვებოდა სუფრას, უყვარდა ქართული სიმღერა და ლექსის თქმაც, ამკარად მის ნათიფ პოეტურ გემოვნებაზე რომ მეტყველებდა. აფექტური ხასიათის ყმანვილი იყო: ხან აღვზნებული და აღშფოთებული, ხან კიდევ ძველი ყარაჩოღლივით უდარდელი და მშვიდი. აქვე დავძენ, რომ იმჟამინდელი ლექსებიდან პოეტის ახალგაზრდული განწყობა-ემოციები სარკეს არეკლილი სხივივით იფრქვევა და მის პოეტურ სიტყვასაც გაზაფხულის სურნელი ასდის...

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამამუკელი ნიგნიერი, განათლებული და ერუდირებული შემოქმედი, რაც, სამწუხაროდ, თანამედროვე მუზის მოტრფიალეთა წრისთვის არაა ნიშანდობლივი... მაგრამ რეზო ამამუკელს, ვითარცა მრავალ ე.წ. შემოქმედს, როდი უყვარს სწავლულის პოზით თავის წარმოჩენა. იგი ამგვარ პოზიორებს აკრიტიკებს და აქილიკებს კიდევ. მაგრამ მისი ნიგნიერება თითქმის ყოველი ლექსის ქსოვილშია შეფარული, რაც ფხიზელი თვალისთვის არ არის ძნელად აღსაქმელი. მთავარი მაინც ის არის, რომ მისი ნიგნიერება არ ჩრდილავს მის თანდაყოლილ ბუნებრივ ნიჭიერებას, გონიერება არ ბატონდება გრძნობაზე და ამქვეყნიურ რეალობას „გულის თვალით“ აღიქვამს და მერმე ღვთიური შთაგონების ძალით წარმოსახავს. მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ მის შემოქმედებით წვაში გონი სავსებით არ მონანილებს. ის, ვითარცა ბუნებით პოეტი, უფროვე გრძნობას და ემოციას მიჰყვება, ვიდრე დაუნჯებულ გონებას, რაც დაფუნებულია მკაცრ ლოგიკურ მსჯელობაზე. პოეზიის ხიბლი და მიზანი ესთეტიკურ-ემოციურ ველშია მიქცეული, რაც აღიქმება სულისა და გულის თვალთა და ყურით. ეს კი პიეტნიერ-მნიგნობართათვის უცხო კატეგორიაა და მხოლოდ რეზო ამამუკელის დარ შემოქმედებს, ვინც ღვთიური შთაგონებით სულიერ წვას ეძლევა, აქვთ გათავისებულები.

რეზო ამამუკელის ბუნების ატრიბუტი კიდევ არის ის, რომ თხემით ტერფამდე ქართველია, ეროვნული გენის მატარებელი, რომელსაც საოცრად უყვარს თავისი სამშობლო და მას, ვინც ავლენს ჩვენი ეროვნებისადმი უდიერ, აგდებულ დამოკიდებულებას, არ ინდობს, ჯიქურ ებრძვის და ამ შეკრევილში, როგორც წესი, გამარჯვებული გამოდის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბრძოლაში ის პრინციპულია, შეუპოვარი, რომელსაც არ სჩვევია უკან დახევა. ამაზე ნათლად მეტყველებს პოეტის ამ ბოლო ჟამს გამოქვეყნებული ლექსები, წერილები თუ გამოსვლები, რაც მრავალ უგვანოთა გაღიზიანებას იწვევს...

პოეტის ბუნებისა და სულიერი სამყაროს განსაკუთრებული თვისება მაინც უნდა იყოს მისი თანდაყოლილი საოცარი მუსიკალური ნიჭი, რომელიც მას გამოარჩევს თავისი კოლეგებისგან, მისი ლექსის სტრუქტურის დონეზე მუდავნდება და სემანტიკურ-ემოციურ ველს განსაკუთრებულ აზრს და ზემოქმედების ძალას მატებს. მიუხედავად იმისა, რომ პოეტს მუსიკალური განათლება არ მიუღია, ის შესანიშნავად უკრავს და კარგადაც მღერის. როგორც ჩანს, უფალმა მას პოეტურ ნიჭთან ერთად მუსიკალური სმენაც დააბერტყა და არგუნა ის სულიერი თვალი, ბუნების საიდუმლოებას რომ აღიქვამს და ის გულისყური, რომელსაც ესმის სამყაროსა და კოსმოსის ჰარმონია.

რეზო ამამუკელი, როგორც თავადაც ხშირად აღნიშნავს, ცოდვილია, ვითარცა ყველა ადამიანი. მის ცოდვათაგან უმთავ-

რესი ის არის, რომ აზარტული კაცია და არცთუ იშვიათად ეძლევა აზარტულ თამაშებს, რომელსაც თავისი ინტუიციითა და თვითდაჯერებულობის გამო იშვიათად აგებს. პოეტის პოეტურ სამყაროში ამ თვითდაჯერებულობამ და ოპტიმიზმა გარკვეული ასახვა ჰპოვა კიდევ. და მიუხედავად იმისა, რომ რეზო ამამუკელის ლექსში ხშირად და ძალუმადაც ისმის არსებული რეალობის განცდით აღძრული პესიმისტური განწყობა და შავი სევდით გამონვეული კვნესა. საბოლოოდ მაინც ის რწმენითა და იმედით არის ნიშანდებული. რაც შეეხება რეზო ამამუკელის აზარტული თამაშებით გატაცებას, თუ ჩვენი დიდი წინაპრების — ილიასა და აკაკის ცხოვრების ნირს გავიხსენებთ, მაინც და მაინც დიდ ცოდვად არ უნდა მივიჩნიოთ ამ ისედაც ცოდვით აღსავსე ქვეყანაში. მაგრამ თავად პოეტი, როგორც ჭეშმარიტად მორწმუნე მართლმადიდებელი, არაერთგზის აღნიშნავს, რომ ცოდვის კუზის მატარებელია და შენდობას ითხოვს. საერთოდ, ყოველი ადამიანი ევასა და ადამის შეცოდებისა გამო შთამომავლობით ცოდვილები ვართ და ამიტომაც უნდა შეგვენვედეს ცოდვის მონანიების ნიჭი და უნარი. და, თუკი ჩვენი მონანიება წრფელია, ყოვლის მიმტევებელი უფალი ყველა ჩვენგანს მიუტევებს. ასე რომ, ცოდვის აღიარება და აღსარება დიდ სულიერ შვებას ანიჭებს ადამიანთა მოდგმას.

აი, ძალზე მოკლედ რეზო ამამუკელის სულიერი სამყარო და ფიზიონომია. უცილობელია, რომ მისი პოეტური სამყაროს კვლევისას მისი ბუნების ეს ნიშან-თვისებანიც, მისი ხასიათობრივი სქემა, უფრო სწორად ჩონჩხი, გავითვალისწინოთ, რადგანაც ლექსის ხორცშესხმისას ამა თუ იმ დოზით ირეკლება ამ ხასიათის შუქ-ჩრდილები, რაც, ერთი მხრივ, გვეხმარება პოეტის მიერ შეგნებულად დაშიფრული კოდის მართებულ დეკოდირებაში და, მეორე მხრივ კიდევ, ამ საიდუმლოების ამოხსნა გვაძლევს საშუალებას, სრულად აღვიქვათ თავად ავტორის ფიზიკური თუ სულიერი სამყარო. ერთი სიტყვით, ეს გახლავთ ავტორის ტექსტის და ექსტრატექსტის სულიერი თუ ფიზიკური საიდუმლო თუ გაცხადებული რთული ურთიერთმიმართება, რასაც თანამედროვე ლიტერატურის მკვლევარი დიდი ყურადღებით უნდა მოეკიდოს.

ტექსტი — ლექსის სტრუქტურა

თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ლექსის არქიტექტონიკის ღერძს სიტყვა წარმოადგენს. ამის შესახებ ჯერ კიდევ დიდი წარმართი ფილოსოფოსები — პლატონი და არისტოტელე გვაუწყებდნენ. ორივე მიიჩნევდა, რომ პოეზიის შექმნის ძირითადი წყარო გახლავთ: რიტმი, ჰარმონია და სიტყვა. მაგრამ პირველი ამ პროცესის წარმართველად ინტუიციას თვლიდა და ამის საფუძვლად აცხადებდა რიტმს, ჰარმონიას და ბაკანალიისადმი თანდაყოლილ ლტოლვას, მეორე კი აზროვნების როლს არ გამოორიცხავდა და ყოველივეს მიზეზად მიიჩნევდა მიბაძვის ნიჭს, რომელიც ბავშვობიდანვე ვლინდება ადამიანში. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ორივე ფილოსოფოსი საგანგებოდ მსჯელობდა სიტყვაზე და მის შემადგენელ ბგერებსა და მარცვლებზე და ხაზს უსვამდა მათ სემანტიკურ მნიშვნელობას და ამ თვალთახედვით მათ, როგორც რელატიურ, ასევე თავისთავად ღირებულებას. პლატონი როცა მსჯელობს საგანთან ბგერათა შესატყვისობის თაობაზე, მხატვრული სახის აგების პრინციპს ამგვარად წარმოაჩენს: ბგერები ქმნიან მარცვალს, მარცვლები — სიტყვას და გამოთქმებს, ხოლო ეს უკანასკნელი უფროვე დიდს — ერთიანს და მშვენიერს, რაც ფერწერული ტილოს დარია. მოკლედ, პლატონი ფილოსოფიური რაკურსით წარმოაჩენს, თუ როგორ ხდება მხატვრული სტრუქტურის ჩამოყალიბება, რაც თანამედროვე სტრუქტურული პოეტიკის ენაზე ნიშნავს მხატვრული ტექსტის იერარქიული სისტემის შემნას და სხვა არაფერს...

აქვე არ იქნება ზედმეტი, გავიხსენოთ ის ჭეშმარიტება, რომ სიტყვა ნაციონალური ენის შვილია, ენა კი — ეროვნების თვისობრიობის მომცველი და სრულად ამსახველი. ასე რომ, საბო-

ლოდ სიტყვაში იყრის თავს და ვლინდება მშობლის ანუ ერის გენეტიკური თავისებურებანი. უფრო მარტივად, ქართული სიტყვა ქართული ენის, ქართული გრამატიკის სპეციფიკურობის მატარებელია, რუსული სიტყვა — რუსული ენის თავისებურებებისა და ა.შ. ამიტომაც არის, რომ პოეზიის თარგმანა, დედნის სხვა ენაზე ამეცყველება სრული ესთეტიკური ადეკვატურობით თითქმის შეუძლებელია. სრულყოფილი თარგმანიც არ ესთეტიკურია ორიგინალს, რადგანაც ენობრივი სპეციფიკურობით წარმოქმნილ ესთეტიკურ-სემანტიკური ველის, რომელიც დედნის სულისა და არსის მომცველია, თარგმანში გაცოცხლება მიუღწეველია. ამიტომაც არის იმ პოეტთა ქმნილებანი, რომლებიც მშობლიური ენის გვირგვინით არიან ნაშენნი და ეროვნული სულით შთაბერილი და სწორედ ამის წყალობით მხატვრობის უმაღლეს ეფექტს აღწევენ, ძნელად ანდა საერთოდ ვერ ითარგმნება, ყოველ შემთხვევაში, გალაკტიონის რომელიმე ლექსის რუსულად თარგმანი შეიძლება კარგადაც ჟღერდეს, მაგრამ ის გალაკტიონისეული ვერ იქნება და მისი დედნის ჟღერადობას ვერ მისადაგება. ხოლო ე.წ. პოეტების ის ლექსები, რომლებიც ორიგინალშივე ენობრივი სიმწიფით არიან დაღდასმულნი, ემოციურ-ესთეტიკური ზემოქმედების ძალითაც ვერ გამოირჩევიან და ოდენ აზრობრივი თვალთახედვით იპყრობენ ყურადღებას, ხშირად თარგმანში უფრო სასურველ შთაბეჭდილებას და ეფექტს ახდენენ. ამის აღნიშვნა იმიტომ მოგვიხდება, რომ დღეს მრავალი უნიჭო შემოქმედი, რომლის ნახელავსაც არ იცნობს თუ არ სცნობს ქართველი მკითხველი, ამაცობს თავისი ლექსების უცხო ენაზე თარგმანებით, ქართველ მკითხველს გემოვნებას უწუნებს და ყოყლოჩინობს კიდევ — ამით არა გაეგებათ პოეზიისა და ჩემ ნიჭს როგორღა ჩასწვდებიანო?! აი, ნახეთ, მთელი მსოფლიო როგორ მაღიარებს და ტაშს მიკრავსო. სწორედ ამგვარ პოეტებზე უთქვამთ ჩვენ წინაპრებს: „ძალი შინ არ ვარგოდა, სანადიროდ გარბოდაო“.

პირველსავე სიტყვას მოვიდეთ... დღეს აღიარებულია, რომ სიტყვას სხვა ფუნქცია აქვს სამეცყველო ენაში და სხვა — მხატვრულ სტრუქტურაში. პირველ შემთხვევაში ის უბრალოდ ინფორმაციის მატარებელია, მეორე შემთხვევაში ინფორმაცია ესთეტიკურ-ემოციურ ხასიათს და, შესაბამისად, განსაკუთრებული ზემოქმედების ძალას იძენს, ვიდრე ეს ჩვეულებრივ მეცყველებაშია. მოკლედ, მხატვრული სიტყვა ახალ სიცოცხლეს იძენს, სამეცყველო სიტყვის შინაარსს იღებს, მაგრამ მას ახალი შინაარსით ავსებს და გაგების ახალ საფეხურზე აპყავს. როგორც ი.მ. ლოტმანი გვაუწყებს: „მხატვრული ლიტერატურა საუბრობს განსხვავებული ენით, რომელიც იქმნება ბუნებრივ ენაზე, როგორც მეორადი სისტემა. ამიტომაც ის აღიქმება, როგორც მეორადი მოდელირებული სისტემა.“ ეს კი ნიშნავს იმას, რომ ამ ენას აქვს ნიშნებისა და ნესების ურთიერთმიმართების სისტემა, რომელიც გადმოცემისას იყენებს განსაკუთრებულ, სპეციფიკურ საშუალებებს. მოკლედ, მხატვრული ტექსტი არის მკაცრად ორგანიზებული იერარქიული სისტემა, სადაც ბუნებრივი ენის ელემენტები: ფონემების, მორფემების მონესრიგებული გამეორებით იჩენენ სემანტიკურ დატვირთვას და ნიშნის ფუნქციას. და, რაც მთავარია, ამ ელემენტთა ურთიერთმიმართება ქმნის სინტაგმურ იერარქიას, სადაც ყველა ელემენტი ერთიმეორესთან მიმართებით და ურთიერთში გადაზრდით ერთმანეთს აზრობრივად ამდიდრებს. ერთი სიტყვით, თუ ლექსის იერარქიულ სისტემას ვერტიკალურად წარმოვიდგინთ, ამ იერარქიის ცენტრში დგას სიტყვა, რომელიც შედგება მცირე ელემენტებისგან: ფონემა, მარცვალი, მორფემა, რომლებიც რეგულარული დასაზღვრულობით გარკვეული თავისთავადობის ნიშანს ინარჩუნებენ, მაგრამ სხვა ელემენტებთან რელატიური მიმართებით ემოციურ-ესთეტიკურ ფუნქციას იძენენ. იმავდროულად, სიტყვა ერთიან სიდიდეს წარმოადგენს, რაც სწორედ ზემორე ხსენებულ ელემენტთა მეშვეობით და სხვა სიტყვებთან დისტანციური და უშუალო კონტაქტის დამყარებით ახალ მხატვრულ კონტექსტს ქმნის, რომელიც სახისმეტყველების საფეხურამდე მალღდება და, პოეტური ფერწერის სხვადასხ-

ვა ხერხით გამდიდრებული, გამოხატვის პლანს მრავალმნიშვნელოვან გაგებას ანიჭებს და ექსტრატექსტის უსასრულო სივრცეში გარდასახავს... ეს სისტემა დინამიურ და დიალექტიკურ ევოლუციურ განვითარებას ეფუძნება. ამ გარდაქმნის მუდმივ დინამიზმში სიტყვა ცდილობს, გააფართოოს თავისი მოქმედების საზღვრები და მთლიანი ტექსტი აქციოს ერთ განუყოფელ ქმნილებად — ერთ სიტყვად. ამგვარად, სიტყვათა ეს საერთო მიმართების დინამიზმი „პოეტურ ტექსტში ართმევს მას იმ თავისთავადობას, რაც გააჩნია საერთო ენობრივ ტექსტში და მთელი წინამოები იქცევა ერთი შინაარსის გამოხატულების ნიშნად“.

ამგვარია, ძალზე მოკლედ, ლექსის არქიტექტონიკა და სინტაგმური აღნაგობა, რომელიც რთულ ურთიერთმიმართულებათა შრეებს შეიცავს. ამ შრეებისა თუ მიკროსისტემების კვლევა ადვილი არ გახლავთ, მაგრამ ძეგლის საფუძვლიანი და პროფესიული კვლევისთვის უცილობლად საჭირო და სასურველია. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ჭეშმარიტი პოეზია შეუცნობელი, ზერეალოური, ღვთიური შთაგონებით იბადება. მაგრამ, როცა პოეტი, ამ შთაგონებით აღტყინებული, ბადებს ლექსს, ის, ვითარცა „ჩვილი“, მოითხოვს მზრუნველობას, შეფუთვისას, გამოკვებას და გაზრდას. ასე მაგალითად, აღმოსავლეთის უდიდესი მისტიკოსი პოეტი ჯვალალ-ედ-დინ რუმი ექსტაზს მიცემული ზეპირად წარმოთქვამდა ლექსებს, მისი სულიერი მეგობარი ჰუსამ-ედ-დინ ჩელები იწერდა და შემდგომ ორივენი ტექსტს ამუშავებდნენ და სრულქმნიდნენ. დაახლოებით ამგვარი მეთოდით ეკიდებოდა შემოქმედებით პროცესს დიდი გალაკტიონიც. თვალი გადაავლეთ მის არქივს და დარწმუნდებით, როგორ ამუშავებდა ღვთით შთაგონებულ პირველად ჩანანერს. ერთი სიტყვით, ჩვენ იმის თქმა გვსურს, რომ ღვთით შთაგონებული „ჩვილი“ ღვთის იმედად კი არ უნდა მივატოვოთ, არამედ დიდი მზრუნველობითა და გარჯით უნდა სრულვყოთ, რაც პასუხისმგებლობის გრძნობას და გონიერებას საჭიროებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რეზო ამამუკელისთვის უფალს დაუმაძღვრებია ნიჭიერება და სულის სილაღე. მაგრამ, მიუხედავად ამ სულიერი სილაღისა და დარდიმანდული ცხოვრებისა, ის თავის პოეტურ ქმნილებას, მავანთა მსგავსად ჰაიპარად არ ეკიდება და დიდი სერიოზულობით და გარჯით ძერწავს ყოველ სიტყვას, პნკარს და ხატს. აი, რას გვაუწყებს იგი, როცა არსაკიდის მოჭრილ მარჯვენას იხსენებს:

**შემ შორს ხარ ახლა
და იმ დღეთა გადასარჩენად
ფერს ფერში ვადნობ სპილენძივით,
ბგერაში ბგერას.**

მოხმობილი ამონარიდის ბოლო ორ პნკარში ორიოდ სიტყვით გაცხადებულია ფერთამეტყველების და ბგერათმეტყველებისადმი პოეტის დამოკიდებულება, რომელიც წარმოაჩენს მის თვალთახედვას ლექსის ფონემური დონის შესახებ. მართლაც, რეზო ამამუკელის პოეზია გაჯერებულია ბგერათა ჰარმონიული ჟღერადობით და ფერთა სიხასხასით. იგი ლექსის თხზვის ამ პრინციპს სხვაგანაც გვაუწყებს:

**ბე-ჭ-ებ-ზე მა-დ-ევ-ს ლოდი-ნის ლოდი
ყო-ვე-ლდღიური ცო-დ-ვე-ებ-ით მძიმე!..
ვე-რ გ-ავი-ტა-ნე სული ტა-ძრ-ი-და-ნ
ვე-რ დ-ავ-თ-მე სიტყ-ვა
ფ-ერ-ი დაბ გ-ერ-ა
და მ-ავ-ან-ი-ვით მხ-ოლოდ ნა-ცრი-დან
ვე-რ გა-მოვ-ძერ-ნე სი-მ-ღერ-ა ვე-რა!**

პოეტის ამ ამოძახილის გულწრფელობაში ეჭვის შეტანა ერთობ ძნელია. მოხმობილი ციტატაც მეტყველებს იმაზე, რომ რეზო ამამუკელის პოეტურ პალიტრაში დომინირებს ბგერა, ფერი და სიტყვა. თუნდაც მოხმობილ კონტექსტს თუ დაკვირვებით ნაეკითხავთ, დავრწმუნდებით, რომ პოეტის

ლექსის არქიტექტონიკის ძირითადი პრინციპი გახლავთ ბე-რათა (ფონემათა), მორფემათა, მარცვალთა და სიტყვათა მი-მართება-რეგულირება, რომელიც ჰორიზონტალურ თუ ვერ-ტიკალურ ქრილში პნკარის, სტროფულ თუ მთლიანი ლექსის საზღვრებში მიჯრით თუ დისტანციურად არის გაცხადებული.

ჩვენი აზრი რომ მეტად სარწმუნო გახდეს, მიზანშეწონილია, ამ ლექსის („შენდაში“), სადაც პოეტისეული ეს პრინციპი არის წარმოთქმული, უფროვე ვრცელი ანალიზი შემოგთავაზოთ.

პოეტი ამ საკმაოდ ვრცელ ლექსს თავის მიუღწევს, ქალბა-ტონ გულგობ ბეროძეს უძღვნის. ეს არის იმ გრძობათა გულწ-რფელი დღაღადი, რომელიც მასთან ერთად ყოფნისას ვერ უთქ-ვამს, თუ, რომელსაც იგი მასთან დაშორებისას განიცდის... იმავდროულად ეს აღსარება ნასაზრდოებია დიდი და დაუსაზლ-ვრელი წუხილით, რასაც წარმოქმნის ამქვეყნიური ცხოვრების ამაოების, განუხორციელებელი მიზნების და უნებლიეთ ჩადე-ნილი ცოდვების თუ შეცდომების განზოგადებული განცდა...

ლექსი ერთგვარი უფერტიურით იწყება: ირიჟრაჟა და ძილგა-ტეხილი პოეტიც მოიცვა მწუხარებამ, რომელიც მანამდე უთქმე-ლობის განცდით გამძაფრებული, სტროფის ფერწერულ შუქ-ჩრდილებს ამკვეთებს: „ყვითლად დამშვრალი შანდალი“ რეა-ლური წარმოსახვა, ირეალურში გარდასახული... „სველი ვარდი-ვით მიდგმული კედელს“ შედარებაა კონკრეტული ფონის შესაქ-მნელად, რასაც აძლიერებს ჭერეტით აღქმა: „აყრია ხატებს ბზა შარშანდელი“, ყოველივე ამის წარმოსახვა კი წარმოქმნის მწუხა-რებას და დღემდე უთქმელობის განცდას. ამ, ერთი შეხედვით, ურთიერთის განსხვავებულ ხატებს პოეტის სიღრმისეული, შე-იძლება ითქვას, ქვეცნობიერი განცდა ერთ სემანტიკურ რკალში აქცევს, რის აღქმასა და გაცნობიერებაში გვეხმარება ფერწერული დონის მიზანმიმართული და გააზრებული მონესრიგებულობა. პირველი სტროფის ფონემათა და მარცვალთა ურთიერთინტე-გრირება ამგვარად გამოიყურება: I პნკარის ერთადერთი სიტყვა: თენდება თენდ ფონემებით მიემართება II პნკარის შანდ-ალს და ასევე IV პნკარის სიტყვას — შარ-შანდ-ელი; II პნკარში მიჯრით არის გამეორებული პირდაპირ თუ სარკისებურად შემდეგი ფო-ნემები: ილ-ლი, ად-და-და, დაშ-შანდ; III პნკარში მეორდება შემ-დეგი ფონემები თუ მარცვლები: ვე-ვა-ვი; ელი-ული-ელ. გარდა ამისა, ეს პნკარი არ-და-ლი კომპლექსით უკავშირდება წინა და მომდევნო პნკარებს: ლი-ლი-ელ-ლი და-შრა = შარ-შანდ-ელი, მწუხ-არ-ება, რომელიც ბოლო ება-მორფემით ასევე დაკავშირე-ბულია I პნკარის პირველ სიტყვას — თენდ-ება. ამგვარად იქსო-ვება ფონემური ბადე, რომელიც ფიზიკური თვალისთვის ძნელი აღსაქმელია, მაგრამ ვისაც გულისყური გამახვილებული აქვს, ლექსის ნაკითხვისას მისი აღქმა და გათავისება ბუნებრივია. მოკლედ, ამ კონტექსტის აზრობრივად აქცენტირებული სიტყვა შარშანდელი უკავშირდება შანდალს, რომელიც ფონემურ დონე-ზე ასეთ დანჯივლებას ქმნის შანდალი-შარშანდელი, ეს უკანასკ-ნელი კი არ მარცვლით უკავშირდება ლექსიკურ ერთეულს — მწუხარებას, ება-მორფემით რომ გვაგონებს პირველი პნკარის სიტყვას — თენდება, ხოლო ელი-მარცვლით ბოლო პნკარში გაჟ-ღერებულ განსაზღვრებას — უთქმ-ელი. ბოლოს სემანტიკურ ველში გვაქვს სიტყვათა ასეთი მიმართება: თენდება-შანდალი-შარშანდელი-უთქმელი მწუხარება, რომელიც, ჩვენი აზრით, მო-წესრიგებული ფონემური დონის მოშველიებით ექსტრატექს-ტურ დონეზე ამგვარად უნდა წავიკითხოთ: ყვითლად დამშვრალი შანდალის მეტაფორული შრე უნდა მოვიაზროთ, როგორც სი-ცოცხლის სწრაფმავლობის და წარმავლობის ნიშანი ანდა ადამი-ანის ამქვეყნიური უაზრო ჯახირის და სწრაფვის ამაოება — „ამაო არის ყველაფერი და ქარის დევნა“ (ეკლ. I, 13). ამ განწყო-ბას აძლიერებს „ბზა შარშანდელი“. ბზა ხომ ქართველთათვის წმინდა მცენარეა, ქრისტეს ჯვარცმასა და აღდგომასთან დაკავ-შირებული. ამიტომაც „ბზა შარშანდელი“ მისტერიულ ელფერს იძენს, გვახსენებს ქრისტეს მონამებრივ გზას და კიდევ უფროვე ამძიმებს მწუხარების განცდას, პოეტი რომ შეუპყრია. ამასთანა-ვე, როცა პოეტი ყვითლად დამშვრალ შანდალს „სველი ვარდივით

მიდგმულ კედელს“ ადარებს, აქ უკვე ყველასგან მივიწყებული ადამიანის სიმბოლო წარმოესახება მკითხველს... გაცხადებული პოეტური სურათი, რომელიც რეალურისა და ირეალურის ზღვარზე იხატება, აღძრავს ერთი გამოუთქმელ მწუხარებას, რაც კიდევ უფრო ძლიერდება იმ რწმენით, რომ „უძლური არის ყოველი სიტყვა, არ ძალუძს კაცსა ყოველივეს თქმა“ (ეკლ. I, 31).

აი, ამ განწყობით იწყებს რეზო ამაშუკელი თავის სულიერ აღსარებას, რომელიც მომდევნო სტროფებში უფრო იშლება.

წინასწარვე უნდა შევნიშნოთ, საანალიზო ლექსი არ არის ტრადიციული სტროფული პრინციპით აგებული და დაყოფილია სემანტიკურ რკალებად: და, აი, პირველსავე რკალში ცხოვრები-სეულ რეალურ განცდას ემოციური ტალღა ფარავს, რომელსაც მომდევნო პნკარებში პოეტი თავს აღწევს. ეს არის მოჭარბებული გრძობისა და გონების ჭიდილი, რაც ჭეშმარიტ შემოქმედთათვის უცხო არ არის: ამქვეყნიური გონებრივი ლოგიკით მოსალოდნე-ლი იყო, რომ დღეებით დაღლილ პოეტს, რომელიც საკუთარ ილ-ბაღს ენდობა, უნდა გადმოეცა საკუთარი ცხოვრების დეტალები, მაგრამ რეზო ამაშუკელი, უნდა ვიფიქროთ, ზემთაგონებით, ემო-ციურ საიდუმლოს ირჩევს ფეოკის ნაცვლად, დღეების სწრაფლ სრბოლას ბეგრათა უღერადობით და რიტმული კონსტრუქციით,

მარცვალთა სიმეტრიულ წყობას რომ ეფუძნება (ასე მაგ.: 5' +3+2 | 3+2 | 2+3 | 2+3' 3+2 | 5'+3+2|), გადმოსცემს. მართლაც, ამ რკა-ლის პირველი სამი პნკარი როგორც ჰორიზონტალურ, ასევე ვერ-ტიკალურ ღერძზე ფონემათა თუ მარცვალთა მიმართებათა შემ-დეგ სურათს გვაძლევს: (ულ-ოლ, ილ-ლი, მო-ბო-ბო-ომ, დე-დე, ვარ-თარ), რომელიც ფონემურ დონეზე აერთიანებს პოეტის სათ-ქმელს ცხოვრების სწრაფლმავლობის შესახებ, რასაც მოჰყვება, ერთი შეხედვით, აზრობრივად გაუგებარი პნკარები:

**ო-დე-ს ქა-ღ-ების ბრ-დ-ღ-ვი-ალა ბრ-ო-ლი
გა-ბრ-უ-ებ-უ-ლი უ-სმე-ნდა ჰენ-დ-ელს...
აფ-ენ-დენენ ლ-ამ-ის ამ-ორ-ძალ-ები
თე-თრ მაგ-ნო-ლი-ებს,
ლი-ლი-ისფერ გედ-ებს...**

ვისაც ოდნავ მაინც აქვს გამახვილებული პოეტური ჰარმონი-ის აღმქმელი გულისყური, მოხმობილი კონტექსტის ფონემური დონის სრულყოფილებას ვერ უარყოფს. მაგრამ თუნდაც განათ-ლებულ მკითხველს გაუჩნდება კითხვა, პოეტის დღეების გულა-მოვარდნილ სრბოლასთან რა კავშირშია გაბრდღვიალებული ჭა-ლების ბროლის ჰენდელის მოსმენა და, მით უმეტეს, ღამის ამორ-ძალების, რომლებიც აფენდენ თეთრ მაგნოლიებს. ჩვენი აზრით, ამ კავშირს მხოლოდ ერთი გასაღები ხსნის — ეს არის ფონემათა სინტაგმური მიმართება, რაც ასევე აზრობრივი ველის მართე-ბულ გაგებაში გვეხმარება: სრბოლა, ბრდღვიალა ბროლი და გაბ-რუებული — ურთიერთდაკავშირებული ბრ-რბ და ოლ-ალ-ულ ფონემათა კომპლექსებით. კონკრეტულ შემთხვევაში განსაკუთ-რებით აქცენტირებულია ბრ-რბ ფონემათა კომპლექსი, რომე-ლიც მიგვანიშნებს იმაზე, რომ ჭალების ბრდღვიალა ბროლი ჰენ-დელის მუსიკასთან ერთად აბრუებს მსმენელს. ხოლო გარკვეუ-ლი თავბრუს ხვევა თან სდევს სწრაფ სრბოლას. ამგვარად იბმება სემანტიკური ძაფი ბრდღვიალა ბროლსა და სრბოლას შორის, ფონემურ დონეზე ამ პოეტურ კონტექსტს აკავშირებს, როგორც აღვნიშნეთ, ბოლო, ბროლი და ბულ კომპლექსები, რომელთა მემ-კობით იკვეთება როგორც კომპოზიციური სტრუქტურა, ასევე აზრობრივი შუქ-ჩრდილები. ხოლო ცნობილი კომპოზიტორის სა-ხელი ჰენდელი, რომელიც უფროვე ზოგადი აზრის მატარებე-ლია, განპირობებულია წინა პნკარში სართიმო სიტყვით — ვენდე და მომდევნო პნკარებს შორის. მოკლედ, განხილული ორპნ-კარედის ექსტრატექსტური გამიფრვა მრავალგვარი შეიძლება იყოს, მაგრამ რეზო ამაშუკელის ზოგადი პოეტური მრწამსის გათვალისწინებით, შეიძლება ამგვარად წავიკითხოთ: ცხოვრება

სწრაფმავალია და ვითარცა მუსიკალური ნოტების მონაცვლეობას ვერ წვდება მოკვდავი მსმენელი და გაბრდვლილებულ დარბაზში მოჩვენებითი სერიოზულობით ისმენს ჰენდელის მუსიკას, ასევეა ზოგადად ადამიანი, რომელიც მზით გაჩახჩახებულ ქვეყანაში ცხოვრების ჭაბანს ეწევა, თავი უკვდავი ჰგონია და არც კი ფიქრობს ჩადენილ ცოდვებზე და გარდაუვალ განკითხვაზე.

ამ მონაკვეთის მომდევნო სამი პნკარი მეტაფორული დონიდან უკვე მისტიკურ-სიმბოლურ საფეხურამდე მალდდება და პოეტის ზემთაგონებით მოვლენილ ხილვაზე მიგვანიშნებს: ამორძალები, რომლებიც ოდესღაც შავი ზღვისპირეთში ცხოვრობდნენ, გამოირჩეოდნენ საოცარი ბრძოლისუნარიანობით და შეუპოვარი, უდრეკი ხასიათით და თავად განაგებდნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოს, პოეტის ხილვით და წარმოსახვით, ღამის ფერიებად მოგვევლინნენ, თეთრ მაგნოლიებს სულიერი სინაზის და სიმშვიდის სიმბოლოებს რომ აფენდნენ და ლილისფერ გედებს ამკობენ. საფიქრებელია, ამ ხილვას და მისტიკურ ირეალურობას წარმოქმნის პოეტის მძაფრი შინაგანი განცდა და იმ უკვდავი ჰარმონიის აღქმა, რომელსაც სოფლისა და ზემთასოფლის მარადიული აღმა-დაღმავალი ლტოლვა და კავშირი ბადებს, ხოლო რაც შეეხება სინტაგმას — ლილისფერ გედს, მისი განსხეულება ამგვარად უნდა განისაზღვროს: გედის ხატი, ვითარცა სულიერი სინმინდის და ამალეების სიმბოლო, ფართოდ იყო გავრცელებული შუა საუკუნეებისა და მოგვიანო პერიოდის მხატვრულ თუ ესთეტიკურ აზროვნებაში. რეზო ამაშუკელის ქვეცნობიერებაში ეს ხატი სხვადასხვა ფერთა გამით დავანებული იყო: თეთრი გედი, შავი გედი, გედის სიმღერა და ა.შ. ამიტომაც ცნობიერ დონეზე შავი და თეთრი გედის ნაცვლად გვთავაზობს ლილისფერ ანუ ლურჯ თუ ცისფერ გედს. ეს ფერი კი სიმბოლისტიკის და რომანტიკოსების მიერ ერთობ მოწონებული და ნალოლიავებია. ასე რომ, ლილისფერი გედი მოცემულ კონტექსტში უფრო ეფექტური და აზრობრივად ტევადია. იმავდროულად ფონემათა გამეორება ამდიდრებს და აძლიერებს კონტექსტის ზემოქმედების ძალას (ღ-ამ-ის ამ-ორ-ძ-ალ-ებ-ღ-მა-გ-ნო-ლიები ლი-ლი-ს-ფერ გედებს). არანაკლებ ეფექტურია ფერთა კონტრასტი: ღამის ამორძალები — თეთრი მაგნოლიები — ლილისფერი გედი. ერთი სიტყვით, ამ პოეტური კონტექსტის ესთეტიკურ-სემანტიკურ ველს ძირითადად ქმნის ფონემათა მწკრივი, ფერთა კონტრასტი და აქედან ამოზიდული ნატიფი სახე-ხატები, რაც ხილვის წარმოსახვის შესატყვისია.

საერთოდ, რეზო ამაშუკელის ლექსის თხზვის პროცესს ახასიათებს ტალღისებური განვითარება: მისი სულიერი აბობოქრება, ვითარცა ტალღა, ზეინწევა და მერე დაბლა ეშვება. ამ შემთხვევაშიც პოეტი, ღვთიური ხილვით ცაში ატყორცნილი, კვლავ ამქვეყნიურობას უბრუნდება, დედამინაზე ეშვება და ცხოვრებით გამოცდილ ჭეშმარიტებას გვაუწყებს:

**ვიცი, ბევრ რამეს დამაბრალებენ
ან ახლა,
ანდა ცოტა ხნის შემდეგ!
მაგრამ ამ მწარე სიმღერის მოტივს
ოდესმე მაინც გაიგებს ვინმე...**

მოხმობილი ციტატაც ბგერწერით სრულყოფილია და შთამბეჭდავი. აქ ვერ ნახავთ ვერც ერთ ბგერას, ვერც ერთ მარცვალს, ვერც ერთ სიტყვას, რომელიც ლექსის სტრუქტურის ცენტრალურ ღერძზე ლოკალურ თუ დისტანციურ მანძილზე არ იყოს ურთიერთმიმართული და აქცენტირებული (ასე მაგ.: ბევრ-ბრა, რა-რა-არ, ამ-მა, მა-ამ-მა, ან-ან, მე-მე-მე, ალ-ლა, ახ-ხა, სი-სი-ის, ოტ-ოდ, ივ-ვი, დეგ-გებ და მისით.). თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, კონკრეტულ ციტატაში, მიუხედავად ფონემათა მდიდრული ქარგისა და უღერადობისა, ეს ელემენტები ახალ აზრობრივ დატვირთვას არ ქმნის, ოღონდაც მთლიან ლექსის სტრუქტურაში როგორც კომპოზიციური ქარგის ასევე სემანტიური ველის სრულქმნას ემსახურება. ეს მონაკვეთი განსაკუთრებით საგულისხმოა იმითაც, რომ გვეხმარება გავარკვი-

ოთ, როგორ აფასებს პოეტი დღევანდელ საზოგადოებას, რაც ამ ვრცელი ლექსის ძირითადი თემა გახლავთ.

ამ სტროფს უშუალოდ მოსდევს ის მონაკვეთი, რომელიც უკვე მოვიხმეთ, როგორც პოეტის ლექსის აგების და საერთოდ მისი წერის მთავარი ნიშანდობლიობა.

რეზო ამაშუკელი ცდილობს, „მწარე სიმღერის მოტივი“ აგვისნას. იგი აღსარებას ანდობს უპირველესად თავის მეუღლეს, მერე სრულიად საქართველოს და ქართველ ხალხს. მას ტვირთად ადევს „ლოდ-ინის ლოდი ყოველდღიური ც-ოდ-ვებით მიიმე!“; რომელიც, შეიძლება ითქვას, პოეტს მთელი ცხოვრების მანძილზე თანსდევს და სინდისის ქენჯნას უღვიძებს და სულიერად აფორიაქებს, „საკუთარ იღბალს ბ-ლოდ-მდე მინ-დღ-ბ-ილს“... აქ თვალში საცემია, თუ ლოდ-ლოდ-ოდ-ოლო ბგერათა კომპლექსის მეშვეობით როგორი უხილავი აზრობრივი კავშირი მყარდება სტროფებს შორის, რაც სემანტიკურ რკალს კრავს. პოეტის განცდას ისიც ამძაფრებს, რომ ვერ გაიტანა „სული ტაძრიდან, ვერ დათმო „სიტყვა და ბგერა“ და მავანივით მხ-ოლოდ ნაცრიდან ვერ გამოძერწა „სიმღერა ვერა“. შესაბამისად უფრო იშლება და ტევადი ხდება კონტექსტის სემანტიკური ველი, რომელიც მეტაფორულ დონეზე ამგვარად იკითხება: პოეტი ლექსის თხზვას ტაძარში ლოცვას ადარებს, უფრო სწორად, პოეტურ აღმადრენას უფალს უკავშირებს, რომლის შთაგონებითაც იძერწება ყოველი სიტყვა. ხოლო იმ ე.წ. შემოქმედთ, ვინც „მხ-ოლ-ოდ ნაცრიდან“ ცდილობენ ლექსის ძერწვას, ცოდავად დაცემულ მკრეხელებად მიიჩნევენ. პოეტის ამ განცდის გულწრფელობის ამსახველია ისიც, რომ ეს ფიქრები მას ებადება განთიადისას, როცა გარემო გადაპენტილი თოვლის სითეთრით აღვსილია. აბა, დავაკვირდეთ:

**შემოაფრინდა ცისკარი სარკმელს
წყალწყალა თოვლით გალუმპულ ფრთებით
ვაგროვებ,
როგორც გატეხილ სარკეს
დარდს და
იანვრის სითეთრით ვთვრები.**

მოხმობილ ციტატაში ძირითადი აზრის მომცველია პირველი და ბოლო პნკარები, რომლებიც აგრეთვე მეტაფორული შინაარსითაც არის დატვირთული, სხვაგვარად რეალურ და მეტაფორულ პლანშიც ერთნაირად აღიქმებიან: „შემოაფრინდა ცისკარი სარკმელს“ გვაუწყებს, რომ უტბად, მოულოდნელად დაათენდა პოეტს, მაგრამ იმავდროულად „ცისკარი“ სიმბოლურად ნიშნავს დილის ლოცვას, სულის გახსნას, მისტიკურ ხილვას. გარდა ამისა, ცისკრის ვარსკვლავი ყველაზე კაშკაშა მნათობია, რომელიც ცის კაბადონს ყველაზე უკანასკნელი ტოვებს გარიჟრაჟის დადგომისას. სხვაგვარად, ის ღამისა და განთიადის მიჯნაზე მოკავთა, ბნელეთიდან ღვთიურ სინათლისკენ წარმართველი და ნათელის დამკვიდრების მაუწყებელი. მეორე მხრივ, ფრაზა „იანვრის სითეთრით ვთვრები“ გულისხმობს ღვთიური სითეთრით თრობას. სითეთრე ხომ ღვთიურ სამყაროში გაბატონებული ფერია, რომლის შესახებაც ჯერ კიდევ წარმართი ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი გვამცნობდა. ამ ორ პნკარს შორის მოთავსებული სახიერი ხატები: „წყალწყალა თოვლით გალუმპული ფრთები“ და „ვაგროვებ, როგორც გატეხილ სარკეს, დარდს“ აზრობრივი აქსესუარებია, რომელიც მოცემული მხატვრული კონტექსტის სემანტიკას ამოლიანებს და ავსებს, რაშიც უაღრესად მნიშვნელოვან როლს თამაშობს ასევე ფონემური დონის ეფფონია (ცისკარი=სარკმელს=სარკეს. წყალ-წყალა თოვლ-ით=ფრთებ-ით, ვა-გრო-ვებ=რო-გორ-ც, და-არ-დს-და).

ერთი სიტყვით, თუ მთლიანობაში გავიხსენებთ ბგერათა, მარცვალთა, ფონემათა და სიტყვათა სინტაგმურ წყვილებს, როგორც ჰორიზონტალურად (ლოდ-ლოდი, ოვე-ოდვე, ტა-ტა, ვე-ავ-ვა, ფერ-ბერ, და-და, ოდ-იდ, ფრ-ფრ, ან-ნა-ან, ვერ-ვერ, ერ-ერ, ისკარ-სარკე, წყალ-წყალ, ლუ-ლუ, ლით-ბით, ის-სი, ვრ-ვრ, ით-ით) ასევე ვერტიკალურად (ევ-ევ-ვე-ვე, ოდ-ოდ, ავ-ავ, რი-

რა-რი-რი-, ერ-ერ-ერ, ფრ-ფრ, არ-არ-არ-არ, გროვ-როგორ, და-და...), უდავოდ დავრწმუნდებით, თუ რაოდენ მდიდარია განხილული ტექსტი ევფონიით, ჰარმონიით, მუსიკალური ინტონაციებით. მაგრამ მთავარი და არსებითი ის არის, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ბგერათა ქარგა მტკიცედ არის ნაქსოვი და თითქმის „ერთმანეთში ზის“ ლექსის მთლიან სხეულში და ახალი სისხლით ავსებს, აცოცხლებს არა მხოლოდ ცალკეულ უჯრედებს, არამედ მთლიან ორგანიზმს და მას ესთეტიკური ზემოქმედების ძალით მსჭვალავს და ის გაგების თუ აღქმის ახალ საფეხურზე აპყავს.

როგორც უკვე აღვნიშნე, საანალიზო ლექსის თემატური განვითარება სწორხაზოვანი არ არის და ზიგზაგოვანია: აქ ირეალურს — რეალური, მისტიკური, ეგზალტირებულ ხილვას ცხოვრებისეული სინამდვილე ენაცვლება, რაც აღქმის ფონის კონტრასტულობას ქმნის, პრობლემის სიმძაფრეს რომ გაგრძნობინებს და მის შემეცნებას გაადვილებს. კონკრეტულ შემთხვევაშიც „სხეულის სიმძიმე“ აიძულებს პოეტს, მინაზე დაეშვას, და, როცა არსებულ რეალობას თვალს შეავლებს, რწმუნდება, რომ „ჩვეულებრივად მიდის ცხოვრება — თავაზიანად გვხვდება იან მტრები“. მაგრამ რეზო ამაშუკელისთვის ცხოვრების ჩვეულებრივი მდინარეა და მტრების თავაზიანად დახვედრა აუგის მომასწავებელია, რადგან გუმანითა და ცხოვრების გამოცდილებით იცის ამ გაუტანელი სიცოცხლის ყადრი და ფარისევლ მტერთა ყალბი თავაზიანობა. სწორედ ამის მანიშნებელია ის, რომ „თვლემს ნებეირად და იზმორება ქალაქი თვალთა ელაში ვნებით“... აი, ეს მოჩვენებითი ჩაძინება და „თვალთა ელაში ვნება“ აკრთობს პოეტს, რადგანაც კარგად უწყის, რომ ჭრელია საზოგადოება, შურით აღსავსე, უსამართლო და დაუნდობელი, პოეტის წუხილის მიზეზს რომ ვერასოდეს გაიგებს. ამიტომაც მას აზრობს მარტოობის გრძნობა:

**მე კი მარტო ვარ,
ჟინჟლავს მარტივით,
მამტვრევს, მცივა და შენ მენატრები!
და ძველ რვეულში
ისე მარტივად
ავვისტოს სვამენ ოლეანდრები...**

მოხმობილ ციტატაში სემანტიკურად აქცენტირებული სიტყვაა მარტო, რომელიც ფონემურ დონეზე უკავშირდება სიტყვათა წყვილებს თუ ცალკეულ ლექსიკურ ერთეულებს: „ჟინჟლავს მარტივით“, „მამტვრევს, მ-ცი-ვა“ და „მენ-ატრები“ და „მარტი-ვად“ და სავსებით ადეკვატურად ასახავს პოეტის სულიერ განწყობას, წუხილს და მას ნატიფ, ესთეტიკურ ხიბლს და ღრმა აზრს სძენს. მოკლედ, პოეტი ახერხებს ბგერათა მიმართებით მძაფრად გვაგრძნობინოს სულის მარტოობის ტრავმატიკული განცდა, რომელსაც ამძაფრებს მარტოს თვისთვის დამახასიათებელი სიცივე და დაუსრულებელი „ჟინჟლა“, რაც წარმოშობს უკვე უშუალოდ მის ფიზიკურ ტკივილს, „მამტვრევს, მცივა“ და ამგვარი მძიმე სულიერი განწყობისა და ფიზიკური ტკივილების დროს პოეტს მსხნელად და იმედად თავისი მეუღლე წარმოუდგენია. ამჯერადაც რეზო ამაშუკელი კონტრასტის ეფექტს მიმართავს თავისი განცდის წარმოსახვად: ერთი მხრივ, რაც უფრო აუტანელია მისი ფიზიკური თუ სულიერი მდგომარეობა, მით უფრო ძლიერია პოეტის მონატრება საყვარელი ადამიანისა, რომელიც მას წამიერად აგონებს იმ ბედნიერ დღეებს და წუთებს, როცა ორივე ერთად გაზაფხულის თუ ზაფხულის დროს ბუნების მშვენიერებით ტკბებოდნენ. მაგრამ ეს წამიერი მოგონება შემორჩა მხოლოდ რვეულის გაყვითლებულ ფურცლებს, სადაც „ისევ მარტივად, ავისტოს სვამენ ოლეანდრები...“ ამ წამიერი მოგონების ნათელი სხივი, ისევე მარტივად ქრება, როგორც მარტივად წარმოჩინდა მოგონების ფურცლებზე და მოგონებას დაუნდობლად ამსხვრევს რეალობისა და სინამდვილის აღქმა, რაც უკვე ფანტასმაგორიული წარმოდგენაა:

**შეკრება ფიქრი
შერხეულ ფარდით
და ჩრდილი სარკეს პირისპირ უზის,
ოთახში დადის
მოხრილი ლანდი
მძიმე ევენებით ასხმული კუზით...
ტანით ვეკვრები და ვცტმასნები
მიმქრალი ბუხრის
მიღეულ სითბოს...
ლალით და ლილით თლილი სტანსები
ვილაცამ კიდევ იმღერა თითქოს.**

ამგვარი თავზარდამცემი ფიქრი ატყდება პოეტს და შვებით სულის ამოთქმას არ აცლის. საერთოდ, ფიქრი მოუხელთებელი რამ არის, როგორ დაგესხმის თავს და საით გაგიტაცებს, თავად არ უწყის. ამოუცნობ ფსიქიკურ სიღრმისკენ გენევა, ქვეცნობიერ საუფლოდან ამოზრდილ განწყობას გასურს თავი დააღწიო, მაგრამ ვერ ახერხებ! შეიძლება წამიერად უკუაგდო შავი ფიქრი, შავი კაეშანი, ის კი კვლავაც შავი ყორანივით უკანვე შემოგაფრინდება! ამჯერადაც პოეტს შერხეული ფარდა შეაკრთობს, ტკბილ მოგონებას მოსწყვეტს და შემამშოთებელ ხილვას აღუძრავს: ჩრდილს ხედავს სარკეში მომზირალს, რომელიც ოთახში დადის, „მოხრილი ლანდივითა“ და „მძიმე ევენებით ასხმული კუზით“. ეს კი, ჩემი აღქმით, სიკვდილის ცნების ტრანსფორმირებული წარმოსახვაა, რაც ხშირად ავიწყდება ცოდვით დაცემულ ადამიანს. რეზო ამაშუკელს, ვითარცა აუგი წინათგრძნობით შეპყრობილს, აკრთობს ეს აჩრდილი, აფრულოდ და აცივებს და მიმქრალ ბუხრის მიღეულ სითბოს ტანით ეცტმასნება, ცდილობს გაეექცეს ამ სიკვდილის ყინულოვან სახეს და ამას თითქოს ახერხებს კიდევ ღვთიურ ზეგრძნობად სმაცაროში ცისფერი და ლურჯი ბგერებით გაჟღერებულ სიმღერისა და მუსიკის წყალობით, რაც სულის ამალღების, ბნელიდან ნათელში აღსვლის ანუ ეგზალტირებული განცდის მეშვეობით წარმოიქმნება.

ეს ფერწერული სურათი ნიჭით აღვსილი ფერმწერის ქმნილება გახლავთ, რომელიც მკითხველს ზარავს და ატყვევებს. ამჯერად სრულად იშლება რეზო ამაშუკელის, როგორც მხატვრის ნიჭი და სურათის ხატვის დიდოსტატობა. მაგრამ ისევე, როგორც საანალიზო ლექსი მხატვრული ეფექტის შექმნის საერთო პროცესში, აქაც მოქმედებს ფონემური დონის რეგულირების პრინციპი, სხვაგვარად, აქაც ისმის ევფონია და მუსიკალური ნიჭიერების მაღალი კულტურა, რაც ამჯერად დახატული სურათისა და სიტუაციის შესაბამისად ტონალობით წინარე სტროფიდან მომდინარე მარტოობით აღძრულ განცდას ესიტყვება და იმგვარი ნოტის ჟღერალობას იძენს, შვების ნაცვლად მისი განცდას რომ აღძრავს (შერხ-ული ფარ-დით > შეკრ-თე-ბა ფიქრ-ი, და ჩრ-დე-ლი>ს-არკ-ეს პირ-ის-პირ უზ-ის; და-დე-ის მო-ხრ-ილი ლა-ნ-დი>ევენ-ებით ას-ხმ-ული კუზ-ით, > ტან-ით ვე-კვრ-ები და ვე-ტმას-ნები, მი-მქრ-ალი ბუ-ხრ-ის მი-ღ-ეულ სუ-ლ-ით) ამ ბგერათა იერარქიულ კონსტრუქციას, პოეტის სულის შემძვრელ განცდებს რომ მიესადაგება და არცთუ იშვიათად ნათელის ხილვის წინარე განწყობით არის დაბადებული, მოულოდნელად ცვლის სულის ალტყინება და, ვითარცა ლამეში მზის ხილვის განცდას მოჰყვება ზენათელის აღქმა და მასში გარინდება, რაც ღვთიური მუსიკის ჰარმონიულობით და ფერთა გამით არის განაჩნახებული და გაჯერებული. სწორედ ამ სტროფის ბოლო ორი პნკარის ევფონია და ექსტაზურ ხილვამდე ამალღება არის პოეტის განწყობის გამომხატველი.

**ლა-ლით და ლი-ლით თ-ლი-ლი სტანსები
ვილა-ცამ კი-დე-ევ იმ-ღერა თითქოს.**

მოხმობილი ორი პნკარი ამკარად გვამცნობს, რომ პოეტის შემოქმედებითი სული თავს აღწევს ამქვეყნიური უზნეობით აღსავსე ბნელეთს და ღვთიურ ნათელს ზიარებულია. იმავდ-

როგორც აქ ერთგვარი ალტერნატიული მინიშნებაა იმ პოეტის ხატზე, რომელიც თავის მაღალნიჭიერებით ირეალურ ცისფერ საუფლოში ლურჯი ცხენებით ქროლვას ეძლეოდა. ამგვარ პოეტად რეზო ამაშუკელი გალაკტიონს მიიჩნევდა, მისი თაყვანისმცემელი იყო და არის და იმედოვნებდა, რომ ის პოეზიის სანმისს მას გადაულოცავდა. ამგვარი ფიქრის უფლებას გვაძლევს მომდევნო სტროფი, რომელიც საანალიზო ლექსის საერთო მდინარებიდან თითქოს ამოვარდნილია, მაგრამ აზრობრივი ნაკადის ტალღოვან განვითარებას ესადაგება.

მოხუცი მგოსნის გამონვლილ ჭიქას მთელი ცხოვრება გიჟივით ველი, მაგრამ ერევა მოღრეცილ ნიღაბს ღიმილი მწარე და შიშისმგვრელი...

თუმცა პოეტის ამ სურვილს და იმედს გალაკტიონისეული მწარე ირონიული ღიმილი აქარწყლებს, რაც შეიძლება დღევანდელი „ბიურგერული“ საზოგადოების უარყოფით დამოკიდებულებას ზოგადად ასახავს, მაგრამ რეზო ამაშუკელს შინაგანი ხმა სხვას კარნახობს და ამ ხმით დაიმედებული და რწმენით აღსავსე პოეზიის ცეცხლს ქურუმით ემსახურება, თავის პრინციპებს არ ღალატობს და ბრძოლას განაგრძობს. მაგრამ ეს ბრძოლა არ არის იოლი პოეტისათვის. ერთი მხრივ, ის ცდილობს გაექცეს ამ „ბიურგერულ“ საზოგადოებას, მეორე მხრივ კი აწუხებს და შინაგანობას უღრღნის მარტოობის, სხვაგვარად „სულის ობლობის“ პრობლემა, რაც მას ძლიერ ტკივილს და აუტანელ დარდს გვრის. აი, ამგვარი დაბნეულობის და მერყეობის ფონზე პოეტს მხსნელად კვლავაც თავისი ერთგული მეუღლე ეგულება, რომლის „გამხდარ ხელსაც“ ამ ტრაგიკული ყოფიდან თავდახსნის გზის მაჩვენებლად მიიჩნევს.

წკრიალებს თუნგი, სიჩუმით მთვრალი, გადარეკილი ფარდავით ჭრელით, — და ახლა, როგორც სიცხიანს წყალი, მე მინდა შენი გამხდარი ხელი!

საგულისხმოა, რომ სინტაგმას — „გამხდარი ხელი“ პოეტი სხვაგან იყენებს. კერძოდ, ერთ ნატივ ლექსში — „მარტოობა“ — რომელსაც ასევე თავის მეუღლეს უძღვნის, წერს:

და შენი ტანი, გრძელი და თხელი, მკვეთრი ხაზებით მოჩანდა ბნელში და შენი ხელი, გამხდარი ხელი მკვდარი ჩიტივით მეჭირა ხელში. გარეთ კი თოვდა, თოვდა და თოვდა...

მოხმობილი ლექსიც ეძღვნება „მარტოობის“ პრობლემას... ამაზე მიგვანიშნებს თუნდაც მისი სათაურიც, როგორც წესი, ქმნილების სემანტიკური ველის გასაღების გასაღებია. ამ შემთხვევაშიც ღამის წყვილადის პირისპირ ეულად დარჩენილ მგოსანს იპყრობს მარტოობის განცდა, რომელსაც ამძიმებს და აღრმავებს გაუთავებელი ფიქვების ცვენა (გარეთ კი თოვდა, თოვდა და თოვდა...) ამ სიმძიმის ფაშს მას სიმშვიდეს ანიჭებს მშვიდად მძინარე მეუღლეს „გრძელი და თხელი“ ტანის მკვეთრი ხაზები და რაც ამჯერად ჩვენთვის საგულისხმოა „გამხდარი ხელი“. მოხმობილ ამონარიდში პოეტი მიმართავს გამეორების ხერხს (და შენი ტანი, გრძელი და თხელი=„და შენი ხელი, გამხდარი ხელი“), რაც განსაკუთრებული აზრით ტვირთავს და სათუთი გრძნობით აღავსებს პოეტისეული აღქმას, რომელიც გვიმხელს იმას, რომ მძინარე მეუღლეს მისთვის შვების მომგვრელია. გან-

საკუთრებით ამ კონტექსტში ხაზგასმულია „გამხდარი ხელი, რომელიც „მკვდარი ჩიტივით“ უჭირავს ხელში. ეს მხატვრულად სახიერი დეტალი კი, ერთი მხრივ, გვაუწყებს პოეტის ფაქიზ გრძნობებს, მეუღლისადმი რომ განიცდის, და, მეორე მხრივ კი მიგვანიშნებს მის სასონარკვეთლ და უიმედო მდგომარეობაზე, რომლის დაძლევის იმედის ნაპერწკლად კვლავაც მეუღლის „გამხდარ ხელს“ მოიხარებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სინტაგმა „გამხდარი ხელი“ პოეტის უშუალო ფიზიკური ჭჭრეტის შედეგად არის წარმოქმნილი, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოხმობილ კონტექსტში მისი სამგზის გამეორება („შენი ხელი“, „გამხდარი ხელი“, „მეჭირა ხელში“) მიგვანიშნებს, რომ ეს ხატი, რაღაცა ზოგადი აზრის და სიმბოლური მნიშვნელობის მატარებელია. მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ, რომ ეს სინტაგმა მეორდება სხვა ლექსშიც. არ იქნება ზედმეტი, თუ გავიხსენებთ, რომ ხელი მრავალი აზრის შემცველი სიტყვაა, რომელიც გარკვეულ სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს, რაც ჯერ კიდევ ძველ და ახალ აღთქმაშია გაცხადებული: უპირველეს ყოვლისა, ღვთის ხელი სამყაროსა და ყოვლის შემოქმედია (ეს. 66.2), „სახიერების გამოქანდაკებელი (იობ. 18.8) და ვითარცა თიხა მექოთნის ხელში, ისე ყველა ჩვენგანია უფლის ხელში (იერ. 18.61). მთავარი მაინც ის არის, რომ ის (ღვთის ხელი) არის სიკეთის მქნელი და მთესველი, მფარველი და მშვიდობის მომგვრელი (ფსალ. 30.6). მას ძალუძს, ადამიანს მიანიჭოს სულის ხილვის ნეტარება და ა.შ. ადამიანის ხელსაც რელიგიურ მოძღვრებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება, იგი ქმედების პირველი იარაღია და იმავდროულად მორალურ ფუნქციასაც ასრულებს. სწორედ ამიტომაც წინ წამოწეულია გულის სისპეტაკე და ხელის სისუფთავე. საერთოდ მიღებული თვალთახედვით, მხოლოდ ამგვარი მიაღწეველ ღმერთის წყალობას და კურთხევას (ფსალ. 23(24) 4.5). ასევე ღვთისმსახურთა ხელ-დასხმით ადამიანი ეზიარება ღვთიურ საიდუმლოებას, სულის განწმენდას და ამაღლებას...

ყოველი ეს ზემოთქმული იმიტომ მოვიხმეთ, რომ, ჩვენი აზრით, რეზო ამაშუკელი, ვითარცა გულით მართლმადიდებელი, თავისი მეუღლის „გამხდარ ხელს“ მოიხარებს როგორც სიკეთის, ზნეობრიობის, სინამდის, ერთგულებისა და მშვიდობის-მყოფელობის სიმბოლოს, რომელსაც ძალუძს შთამომავლობით გადმოცემულ ცოდვათაგან განწმინდოს სხეულის საპყრობილეში დატყვევებული პოეტის სული, აღამაღლოს და ზეცისკენ წარმართოს იგი. ამაზე ნათლად მეტყველებს საანალიზო ლექსის უკვე მოხმობილი ციტატის მომდევნო პუნქტები:

სული თანდათან მიიწევს მ-ალ-ლა დრ-ო კი ტრ-ი-ალ-ებს როგორც კორ-იდა... ჭორ-ით მამ-ღარ-ი თბილისი ახ-ლ-აც ჭოგრ-იტ-ით ხელ-ში მიმზ-ერს შორ-იდან!

მოხმობილ ამონარიდში რეზო ამაშუკელი გადმოგვცემს სულისა და სხეულის ჭიდილს; სული მიიწევს მალა, ეს არის მისი ბუნებრივი სწრაფვა, მაგრამ სხეული ბორკავს და არ უშვებს, რადგანაც ეს უკანასკნელი მიწისგან არის შექმნილი. ბუნებრივია, ეს ჭიდილი განზოგადებულ პლანში, როგორც სოფლისა და ზემთასოფლის დაპირისპირებად არის მოაზრებული. იმავდროულად, პოეტი ცდილობს, კონტრასტული სურათი წარმოაჩინოს და, რაც ჩვენთვის საგულისხმოა, ბგერათა კომპლექსების ურთიერთმიმართებით (ლა-ლა-ლა, დრ-ტრ, როგ-კორ, ჭორ-ჭოგრ-შორ...) ახერხებს გადმოგვცეს დროების სწრაფი და უაზრო ბრუნვა-ტრიალი, ადამიანთა გაუტანლობა და დაუნდობლობა, მათი მზად ყოფნა, გახელებული ხარისხით განგმირონ იგი და ყოველ მის ნაბიჯს „ჭორით მადლარნი“ „ჭოგრით ხელში“ შორიდან აკვირდებიან.

დასასრული შემდეგ ნომერში

მიხეილ ანთაძე

სიტყვის არქეოლოგია

ქართულ სიტყვებში ჩაღრმავება იმთავითვე მიყვარს და წლებს მანძილზე არაერთი მაგალითი დამიგროვდა, როცა ამა თუ იმ სიტყვაში ჩამალული დიდი თუ პატარა „საიდუმლო“ აღმოვაჩინე. აქ „საიდუმლო“ ბრჭყალებში იმიტომ კი არ ჩავსვი, თითქოს ეს საიდუმლოებები მართლა საიდუმლოებები არ იყოს, არამედ იმიტომ, რომ ისინი ხშირად ჩემთვის იყვნენ საიდუმლონი, თორემ, ეგება, სხვათათვის დიდი ხნის წინათ გასაცნაურებულიყვნენ კიდევ. ასეა თუ ისე, მიყვარდა და ახლაც მიყვარს ამ თემაზე საუბარი. სახალისო თემა მგონია. თავად განსაჯეთ, განა საინტერესო და ეფექტური არ არის, ქართველ ადამიანს სიტყვა „პრანჭვაში“ საფრანგეთს რომ გააგონებ და ამოაკითხებ?! მაგრამ ახლა რომ ვფიქრობ, ამ „სიტყვობანას“ დაწერას, მის მხატვრულ-ესეისტურ ნაწარმოებზე დაქვევას არასოდეს ვიფიქრებდი, ერთი საბედნიერო შემთხვევა რომ არა.

ერთხელ, ამ რამდენიმე თვის წინათ ყურნალ „ჩვენი მწერლობის“ რედაქციაში, ქალბატონების მაკა ჯოხაძისა და ნინო დეკანოზის საშუალო ოთახში, სადაც ამავე რედაქციის თანამშრომელი, ჩვენი ცნობილი მწერალი და მეცნიერი ბატონი თამაზ ნატროშვილიც ბრძანდებოდა, დამსწრეებს ჩემეულ „სიტყვათა არქეოლოგიის“ მონაპოვრებს ვუზიარებდი. ჰოდა, ბატონმა თამაზმა ენერგიულად მიჩნია, დაწერეო. ამ რჩევაში თითქოს არაფერი ორიგინალური არ ყოფილა, მაგრამ ჩემზე ისეთი გავლენა მოახდინა, თითქოს ცხვირწინ ამერიკა აღმომჩინოს. მართლაც, რატომ იყო, რომ ამ დაკვირვებებს მუდამ ზეპირ სალაქლაქო მასალად მივიჩნევდი და არასდროს თავში არ მომსვლია მათთვის მწყობრი ლიტერატურული ფორმა მიმეცა? ანკი დავეწვდი როდესმე, ბატონ თამაზს რომ არ შევევლიანებინე? მე ხომ იმათ რიცხვს ვეკუთვნი, ვინც სრულად იზიარებს იოანე ზოსიმესეულ ენიგმურ თეზას: „რამეთუ ყოველი საიდუმლო ამა ენასა შინა დამარხულ არს.“ ქართული ენა — თავისი არქაული ზმნურობითა — და ქართული დამწერლობა — თავისი აბსოლუტური სრულყოფილებით — ღვთაებრივი წარმოშობისა მგონია. მე ხომ ხშირად ვსაუბრობ ამ თემებზე სტუდენტებთან და ისე საუბარშიც. მამ ხშირად რატომ არ მომსვლია ამის შესახებ დამეწერა, ვიდრე გამოცდილმა და პატივსაცემმა ადამიანმა არ შემიძახა. არ ვიცი, ასე მოხდა და ამიტომ ბატონი თამაზის უაღრესად მაღლიერი ვარ, ამგვარად რომ მომქოქა და ამანთო.

ნებისმიერი მწერლისთვის რომ მშობლიური ენა მთავარია, ამას რაღა თქმა უნდა. მწერალი თუ თავის ენას არ ემიჯნურება, არ ელოღივება, არ უკირკიტებს, არ მიმოჩნრეკს, აღსაფრთოვანებელს და იდუმალს არ პოულობს შიდ, თუ არ ცდილობს შეერწყას, მასთან ერთად გარდაიქმნას და ეგება იქით გარდაქმნას რამე კიდევ — ამას თუ არ შერება მწერალი, თავი მწერალი ნუ ეგონება. იქნებ კიდევ სჩადიოდეს ყოველივე ზემოჩამოთვლილს და მწერლად მაინც არ ვარგოდეს? ეგ სულ სხვა საქმეა, მაგრამ მშობლიური ენა საკუთარი სულიერების ერთადერთ სტიქიად თუ არ მიიჩნია მწერალმა, შანსი არ არის.

ყოველი მწერალი თავის მშობლიურ ენას მსახურებს. მსოფლიოს ხალხთა ენები, ფრანგული იქნება ეს, ბენგალიური თუ ქართული, ბაბილონის გოდოლს მოჰყვენ. მანამ კი ერთი ენა იყო, წინარე, მატრიცული ენა, ერთი ენიდან მეორე ენაზე თარგმნას და გაგებას რომ ესაფუძვლება. ამ ღვთაებრივ ენაზე საუბრობდნენ პირველი ადამიანები ერთმანეთთან, ანგელოზებთან და თვით უფალთან. ამ ენაზე დაარქვა სახელები ადამმა ქმნილებებს ზენაარის დავალებით. სავარაუდოა, რომ ამ ენაზევე ურთიერთობდნენ ზეციური ძალნი ადამის შექმნამდე. სად გადის ზღვარი ამ ღვთაებრივ ენასა და ადამიანთა მეტყველებას შორის? ეს ზღვარი ზმნებსა და სახელებს შორის გადის. ამის თქმა იმადრე მახარებს და შეამაყება, რომ ვინც ქართული ენის თავისებურებებში ერკვევა, ყველამ იცის — ქართული ზმნური ენაა. უტრირებულიად რომ ითქვას, ქართული ენა მხოლოდ ზმნაა... სახელები



მთლიანად იმპორტირებულია. ამ მხრივ ქართული მართლაც განსაკუთრებული ენაა. ისეთი სიტყვაც კი, როგორცაა მზე — სახელზმნაა. აღსანიშნავია, რომ აბრაამი ზმნებს (უფლის მითითებებს) ემორჩილებოდა, და არა სახელებს. სიტყვა, რომლითაც სამყაროს შექმნა დაიწყო, ზმნაა — „იქმენინ“... აქედან გამომდინარე, საყურადღებოა ცნობილი მწერლის მილორად პავიჩის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ენა, რომელსაც ადამიანები ვიყენებთ, ორი უთანასწორო ძალისგანაა შეწონილი, არსებითად განსხვავებული, სხვადასხვა წარმომავლობის ორი ძალისგან. იმიტომ, რომ ზმნა, ლოგოსი, კანონი, ჭკუმაართი პროცესების მოაზრება, მართლისა და მიზანშეწონილის აღნიშვნა წინ უსწრებს სამყაროს შექმნას და ყოველივე იმას, რაც ურთიერთობაში — კოსმიურ ურთიერთობაში — უნდა ჩაბმულიყო.

სახელები მერეა აღმოცენდნენ, როცა ეს ურთიერთობებში ჩასაბმელ-ჩაბმული ქმნილებანი შეიქმნენ და დრო-სივრცეში აღმოჩნდნენ, თვითონ დრო-სივრცის ჩათვლით, რადგან ისიც არსებულ საგნად უნდა მოვიაზროთ. სახელების დანიშნულება მხოლოდ ისაა, რომ ეს ქმნილებები რაღაცნაირად აღნიშნონ და გამოკვეთონ. სახელები ეყვნებს გვანან — სწორილით გვამცნობენ საგანთა ადგილს სამყაროში. ისინი ადამის შემდგომ მოგვევლინენ. აკი ასეა ფსალმუნში: „თუნდაც ჯერ არ იყოს სიტყვა ჩემს ენაზე, შენ უკვე იცი, უფალო, სრულად.“

ღმერთთან თავიდანვე არსებობდა სიტყვა. იგი თავად არის სიტყვა. ხატოვნად რომ ვთქვათ, როცა სამყაროს ქმნიდა, მას უკვე ეყრა დაბადების წიგნის წინარე ტექსტი — ჭკუმაართი, ღვთაებრივი წმინდა წერილი... ამიტომაც და ამრიგად, ჩვენს ენას ორი შრე აქვს — ერთი ღვთაებრივი, მეორე კი — ადამიანური. ჯოჯოხეთი და სამოთხე, წარსული და მომავალი ადამიანურ ენასა და დამწერლობაშია თავმოყრილი. მიწიერი ანბანი ღვთაებრივი ანბანის სარკეა და ანბანი ენის ბედის სრული მოზიარეა.

მე ასე მგონია, ჩვენი ზმნური ქართული ენა და მისი საოცარი სამსახოვანი ანბანი ამჟამად არსებულ ენებს შორის ყველაზე უფრო ახლოა იმ ზმნურ წინარე ღვთაებრივ ენასთან. აკი იოანე ზოსიმეც ამასვე ბრძანებს სინას მთიდან.

ამგვარი ამალღებული ფიქრებით გართული, რედაქციიდან შინ მივედი თუ არა, ის სიტყვები გავისხენე, რომლებზეც ხშირად მისაუბრია და სია ჩამოვწერე. წერასაც მალე შევუდექი, მაგრამ ვიდრე სამიოდეს მოვათავებდი, სულ უფრო და უფრო მეტი სიტყვა მაგონდებოდა. მათმა რიცხვმა ოცდაათს რომ მიადნია, ვიფიქრე, მოდი ოცდაცამეტი იყოს, ანბანის ასოთა ფარდი-მეთქი. ვწერდი. რედაქციაში ბატონი თამაზი შემხვდა და ვახარე, ვწერ-მეთქი. ძალიან კარგო. მერე კიდევ შემხვდა და ვწერ-მეთქი. მე-სამედაც ასევე რომ მოვიქეცი, გაეცინა, ანგარიშს რად მაბარებო. არადა ისე დავამთავრე ამ ესეებზე მუშაობა, ადრესატად სულ მუდამ მას მოვიზარებდი. საბოლოოდ ორმოცდაათზე შევჩერდი. ზოგი მოკლე, სხარტი და ხუმრობანარევი გამოვიდა, ზოგმა სიტყვამ კი ისე გამამკვლევარ-გამაფილოსოფოსა, მოზრდილი თეოლოგიურ-სემანტიკური ტრაქტატები „შემომეწერა“. ამ ეტიუდებს ერთმანეთთან არც ერთიანი რამ ფაბულა აკავშირებს, არც თანმიმდევრობას აქვს რაიმე მნიშვნელობა. თითოეული ცალ-ცალკე და ყველა ერთად მაღლიანი ქართული ენისადმი ავტორის უსაზღვრო სიყვარულითაა შეკონილი.

მზად ვარ ეს თავიუღლი მკითხველს მივართვა.

აქსკალიბური

ერთმა ჩემმა მეგობარმა ევროპიდან სუვენირი ჩამომიტანა — მაგიდაზე დასადგმელი პატარა ექსკალიბური, მეფე არტურის სახელგანთქმული ხმლის ზედმინევენილი მოდელი, ქალაქის საჭრელად გამიზნული. ოქროცურვილი წარწერა ამშვენებს — **Excalibur!**

ეს სიტყვა ლამის ბავშვობიდან მაშფოთებს, რადგან მისი წიაღიდან ფოლადივით რეკს ქართველთათვის ნაცნობი სიტყვა — **ხალიბური!**

ცოტად თუ მეტად გაცნობიერებულ ქართველს უეჭველად სმენია ხალიბების შესახებ, ბუნდოვნად მაინც — ქართველების წინაპრები და მონათესავენი რომ ყოფილან უხსოვარ დროში, რკინისა და ფოლადის ავტორობა რომ მიენერებათ. დანვრელებით თუ არ იციან საკითხი, აკაკი ბელიაშვილის „ვეფხია ხალიბური“ და ამ რომანის მიხედვით გადაღებული „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“ ხომ ყველას გაუგონია.

მაინც გავიხსენოთ ზოგადად ხალიბების ამბავი.

ენციკლოპედიების თანახმად ხალიბები (ბერძნ. *χαλκίβηξ, χαλκίβου*) მცირე აზიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტომთა ერთი ჯგუფის სახელწოდებაა. ანტიკური ხანის მწერალთა ცნობებში ძირითადად დასავლეთ-ქართული ტომების — კოლხების, ტიბარელების, მოსინიკების, მაკრონების, მაკროკეფალების, ხალდების და სხვათა გარემოცვაში იხსენიებიან. ქსენოფონთან და სტრაბონთან ხალიბების სინონიმად არის მიჩნეული „ხალდები“, რომლებსაც VIII საუკუნის სომხური „გეოგრაფია“ ჭანებთან აიგივებს. ამიტომ ჩვეულებრივ ხალიბებსაც დასავლურ-ქართულ ტომებად მიიჩნევენ.

ანტიკური ხანის ავტორები (მათ შორის ესქილე, აპოლონიოს როდოსელი, არისტოტელე, კლიმენტ ალექსანდრიელი) ხალიბებს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სხვადასხვა რაიონში ათავსებენ და რკინის გამოგონებლებად, გამოცდილ მეტალურგებად მიიჩნევენ. ამკარაა ამ სახელწოდების კავშირი ბერძნულ ტერმინებთან „ხალფუს“ (რკინა), „ხალიბას“ (ფოლადი), თუმცა შესაძლებელია ეს ტერმინები კი არ მომდინარეობდეს ხალიბების სახელიდან, არამედ თვითონ სახელწოდება „ხალიბი“ იყოს განვითარებული ამ ტერმინებიდან, რკინის დამუშავებით განთქმული აქაური ტომების აღსანიშნავად. რკინის სადნობ ნედლეულად ისინი მაგნეტიტურ ქვიშას იყენებდნენ, რომლითაც ასე მდიდარია შავი ზღვის სანაპიროები (წამსვე ურეკი გაგვასხენდება). ხალიბები ოქროსა და ვერცხლსაც ამუშავებდნენ და ზოგადად სამჭედლო საქმიანობა უმაღლეს დონეზე აიყვანეს. მათი სახელი ყოველმხრივ გავრცელდა იმდროინდელ მსოფლიოში, რასაც თუნდაც ბიბლიაში მოსეს თანამებრძოლის ხალხების სახელიც გვიმონებს. ჰოდა, თუკი ძველ ეგვიპტესა და ისრაელში იცნობდნენ ხალიბებს, ბერძნები და ლათინები რკინასა და ფოლადს მათ სახელს უკავშირებდნენ, ვითომ ბრიტანეთამდე რატომაც ვერ მიაღწევდა დროთა განმავლობაში.

თუმცა ბრიტანელ მეკვლევარებს რომ კითხო, ექსკალიბურის სახელი ეტყობა ვალიური „კალედულჰ“-იდან მომდინარეობსო (**Caledfwlch**), მასში კი ორი სიტყვა — **caled** (ბრძოლა) და **bwlch** (დაჭრა, დანაკუნება) არის შერწყმულიო. ოღონდაც — ეტყობაო, ხოლო თვითონ რომ „ეტყობა“-ს ამბობენ, მე ხომ სულ აღარ დავიჯერებ, მით უფრო, რომ აგერ მათივე მთავარი წყარო — გოფრი მანტუტელი, XII საუკუნეში მოღვაწე მწერალი და ისტორიკოსი, „ბრიტანეთის მეფეთა ისტორიის“ ავტორი, მეფე არტურის უამთაღმწერელთა შორის ერთ-ერთი პირველთაგანი, თვითონ ადასტურებს კავშირს ხალიბებთან (ანუ ჩვენთან), როცა ექსკალიბურს მეორენაირად კალიბურნს უწოდებს, მესამენაირად კალიბურნუსს და ამბობს, ეს სახელწოდებები ლათინური „ხალიბს“-იდან (**chalybs**) მომდინარეობს, რაც „ფოლადს“ ნიშნავსო.

ჰოდა, ეს ქართული წარმომავლობის ხმალი არტურ მეფისთვის ტბის დედოფალს უჩუქნია, წყლის სიღრმიდან ხელი ამოუწვდია, ისე, რომ თვითონ არ დანახვებია და ექსკალიბუ-

რი მიურთმევია. ასე გვიამბობს გოფრი მანტუტელი და მერე სერ თომას მელორიც ამასვე იმეორებს. ბევრ სხვა წარმტაც ამბავსაც მოგვითხრობენ ისინი, მაგრამ ახლა მეფე არტურის დადევნება შორს წაგვიყვანს.

კრეტიენ დე ტრუას რომანში „პერსეველი ანუ ამბავი გრალისა“ ვკითხულობთ: სერ გავეინს წელზე ექსკალიბური ეკიდა, საუკეთესო ხმალი, რკინას ხესავით რომ სხიპავდა. „ხოლო ალფრედ ტენისონის პოემაში „არტურის წასვლა“ ამგვარ სტროფებს ვიპოვით:

**იმიშვლა ხმალი ექსკალიბური,
ხოლო თავზემით გაშიშვლდა მთვარე,
შემოიძარცვა ღრუბლის სამოსი,
ცაზე გაცურდა და ერთი სხივი
ესკალიბურის ვადაზე ასხლტა,
მყის აღმასები ააელვარა,
ჯადო-ოსტატის მიერ ასხმული
ტოპაზები და გიაცინტები
სხივს ნაპერწკლებით გაეპასუხნენ...**

ჰო, კიდევ ის, რომ ექსკალიბური იმ ხმალში არ უნდა აგვერიოს, ქვაში რომ იყო ჩაჭედილი და არტურის მეტმა სხვამ რომ ვერავინ ამოაძრო. ის სულ სხვა ხმალი იყო. და ის მეორე ხმალი, ექსკალიბურში რომ არ უნდა აგვერიოს, მე იმ ამბავს მაგონებს, დალის დანაბარების თანახმად სულკალმახმა ამირანის მახვილი დიდი მუხის ძირში რომ ჩადო და მისი იქიდან ამოღება ამირანის გარდა არავის რომ შეეძლო თურმე... შემდეგ კი, როცა ამირანი გაიზარდა, ამოიტანა თავისი მახვილი ხის ძირიდან და მისი გამონართობა მოინდომა...

მეტი რაღა ევროინტეგრაცია გვინდა?

კიოსკი

ზოგიერთი სიტყვა ორჯერ შემოიპარება ხოლმე ერთსადა-იმავე ქვეყანაში.

თანაც ისე, რომ ვერც კი იცნობ.

ასე მაგალითად, სიტყვა **კიოსკი**, წერილმანი ვაჭრობისათვის ან რაიმე დანადგარებისთვის განკუთვნილ პატარა, მსუბუქ ნაგებობას რომ ქვია, ყველამ რომ იცის და ყველას რომ უნახავს.

სიტყვა, ცხადია, XIX-XX საუკუნეში რუსულიდან შემოვიდა ჩვენში, ხოლო რუსულში კი ფრანგულიდან XVIII-ში, ფრანგულად „ფანჩატურს, საპარკო პავილიონს“ ნიშნავდა, დეკორატიული ხასიათის ნაგებობას. თავდაპირველად კიოსკები სავაჭროდ განკუთვნილნი არ იყვნენო, გვამცნობენ რუსი ეტიმოლოგები, მაგრამ დროთა განმავლობაში ფრანგული ყაიდის დეკორატიული ფანჩატურები მოდიდან გადავარდნენ და თანამედროვეობაში ამ სიტყვამ ძირითადად კომერციული დანიშნულება შეიძინაო.

ინგლისური ენის განმარტებით ლექსიკონში კი დაზუსტებულია: სიტყვა კიოსკი (**A kiosk**) ჩვენში თურქული კიოსკიდან (**köşk**) გადმოვიდა, ხოლო თურქულში კი თავის მხრივ, სპარსული კუშკიდანო (**kūshk**).

ახლა, ცხადია, ყველას მკაფიოდ ჩაგვსმათ, თუ სინამდვილეში, რომელ სიტყვასთან გვქონია საქმე, პირველად რომ XI საუკუნეში გამოჩენილა ქართული ენის არენაზე, მეორედ კი, აგერ ახლახანს.

ახლა უკვე ჩვენებურ ლექსიკონშიც ჩავიხებოთ:

კოშკი — თურქ. ქოშქ BCDE, [ყალა], [ბურჯ]. წერილი და მალალი ციხე ZA. ქართულ წყაროებში XI საუკუნიდან გვხვდება. მანამდე უწოდებდნენ გოდოლს, მურყვამს.

ასე, რომ, თუ გვინდა, თავისი ყოვლად შეგვიძლია ვიხმაროთ გამოთქმები: პიზის დახრილი კიოსკი, ეიფელის კიოსკი, ანდა „თელასის“ სატრანსფორმატორო კოშკი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



მიხეილ ქოპილაშვილი

დავიბადე თბილისში, 1991 წელს. 5 წლის ვიყავი, როდესაც მამა გარდაიცვალა, დარჩა დედაჩემი ორი პატარო ბიჭი. 5-წლიან თანაცხოვრებას აგერ უკვე 18-წლიანი ქვრივობა მოჰყვა. მამის გარდაცვალებამ ჩემი ემოციური შოკი გამოიწვია, რის გამოც პატარაობაში ენა მივბოძა. ლოგოპედმა მირჩია, რაც შეიძლება ბევრი მეკითხა ხმამაღლა. ეს რჩევა გავითვალისწინე და დეფექტი, რომელიც ჩემს მეტყველებასთან ასოცირდებოდა, თანდათან გაქრა.

პირველი ლექსი, თუ შეიძლება ლექსი ეწოდოს, მე-3 კლასში დავწერე. დედას ეძღვნებოდა. სკოლაში სწავლისას განსაკუთრებით მიყვარდა პუმიანიტარული საგნები, ტექნიკურ საგნებს ნაკლებ ყურადღებას ვუთმობდი, ნიშნებიც შესაბამისი მქონდა. ფრიალოსანი არ ვყოფილვარ, ქართული ლიტერატურის გაკვეთილები იმდენად მიყვარდა, რომ ვცდილობდი არასდროს გამეცდინა. ბაბუაჩემი მამული ოჩიკვაძე ქართულის ცნობილი პედაგოგი იყო, ამასთან, შესანიშნავად წერდა, სამწუხაროდ, ლექსების კრებულის გამოცემა არ დასცალდა. შემთხვევით არაფერი ხდება და ალბათ წერის ნიჭი ბაბუასგან „გადმომდო“. დავამთავრე 142-ე საჯარო სკოლა, თუმცა ეს სკოლა არ ყოფილა ერთადერთი, სადაც მისწავლია. ძალიან ემოციური ბავშვი ვიყავი, სკოლაში სწავლის პროცესში ჩემი შემოქმედებითი აქტიურობა თავისუფალი თემების წერით შემოიფარგლებოდა, თუმცა იმავდროულად მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში დავდიოდი ლიტერატურის წრეზე, რომლის ხელმძღვანელი ქალბატონი ლეილა ქიტოშვილი იყო. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს არის ადამიანი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ჩემს განვითარებაში.

კარგად მახსოვს პირველი დღე, როდესაც მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში მივედი, ჩემი ჩაცმულობა არაფრით განსხვავდებოდა რიგითი ბუღალტერის ჩაცმულობისგან, ქალბატონი ლეილა ახლა ამ ყველაფერს იუმორით იხსენებს, თუმცა მაშინ სასაცილოდ არ იყო საქმე. ჩაცმულობასთან ერთად მანერებიც „გამოვიჩრქოდი“, თან არცთუ ისე კარგით. თუმცა მიუხედავად ყველაფრისა, ქალბატონმა ლეილამ მიმიღო, მან შეძლო აღმოეჩინა ჩემში ის, რაც სკოლაში სწავლისას ვერაინ აღმოაჩინა, მისმა სწორმა მიდგომამ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში ჩემი დარჩენა განაპირობა. თანდათან ჩვენი ურთიერთობა დათბა და დღემდე ვმეგობრობთ. არასდროს დამავინყვდება მასთან საუბრები. სიტყვები არ მეყოფა იმ მაღლიერების გამო სახატავად, რომელსაც მის მიმართ ვგრძნობ. პირველი თემა, რომელიც იქ დავწერე, იყო „მერანი“. ამას მოჰყვა კონფერენციებში მონაწილეობა. 2008 წელს ჩემმა ჩანახატებმა „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს“ ანუ თემქის პერიპეტეიები, პირველი ხარისხის დიპლომი მოიპოვა. 2009 წელს ისევ მივიღე კონფერენციაში მონაწილეობა, ისევ ჩანახატებით „ფიქრებთან პირისპირ“. ამ წელსაც პირველი ხარისხის დიპლომი მოვიპოვე. 2013 წელს ვმონაწილეობდი სასწავლო უნივერსიტეტის „რვალი“ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაში. და კვლავაც პირველი ადგილი. შარშან დეკემბერში სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა პროექტი, „ნიგნის მართონი“, მონაწილეებს უნდა წარგვედგინა ნიგნი და მის შესახებ გვესაუბრა. მე ფიოდორ დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვები“ შევარჩიე და „ნიგნის მართონის“ გამარჯვებული ვახვდი. სკოლის დამთავრების შემდეგ ვავიარე სამხედრო სავალდებულო სამსახური. ვსწავლობ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მე-4 კურსზე. მყავს დედა და ერთი ძმა.

მოსაწყვძი

წავიდეთ ერთად, სადაც მზეა, სადაც დარია. ალარაფერი ალარ მიკვირს, არც მიხარია. წავიდეთ სხვაგან, სხვა სოფელი, სხვა მთვარე ვნახოთ და ოცნებები (თითო-თითოდ) თოვლში ჩავმარხოთ.

წამოდი სხვაგან. წავიდეთ ერთად, სანამ გვცალკია, დავტოვოთ მინა, სად არასდროს გაგვიხარია. წამოდი, ერთად წავიდეთ ღმერთთან...

მშობლიურ სახლში დავბრუნდე მინდა, სადაც არც ქარი, არც ავდარია.

... ამოდი ჩემთან და, სანამ წავალთ, კარგი იქნება, თითო დავლიოთ. გზა დამილოცე, გზას დაგილოცავ და ერთად შევხვდეთ ცისფერ ალიონს.

... მერე წავიდეთ, სამუდამოდ დავტოვოთ მინა — „უთვალავ ფერით“ მოხატული მუქი პალიტრა...

* * *

აი, ჩემი არაონი ორიონს... ლურჯ ტალღებზე ჩემი ქარი რონინებს, საგულეში მეუფება წყვილიადის გულს მოგიკლავს, სულს არ მოგათქმევინებს. სვეტად ადგას მზის სხივები სასულეს... სულო, სევდით ასე რატომ აივსე?! საზიარო ზმანებათა ლანდების კაემანი რატომ გაითავისე?! აკლდამებში დასვენებულ აკვნებში, სულო, სულის სიმახინჯე დამალე, საზღაპრეთში გადაკარგულ ოცნებებს, მწვანე ცრემლით ათრთოლებულ ტრამალებს დაედევნე, სულო, იქნებ ენო გალოთებულ ნამარტალში სიმშვიდეს, დამსხვრეული ფრთებით გადახვენილო, დაუცველო, როგორც ბავშვის სიმშველე... ...აჰა, ჩემი არაონი ორიონს... შენს აკვანში ჩემი სული რონინებს...

აზონიური

მელაპარაკე, სიყვარულზე მელაპარაკე, სანამ სიკვდილთან არ მომიწევს დაქორწინება. შენი თვალების შარავანი მინდა მფარავდეს...

აღსარებასავით

დასრულდება დასაწყისი, ვერ მოვასწრებთ სინანულს... არ გვეყოფა დრო და სივრცე, ქვეყნად ერთხელ მოვედით. სიყვარული? შეჩვევაა, თორემ გამოვტოვებდით. ალბათ, სულ სხვა იქნებოდა, თავიდან რომ გვეცხოვრა — მთელი გულით ვირწმუნებდით დავინყებულ მაცხოვარს... გახსოვს ზეცა, ბავშვის ცისფერ თვალებში რომ იხილე, მწვერვალები თეთრი წვერით, მცხუნვარე მზის სიგრილე? გინდა გრძნობდე, დედამინის გულისცემას ხედავდე, მორიდებულ მათხოვართან ჩახუტებას ბედავდე, ხორცი მინას მიაბარო, სულში დარჩეს ადგილი? დაგიმგზავრებ, ზეცამდე რომ შევიმოკლოთ მანძილი...

მუნკი

ვითვლი ნაბიჯებს და ვხატავ გარინდებებს,
სული შენი კუბოს თანამეცხედრეა...
რატომ არ მიგყავარ, რად არ დამასვენებ,
დარდი მეძალეა, აგერ, მეცხრე დღეა!
ვლექავ ოცნებებს და ვტანჯავ მოგონებებს,
ჩემი სისხლი მელანს უკვე შეერია.
ახლა შავი არის ჩემი გულისთქმა და
შენი სუნთქვა კიდევ — ლურჯი ფერია.
მზის სხივებს ვკოცნი და ვეტრფი შენს ნატერფალს...
მეტყველი დუმილით გული გაირინდა.

ხელში — ღვინის ბოთლი... ბოთლზე — წვიმის წვეთი,
სულში — დელგმაა და ლურჯი, ლურჯი ბინდი...

* * *

...როდესაც ასე — მოკრძალებით — გაყრიან მინას,
მოკრძალებული დაკრძალვაა და უნდა იყოს
გაუმხელელი კაეშანი დახუჭულ თვალთა...
ზეცა მინისთვის ნარმოგზავნილ ლაჟვარდებს ითხოვს.
აჰყვება ხალხი მონაჭორს და ახრჩოლებს ფიქრებს
„აკრძალულ ხილზე“ „მოკრძალებით“ იმსჯელებს როცა,
სანამ პოეტი არ დაამსხვრევს სისხლიან კალამს
და კლავიშებზე შეადნება თითები მოცარტს...
დარდობენ ასე — არაფერზე, არაფრის გამო,
რადგანაც ყველგან აბსურდია აბსოლუტს მიღმა...
...გრჩება ვარდისფრად დაფერილი ერთი საღამო,
ვიდრე უარსო არსებობას ლექსით შენიღბავ...

დედისიყვადი — დავითს

ერთხელ მხოლოდ, ისიც — ფიქრში

მითხარი, რას გრძნობ, როცა მხედავ, მითხარი, რას გრძნობ.
ოდესღაც ლამაზს — ცრემლები მახრჩობს.
წავიდა წლები, სიყმაწვილის წავიდა წლები
და მე უშენოდ, სიყვარულის გარეშე ვკვდები.
მითხარი, რას გრძნობ, როცა მხედავ, მითხარი, რას გრძნობ.
წავიდა წლები, სიხარულის წავიდა წლები
და მონანიე, სინანულის ამარა ვრჩები.
მითხარი, რას გრძნობ, როცა მხედავ, მითხარი, რას გრძნობ.
წავიდა წლები, ბრწყინვალეების წავიდა წლები.

მონოლოგი მაგასთან

ველარ გავიგივ, მე ვწერ სიცოცხლეს,
თუ ჩემსას წერენ ეპიტაფიას.
საფლავის ქვასთან შემოვრჩი მარტო.
ვუძღვებ. ზიზღს ვუძღვებ და აპათიას.
ვხედავ სამყაროს შენი თვალებით,
ვამყარებ იმედს უიმედობის,
შვებას ვერ მოგვგრის ჩემი ნაწერი,
არ მსურს მოსმენა სხვათა ყბედობის.
მე აჩრდილებთან ერთად მოვედი...
შეხე ძმაცაცებს — შენთან არიან.
ვინ თქვა, არ არის მეტი სიცოცხლე,
სიკვდილის შემდეგ რომ სამარეა.
ვაფერფლებ მინას მოკლულ ოცნებებს,
შენთან შეხვედრის ბავშვურ იმედებს,
ტყვია ვერ მომკლავს, ვიცი, შენსავით,
შენსავით თუკი მეც გამიმეტეს.

გაყინულ მინას თუკი გაგითბობს
ვერმოსწრებული შვილის ცრემლები,
გულში ჩაგიკრავ, სანამ ზეცაში
არ შეხვდებიან ჩვენი ხელები.
გულში ჩაგიკრავ და, როგორც მაშინ,
შენ დაგიჯერებ, ამას გპირდები,
გულში ჩაგიკრავ და, როგორც ბავშვი,
უხმოდ, უცრემლოდ ავქვითინდები.
მე აჩრდილებთან ერთად მოვედი.
შეხე ძმაცაცებს — შენთან არიან...
მითხარი, ხვალე ხომ მოხვალ სახლში?
შენი სიკვდილი რომ სიზმარია...

* * *

როდესაც სიჩუმე აღარ გასურს წამოგცდეს,
ინყება თავიდან სიცოცხლე, რომელიც
გაუსაძლისი ტკივილით ლამაზობს.
არ გინდა სიცოცხლის გარეშე სიკვდილი,
სიკვდილიც სიცოცხლეს (სხვანაირს) გთავაზობს
და ასე თავაზით გადიან დღეები...
თანდათან შენს სხეულს მინასაც აყრიან...
რადგანაც მზეები, რომლებიც დავმარხეთ
უმზეო მინაში არასდროს ჩადიან.

* * *

რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა...

...იმ ლამაზ წუთებს რა ვუყო, დროში ვერასგზის დანატყვეს,
მითხარი, როგორ გავწირავ ღამეს, ედემში განათყვეს?!
მამის საფლავზე, ჩემ ნაცვლად, მითხარი, სხვა ვინ ილოცებს,
ვინ შეკრავს თაიგულებად გაზაფხულებზე მიმოზებს?!
მანდ სულ სხვა დარი დამხვდება, დღე არ იქნება მზიანი,
სხვის საფიხვნოზე იქნება, „სიტყვა მავიდეს გზიანი“?!
მთვარეს ერქმევა „მუსტაფა“, „ბადრის“ თქმასა ვარ ნაჩვევი,
რახს რა შემატკობს, ჩემია კახური გადანარჩევი.
არ მინდა (ველარც ავიტან) წამები წლებად მენელოს.
ჩემს ლელოს აქაც გავიტან... ძმაო... შენ ჯვარი გენეროს...

ღაზუსტაჯებით

სიგარეტის ნამწვავებს (ჩემს გრძნობას რომ ამწვავებს),
შენს თვალებს და წამწამებს (მე რომ დღემდე მანამებს),
თოვლის ფანტელს შეურყენელს, იადონის გალობას,
ხან ეშმაკის ცივ მზერას, ხანაც — უფლის წყალობას,
ვაგროვებდი ყოველდღე სიყვარულზე ოცნებებს,
ტკივილებს და სიხარულს (ახლა რომ გაოცებენ).
ვენეოდი თამბაქოს (ალკოჰოლიც მიყვარდა),
იცი, ჩემი ცხოვრება ბოჰემურს რომ მიჰგავდა...
(ხვდები, რაზე ვსაუბრობ, ბოჰემური რაღაა),
ვიცი, ნუ შემახსენებ — ჩემს თვალებში დაღლაა.
იცი, რამ გადამღალა, სევდით რატომ ავიცხი —
რაც შენ გულს გატკივებდა, ჩემად გავითავისე.
ჩემი ჭიქა შევივსე (შენი დარდით ვთვრებოდი),
შენ რომ დიდხანს გეცოცხლა, მე ტკივილით ვკვდებოდი.
ჭიქას მოჰყვა ფიალა (ისევ — შენზე ოცნების),
ღვინო არ გავიკარე (დრო არ მქონდა მოცდენის).
მუდამ შენზე ვფიქრობდი (იცლებოდა ყანწები),
ლამე მესიზმრებოდა სანთლისფერი ღანწები.
მეკითხები, რამ მომკლა (მაშინ რატომ არ მკითხე?)
სიტყვა არ მათქმევინე, გამიბრაზდი, გამკიცხე)...
შენი დარდი ვიდარდე და ტკივილით ვკვდებოდი...
ერთხელ შეგბრალბოდი, ალბათ, გადავრჩებოდი...

მე ვარ თონა გოგილავა. ვსწავლობ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მაგისტრატურაზე, ლიტერატურის თეორიის მიმართულებით. ლიტერატურა ჩემთვის ყველაფერია, ჩემი ცხოვრებაა, ამიტომ ბედნიერი ვარ, რომ იქ ვარ, სადაც უნდა ვიყო. ეს სულ სხვა ხედვაა, სხვა სამყაროა, მე ამ სამყაროში, როგორც პროფესიონალი, პირველი ნაბიჯების გადადგმას ახლა ვცდილობ და ვაცნობიერებ, თუ რაოდენ ბევრი მაქვს შესამეცნებელი და გასაკეთებელი. ბოლო დროს ძალიან გამიტაცა იაპონურმა მწერლობამ. ძალიან მომწონს იაპონელი ნობელიანტის, კობო აბეს შემოქმედება. ჩემი წერილი მის ერთ-ერთ რომანს შეეხება. რომანი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ჩემთვის კი ქვიშა ცხოვრებაა, ცხოვრება ბრძოლაა, ქვიშა მოძრაობაა, მოძრაობაა თვით ცხოვრება. ვფიქრობ, ეს ყველაფერი ავტორის მიერ კარგადაა მოტანილი მკითხველამდე.

თონა გოგილავა

კობო აბეს ქვიშის ფილოსოფია

ადამიანის მარტოობის თემა საუკუნეების განმავლობაში აქტუალური იყო ლიტერატურაში, როგორც მსოფლიო, ასევე ქართულ მწერლობაში. ჯერ კიდევ საუკუნეების წიაღიდან მოგვესმის შუშანიკ დედოფლის სევდანარევი სიტყვები: „ჩემდა მარტოისდა არიან ჭირნი ჩემნი“. მაგრამ თავის მარტოობას ადამიანი ღმერთის არსებობის რწმენით სძლედა. გასული საუკუნის დასაწყისში კი მან ეს რწმენაც დაკარგა და თავის წარმოსახვაში სრულიად უმწიფო, უსუსურ არსებად იქცა. ადამიანთა შორის სისხლისღვრამ, გაუთავებელმა ომებმა, ტექნიკურმა პროგრესმა თითქოს გამოფიტა, გამოაცარიელა ადამიანის სული. ხელოვნებაში ნიჭილიზმმა, სკეპტიციზმმა, ადამიანის დანიშნულებაში დაჭკვებამ თავისი გამოვლინება ჰპოვა.

აღნიშნული ტენდენციები იაპონელი მწერლის, კობო აბეს შემოქმედებას აახლოებს ეგზისტენციალიზმთან, იმ მოვლენასთან, რომელიც XX საუკუნის 30-იანი წლებიდან აიტაცეს ევროპაში, ვინაიდან ის ზუსტად შეესატყვისა ეპოქის სულისკვეთებასა და სატკივარს.

მთავარი გმირი რომანისა „ქალი ქვიშაში“ ნიკი ძიუმპეია. უბრალო მასწავლებელი, ჩვეულებრივი ადამიანი, რომელიც მწერების კოლექციის შეგროვებითაა გატაცებული და ოცნებობს, ენტოლოგიურ ატლასში რომელიმე ხელახლა ნაპოვნი მწერის მეცნიერული ლათინური სახელწოდების გვერდით მისი სახელიც აღინიშნოს და ამგვარად საუკუნოდ შემორჩეს ადამიანთა მემკვიდრეებს.

ავგისტოს ერთ დღეს ნიკი ძიუმპეი შინიდან გავიდა და „ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერა გაიგეს რა. არც პოლიციის ძებნას, არც გაზეთებში გამოცხადებას შედეგი არ მოჰყოლია“.

მთავარი ამბის მოთხრობამდე მწერალი მეტს არაფერს გვეუბნება გმირის ცხოვრებაზე. თითქოს მანამდე არც არაფერი ხდებოდა და, რომც ყოფილიყო რამე, მაინც არ ექნებოდა მნიშვნელობა.

მწერების ძებნით გართულ ნიკი ძიუმპეის ქვიშის სოფელში შემოღობა. ადგილობრივმა მეზადურებმა მოტყუებით, ღამის გათევის მოსაბაბებით ჩაიყვანეს ქვიშის ორმოში, ქვემოთ ჩასასვლელი თოკის კიბე ამოიღეს და მასწავლებელი ორმოში მარტო დატოვეს.

ყველაფერი ამ დღიდან იწყება... მათ კი, ვინც გარეთ დარჩნენ, მოვალეობა მოიხადეს, გარკვეული პერიოდი ეძებეს ნიკი ძიუმპეი, ხოლო შვიდი წლის შემდეგ, ვინაიდან მასწავლებელი არ გამოჩნდა, მკვდრად გამოაცხადეს... .

ეს არის რომანი ქვიშის ფილოსოფიაზე. ავტორს ქვიშა აინტერესებს არა მისი მატერიალური მდგომარეობის, არამედ მისი თვისებების გამო. ქვიშა უსიცოცხლოა, ამიტომ მის უსიცოცხლო ოკეანეში, უდაბნოში არაფერი ხარობს. ქვიშაში მხოლოდ მწერები არსებობენ. მასში არც წყალია, არც ჰაერი. მაშ როგორ შეიძლება ქვიშაში ვინმე გაძლოს? თურმე შე-

საძლებელი ყოფილა. ნიკი ძიუმპეის ორმოში ხვდება ახალგაზრდა ქალი, რომელიც ბედს არსებითად შეჰგუებია და „ქვიშის ქალი“ გამხდარა. „ქალს, რომელიც ფარნით შემოხვდა, წელან დედაკაცი უწოდეს და უკვე წარმოიდგინა, რომ იგი ბებრუხანა იყო“. ქალი სრულიად მარტო გახლდათ, ახლა მას „თავისიანი“, მარტოობისთვის მეორე განწირული ჩამოუყვანეს...



ნიკი ძიუმპეის თავიდან ყველაფერი ხუმრობა ეგონა და ფიქრობდა, ქვიშის კედლებს თავს მალევე დავაღწევო, მაგრამ რეალობა უფრო მკაცრი აღმოჩნდა, ისეთი, როგორსაც ვერც ვერასოდეს წარმოიდგენდა. ქვიშა ნამდვილი ლაბირინთია, მაგრამ ნიკი ძიუმპეი თავიდან მაინც არ ეპუება მას. მთავარ გმირს არ ესმის, თუ რატომ მოხდა ის, რაც მოხდა. რატომ არის, იქ, სადაც არის და რა უფლებით ალუკვეთეს თავისუფლება. მაგრამ კითხვები კითხვებადვე რჩება, მათზე პასუხებს ნიკი ძიუმპეი ვერ იღებს. მაგრამ „ქვიშის ქალი“? ნუთუ მანაც არაფერი იცის? მთავარი გმირი მისგან ვერცერთ კითხვაზე ვერ იღებს პასუხს. როგორც ჩანს, ქალიც, მის მსგავსად, ქვიშის მსხვერპლია.

საინტერესოა თუ რა წარმოდგენა ჰქონდა ნიკი ძიუმპეის ქვიშაზე აქამდე: „მოძრაობაა ქვიშის სიცოცხლე... . მას უბრალოდ არ შეუძლია ერთ ადგილას გაჩერდეს... . აი, რატომ ვერ ცოცხლობენ ჩვეულებრივი არსებები ქვიშაში... . ეს ეხება ლბობის გამომწვევ ბაქტერიებსაც... ქვიშას, შესაძლოა, სისუფთავის განსახიერება ვუნოდოთ. იგი, შესაძლოა, სპობასაც კი უშლის ხელს... ქვიშა ყოვლად ნესიერი მინერალია“.

აქამდე ნიკი ძიუმპეიმ არ იცოდა, რომ ყველაფერი პირიქითაა, რომ ქვიშა ყველაფერს ამტვრიანებს, რასაც კი ეხება და რომ ქვიშაში სიცოცხლის ხეც შეიძლება დალპეს... . ქალის ნათქვამი ნიკის უაზრობად ეჩვენება.

ნიკი ძიუმპეი არ ეგუება მდგომარეობას. ცდილობს გაიქცეს, გაექცეს ქვიშას, მის მონობაში ყოფნას... . ერთხელ ამას კიდევაც მოახერხებს, გაიქცევა... . დაიჭერენ და ისევ ორმოში დააბრუნებენ. გამოსავლის ძებნა გრძელდება. ნიკი წყლის ტუმბოს აკეთებს და ორმოში წლის პოვნას ცდილობს. ქალი შეგუებულია მდგომარეობას, ის თითქოს მშვიდად ელოდება, რა იქნება მომავალში. მისი ინერტული მდგომარეობა ნიკი ძიუმპეის აოცებს. ქალში კი პირიქით, ნიკის მცდელობანი იწვევს გაკვირვებას.

ქვიშასთან ბრძოლა ჩვენში სიზიფის მითს აღვიძებს, ცხოვრება კაცობრიობისთვის ქვიშის ზიდვაა, ნიკი ძიუმპეისთვის კი ქვიშისგან თავის დაღწევის უშედეგო ცდა, „კიბე რომ არაა, როგორ ავიდე მაღლა?“ თვითგადარჩენის გაუთავებელი მცდელობა გვფიქვავს, ნიკი ძიუმპეიც შეეგუა თავის მდგომარეობას, რადგან ადამიანი საბოლოოდ მაინც ყველაფერს ეჩვევა... . ცხოვრება კი თავისი ერთფეროვნებითა თუ მრავალფეროვნებით მაინც გრძელდება.

...და ნიკი ძიუმპეი უკვე ქალს ეხმარებოდა ქვიშის შეგროვებაში, რათა კვირაში ერთხელ მოსული სოფლებებისთვის დაეხვედრებინათ იგი. „რალა გამოდის, მხოლოდ იმისთვის ვცხოვრობთ, რომ ქვიშა ვხვეტოთ?!“ ნიკი ძიუმპეის არაფრით არ სურდა ასეთ ცხოვრებას ზიარებოდა, მაგრამ სურვილი ერთია და გამოსავალი სხვა. „ამ სისულელეს ბოლო უნდა მოელოს... ერთხელ და სამუდამოდ“, მაგრამ ის არ მთავრდება...“ ყრუ ტკივილი ძვლიდან ძვალს გადაეცემოდა და დაყურებას პირი არ უჩანდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს სხეულში ქართან ერთად დაჟანგული თუნუქა შეეჭრა და იქ დახრივინებდა.

ადამიანი ამგვარი ტკივილით დაიარება... რა იწვევს მას, საიდან მოდის იგი? ან როდის მთავრდება? ნიკი ძიუმპეი ფიქრობს: „იქნებ ჩემ მიერ განცდილი გრძნობა-თითქოს ყველაფერი გამოზუგული მაქვს, უბრალო შურია. შური ყოველივე იმის მიმართ, რაც მაღლა დავტოვე?“... ტკივილი იმაზე ნუხილია, რასაც ვერ შევწვდით, რისი იმედიც დავკარგეთ... „სოფელი კაცს ძალზე მკაცრად დარაჯობს“, მაგრამ საარსებო წყალსაც იგივე სოფელი აწვდის...

ერთი შეხედვით ორმოდიან თავის დაღწევა შეუძლებელი იყო, მაგრამ ქალი სოფლის მაცხოვრებლებს ერთ დღეს მაღლა აჰყავთ, მას შემდეგ, რაც საკმარის ტკივილს დაითმენს... სოფლებს ქალი სინათლეზე აჰყავთ და თოკის კიბეს ორმოში ტოვებენ... ნანატრი კიბე... გამოსავალი გარეთ გასასვლელად... მას ცხოვრება ერთხელ მაინც მოგვიგდება, შემდეგ არჩევანი ადამიანზეა, აჰყვება მის მოძრავ საფეხურებს, თუ ისევე იქ დარჩება, საიდანაც გაქცევას ფიქრობდა.

ეგზისტენციალიზმისთვის დამახასიათებელ აბსოლუტური უიმედობას, უპერსპექტივობას კობო აბეს რომანში კიბის — როგორც გამოსავლის — დატვირთვა ჩაანაცვლებს, რითაც მწერალი ბოლომდე არ ატარებს ამ მიმდინარეობის პრინციპებს თავის ნაწარმოებში, არამედ მხოლოდ უახლოვდება მას.

სათქმელი გასაგებია: „განა ცხოვრება საბოლოო ანგარიშით ქვიშას არა ჰგავს? როცა მშვიდადაა, არაფრით ავლენს თავის არსს... სინამდვილეში ის კი არ მოძრაობს, თვითონ მოძრაობაა ქვიშა“... თავად ცხოვრებაც მოძრაობაა...

რომანის მთავარი გმირი ნიკი ძიუმპეია, მაგრამ რომანს ჰქვია „ქალი ქვიშაში“, რადგან სწორედ ამ უკანასკნელით დაიწყო მარტოობა და მანვე დააღწია პირველმა თავი ქვიშის მონობას, გავიდა სინათლეზე... ორმოს კი მაინც ცერმლით ტოვებს, რადგან იქ ტოვებს კიდევ ერთ მისიანს, რომელიც შეიძლება სხვისი მასპინძელი გახდეს, მანამდე კი განწირულია დიდი მარტოობისთვის. თუმცა არჩევანი ამჯერად ნიკი ძიუმპეიზეა, რადგან კიბე ისევე იქაა...

რა გამოვიდა ნიკის ბრძოლით, შეუპოვრობით? უმოქმედო, მდგომარეობას შეგუებული ქალი მასზე წინ გავიდა ორმოდიან. ასეა, ცხოვრება თავად გვიჩვენებს გზას, გვაძლევს გამოსავალს, სხვაგვარად ჩვენ სრულიად უმწეო არსებანი ვართ.

კითხულობ ამ რომანს და თითქოს ქვიშის მარცვლებით გვესება პირი, გრძნობ, ტერფებქვეშ ქვიშა როგორ გადაადგილდება... თავიდან შეიძლება იფიქრო, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ ილუზიური შეგრძნებაა, თუმცა შემდეგ ხვდები, რომ შენც, მკითხველიც, ამ ქვიშის ტყვეობაში ხარ.



რაინერ მარია რილავე

გველუშავის მკვლელი

იყო ერთი წარმტაცი და დოვლათიანი ქვეყანა ტყეებით, ველებით, მდინარეებით, ქუჩებითა და ქალაქებით. უფლის ნებით ამ ქვეყანას მართავდა ხელმწიფე, უფრო მსცოვანი და ამაყი, ვიდრე სხვა მეფენი, ვისი ამბავიც კი ოდესმე სარწმუნო ყოფილა. ხელმწიფეს მხოლოდმოხილი ასული ჰყავდა, სპეტაკი სიყმაწვილით, მურაზითა და სიტურფით შემკული. მეფე მეზობელი ქვეყნების ყველა გვირგვინოსანს ენათესავებოდა, მისი ქალი კი, ჯერ ბავშვი, მარტო იყო, თითქოს უთვისტომო. ეჭვი არ არის, ასულის თვინიერებამ და სინაზემ, ჯერ არ გაღვიძებული უსიტყვო იერსახის ძალამ მიიზიდა უნებლიეთ ის გველუშავი, ქალის ზრდასა და გაფურჩქვნასთან ერთად ნელ-ნელა რომ მოიპარებოდა და ბოლოს ქვეყნის ყველაზე უმშვენიერესი ქალაქის მახლობლად, ტყეში დაიგანა, როგორც განსახიერებულმა საშინელებამ; ხომ არსებობს იდუმალი კავშირი მშვენიერსა და საშინელს შორის, ისინი გარკვეულად ავსებენ კიდევ ერთურთს, როგორც ღალი სიცოცხლე და ყოველდღიური სახლოვე სიკვდილისა.

თუმცა, ვინ იცის, იქნებ გველუშავი ყმაწვილქალთან სამტროდ არც მოსულიყო, ისევე როგორც ვერავინ შესძლებს ფიცსა და მტკიცს, რომ სიკვდილი ნამდვილად სიცოცხლის მოძულეა. იქნებ ეს ვეება ცეცხლისმფრქვეველი მხეცი ფინიასავით გართმზულიყო კიდევ ქალის ფეხებთან და, რომ არა ეგზომ საზღვარი ენა, ცხოველური მონურობით ელოკა მისი ნატიფი ხელები. მაგრამ აბა ამას ვინ დააჯიდა, მეტადრე, რომ გველუშავი, როგორც ხორცმცხსმული სიკვდილი, უმოწყალოდ თავს ესხმოდა და ეპატრონებოდა ყველას, ვინც უნებურად მის სახლოვეს გაიჭაჭანებდა, არც ბავშვს ინდობდა, არც ფარას და ჯოგს.

ხელმწიფე ჯერ კი კმაყოფილებით აღნიშნავდა, ამ განსაცდელმა და საფრთხემ ჩემს ქვეყანაში ბევრი ყმაწვილი დაავაჟყავაო. რადგან სხვადასხვა ნოდების ვაჟები, დიდგვაროვანთა შვილები და ეკლესიის მორჩილი თუ გლეხის ბიჭები, ისე მიდიოდნენ შინიდან, თითქოს უცხო, შორეულ ქვეყანაში გაუწევიათო. როგორც სიზმარში, ისე მოექციათ გმირობის ერთადერთ, მხურვალე, სუნთქვისშემკვრელ წამში საკუთარი სიცოცხლეცა და სიკვდილიც, იმედიცა და შიშიც. თუმცა ორიოდვე კვირის შემდეგ აღარც ამ გაბედულ ვაჟებს ითვლიდა ვინმე და აღარც მათ სახელებს ინერდნენ. ძნელბედობის ჟამს ერი ხომ გმირებსაც ეჩვევა; მათში უჩვეულო აღარაფერია. მათ უხმობს ათასთა გრძნობა, ზარი, შიმშილი, და ისინიც არ აყოვნებენ, ჩნდებიან როგორც გარდუვალობა, როგორც პური არსობისა, დადგენილი იმ უკანასკნელი კანონებით, უბედურების დროსაც რომ აქეთ ძალა.

მაგრამ როდესაც იმათი რიცხვი, ვინც უთანასწორო შერეინებისას დაეცა, ისე გაიზარდა, რომ ქვეყანაში თითქმის ოჯახი აღარ დარჩენილიყო, თავისი რჩეული ვაჟი (ხშირად ჯერაც პირტიტველა), ამ ბრძოლაში არ გაენირა, შეფიქრიანდა მეფე, ვაითუ ქვეყანამ ყველა უფროსი ვაჟი დაკარგა, მაშინ ხომ ბევრი გოგონა ქალობის ხანგრძლივ ნლებს უშვილობაში გალევს ქალწულად დაქვრივებული, და ხელმწიფემ თავის ქვეშევრდომებს აუკრძალა ბრძოლა. უცხოელ ვაჭ-

რებს კი, თავქუდმოგლეჯილი რომ გარბოდნენ ბედ-შავი ქვეყნიდან, აახლა სიტყვა, რომელსაც ასეთ დროს მეფენი ოდითგან ბრძანებდნენ: იმას, ვინც ჭირში ჩავარდნილ ქვეყანას ამ დიდი სიკვდილისგან იხსნის, მეფის ასულის ხელს ვპირდები, გინდ თავადის შვილი იყოს, გინდაც ვინმე მდაბიო ბოგანო.

და შოი საოცრებაც, უცხოეთშიც რამდენი გმირი ყოფილა და რამდენს სწყურებია მაღალი ჯილდო. თუმცა ამ ქვეყნის შვილებზე მეტად არც მათ სწყალობდა ბედი: ისინიც სიკვდილისკენ მოიჩქაროდნენ.

მეფის ასულს კი ამასობაში გუნება ეცვალა: თუ აქამდე დარდი და ქვეყნის სვე-ბედი უმძიმებდა გულს, თუკი აქამდე ურჩხულის დაღუპვას ნატრობდა, ახლა, როცა ღონიერი უცნობის ჯილდოდ ქვეყლიყო, მისი ბავშვური გუნება მოძალადეს, გველეშაპს მიემხრო. ასე გასინჯეთ, სიზმრისეულ გულწრფელობაში მხეცის მოსარჩლე ლოცვებსაც კი იგონებდა და დაჟინებით ევედრებოდა წმინდა დედებს, გველეშაპი დაიფარეთო.

ერთ დღით კი, ახალგაღვიძებულსა და დარცხვენისლ ამ სიზმრების გამო, ისეთი რამ მოახსენეს, შეცბა და თავგზა აებნა. ხმა გავარდა, რომ ვიღაც ყმაწვილი — ღმერთმა უწყის, საიდან მოსული — გველეშაპს შებმია, მოკვლით ვერ მოუკლავს, მაგრამ ვერაგი მტრის კლანჭებს დასძვრომია და დაჭრილ-დასისხლიანებული დაბურულ ტყეში შეხობებულია. სწორედ იქ უპოვნიათ გონდაკარგული და გათოშილი ლითონის ცივ აბჯარში, ნაუყვანიათ და დაუნვენიათ ვიღაცის სახლში. ამბობდნენ, ისეთი ცხელეზა აქვს და სისხლი ისე უხურს, ჭრილობის საფენებს ოხშივარი ასდისო.

ქალიშვილმა ეს ამბავი რომ მოისმინა, უმალ თეთრი აბრეშუმის პერანგის ამარა ქუჩაში გავარდნა და მომაკვდავის სარეცელთან გაჩენა მოუნდა. მაგრამ ვიდრე მოახლეებმა შემოსეს, ვიდრე თავისი ნალვლიანი სახისა და ხატულა კაბის, სასახლის სარკიდან სარკეში სრიალს უცქერდა, უმტყუნა სითამამემ, ველარ გადადგა ურვეულო ნაბიჯი. ისიც კი ვერ გაბედა, უსიტყვო ვინმე მსახური წარევილინა იქ, სადაც სწეული უცნობი ეგულებოდა, რომ რითიმე შეება მიეცა, რბილი ტილოს სახვევი გაეგზავნა ან მაამებელი სალბუნი.

ნაცვლად ამისა, მეფის ასული ისეთმა კაეპანმა შეიპყრო, ლამის დაავადდა. დაღამებისას დიდხანს იჯდა ფანჯარასთან და ცდილობდა გამოეცნო, რომელი იყო ის სახლი, სადაც უცნობი კვდებოდა. ეჭვი არ იყო, კვდებოდა, და ალბათ ერთ სულიერს თუ შეეძლო მისი გადარჩენა, ის ერთი კი, მხდალი, მის მოძებნასაც ვერ ბედავდა. და აეკვიატა აზრი, რომ დაჭრილი გმირის სიცოცხლე მხოლოდ მის ხელთ იყო, აეკვიატა და აღარ მოასვენა. და ამ ფიქრმა სამი დღის ტანჯვისა და სინდისის ქენჯნის შემდეგ გარეთ უბიძგა, შავ, კუნაპეტ, გაზაფხულის წვიმიან ღამეში. ბნელ ოთახში მოქცეულივით, ხელისცეცებით მიიკვლევდა გზას და არ იცოდა, როგორ ამოეცნო სახლი, რომელსაც ეძებდა. თუმცა ამოიცნო, იოლად, ფართოდ გაღებული ფანჯრითა და ოთახში მოციცაგე შუქით, იმ ურვეულოდ განფენილი ნათებით, სადაც ვერც წიგნს ნაიკითხავს კაცი და არც რული მიეკარება. აუჩქარებელი ნაბიჯით ჩაუარა სახლს და იქაურობას გაშორდა, მიდიოდა უმწეო, საბრალო, ჩაძირული თავისი ცხოვრების პირველ სევედაში. ასე იარა კარგა ხანს. წვიმამ გადაილო; მოლიანებული ღრუბლების ზოლს აქ-იქ დიდრონი ვარსკვლავი დაჰნათოდა, სადაც ბაღში გალობდა ბუღბუღი, იმეორებდა ჯერ შეუთხზველი სტროფის დასაწყისს, შეკითხვასავით რომ იზრდებოდა სიწმინდიან დიდებულად და მჭექარედ, როგორც ხმა იმ გოლიათი ჩიტისა, ცხრა მუხის კენწეროზე რომ გაუდგამს ბუდე.

და როდესაც ცრემლით სავსე მზერა თავის გრძელ გზას მოსწყვიტა, იხილა ტყე და მის ფონად გარიჟრაჟის ზოლი.



მხატვარი მალხაზ კუხაშვილი

რიჟრაჟის შუქზე შავი აჩრდილი აღმართულიყო და თითქოს მისკენ მოემართებოდა. მხედარი იყო. გოგონა უნებლიეთ დაბურულ, სველ ბუჩქნარში შეიმალა. მხედარმა წელი ჭენებით ჩაუარა, შავად ლაპლაპებდა და ბაბანებდა ოფლში გახვითქული ცხენი. ეტყობა, თვით მხედარიც ძრწოლას აეტანა, ისე წკრიალებდა მისი ჯაჭვის პერანგის ყოველი რგოლი. მუზარადი არ ეხურა, არც ხელთათმანი ეცვა, წელს ხმალი ერტყა მძიმე და მოქანცული. მეფის ასულმა მისი სახის პროფილი დალანდა; თმაწინილს სახეზე აღმური ასდიოდა. თვალი გააყოლა და დიდხანს უცქირა. ახლა იცოდა, ვინ დაამარცხა გველეშაპი. და უმალ უკვალოდ გაქრა სევდა. აღარც თვითონ იყო ღამეში გზადაკარგული, დაბნეული ქალი. მას ეკუთვნოდა, ამ უცხო, მძრწოლვარე გმირს, მისი საკუთრება გამხდარიყო, როგორც დობილი მისი ხმლისა.

და მის შესახვედრად მეფის ასული შინისაკენ გაიქცა. ურწმრად შეიპარა თავის საბრძანებელში, ჩვეულზე ადრე მოითხოვა პირისფარეთა გაღვიძება და საუკეთესო სამოსის მოტანა. ვიდრე ტანთ მოსავდნენ, ქალაქმაც გაიღვიძა და გაიხარა. ისეთი ზარზეიმი ატყდა, სამრეკლოს ზარებს ლამის თოკები დაანყდა. ამ ხმაურის გაგონებაზე კი მეფის ასული უცებ მიხვდა, რომ ის არ მოვიდოდა. შეეცადა წარმოეგინა მადლიერი, აყიჟინებული ხალხით გარშემორტყმული: ვერ კი შესძლო. შიშნულად სცადა აღედგინა ეული გმირის სახე, იქ ნანახი, მძრწოლვარე. თითქოს მისი ცხოვრებისთვის უმნიშვნელოვანესი იყო იმ სურათის არდავინყება. ამავე დროს, ისეთი საზეიმო განწყობა დაეუფლა, რომ თუმცა აღარავის ელოდა, მხეველებს თავისი მორთვა-მოკაზმვა არ შეაწყვეტინა. თმაში თვალმარგალიტის ჩანვნა ბრძანა, მოახლეებმა კი გაიკვირვეს, თმა ასე რამ დაუნამაო. მშვენიერი იყო მეფის ასული. გაულიმა სეფექალებს და ცოტა არ იყოს ფერმიხდილმა, თეთრი მღეიფის შრიალით, უკან ფართედ რომ დასთრევადა, სარკეებს ჩაუარა.

მოხუცი მეფე კი, სიღინჯითა და ღირსებით აღვსილი, დაბრძანებულიყო მაღალ სატახტო დარბაზში. მხარს უმშვენებდნენ სამეფოს მცხოვანი რაინდები თავიანთი ბრწყინვალეობით. მეფე ელოდა უცხო გმირს, გამათავისუფლებელს.

მხედარი კი ამ დროს ქალაქიდან შორს მიაჭენებდა ცხენს, და მის თავზე ცარგვალ ტოროლებით იყო სავსე. ვინმეს რომ მისთვის გმირობის ჯილდო შეეხსენებინა, იქნებ სიცილით უკან მობრუნებულიყო კიდეც; ჯილდო ნამდვილად დაეინყნოდა.

გერმანულიდან თარგმნა
მარიამ ზარამიძე


მე-20 საუკუნის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფრანგი მწერლის — რომენ გარის (1914-1980) ასი წლის იუბილესთან დაკავშირებით „გალიმარმა“ მისი პირველი, 30-იანი წლების მიწურულს დაწერილი, აქამდე გამოუქვეყნებელი რომანი „მკვდართა ზარხოში“ გამოსცა. თავის დროზე ახალბედა მწერალს არსად დაუბეჭდეს მისი პირველი თხზულება, რომელიც, თანამედროვე კრიტიკის აზრით, „საოცრად ეხმიანება ედგარ პოს ფანტასმაგორიას, ლუის კეროლის ნონ-სენსა და სელინის ჰალუცინაციურ პროზას. ამავდროულად ის ერთგვარი ლაბორატორიაა გარის მომავალი თხზულებებისათვის“. სწორედ იქიდან ამოდიან პერსონაჟები და სათანადო ადგილს იკავებენ იმ 30 რომანსა და ნოველათა კრებულებში, რომლებიც უდიდეს წარმატებას მოუტანენ ავტორს — გონკურების პრემიის ერთადერთ ორგზის ლაურეატს. რომენ გარი ყველა დროის საუკეთესო ლიტერატურულ მისტიფიკაციათა ავტორადაა აღიარებული. გროტესკის უბადლო ოსტატად მიიჩნევენ.

ლიტვაში ებრაულ ოჯახში დაბადებული რომან კაცები 14 წლისა დედასთან ერთად გადადის საფრანგეთში. დაეუფლება იურისპრუდენციას. იწყება მეორე მსოფლიო ომი და პილოტი-გამანადგურებელი რომენ გარი გმირულად იბრძვის თავისუფალი საფრანგეთის საჰაერო ძალებში. მოგვიანებით, შარლ დე გოლის დაკრძალვის ცერემონიაზე, ოჯახის წევრთა და ახლობელთა ვინრო წრეში, ჭირისუფალთა შორისაა რომენ გარი, რომელსაც გენერალი თავის უახლოეს თანამებრძოლთა გვერდით მოიხსენიებდა. ომის დამთავრების შემდეგ, ასეთივე ბრწყინვალე დიპლომატიური კარიერის პარალელურად, ინტენსიურად იბეჭდება ჯერ რომენ გარის, მერე ემილ აჟარის ფსევდონიმებით.

მის პოპულარობას ხელს უწყობს კინემატოგრაფიც; ფრანგი თუ ჰოლივუდის გამოჩენილი რეჟისორები ინტენსიურად იღებენ ფილმებს გარის ნაწარმოებთა მიხედვით.

ეს ექსტრავაგანტური პიროვნება 66 წლისა თვითმკვლელობით ამთავრებს პოპმურ ცხოვრებას, რომელსაც ასე აჯამებს: „კარგად გავერთე. ნახვამდის და გმადლობთ“. მის ფერფლს, როგორც თვითონ სურდა, ხმელთაშუა ზღვაზე მოაბნევენ.

ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფრანგული ლიტერატურული ჟურნალი „Lire“ რომენ გარისადმი მიძღვნილ საიუბილეო ნომერში, ახალგამოცემული რომანიდან „მკვდართა ზარხოში“ წარმოგიდგენს ნაწყვეტს, რომლის ქართულ თარგმანსაც ვთავაზობთ მკითხველს.



რომენ გარი

მკვდართა ზარხოში

ტიტა ლობეს გადაეგლო და მიიმედ დაეშვა სასაფლაოზე. მისივე წამოდგა ქოთქოთით, ნაბარბაცდა, ჯვარს მიენარცხა და მთელი ძალით ჩაებლაუჭა, რომ არ წაქცეულიყო. უეცრად სულ ახლოს ხრინწიანი ხმა გაისმა:

— მატყუებ!

თავზარდაცემული ტიტა ჯვარს მოსწყდა და რაც შეიძლება შორს გადახტა წყვილიადმი.

— მატყუებ! — კვლავ გაისმა იგივე მრისხანე ხმა.

— ეს როგორ? როგორ თუ მატყუებ? — დაიზღუქუნა ტიტამ.

სიჩუმე ჩამოვარდა. ცოტა ხნის შემდეგ გარკვევით გამეორდა:

— გეყურება ჩემი? გეუბნები, მატყუებ!

— არა, არამცდაარამც! არ ვიტყუები! — დაიღრიალა ტიტამ.

ამჯერად დუმილი მეტხანს გაგრძელდა.

— ეს რა იყო? — დაეჭვებით იკითხა იმ ვილაცამ, — შენ არაფერი გაიგონე, ჯო?

— რა უნდა იყოს, ჯიმ? — უდარდელად შეეპასუხა ვილაკ მეორე. — რაღაც იქნებოდა, თუმცა მე არაფერი გამიგონია.

თავზარდაცემული ტიტა გაქვავდა, სუნთქვა შეეკრა. თმა ყალყზე დაუდგა, მუხლები უკანკალბედა, კბილები უკანკანებდა.

— დმერთო ჩემო! — უეცრად ისევ გაისმა გაცხარებული ხმა, — გეუბნები, მატყუებ, ჯო! ეს ამაზრზენია.

— ძალიან მწყინს შენგან ამის გაგონება, ჯიმ! — წყნარად შეეპასუხა მეორე, — ეს სიცოცხლეშიც უღირსი საქციელი იყო და, მითუმეტეს, ახლა, ან უკვე გარდაცვლილისთვის, სწორედაც რომ ძალიან დიდი სირცხვილია.

ტიტას ლამის გული წაუვიდა.

— მიშველეთ! — დაინრიპინა გაბზარული ხმით. ხელების ქნევით გავარდა, ნაბორძიკდა, გაშმაგებული ჩაეჭიდა რალაცას, თუმცა მაშინვე ხელიდან გამოეცალა და რეტდასხმულმა ისტერიულად დაიყმუვლა. თავდაყირა დაეცა, მაგრამ ტკივილი ვერც იგრძნო. მაშინვე წამოვარდა მოკუნტული, პირდაღებული. ლამის ებღავლა. იქაურობას ოდნავ ანათებდა სანთელი, რაღაც მაგიდის მსგავსზე რომ იდგა. უცნაური რამ, ცოტა შემამოფოთებელიც კი იყო ეს მაგიდა. მის დანახვაზე ტიტა ისე განცვიფრდა, რომ ვეღარც დაიბღავლა. გაცივებისაგან ყბა ჩამოუვარდა, თვალები გადმოეკარკლა. აშკარად ეტყობოდა, მაგიდა კუბოს თავსახურისგან იყო გაკეთებული. მაგრამ რაც განსაკუთრებით თვალში მოხვდა და გააოგნა ტიტა, მაგიდის ფეხები იყო, მისი ოთხი ფეხი, რომელთაც საკუთრივ ფეხებსაც ვერ დაარქმევდი. ეს იყო ბარძაყის დიდი ძვლები. ბარძაყის ოთხი ძვალი ჩაერჭოთ მიწაში და ზედ უბრალოდ კუბოს თავსახური დაედგათ.

— გეუბნები, ჯო, შენთვის მითქვამს, იქ, მაღლა ვილაკ არის. ყური რომ გეგდო, შენც გაიგონებდი, თუმცა მხოლოდ იმით ხარ დაკავებული, როგორ იცუღლუტო.

ერთი მიხრწნილი, გადარჯულებული ბებერი იყო, ამას რომ ამბობდა. გრძელი თეთრი ბანჯგელი უფარავდა სახეს, ზედ ძლივს მოჩანდა ცხვირის წვერი. ჩია გამხდარი სხეულზე ძველებური ბალახონი და შემოტყევილი შარვალი ემოსა. ეს შარვალპერანგი ერთნაირი, გაურკვეველი მომწვანო ფერისა იყო. მათი პატრონი დიდი სიფრთხილით თუ გაინძრეოდა, თითქოს ეშინოდა, სამოსი არ გახეოდა. ამიტომ ყოველი მისი შენელებული მოძრაობა, ცოტა არ იყოს და, ღიმღიმისმომგვრელი ზეამაღლებული ჩანდა. ტიტა გაცივებული მიშტერებოდა უცნაურ მოხუცს.

— რაო, ასე რას მომჩერებხარ, შვილო? — ხრინწიანი ხმა ჰქონდა მოხუცს, შეწუხებული ჩანდა, მყუდროება რომ დაურღვიეს. — ცხოვრებაში პირველად გელირსა ჯენტლმენის ხილვა?

ტიტას ეტყობოდა, ვერაფერი გაეგო. ერთხანს კიდევ უყურა და ბოლოს გულიანად ახარხარდა.

— ხა-ხა-ხა! — მუცელი ხელით ეჭირა, — ხა-ხა-ხა! — სიცოცხლისგან გამხდარი სხეული უთახთახებდა და ადგილზე უნებურად ხტოდა. — ხა-ხა-ხა!

ამ უაზრო მხიარულებამ მოთმინების ფიალა აუვსო მოხუცს.

— ნეტავი ჩამომახრჩობდნენ, ჯო, — შეჰყვირა მან. ალგზნებული იყო, თუმცა თავს იკავებდა მკვეთრი მოძრაობისგან, სამოსს უფრთხილდებოდა. — თავს ყულფში გავყოფ, ჯო, თუ ეს ღვინით აყროლებული უბადრუკი მასხრად არ მიგდებდეს. თავს დავდებ, ჯო, თუნდაც ჩამომახრჩონ, თუ მე არ დამცინოდეს!

— არავინ, ჯიმ, ორჯერ არავინ არასდროს ჩამოუხრჩვიათ... — ნალვლიანად შენიშნა იმ ჩია ბებრუცანას ზუსტმა ორეულმა. ისიც ისეთივე გალუული იყო, გაჩხიკინებული, და ისეთივე ძველებური ბალახონი და შემოტყეცილი შარვალი ეცვა. მის სახეს ისეთივე თეთრი ბანჯგვლი ფარავდა, რომელიც უცნაურად ლივლივებდა ყოველი სიტყვის წარმოთქმისას.

— უადგილო შენიშვნების მოცემას, უკეთესი იქნებოდა, გამაგებინო, ჯო, აქ რას აკეთებს ეს ყმანვილი და რატომ გაატალახინა ჩვენი კოხტა მაგიდა და სათამაშო ბანქო? აი, რას უნდა აკეთებდე, ჯო, მაგრამ რაც ჩვენმა საბრალო დედამ ქვეყნად მოგავლინა, იმას არასდროს აკეთებ, რაც მოგეთხოვება, ჯო!

— ნეტავ რას გადამიკიდე, ჯიმ? ერთი სანყალი კაცი ვარ... ხოლო იმ ყმანვილს რაც შეეხება, იქნებ თვითონვე დალაპარაკებოდი?

— ორმა ჩია ბებრუცანამ ტიტასკენ მოაბრუნა ერთნაირი თავები და მკაცრად შეათვალიერეს.

— ჰმ... — ძლივს ამოლერლა მან, — ჰმ... ანუ... მინდოდა ღამე აქ გამეთია.

— გაიგონე, ჯო, ერთი მითხარი, თუ გაიგონე, ჯო?

— კი, ჯიმ, გავიგონე.

— მერე და რას იტყვი ამაზე, ჯო? სიმართლე გითხრა, რაც მკვლარი ვარ, ამაზე სასაცილო არაფერი მსმენია.

— მეც არასდროს მსმენია, ჯიმ.

— დავტოვოთ ღამით ჩვენთან, ჯო?

— არ ვიცი, ჯიმ, ვფიქრობ...

— კეთილი. სიმართლე გითხრა, ჯო, მგონი აქედან არაფერი გამოვა. პირიქით, სასწრაფოდ უნდა დაიკარგოს აქედან ეს ვაჟბატონი, ჯო, ჩვენ კი ამაში დავეხმარებით. მითხარი, ხომ მეთანხმები?

— საესებით, ჯიმ, საესებით.

ორმა ბებრუცანამ ნაბიჯი გადადგა. ტიტა არ განძრეულა. იმათ მეორე ნაბიჯზეც არ შემდრკალა. მერე უეცრად ხელები თავში წაივლეს, წამოსწიეს, სხარტად მოაცილეს მხრებს, ერთბაშად ტიტასკენ გააქანეს და ცხვირწინ დაუდეს.

— ჰა-ჰა-ჰა, — ერთხმად დაიჩხავლეს ხელებში მომწყვდეულმა თავებმა, თითოეულმა მარცხენა თვალი მოჭუტა, მარჯვენა კი დაჭყიტა, თან შავი ხეშემა ენები გამოყვეს, ჯაგარი ყალყზე დაიყენეს. — ჰა-ჰა-ჰა!

— ვაიმე! — იკივლა ტიტამ, მოტრიალდა, ტყვიასავით გავარდა და რაღაც ბნელ, ნესტიან დერეფნისმაგვარ ადგილას აღმოჩნდა. კატის ფსლის სუნი იდგა. ის ორი ბებრუცანა კი გაქრა მისი თვალსაწიერიდან.

— დიდად კმაყოფილი გახლავარ ჩვენი პატარა წარმოდგენით, ჯო! — იქაც მისწვდა ტიტას მათი ხმა, — ნახე, რა შიში ჭამა? ნამდვილად აღარ მგონია, კარგა ხანს აქეთ გამოიხედოს და თავი მოგვაბუზროს.

— მეც, ჯიმ, მეც ასე ვფიქრობ. შიშისაგან მთლად წამხდარი ჩანდა. გავაგრძელოთ თამაში?

— ჩემდათავად, ჯო, არაფერი მაქვს საწინააღმდეგო.

მცირე ხნით მიჩუმდნენ.

— ღმერთო დიდებულო! ისევ დაინყე ცულლუტობა, ჯო! — კვლავ მოესმა ტიტას, — ეს უკვე გულსამრევია!

— არ ვცულლუტობ, ჯიმ, ნამდვილად რაღაც გეშლება.

— აბა დამანახვე სახელო, ჯო, სანაძლეოს ვდებ, შიგ ტუზი გაქვს ჩამალული.

— შეცდი, ჯიმ, შეცდი, ჩემო მეგობარო, ხომ ხედავ, ეს ბაბუაა.

— როგორ მიწდა, ერთი გვარიანი პანდური ამოგკრა, ჯო, ჰო, მართლაც რომ სიამოვნებით ვიზამდი ამას.

— უნდა გითხრა, ჯიმ, ეს დიდი უხამსობაა.

— და მაინც, მართლა არ ვიცი, ჯო, რა მიშლის ამის გაკეთებას.

— ჰმ... იქნებ მე გითხრა; საქმე ის არის, ფეხის აწევას ვერ ბედავ, ეს მშვენიერი შარვალი რომ არ გაგეხს.



მხატვარი მალხაზ იაშვილი

საუბარი თანდათან სულ უფრო და უფრო შორიდან ისმოდა. ბოლოს მთლად შეწყდა და სირჩემემ დაისადგურა.

— ჰო, კარგი, — ჩაიბურტყუნა შიშნაჭამმა ტიტამ. ძლივს ბარბაცებდა წყვილიაღში, აბობოქრებულ ზღვაში მიტოვებული ნავივით იყო. — სასიერო ამბები გადამხდა თავს... ცოლი არც დამიჯერებს, მეტყვის, ისევ დალიეო. ყველაფერი ეს ღრმად რომ გამეაზრებინა, შიშისგან შარვალში ჩავისვრიდი, რაც, ღმერთმანი, სულ არ მეპიტნავება, ეგლა მაკლია! ამიტომ არასდროს უნდა ჩაულრმავდე, არ გააცნობიერო... ეს საშინელ ტკივილს მოგაყენებს, სიცოცხლეს მოგიხსნაფაფა... ბაჰ! და ვითომც არაფერი...

ხელის გულში ჩააბოყინა.

— ერთხელ ჩემმა ცოლმა მავანს ოთახი მიაქირავა. მშვენიერი ქილვაშები ჰქონდა. ოდესღაც ერთი დიდი ვეზირის ლაქია ყოფილა. გვიყვებოდა, თურმე, ეს ვეზირი ღორივით ძლიერ, საშინლად, ერთობ სამარცხვინოდ სუქდებოდა. ველარ ბედავდა ხალხში გამოჩენას. მასხრად იგდებდნენ, უსტვენდნენ, იძახდნენ: ჰეი, ქურდია! უზურპატორია! გამოათრიეთ, გააშიშვლეთ, სასოფლო-სამეურნეო კონკურსში გაამწესეთ! ჩვენი სისხლის წოვითაა, ასე რომ გაზიზინდა!

ბოლოს და ბოლოს მკურნალს უწმეს. იმან გასინჯა, მოუსმინა, ასუნთქა, პირში ჩასუნა, ყურებში ჩახედა, უკანალშიც შეუძვრა თითით... და ბრძანა: „გასაგებია, გასაგები. არაფერი სერიოზული, უმარტივესია. უბრალოდ, ყოველ დღით უზომოზე თხუთმეტი წუთი, არა უმეტეს! — მცირეოდენ ფიქრთ მისცეს თავი. მხოლოდ არასდროს, არანაირი მიზეზით

თხუთმეტ წუთს არ გადაამეტოს, არავითარ შემთხვევაში, თორემ... წარმოდგენაც კი ძნელია, რა სავალალო შედეგს მივიღებთ მისთვის, დამლუპველს! ცხვირის ღრუს დამბლა დაემართება!!!“

მეორე დღით ვეზირმა ლაქია იხმო. ისიც ავიდა, მიეახლა მისი საყვარელი კერძებით. „ჩემი საუზმე, როდოლოფ!“ „თქვენი აღმატებულება არ აპირებს, ჯერ ფიქრთ მიეცეს თხუთმეტით... მე რე კი მოუღებინოს თავისებურად“. და როდოლოფი გადის, თან მიაქვს კერძები. ცოტა ხანში შემზარავი ხრინჩინი ღრილი გაისმის: „უმბაკსაც წაუღიხარ!“ როდოლოფი დაბრუნდა საჭმელებით და რას ხედავს? ვეზირი იატაკზე გაგორებულია, სისხლად შარდავს, საზარლად ბლავს: „როდოლოფ, ვკვდები! დამამხეს, უმცირესობაში აღმოვჩნდი, დავიღუპე! მკურნალობა ძალზე დაგვიანებულია“, და პირდაღებული თავის ბოლო პორტფელს გამოეთხოვა. მისმა ცოლმა მკურნალს სასამართლოში უჩივლა. ზარალი აუნაზღაურეს. სწავლულებმა ერთხმად დაასკვნეს, რომ უმძიმესი პროფესიული შეცდომა იყო დაშვებული; უზომოზე თხუთმეტი წუთი? ეს მეტისმეტია! ათი წამით უნდა დაწყებულიყო და მერე ნელ-ნელა, თანდათანობით ორ-ორი წუთი დამატებინათ, არა უმეტეს ორი წუთისა. ერთხმად თხუთმეტი წუთი?! ეს ხომ მკვლელობაა!

უეცრად ტიტა ვინრო, ჩაბნელებული დერეფნის ბოლოში, ჩიხში კარის წინ აღმოჩნდა. კართან ერთი ზონზროხა პოლიციელი საფლავის ქვაზე იჯდა. ლიპიან ბანჯგვლიან ურჩხულს, სიგრძე-სიგანე ერთი რომ ჰქონდა, ხელში სანთელი ეკავა, რომელიც სიბნელეში მოყვითალოდ კრთოდა. მოკლე ჩიბუხს აბოლებდა ზუსტად კედელზე მიჩხაპნილი წარწერის ქვეშ: „მონევა აკრძალულია“. თავზე ძველებური გახუნებული კეპი ეხურა. ჭიების დაჭმული ციციქა მოსასხამი ძლივს უფარავდა ბეჭებს, დანარჩენი სხეული კი, მომწვანო და დაკოჟრებული, შიშვლად დარჩენოდა. ფეხთ ვეებერთელა ძირ-გამძვრალი ჩექმები ეცვა, საიდანაც საოცრად გრძელი, მთლად ხავსით დაფარული თითები გადმოყრდა.

— ვაი! — ამოისლოკინა ტიტამ.

პოლიციელს მისთვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია, მთელი მონდომებით იქექებოდა კეფაში, საიდანაც რალაც მოფართხალე საზიზრობა ამოაძვრინა და ცერა და საჩვენებელ თითებს შუა მოიმწყვდია.

— დავიჭირე! — დასჭყა კმაყოფილმა და კვამლის ბოლებები გადმოაფრქვია.

— ქოქოლა დაგაყარე მაგ თავზე, — დაინვილა მსხვერპლმა.

— ესეც ათას ცხრაას ოთხმოცდათერთმეტი, — დაჰქუხა პოლიციელმა და ჩექმის ერთი დაკვრით გაჭყლიტა.

— ფუ! — ამოასლოკინა თავზარდაცემულმა ტიტამ.

პოლიციელს მისკენ არც გაუხედავს, გამალებული იქექებოდა.

— ესეც ათას ცხრაას ოთხმოცდათორმეტი, — ისევ დასჭყა და ტიტას თვალებში შავი კვამლი შეაფრქვია. მერე მკერდიდან ხელი მოიშორა და მთელი გულისყურით დააკვირდა მორიგ მსხვერპლს, გამწარებული რომ სხმარტალებდა მის თითებში.

— აჰა, გამოგიჭირე? — ზეიმობდა იგი.

— შტერი! — დაისისინა მსხვერპლმა.

— არამზადა! — დაიღრიალა პოლიციელმა და ჩექმის ერთი დაკვრით ისიც გასრისა.

— ფუ! — ისევ ამოასლოკინა ტიტამ, ჯიბე მოიქექა, ნამწვი ამოიღო, ფეხის წვერებზე შედგა, სანთელს რომ მისწვდომოდა, და მორცხვად დაიჩურჩულა; გამოლაპარაკება უნდოდა:

— მომიკიდებ, ძმობილო?

— ესეც ათას ცხრაას ოთხმოცდაცამეტი! — დაჰკიჟინა, ჭიპიდან მორიგი მსხვერპლი გამოაძვრინა და ფეხი შემართა...

— ვიღუპები, მაგრამ ქედს არ ვიდრეკ! — ღირსებით წარმოთქვა მატლმა.

— აბა მიიღე! — იღრიალა ჯალათმა და ფეხი დაუშვა.

— უფალო! — სულთან ერთად აღმოხდა მატლს.

— ფუ! — ამოიკენესა ტიტამ. — მომიკიდე, ძმობილო, მომიკიდე!

— ეგლა მაკლდა, — გაიკვირვა პოლიციელმა, — ეს რალა? — ხელი გაიშვირა, ქეჩოში სწვდა ტიტას, ასნია, მოფუთ-ფუთე მატლებით საცხე თვალებთან მიიტანა, დაყნოსა...

— ვაიმე, დედი! — დაიზლუქუნა მის თითებში მოფართხალე ტიტამ.

— ვილაც ცინგლიანი, — დაასკვნა პოლიციელმა და თითები გაშალა. ტიტა ძირს დაეშვა. მის თავზე ფეხი აღიმართა, მაგრამ აღარ დაეშვა, ასე ანეული დარჩა; პოლიციელი ზურგს იფხანდა...

— ესეც ათას ცხრაას ოთხმოცდათხუთმეტი! — დაიგრუხუნა მან.

— სიკვდილი არამზადებს! — დაიხავლა მსხვერპლმა. უნდოდა კიდევ რალაც ეთქვა, მაგრამ აღარ დასცალდა; ფეხის ერთი დაკვრით გაიჭყლიტა.

— მო...მომიკიდებთ? — ისევ დაიბლუკუნა ტიტამ, — ხომ არ მო...მომიკიდებთ?

პოლიციელმა ზიზლიანი მხერა ესროლა, ბინძური კვამლი შეაფრქვია და უთხრა:

— აქ მოწევა აკრძალულია! და ფეხის ბაკუნით მიაყოლა: — ესეც ათას ცხრაას ოთხმოცდათექვსმეტი!

— ჩვენ ურიცხვი ვართ, ჩემ უკან ლეგიონებია! — ამტკიცებდა სულთმობრძავი მსხვერპლი.

ტიტამ ნამწვი ჯიბეში ჩაიციურა, გამბედაობა მოიკრიბა და შეეცადა პოლიციელის ფეხზე გადამძვრალიყო, გასასვლელს რომ უღობავდა. კისერი რომ არ მოეტეხა, მის ჯაგარს მოეჭიდა და უვნებლად დაეშვა მეორე მხარეს. შუბლზე ცივი ოფლი მოინმინდა. როგორც კი ჩაჟანგული კარი გააღო, მარჯვენა თვალში ერთი გვარიანი ფურთხი მოხვდა.

— ეს რას ნიშნავს? — გაიკვირვა ტიტამ.

ორი კობტა პოლიციელი, სამოქალაქო ტანსაცმელში, კუბოზე დასკუბულიყო. ერთმანეთისთვის მკლავი მკლავში გაეყარათ, მეორე ხელში კი სანთლები ეკავათ. დაუდევრად ეცვათ; ლილები შესხნილი ჰქონდათ, ქამრები — მოშვებული. მართლაც რომ თავს ასე უფრო ლაღად გრძნობდნენ. შემუშებულ სახეებზე ისეთი კმაყოფილება, ნეტარება და უდარდებლობა აღბეჭდოდათ, როგორსაც არასოდეს დაუმშვენებია მიცვალებულის სახე.

გულიანად იცინოდნენ. ხმაში, მართალია, მცირედი ხრინჩი გაერეოდა, მაგრამ ჯერ კიდევ ფრიალ საამოდ ჟღერდა. ქვაბ-ქუდეები სრულად იზიარებდნენ ამ მხიარულებას და საყვარლად ხტოდნენ მათ თავებზე.

— ჰო, რაშია საქმე? — გაიმეორა ტიტამ და ფრთხილად მოინმინდა თვალი.

— ხომ ხედავ, ძმობილო, — აუხსნა ერთ-ერთმა, — დაკავებული ვართ... — მერე მკვირცხლად დაიხარა და ფეხის გული მოფხანა.

— გყავს? — დაეკითხა მეორე.

— კი, მყავს, თანაც ბლომად! — და სანთლის ყვითელ ალთან მიიტანა ხელი...

— შვილო ჩემო! — ატყდა ჟრიამული, რომელიც, ეტყობა, მისი მუცლიდან გამოდიოდა, — შვილო ჩემო, ძმაო, შეიბრალე, ჩემო საყვარელო!

— გამაგრდით, მეგობრებო, — ამაყად გასძახა მათ ჭიამ. — ჩემი საქმე, ცხადია, წასულია, მაგრამ იცოდეთ, რომ მე მას ხელზე დავაფხის! — ეს თქვა და ცეცხლის ალში გაეხვია. ყრუ ტკაცუნის ზეციური გამოძახილივით გაისმოდა.

— ესეც კიდევ ერთი! — ჩაითვალა იმან და დაამატა: — უეჭველია, ის ერთ-ერთი ბელადთაგანი იყო!..

კიდევ ერთი გამოქახილი

ვიტყოდეთ ქებასა მისსა წინაშე ყოველთა კაცთა, არა ვტყუოდეთ, არცა გვრცხვენოდესო — აცხადებს XIII საუკუნის ქართველი მემკვიდრეობის მემკვიდრეობა. ამ სიტყვებით თითქოსდა ფიცსა დებს ღვთისა და ერის წინაშე, ყველაფერი, რასაც ვამბობ, მტკნარი სიმართლეა, ანმყოფა და მომავალთანაც მთელი ჩემი გონითა და სინდისით პასუხს ვაგებო. ალბათ ითვალისწინებდა არცთუ ძნელად მისახვედრს — ხვალ თუ ზეგ ეგებ სხვაგვარი განსჯა გაჩენილიყო და ქვეყნის თავს დატყუებდა ვაუბანი მის მიერ ხოტბაშესხმული კაცისათვის გადაებრალებინათ, ვითარცა სწევოდათ თვისტომთ.

და ფიცით აღჭურვილი ასე ამკობდა საქართველოს მეფეს: „ლომი ძალითა და უმანკო გონებითა, მოყვარული ყოველთა კაცთა, დიდთა და მცირეთა... მშვიდი და განურისხებელი ბუნებითა... დაჭირვებულთა განმკითხველი“.

გაივლის ერთი საუკუნე და მომდევო ჟამთა ქართველი აღმწერელის კალმით დაინერგება სრულიად სანაღმდეგო დახასიათება იმავე კაცისა: „ლალი, ამპარტავანი, თავხედი, თვითბუნება... ღვინის მოყვარე და გემომომოყვარე“.

ამ ტექსტის ავტორსაც თავისი მრწამსი და სულისკვეთება აძლევს უფლებას, საქვეყნოდ განიკითხოს რჩეულნი და კურთხეულნი უფლისა, ვინაიდან „ჟამთააღმწერლობა ჭეშმარიტის მეტყველება არს და არა თვალახმა ვისთვისმე“.

არაერთი მკითხველი თუ მკვლევარი დაუფიქრებია ამ თვალშისაცემ წინააღმდეგობრივ სურათს, როდესაც ერთი საუკუნის ინტერვალით, ერთსა და იმავე სახელმწიფოში, ერთი და იმავე მიზნით მოქმედი ორი ღირსეული პიროვნება გვიხატავს ორ, ერთიმეორისგან მკვეთრად განსხვავებულ პორტრეტს იმ კაცისა, ყველაზე კოლორიტულ ფიგურად რომ გვეჩვენება საქართველოს ისტორიაში და ვისაც განგებამ მწარე ხვედრი არგუნა წილად — სწორედ მისი მეფობისას მოვლენოდა სამყაროს მძვინვარე და უღმობელი ძალა, რომელსაც ვერავინ წინააღმდეგობოდა და რომელიც პირველ ბზარს გაუჩენდა მთელს აღმოსავლეთსა და დასავლეთში ქრისტიანობის ბურჯად შერაცხული ქვეყნის ძლევამოსილებას.

და შემთხვევითი აღარ არის ის გარემოება, რომ ქართველი მწერლის რომანის ფურცლებზე სწორედ მას, ბრძოლის ველზე დამარცხებულ და მიძიმედ დაჭრილ თამარის ძეს, სიზმრად ელანდება, სამშობლოს თავისუფლებისათვის გამართულ ომებში დაღუპული წინაპრები წყევლა-კრულვას რომ უთვლიან უიღბლო შთამომავალს და, იმავდროულად, მომავალი თაობებიც, შებმულნი უცხოელთა ბატონობის ხანგრძლივ უღელში, ექოსავით იმეორებენ ქართველი მეფის მისამართით წარმოთქმულ სასტიკ განაჩენს.

ლაშა-გიორგის პიროვნების შეფასებაში არსებულ სხვადასხვაობასთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილი თავის სახელგანთქმულ თხზულებაში „ქართველი ერის ისტორია“ წერდა: „ლაშა-გიორგის პიროვნების გამო და გარშემო კი, როგორც ირკვევა, მითქმა-მოთქმა და აზრთა სხვაობა ყოფილა. მისი მეფური და ადამიანური ქცევა სხვადასხვანაირად ყოფილა განსჯილი და აფასებული როგორც თანამედროვეთა მიერ, ისევე მომდევნო თაობათა განმავლობაში და მთელი XIII ს. სიგრძეზე ქართული საზოგადოებრივი აზრი ორ ბანაკად გაყოფილი ჩანს და ლაშა-გიორგის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის ბრძოლა არ დამცხრალა, არამედ, ოდნავ დროგამოშვებით მიყურებული, კვლავ უფრო მეტი სიმძლავ-

რითა, ვნებათა ღელვით და პარტიული სიმწვავით განახლებულა. ამიტომ ლაშა-გიორგის პიროვნების შესახებ პირუთვნელი, დამშვიდებული, მიუდგომელი მსჯელობა არც მომდევნო თაობათა წარმომადგენლებს შეეძლოთ: ყოველი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე თუ ისტორიკოსი უნებლიეთ, ან მომხრეთა, ან მოწინააღმდეგეთა დასში იქნებოდა. ეს მედასეობა ქართველი ჟამთააღმწერელის წყაროსაც ემჩნევა. ეს გარემოება თანამედროვე მკვლევარს მეტად უძნელებს საქმეს, რადგან ლაშა-გიორგის შესახებ სხვა ერთა ისტორიკოსებს, მათ შორის სომხებსაც, ძალიან ცოტა ცნობები აქვთ და, რაც მოეპოვებათ, არც ერთი მისი ადამიანური პიროვნების დახასიათებას არ ეხება, არამედ მხოლოდ სახელმწიფოებრივს, უფრო კი სამხედრო ამბებს გვისურათებენ“.

და აი, აკად. კორნელი კეკელიძემ 1940 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „ახალი ლიტერატურული წყაროები ლაშა გიორგის ისტორიისათვის“ ქართველ მკითხველს გააცნო იოანე ბატონიშვილის ნაშრომში „ისტორია ქართლისა“ მოცემული დახასიათება ზემოხსენებული ქართველი მეფისა, მკვეთრად რომ განსხვავდება ჟამთააღმწერლისეული დახასიათებისგან და უფრო ლაშა-გიორგის დროინდელი მემკვიდრისა ნააგავს.

გამოხდა ხანი და ცნობილმა ქართველმა წყაროთმცოდნემ რევაზ კიკნაძემ 1966 წელს გამოაქვეყნა სტატია „კიდევ ერთი ქართული წყარო ლაშა გიორგის ისტორიისათვის“, სადაც განხილულია XVII საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ფარსადან გორგიჯანიძის საისტორიო თხზულების ის მონაკვეთი, რომელიც გადმოგვცემს ლაშა-გიორგის ზეობის პერიოდს და რომელშიც მისი რეაბილიტაციის თავისებური, ორიგინალური ცდაა მოცემული.

როგორც ცნობილია, ივანე ჯავახიშვილმა ფარსადან გორგიჯანიძის თხზულება ავტორის მიერ გამოყენებული წყაროების მიხედვით პირობითად ოთხ ნაწილად დაჰყო და თითოეული ნაწილიც შეაფასა და დაახასიათა. პირველ ნაწილად მიჩნეულია თხრობა თამარის გამეფებამდე და ეს ნაწილი, ძირითადად, ეყრდნობა ზეპირსა და ფაგონილ ამბებს, რის გამოც მას ზღაპრული ხასიათი აქვს. მეორე ნაწილი „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით არის შედგენილი, თამარის გამეფებით იწყება და XIV საუკუნის დამდეგამდე გრძელდება. ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, „ამ მეორე ნაწილსაც ისტორიისათვის არავითარი მნიშვნელობა არცა ჰქონია და არცა აქვს, რადგან თვით მისი წყაროს დედანმა, საუცხოო ღირსებისამ, ჩვენამდის მოაღწია“. მესამე ნაწილი თხზულებისა მოიცავს XIV-XVII საუკუნეთა ისტორიას და ძირითადად სპარსულ წყაროებს ეყრდნობა (შერეფ ედ-დინ ალი იეზდისა და ისქანდერ მუნშის ნაშრომები). ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „რაკი ფარსადან გორგიჯანიძეს თავისი თხზულების მესამე ნაწილისათვის ასეთი საუცხოო წყაროები ჰქონია დედნად, რასაკვირველია, ამ ნაწილს დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, განსაკუთრებით მაშინ და ახლაც კი მნიშვნელობა არ დაუკარგავს“. უკანასკნელ, მეოთხე ნაწილს შეადგენს 1636-1696 წლების ამბების თხრობა. ფარსადანი თანადამხედური და თვითმხილველია აღწერილი ამბებისა და თხზულების ამ ნაწილსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება XVII საუკუნის საქართველოს ისტორიის შესასწავლად.

რევაზ კიკნაძე გვაუწყებს, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში იმთავითვე დამკვიდრდა ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულება ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების ძველი ნაწილის მიმართ. მკვლევარნი იმეორებდნენ, მხოლოდ ზოგიერთი კერძო საკითხის გასარკვევად, მიმართავდნენ ამ ნაწილს.

რევაზ კიკნაძის აზრით, ასეთი სკეპტიკური დამოკიდებულება უნდა აიხსნას თხზულების ტექსტისა და მისი ავტორის მიერ გამოყენებული წყაროების სრული შეუსწავლელობით. მკვლევარი სავსებით სამართლიანად მიიჩნევს ივანე ჯავახიშ-

ვილის დაკვირვებას იმის თაობაზე, რომ ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების ძველ ნაწილში ბევრი უხეში შეცდომაა დაშვებული, მაგრამ ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ მათი უდიდესი ნაწილი თვით იმ წყაროთაგან მომდინარეობს, რომლებსაც ავტორი იყენებდა თავისი თხზულების შედგენისას.

რევაზ კიკნაძე აღნიშნავს, რომ ლაშა-გიორგის მეფობის ამბებს ფარსადან გორგიჯანიძე, ძირითადად, ჟამთააღმწერლის თხზულების მიხედვით გამოგვცემს, მაგრამ ზოგიერთი ადგილი გამოუტოვებია, ზოგი განუწვავია, ხოლო ზოგიც განსხვავებულად აქვს მოთხრობილი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი ის გახლავთ, რომ XVIII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი არ ეთანხმება XIV საუკუნის ქართველ ჟამთააღმწერელს ლაშა-გიორგის პიროვნების შეფასებაში. იგი, ლაშა-გიორგის დროინდელი მემკვიდრის დარად, ქებით მოიხსენიებს თამარის ძეს: „იყო გიორგი მეფე ტანად ახოვანი, ხელძრიელი და მხნე კეთილათ, კარგ ცხენოსან, კარგ ცეროსან, ნადირობაში ფიცხელი, კარგად მკვლელი, თავდაბალი, ლალი და მლთისგან მოშიშარი, სამართლიანი, უხვი და უშურველი, ჭკვიანი და სიტყვამარჯვე, მობეზლართ მძულველი და ყურის არმიმდგები“.

როგორც ირკვევა, ფარსადან გორგიჯანიძეს მთლიანად გამოუტოვებია რინდების მიერ ლაშასთვის თვალის გამოთხრის ამბავიც და, რაც მთავარია, მგზნებარე რომანი ველისციხელ ქალთან.

რევაზ კიკნაძე გადაჭრით ვერ ამბობს, პირადად ფარსადანია ავტორი ასეთი რედაქციისა თუ ჟამთააღმწერლის თხზულების მის მიერ გამოყენებულ ნუსხაში უკვე შესრულებული იყო მსგავსი სამუშაო და დასძენს: „მაგრამ ის გარემოება, რომ ფარსადანი ამკარად სიმპათიურად არის განწყობილი ლაშას მიმართ, გვაფიქრებინებს, რომ სხვადასხვა წყაროების საფუძველზე მას, ალბათ, საკუთარი თვალსაზრისი ჰქონდა შემუშავებული გიორგი IV-ის მიმართ და ამის შესაბამისად შეცვალა ან სულაც გამოტოვა ჟამთააღმწერლის ზოგიერთი ცნობა, რომელიც ზედმეტად მეკადრე ან დაუსაბუთებელი ერგენა“.

სამაგიეროდ, ფარსადან გორგიჯანიძეს ვრცლად აქვს დამონებული ლაშა-გიორგის სიტყვა ივანე მხარგრძელი-სადმი: „ბაგრატიონთ მეფეებს არვის ჰყოლება მამობილიო, რომე თურქნი ათაბაგობით იხმობენო. ვითაც შენ მრავალი ვალდებულობა და სამსახური დასდევო დედასა და მამას ჩვენსაო, რომ არას დროს არ გაგონილაო სხვათა საქართველოს მეფეების ყმათაგანო ძველით აქნობამდისინო, რომ ერანი, ერაცი და ხორასანი დაერბიოსო თქვენის მეტსაო, რომ თქვენ დაარბივეთო და ლაშქარი უზიანოთ გამარჯვებული მოასხიო და მრავალი აქლემის და ჯორების ყათრებითო ოქრო-ვერცხლი და ძვირფასის თვალ-მარგალიტი აკიდებულნი მოიტანეთო და ჯერეც ხელუხლებათ აწყვილა ჩვენს სალაროშიგანო. ამ სამსახურის სამუქაფოთო მრავალს სიკეთესა და სიმდიდრეს ღირსნი იყენითო და, ვითაც ერანის სახემწიფოს შიგან ათაბაგობის უდიდესი სახელო არ იქნებისო, დედამან ჩემმან თამარ მეფემანც ამისთვის მოგცა ათაბაგობაო, რომ ყველას უდიდესი იყენეთ. და ახლა ნამეტნავად ხართ ათაბაგი და მამობის ადგილს მისაჩენელი ჩვენი. და ახლა განჯელთ ხარაჯა არ მოუცია და ათაბაგი ერანისა დიდის ლაშქრით მოშველება განჯელთა. და ანე მინდა მათზედ გალაშქრება, შურის მოგება სიხლობის ურჩობისათვის, ამისთვის რომე, თუ ამათ არ გარდავახდევინთო, შორეულნი გაიგონებენ და ისინიც აღარ მოგვცემენო“.

რევაზ კიკნაძე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რითაც გამოირჩევა ფარსადანის თხრობა ჟამთააღმწერლის თხრობისაგან — მეფესა და ათაბაგს შორის სრული თანხმობა და ურთიერთგაგება სუფევს. ლაშა დიდი მონივნებით მიმართავს ივანეს და მამობილსაც უწოდებს.

კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტი: ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებიდან ირკვევა, რომ მონღოლები არცთუ მთლად მოულოდნელად დასხმიან თავს საქართველოს, რომ ქვეყნის მესვეურთ ადრევე მიუღიათ ცნობა აღმოსავლეთიდან დაძრულ დამპყრობელთა ურდოების შესახებ.

ფარსადან გორგიჯანიძე გადმოგვცემს ლაშა-გიორგის ანდერძს, რომელიც მეფეს თავისი დისთვის, რუსუდანისთვის, დაუტოვებია (ჟამთააღმწერელს მსგავსი არაფერი აქვს თქმული თავის თხზულებაში).

აი, ტექსტი ლაშა-გიორგის ანდერძისა:

„დედამან ჩემმან მეფემ თამარმანო აჯობა ყოველთა მეფეთა და ხემწიფეთა ბაგრატიონთა და დამიგდო სახელმწიფო გარეგებულო. და სოფლის ნესი ადამიანზედ დაუცდენელი არის და ჩემზედანც აპირებს მასა, რაც სხვათა ზედან უქნია. ანე თქვენთვის მამობარება სახემწიფო მამა-პაპათა ჩვენი, იქეც ტკბილათ და ყველას პატივი ეც შეფერებითა, წყალობა უყავ უყვედრებელი, შეიბრალე გლახა და ქვრივ-ობოლნი, და ერთგულნი გაამდიდრე, თავგამზიდავნი მოამშვიდე და ორგულნი შეამინეთ“.

რევაზ კიკნაძის სიტყვით, ეს ანდერძიც დადებითად ახასიათებს ლაშა-გიორგის, როგორც ადამიანსა და სახელმწიფო მოღვაწეს.

ფარსადან გორგიჯანიძის მიხედვით, ლაშა-გიორგი ივანე ათაბაგსა და სხვა ქართველ დიდებულებს ასე მიმართავს:

„ვატყობ თავსა ჩემსაო გარდასახადსა სოფლისასაო და ჩემად მაგიერად ჩემი და რუსუდან დედოფალი მეფობდესო ჩემის დავითის გაზადმდისინო. მონეთ, მორჩილეთ და ერთგულად ემსახურენით, ვითაც მამა და პაპანი თქვენნი ჩვენს მამა-პაპათათვის ემსახურებინოს. და ნათქვამი არის ძველითა: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, გინდა ხვალია“. და ეს სიტყვა მეფეთ-მეფეს დედას ჩემს თამარზედანც ითქვა. ან მე მოგახსენებთ დასა ჩემსა რუსუდანს ზედა“.

მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს ფარსადან გორგიჯანიძის მიერ რუსთველის პოპულარული აფორიზმის დამონების ფაქტზე და საგულისხმო გარემოებად მიიჩნევს იმას, რომ ფარსადანი ლაშას ათქმევინებს: ეს სიტყვა მეფეთ-მეფეს დედას ჩემს თამარზე ითქვაო. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფარსადანის თხზულებაში თამარის გამეფების ამბის სათაურშივე წერია: „მეფემ გიორგიმ თავისი ასული თამარი მეფეთ აკურთხა. აქ თქმულა: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, გინდა ხვალია“.

რევაზ კიკნაძე ფრიად საყურადღებო გარემოებად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ XVII საუკუნის საქართველოში ზემოხსენებული აფორიზმი რუსთველისა ანდაზად ყოფილა ქცეული და ხალხს მის გვირად თამარ მეფე ესახებოდა.

რევაზ კიკნაძე ასკვნის, რომ იოანე ბატონიშვილზე ბევრად უფრო ადრე ფარსადან გორგიჯანიძემ სცადა ლაშა-გიორგის პიროვნების რეაბილიტაცია და წარმოგვიდგინა იგი არა მარტო როგორც გულადი მეომარი, არამედ როგორც თავმდაბალი, ღვთისმოშიში და გულუხვი, სამართლიანი, ჭკვიანი და ენერგიული გამგებელი ქვეყნისა.

მკვლევარი დასძენს, რომ გადასინჯვას საჭიროებს ჩვენს ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული მოსაზრება, რომლის თანახმად ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების მეორე ნაწილი, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ ცნობებს ემყარება, როგორც ისტორიული წყარო, თითქოს მოკლებული იყოს ყოველგვარ მეცნიერულ ღირებულებას.

დასასრულ, ფარსადან გორგიჯანიძის საფუძვლიანი მცდელობის თაობაზე თამამად შეიძლება გავიმეოროთ აკად. კორნელი კეკელიძის მოსაზრება, გამოთქმული იოანე ბატონიშვილის ანალოგიურ გარჯასთან დაკავშირებული, რომ ამ წყაროში იმდენად ფანტაზიისა და ხალხური შემოქმედების ანარეკლი როდი გვაქვს, რამდენადაც სინამდვილისა და სიმართლის გამოძახილი და კვალი.